644/
1962/5

86M

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიზიკა

8

962/3

ცისფერი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჟურნალი
საქართველოს ალკგ ც. კ-სა და მზრალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

რ. ინანიშვილი — საუმაწვილო ამბები (მოთხრობები) 3
მ. ყვლივიძე — ლექსები 17
ა. ხულაკაური — ძველი ამბავი (მოთხრობა) . 20
შ. აკოფია — ორი დაბადება (ლექსი) . . 32
თ. ნატროშვილი — რამდენიმე დღე (მოთხრობა. დასასრული) 36
ზ. გოლაძეაძე — ლექსები 71
ვ. კაპანაძე — ლექსები 72
ვ. და ე. პაპაშვილები — სადაც შეიძლება ყველაფერი მოხდეს (გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა ა. ჭეშვილმა) 73
თ. ჯანგულაშვილი — გზა-გზა მოკრეფილი ყვავილები (ლექსები) 90
ზ. კუხიანიძე — ლექსები 92
ი. კუპალა — მემკვიდრეობა (ლექსი. თარგმნა შ. ნიშნიანიძემ) 93
მ. კაკაბაძე — მიწის გემო (მოთხრობა) . . 94
ვ. ძნელაძე — ხიყვარული მეძახის (ლექსი) . 114

მწერლის არქივიდან

ა. ბელიაშვილი — მოგზაურობა ამერიკაში (დასასრული) 115

ჩვენი ადამიანები

ბ. შაბერაშვილი — მწვანე ჩარდ[illegible] ... ქვეშ 121
ლ. გრანელოვსკაია — მადლიანი ალ[illegible]ცენი . 126

8

1962

აგვისტო

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი“

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და აუგლიციზმიკა

გ. მერკვილაძე — რომანისტის ენა და ტიპები. 132

ვ. ჯიბუტი — წრფელი და მართალი სტრიქონები 137

ნ. კანდელაკი — ეფრემ მცირე—ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი 140

ს. თურნავა — ვერკორი 145

სპორტი

ე. გასი — კლაპზუბელთა გუნდი (გაგრძელება) 149

ქრონიკა მსოფლიოდან

ქრონიკა 159

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

კ. კალაძე, რ. მეტრეველი, გ. შატბერაშვილი, ვ. ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-07-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IX-62 წ. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 783. უე 03871. ქაღალდის ზომა 70 × 108. ტირაჟი 5.900.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата, Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

კოსმონავტები ა. გ. ნიკოლაევი (მარჯვნივ) და პ. რ. პოპოვიჩი.

ვახტანგ ჯაფახაძე

ძმადნაფიცები

აი ისინიც! აი ისინიც! —
ბილიკს ჩამოჰყვნენ ვარსკვლავებიანს.
მათი ღიმილი, მათი სიცილი
კაცობრიობას გადასდებია.

იგი უცინის დღეებს ხვალინდელს,
მიესალმება დღეებს გაისის,
მიესალმება ზეცის რაინდებს
და მათ, რომელთა გვარიც არ იცის, —
რომელთაც შეხსნეს ლაჟვარდის კარი
და ღრუბლებს იქით დასცეს კარავი,
სადაც არ არის წვიმა და ქარი
და სადაც, თურმე, ღმერთიც არ არის.

კიდევ მრავალჯერ დაილოცება
ძმადნაფიცების ერთად ლაშქრობა...
გაღვიძებული კაცის ოცნება
უკვე ვარსკვლავებს ეთამაშება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ინანიშვილი

საყვარელი ამბები

მეიარაღის გოგონას ამბავი

ეს ამბავი ნამდვილად მოხდა, და რომ ნამდვილად მოხდა, ამაში თქვენ თვითონვე დარწმუნდებით, როდესაც ყველაფერს ბოლომდე მოისმენთ.

დიდი, დიდი ხნის წინათ, ქვეყანაზე რომ ჯერ უბრალო თოფებიც კი არ იყო გამოგონებული, თვით ულამაზესი ყვავილებიც კი რომ ჯერ ისევ მხოლოდ ტყეებში და ველებში ხარობდა (ეს კარგად დაიხსომეთ, პატარებო, თვით ულამაზესი ყვავილებიც კი ჯერ ისევ მხოლოდ ტყეებში და ველებში ხარობდა), ერთ მეომარ ქალაქში ერთი მეიარაღე ცხოვრობდა. ამ მეიარაღეს ყველანი უბედურ მეიარაღეს ეძახდნენ და ჩვენც ასე დავუძახოთ. უბედური კი იმის გამო იყო, რომ ულამაზესი მეუღლე ჰყავდა და მოუკვდა. დარჩა ერთადერთი გოგონა, ძალიან პატარა გოგონა. ამ გოგონას ვიღაც კეთილი ბებერი ქალი აცმევდა, აშმევდა და აძინებდა. მეიარაღე კი დილით უთენია მიდიოდა თავის სახელოსნოში და საღამოს გვიან ბრუნდებოდა. დილით ისეთ დროს მიდიოდა, როცა მის გოგონას ისევ ეძინა, ხოლო საღამოს ისეთ დროს ბრუნდებოდა, როცა მის გოგონას უკვე ეძინა.

კეთილი მოხუცი ქალი უბედური მეიარაღისთვისაც ამზადებდა საჭმელს, უბედური მეიარაღე იმ საჭმელს თავაუღებლად შეჭამდა, ღამეს ოხვრასა და კვნესაში გაატარებდა, და დილით, ჯერ გათენებული არ იყო, რომ უკვე თავის სახელოსნოში ბორიალობდა.

სახელოსნოში, ბასრ ხმლებსა და შუბებს აკეთებდა. კბილების კრაჭუნითა და მუქარით აკეთებდა, რადგან იცოდა, რომ ამ ხმლებს და შუბებს მყვირალა მეომრები დაიჭერდნენ ხელში, შესხდებოდნენ ფაფარაშლილ ჭიხვინა ცხენებზე, შეესეოდნენ მეზობელ ქვეყანაში ბედნიერად მცხოვრებ ადამიანებს და მარტო ის აღარ იქნებოდა უბედური, უბედურები გახდებოდნენ სხვებიც, ვის ლამაზ მეუღლეებსაც აჰკუწავდნენ მყვირალა მეომრები მის მიერ გაკეთებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბებითა და ხმლებით. მარტო მე რატომ უნდა ვიყო უბედური, დაე ქვეყანაც სხვებმაც იგემონ — რა არის უბედურებაო, და მთელ დღეს თავაუდებლივ, გაცხარებით მუშაობდა: დილით უთენია მიდიოდა სახელოსნოში და საღამოს ხშირბინდისას ბრუნდებოდა შინ.

მისი პატარა გოგონა კი იზრდებოდა. შეუმჩნევლად იზრდებოდა, მაგრამ მაინც ჩქარა იზრდებოდა, როგორც ყველა გოგონა ამ ქვეყანაზე.

და აი, ერთ დღეს, როდესაც უბედურმა მეიარაღემ დილაადრიან გაიღვიძა, რომ მაშინვე თავის სახელოსნოში წასულიყო და იქ ბასრი ხმლები და შუბები ექეთებინა, განთიადის მჭრქალ ცისფერ შუქზე ასეთი სურათი დაინახა· ოთახის შუაგულში მისი გოგონა იდგა და ის უკვე დიდი იყო. ის თავის ლამაზ დედას ჰგავდა. დედასავით გრძელი თეთრი მკლავები და გრძელი თეთრი თითები ჰქონდა; იმ თეთრი მკლავებით და თეთრი თითებით კი ულამაზესი ყვავილები ეკავა და იმ ლარნაკში აწყობდა, რომლითაც უბედური მეიარაღე წყალს სვამდა ხოლმე.

მორჩა — უკანასკნელი ყვავილიც მოხდენილად ჩაუშვა ლარნაკში, უკან დაიწია, თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, გაეღიმა და მერე ტრიალ-ტრიალით გავიდა გარეთ, — ისეთი ტრიალ-ტრიალით, როგორც ეხლაც იციან გოგონებმა, თუმცა ეხლანდელ გოგონებს თვით ოქროსფერი თმაც მოკლედ აქვთ შეკრეული; იმ გოგონას კი ოქროსფერი თმაც ჰქონდა, თანაც გრძელი, გრძელი; და წარმოიდგინეთ, როგორ სასიამოვნოდ გაიშლებოდა ის ოქროსფერი თმა, როცა გოგონა ხელებს გაშლიდა და დატრიალდებოდა.

უბედური მეიარაღე გაშტერებული იყო. მას უკვირდა. ჯერ ერთი ის უკვირდა, რომ მისი გოგონა ასე უეცრად გაზრდილიყო, მეორე კიდევ ის — რომ ყვავილები ასეთი ლამაზები იყვნენ. თვითეული მათგანი თითქოს მისი საყვარელი მეუღლის თვალებით იყურებოდა ლარნაკიდან. ისინი, ის ყვავილები, სხვა დროსაც ენახა, ენახა იმ ველებში, სადაც მყვირალა მეომრები დაადგენდნენ ფაფარაშლილ ჯიხვინა ცხენებს და ერთმანეთის ფარებზე ხმლების ხათქა-ხუთქით სინჯავდნენ თავიანთი მარჯვენის ძალას. მაგრამ არც მას, უბედურ მეიარაღეს, და არც იმ მეომრებს ფიქრად არასოდეს არ მოსვლიათ, თუ შეიძლებოდა, რომ ყვავილები ასეთი ლამაზები ყოფილიყვნენ. მით უმეტეს მეომრებს არ მოუვიდოდათ ასეთი ფიქრი, რადგან ისინი სულ ყვიროდნენ, ყვირილითა და ხმლების ქნევით დაადგენდნენ ფაფარაშლილ ჯიხვინა ცხენებს. ყვირილისა და ხმლების ქნევის დროს კი, ყველასთვის ცნობილია, დაკვირვების უნარი ერთმევა ადამიანს. შეიძლება უბედური მეიარაღის პატარა გოგონას თითების შეხება იყო საჭირო, რომ ყვავილები ასეთი ლამაზები გამხდარიყვნენ?!.

დიდხანს, დიდხანს იყო გაშტერებული უბედური მეიარაღე და მერე ნელ-ნელა, დაფიქრებული წავიდა სახელოსნოსაკენ...

სახელოსნოში იმ დღესაც ხმლებსა და შუბებს აკეთებდა, მაგრამ ისეთი სიჯიუტით ვეღარ აკეთებდა, როგორც სხვა დროს. თვალწინ სულ თავის გოგონა და ლარნაკში ჩარგული ყვავილები ედგა, რომლებიც საყვარელი მეუღლის გაბრწყინებული თვალებით იყურებოდნენ იქიდან; გული სულ მათკენ მიუწევდა, და საღამოს, მზეს არც კი იცალა ჩასვლა, სახელოსნო დაკეტა, ჩქარი ნაბიჯით გასწია შინისაკენ, და თავისი სახლის კარი სწორედ მაშინ შეაღო, როცა მისი გოგონა ლარნაკში ჩარგულ ყვავილებს წყალს უცვლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედურმა მეიარაღემ აქ კი ზღურბლზე გადაბიჯებაც ვეღარ შესძლო — ასევე, კარზეხელმოკიდებული გააშტერა ფიქრმა.

მან რაღაც უცნაური რამ იგრძნო, ეს თითქოს სინათლე იყო, სინათლე კი -არა, სითბო იყო. სიწყნარე იყო, სურნელება იყო. დაბრუნებულიყო ის უნეტა-რესი რაღაც, რომელიც საყვარელი მეუღლის აქ ყოფნის დროს ხვდებოდა ხოლ-მე შინ, და რომლის ფასიც მერე გაიგო, მერე, მარტოობაში...

„ეს ჩვენ მოგიტანეთ, ჩვენ, ჩვენ!“ — ტიტინებდნენ ყვავილები.

და უბედურ მეიარაღეს პირველად გაეღიმა ცოლის სიკვდილის შემდეგ.

მისმა გოგონამ, რა თქმა უნდა, იმავე წამს შეამჩნია ეს ღიმილი. ნელი, მაგ-რამ გაბედული ნაბიჯებით წავიდა მისკენ, მივიდა სულ ახლოს, სულ ახლოს, ოქროსთმიანი პატარა თავი ვეება მკერდზე დაადო და დაბლიდან შესცინა — ისე შესცინა, როგორც ეხლანდელი გოგონებიც შესცინებენ ხოლმე თავიანთ მამიკოებს, როცა უნდათ, რომ კინოს ფული მიიღონ, ანდა ნაყინისა, სულ ერ-თიც...

ამ დღიდან კი სულ ასე იყო: მეიარაღის გოგონა და მისი გამზრდელი კე-თილი მოხუცი ქალი უთენია მიდიოდნენ ქალაქგარეთ, ჰკრეფდნენ ცვრითგანბა-ნილ სხვადასხვაფერ ყვავილებს და მკერდზე მიხუტებულები მოჰქონდათ შინ. შინ მეიარაღის ლამაზი გოგონა თავისი თეთრი სპეტაკი ხელებით მოხდენილად აწყობდა ლარნაკებში, უსხამდა წყალს და სახლი ივსებოდა ენითგამოუთქმე-ლი სიწყნარით, სითბოთი, სინათლით და სურნელებით.

ამ დღიდან ყველას ეშინოდა მეიარაღისთვის უბედური მეიარაღე დაეძახ-ნა, რადგან ის უბედურად ალარ გრძნობდა თავს. ის უბედური კი არა, ბედნიე-რი იყო, და უნდოდა, რომ სხვებიც ბედნიერები ყოფილიყვნენ ქვეყანაზე, — დაანება ხმლებისა და შუბების კეთებას თავი, სხვადასხვაფერი ლითონებისა-გან გამოჭედა დიდი, დიდი ყვავილი, მიაჭედა სახელოსნოს წინ, კარს მაღლა და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას მოჰკიდა ხელი.

ამ დღიდან გარეგნულადაც გამოიცვალა. თითქოს გაახალგაზრდავდა. გა-ლამაზდა და გამხიარულდა.

ხალხს უკვირდა მისი ასეთი ფერისცვლება. მითუმეტეს ქალებს, რომლებ-საც ძალიან უყვართ სიმშვიდე და მხიარულება. ჩუმ-ჩუმად ადევნებდნენ თვალს — რაშია საქმე, რა მოხდაო. და აი ნახეს, რომ მეიარაღის ლამაზი გო-გონა და მისი აღმზრდელი კეთილი ქალი უთენია გადიან ქალაქგარეთ, იქ სხვა-დასხვაფერ ყვავილებს კრეფენ, მოაქვთ შინ, აწყობენ ლარნაკში, უსხამენ წყალს და მეტი არაფერი! უბედური მეიარაღე კი ბედნიერად გრძნობს თავს, სულ მხიარულია, სულ შინისაკენ მიუწევს გული.

უთუოდ ჯადოსნური ძალა აქვთ ამ ყვავილებსო — იფიქრეს ქალებმა და გადაწყვიტეს თვითონაც გამოეცადათ მათი ძალა (ისინი ხომ მეომრების შვილე-ბი, დები, მეუღლეები და დედები იყვნენ და ყოველი მათგანი დანატრულებუ-ლი იყო სიმშვიდეს და მხიარულებას). თვითონაც წავიდნენ უთენია ქალაქგა-რეთ, დაკრიფეს სხვადასხვაფერი ყვავილები, მოიტანეს შინ, ჩარგეს ლარნა-კებში, ჩაუსხეს წყალი, და ნახეს, რომ მათი სახლებიც ივსო რაღაც სინათლით, სიწყნარით და სითბოთი. თითქოს დაბრუნდნენ მათგან წასული უძვირფასესი ადამიანები, დაბრუნდნენ ყველა ის ბედნიერი წუთები, რომლებიც კი ოდესმე განეცადათ. მოხუცებმა გაახალგაზრდავება დაიწყეს: მეიარაღეებმა მახვილების ჭედვას თავი ანებეს და საოჯახო ნივთებისა და სამკაულების კეთებას შეუდ-გნენ; მყვარალა მეომრები დაჩუმდნენ, ხმლები ქარქაშებში ჩაადგეს, დაკვირ-ვების უნარი დაუბრუნდათ; დაკვირვებით მიმოიხედეს ირგვლივ და მიწის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა დაიწყეს. მიხვდნენ, რომ ყველაზე კარგი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე გულუხვი მიწაა. მიწა აღმოაცენებს ამ საოცრებებსაც — ყვავილებს. და ცხოვრობდა ხალხი მშვიდად, ბედნიერად, მხიარულად — მეიარაღის ლამაზი გოგონას წყალობით, უფრო სწორად — ყვავილების წყალობით, რომლებსაც მიწა აღმოაცენებდა, ქალები ჩაკრეფდნენ, მოაქონდათ შინ და იქ ლამაზი თითებით აწყობდნენ ლარნაკებში.

და თუ შემდეგში ისევ დაიწყეს იარაღის კეთება მეიარაღეებმა, ისევ აყვირდნენ მეომრები, ისევ მოახტნენ ფაფარაყრილ ეხვინა ცხენებს და ისევ დაიწყო სისხლისმღვრელი ომები, ეს ალბათ იმის გამო მოხდა, რომ ვიღაც ლამაზ ზარმაც გოგონებს დაეზარათ დილით ადრე ადგომა და ბაღჩაში ჩასვლა (ეხლა უკვე ქალაქგარეთ ალარ ჭირდებოდათ სიარული), რომ იქ დილის ცვრითგაბანილი ყვავილები დაეკრიფათ, აეტანათ შინ, ჩაერგათ ლარნაკში და ჩაესხათ წყალი...

ეს ყველაფერი რომ მართლაც ასე უნდა მომხდარიყო, შეგიძლიათ თქვენ თვითონვე დარწმუნდეთ, პატარებო. ადექით დილაადრიან, ჩადით ბაღჩაში, მოკრიფეთ თქვენი ლამაზი თითებით ლამაზი ყვავილები (ქალაქელებმა, ვისაც ბაღი არა აქვთ, შეუძლიათ ფუნთუშისთვის მიცემული ფულით იყიდონ მეყვავილეებისაგან), აიტანეთ შინ, ჩარგეთ ლარნაკში და ნახავთ, რომ, როდესაც დედა და მამა მოკრავენ თვალს, უეჭველად მაშინვე სიამოვნების ღიმილი გადაფინებათ სახეზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯადოსნურმა ბალახებმა, როგორც წინათ ეძახდნენ ყვავილებს, უკვე იმოქმედეს.

მეიარაღის გოგონას სახელის უკედავსაყოფად მისმა მადლიერმა ხალხმა ყველაზე ლამაზ, ყველაზე სურნელოვან, ყველაზე საყვარელ ყვავილს მისი სახელი დაარქვა. მიხვდით, რომელი ყვავილისთვის დაურქმევიათ მისი სახელი? დიახ, იისთვის. მეიარაღის ლამაზ გოგონას ია ერქვა. მაგრამ ეს ამბავი ცოტას, ძალიან ცოტასღა ახსოვს ქვეყანაზე.

გოგონა, რომელსაც ღამე შეუყვარდა

ისიც თითქმის ჩვეულებრივი პატარა გოგონა იყო — გამხდარი და აქეთ-იქით გაპრეხილ ნაწნავებიანი. მხოლოდ ზეაწეულ წამწამებიანი ცისფერი თვალები ცოტა უფრო ფართოდ ჭქონდა გახელილი, ვიდრე სხვა გოგონებს აქვთ, და ყველაფერს ცოტა უფრო სხვანაირად ხედავდა, ვიდრე ჩვენ. აი, მაგალითად, როდესაც ჩვენ ბაღში მივდივართ და ხეს შეეხედავთ, დავინახავთ, რომ ხე ან უძრავად დგას, ან არა და მის მწვანე ფოთლებს ნიავი აშრიალებს; ან ჰყავს. ან ის-ისაა კოკრები გამოაქვს. ის გოგონა კი ხედავდა, რომ ხის ფოთლებს ნიავი, კი არ აშრიალებს — ყუწწებში უღიტინებს, და ფოთლები ხტიან, ხითხითებენ, ლამის გული წაუვიდეთ ხითხითისაგან; ის ხედავდა, რომ ხე უბრალოდ კი არ ჰყავავის, ყოველი კვირტი თოთო ბავშვივით იღვიძებს, თვალებს იფშვნეტს. ეზმორება და ტკაც! — ღიმილით უბრწყინდებათ სახე. მას კიდევ ისიც შეეძლო, რომ თვალები დაეხუჭა და უფრო მეტი რამ დაენახა, ვიდრე თვალხილული ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაედა. თვალხილული ის თავის ოთახს, თავის ქუჩას, დიდ სახლებს, ბევრ მანქანებს, ბევრ ხალხს და ბევრ მაღაზიებს ხედავდა. ხოლო როდესაც თვალებს დახუჭავდა — უუ! მაშინ ათას რამეს დაინახავდა. დაინახავდა ლურჯ ოკეანეს, რომელსაც ქთქთოა იალქნებიანი გემი მიაპობდა, დაინახავდა მზის სხივებით ალსავსე უფრან ტყეს, რომელშიც ათასნაირი ფერის ჩიტები დაფრინავდნენ და გალობდნენ, დაინახავდა მაღალ, მაღალ მთებს, რომლის მწვერვალიდან მწვერვალზე ყელმოღერებული ჯიხვები გადაქროდნენ...

ერთ ზაფხულს ეს გოგონა დედამ და მამამ აგარაკზე წაიყვანეს. აგარაკი შორს იყო. ჩასხდნენ მატარებელში, იარეს, იარეს, იარეს; მერე მატარებლიდან ჩამოვიდნენ, ავტობუსში გადასხდნენ; ისევ იარეს, იარეს, და ბოლოს, როგორც იყო, მივიდნენ.

სანამდე გოგონას ამ აგარაკზე წამოიყვანდნენ, მანამდე ის სულ დიდ ქალაქში ცხოვრობდა. დიდ ქალაქებში ასეთი წესია: როგორც კი ღამე დაამირებს მოსვლას, აანთებენ მილიონ ელნათურას და გაანათებენ. ამ ქალაქშიც ასე იყო: დაამირებდა ღამე მოსვლას — აანთებდნენ მილიონ ნათურას და გაანათებდნენ. ნამდვილი ღამე ქალაქელებს არც კი უნახავთ. ამ გოგონასაც არ ენახა და, სანამ ქალაქში ცხოვრობდა, ღამის არც სიყვარულზე უფიქრია, არც სიძულვილზე. უყვარდა სიბნელე, ესე იგი, როდესაც სინათლეს გამორთავდა; მაშინ მას თვალების დახუჭვაც არ უნდოდა, იწვა და ისე ხედავდა ლურჯ ოკეანეებს, დაბურულ ტყეებს და მაღალ, მაღალ მთებს. უყვარდა ასეთი სიბნელე, მაგრამ ღამისა კი არც სიყვარულზე უფიქრია, არც სიძულვილზე.

და აი, გოგონა უკვე აგარაკზეა. ჩამოდიან ავტობუსიდან და რას ხედავენ— აგარაკი ტყეშია. პატარა ლამაზი ხის სახლი, რომელიც გოგონას მამას დაუქირავებია, ვეება შავი ნაძვების ქვეშ დგას. რა თქმა უნდა, ნაძვები სინამდვილეში მწვანეებია, მაგრამ ღამით ხომ ყველაფერი შავად ჩანს — ხეებიც, წყალიც და ცაც! აქ კი უკვე ღამეა, ნამდვილი ღამე. დაბრუნებულა ნახირი, დაჩუმებულან ფრინველები, მიწყუდარი ადამიანების ფეხის ხმაც. ცაზე მილიონი დიდი ბახჩახა ვარსკვლავი ანთია და ისინიც კრუტუნებენ:

— კრუ, კრუ, კრუ!..

რა თქმა უნდა. ვარსკვლავები კი არა — ეს ჭრიჭინები, კალიები და სხვა რაღაც ასეთი მწერები კრუტუნებენ, მაგრამ გოგონას ასე ეჩვენება! დედა და მამა ფუსფუსებენ, ბარგს შინ ეზიდვიან, ჩემოდნებს ხსნიან, ოთახს აწყობენ; გოგონა კი აივანზე დგას, ფართოდ გახელილი თვალები უფრო ფართოდ აქვს გახელილი, თანაც უბრწყინავს, უბრწყინავს, შესაცქერის დიდ ბახჩახა ვარსკვლავებს, და ეჩვენება, რომ ისინი, ეს ვარსკვლავები კრუტუნებენ. ფისუნებივით ჟუტავენ თვალებს, კრუტუნებენ და უცინიან ჩუმჩუმად.

დღისით სიცხე ყოფილა. ტოტებდაოსებული ნაძვები სულს ითქვამენ და ერთმანეთს ეკითხებიან ჩურჩულით — როგორ გადაიტანეთ დღეკვანდელი სიცხე, ხომ არაფერი გიქირთო. არც ერთ ნაძვს არაფერი არ უჭირდა და სიამოვნებით იზმორებოდნენ, ადიოდნენ მაღლა, მაღლა — იზრდებოდნენ. აი, აივანზე გადმომდგარი გოგონა შეამჩნიეს.

— რა კარგი გოგონაა! რა ლამაზი გოგონაა! — აღტაცებით გადაუჩურჩულებენ ერთმანეთს. — ო, რა ლამაზი გოგონაა! შეხედეთ შეხედეთ!

გოგონა კი ისევ ვარსკვლავების მზერითაა გართული, ისევ ამ ხმებს უგდებს ყურს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კრუ, კრუ, კრუ!..

მერე აივნიდან ეზოშიც ჩადის. უნდა, რომ უფრო მეტი ვარსკვლავი დაინახოს, გაშლის წვრილ, გრძელ მკლავებს, დატრიალდება და — უუ!.. მილიონი ვარსკვლავიც თან მიჰყვება ბრუნვითა და სიცილით.

და უცებ ცას ერთი ვარსკვლავი მოსწყდა. წამოვიდა ელვისებური სისწრაფით, გაიზარდა, გაიზარდა და მთლად დიდი, დიდი, ჩახჩახა, სულ ახლოს, შავი ნაძვების კენწეროების იქით გაუჩინარდა. გოგონა იმ ნაძვებისაკენ გაიქცა. ის ვარსკვლავი ისე ახლოს ჩამოვარდა, რომ უეჭველად იპოვნის! წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერი იქნება, თუ იმ ვარსკვლავს იპოვნის! ხანდახან ფეხი უცურდება რბილ, სასიამოვნო და სურნელოვან ხავსზე; წაიფორთხილებს, მაგრამ ისევ მალე გაიმართება და ისევ გარბის, გარბის. ფართოდ გახელილი თვალები კიდევ უფრო ფართოდ აქვს გახელილი, კიდევ უფრო მეტად უბრწყინავს. სულ ცოტაც, სულ ცოტაც! ვარსკვლავი აქ თუ არა, აი იმ ბუჩქის უკან მაინც იქნება, აქ თუ არა, აი იმ ბუჩქის უკან მაინც იქნება აუცილებლად. წარმოგიდგენიათ, რა ბედნიერებაა ვარსკვლავის პოვნა! შეჩერდება, მოიხედ-მოიხედავს და ისევ გარბის ხეების შავადალნდფულ ძირებს შორის. ვეება ნაძვები და მუხები კი ერთმანეთს ეჩურჩულებიან აღტაცებით:

— პატარა ლამაზ გოგონას ღამისა არ ეშინია! პატარა ლამაზ გოგონას ლამაზი კაბა აცვია, ლამაზად აქვს დაწნული თმები! აბა ფრთხილად, კაბა არ დავუხიოთ, ნაწნავები არ დავუშალოთ!

და ვეება ნაძვები და მუხები შეუმჩნევლად სწევენ მაღლა ტოტებს, რომ გოგონას კაბა არ დაუხიონ, ნაწნავები არ დაუშალონ. აქეთ-იქით იწევიან ბუჩქებიც. გოგონა კი გარბის, გარბის...

მაგრამ განა როდემდე შესძლებდა სირბილს! დაიღალა და შეჩერდა. უნუგეშოდ იხედებოდა აქეთ-იქით. იყო შავი ხეები, შავი ბუჩქები. ვარსკვლავი კი არ ჩანდა არსად, და მიხვდა, რომ ვერც ვერასოდეს იპოვნიდა მას. საშინლად დასწყდა გული. ხომ შეიძლებოდა, რომ ეპოვნა? ო, რა ბედნიერი იქნებოდა მაშინ. ახლა კი... ცრემლებით აევსო ფართოდგახელილი დიდი ცისფერი თვალები.

ეს დაინახეს მუხებმა, ეს დაინახეს ნაძვებმა, ეს დაინახა თვით მარადნაღვლიანმა ღამემაც... ღამე აქამდე უხმოდ ადევნებდა თვალს. იგი მოხიბლული იყო ამ ლამაზი გოგონით, რომელსაც სრულიად არ ეშინოდა მისი, და აი ახლა, როცა გოგონას ცრემლებით აევსო თვალები, დაბალი, ალერსიანი ხმით თქვა:

— ნუ ტირი, პატარა ლამაზო გოგონავ. შენ იმ ვარსკვლავს ვერ იპოვნი. იმ ვარსკვლავს ვერავინ ვერ იპოვნის. ის შორს, შორს ზღვაში ჩაეშვა, უზარმაზარმა ნათელთევზამ დაიჭირა და უკვე თავისი შვილების გასართობად მიაქვს. მაგრამ შენ ამაზე გული არ უნდა დაგწყდეს. აბა დააკვირდი — რამდენი ლამაზი რამაა თვით შენს ირგვლივ. აბა დააკვირდი, აიხედე მაღლა!

გოგონამ მიმოიხედა, მერე თავი მაღლა ასწია და დიდი ფართოდგახელილი თვალები ისევ სიამოვნებით გაუბრწყინდა.

წინა წლის ხმელი ფოთლები და წიწვები, რომლებიც მიწაზე სქელად იყო დაგებული, ოქროსფრად ბრწყინავდნენ, ოქროსფრად ბრწყინავდნენ დაბლადაწეული ტოტების ახალი ფოთლებიც და წიწვებიც; ხოლო მაღლა, სულ მაღლა, უზარმაზარი ხმელი მუხის დაგრაგნილ ტოტებს შორის დიდი, ყვითელი მთვარე ამოსულიყო, იმ ხმელი მუხის ტოტიდან ტოტზე კი მხიარული ციყვები ხტოდნენ, და ისე მოჩანდა, თითქოს ციყვები მთვარეს ახტებოდნენ ზემოდან. გადახტებოდა ერთი და ტკრც... გაპრეხილი კუდით ნაპერწკლების მთელ გრო-

ვას გაიყოლებდა, ახლა მეორე მხრიდან — ტკრა... და იმასაც ნაპერწკლების გროვა მოჰყვებოდა თან.

უცებ ციყვებმა გოგონა დაინახეს, შეშფოთებით გადაუსტვინეს ერთმანეთს და ყველანი ერთ ტოტზე გამწკრივდნენ. სხედან ასე მწკრივად და გაოცებული თვალებით მისჩერებიან გოგონას. გოგონამ ხელი მაღლა ასწია, ლამაზად დაუქნია თითები სალამის ნიშნად და თან გაულიმა კიდეც. ამან ციყვები გაახარა. იმათაც გაუცინეს, სტვენით და თავის ქნევით მისცეს სალამი და მერე ისევ ტოტიდან ტოტზე ხტუნობა განაგრძეს. თან ახლა უფრო გულმოდგინედ ხტოდნენ, ხტოდნენ და ჰაერშიც კოტრიალობდნენ სიცილით, რადგან უნდოდათ, რომ ლამაზი გოგონასთვის ეჩვენებინათ — აი როგორი ყოჩაღები ვართო.

ლამე კი ახალ სანახაობას უმზადებს.

სანამ გოგონა მაღლა იყურებოდა და ციყვების თამაშს ადევნებდა თვალს, ციცინათელების მთელი გუნდი მოფრინდა და მის ირგვლივ დაიწყეს ფრენა. ზოგმა მეტიც გაბედეს. ისინი გოგონას აქეთ-იქით გაპრეხილ ნაწნავებზე დაასხდნენ მწკრივად, მძივივით ლამაზად და, წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნებოდა! ირგვლივ ციცინათელების მთელი გუნდი უელის და ყოველი ციცინათელი თავის წრეს ხაზავს, ნაწნავებზედაც ციცინათელები გამწკრივებიან, ფართოდგახელილი თვალები სიხარულით უბრწყინავს და გრძელი წვრილი მკლავები თითქოს ასაფრენად აქვს გაშლილი...

ლამეს თვითონვე მოსწონს თავისი საქციელი, კეთილად ეღიმება და კიდევ უფრო ლამაზი რამის მოგონებას ცდილობს.

— ეხლა წადი წინ, აგერ იმ ბუჩქებში გაიარე, — ალერსით ეუბნება გოგონას. და გოგონაც მიდის. მიდის და ციცინათელების მთელი გუნდიც თან მიჰყვება. ბუჩქები ტოტებს აქეთ-იქით სწევენ, რომ ლამაზ გოგონას ლამაზი კაბა არ დაუხიონ, ლამაზი ნაწნავები არ დაუშალონ, რომლებზედაც მძივებივით გამწკრივებულან ციცინათელები. გადის ბუჩქების იქით და აღტაცებული ჩერდება კამკამა ტბის პირას. ტბა ვარსკვლავებით და ოქროს თევზებით არის სავსე. ოქროს თევზები სულ მაღლა ამოდიან, ნელანელა ამოძრავებენ ოქროსფერ ლაყუჩებს, გაოცებულები შესცქერიან გოგონას და მერე სიხარულით ხტებიან ჰაერში და ტკიცინით ვარდებიან ტალღებში. ტალღებში მთვარეც ანთია, დიდი ათასთასხებული მთვარე.

— შენც ჩაიხედე შიგ! — ალერსით ეუბნება გოგონას ლამე. და გოგონაც ფრთხილად მიდის ტბის პირას, იწევს წინ, იხედება შიგ და ხედავს ციცინათელების მძივებით შემკულ თავის აქეთ-იქით გაპრეხილ ნაწნავებს, ხედავს გვირგვინს, რომელიც აგრეთვე ციცინათელებს დაუდგამთ, ხედავს ფართოდგახელილ ცისფერ თვალებს... .

უცებ ეს ფართოდგახელილი თვალები უფრო მეტად უფართოვდება. წყალში ქორაბუდა ირემი ჩანს. ასწევს თავს და ის ირემიც იხედავს მაღლა. აღტაცებულები შესცქერიან ერთმანეთს. ირემს ოქროს რქები აქვს, თვალებიც ოქროებივით უბრწყინავს. გოგონა ხელს გაუწვდის, და ირემი მოდის, ნელი ნაბიჯით მოდის, მოვა სულ ახლოს და გრილ დრუნჩს შეახებს თითებზე. გოგონა შუბლზე ხელს ჩამოუსვამს. სულ ახლო მიიწევს, ტუჩებს თვალებთან მიუტანს და ლამაზ თვალებში ჰკოცნის. მერე კისერზე ხელს შემოხვევს, ლოყით ეხუტება ყბაზე. ირემი თვალებს ლულავს, ოდნავი ატოკვებს მოუსვენარ ყურებს. ციცინათელები ირმის რქებში ტრიალებენ და ახლა იქ აკთებენ წრეებს. ჩუ!.. სადღაც სულ ახლოს ბულბული წამოიწყებს საგალობელს. ვიღაც იცინის. სია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვნებით იცინის. ეს მარადნაღვლიანი ღამეა. მარადნაღვლიანი ღამე ტკბება ლამაზი პატარა გოგონას მზერით, რომელსაც არ ეჯავრება იგი, არ ეშინია მისი...

მაგრამ უცებ ირემი მძლავრად ასცქვეტს ყურებს, თვალებში წუხილი უდგება.

— მე უნდა გავიქცე, მონადირეები მოდიან! — ეუბნება გოგონას და ორი ნახტომით შეერევა ტყეს. სანამდე ტყეში შეიმალებოდეს მთლიანად, ერთხელაც მოიხედავს, მოიხედავს და გოგონა შეამჩნევს, რომ ოქროსფერი თვალები ცრემლებით აქვს სავსე.

— ჩვენც უნდა დავიმალოთ! — ეუბნებიან გოგონას ციცინათელებიც და ისინიც ერთიმეორის მიყოლებით შეერევიან ტყეს.

გაჩუმდა ბულბულიც. დაბლა-დაბლა მიდიან თევზებიც.

მონადირეები კი ახლოვდებიან. სულ ახლოდან ისმის მათი ხმა:

— ოოო!..

— მეც უნდა დაგტოვო, ლამაზო პატარა გოგონავ. ხომ არასოდეს შეგეშინდება ჩემი? — სევდიანი ალერსით ეჩურჩულება ღამე და ნელა-ნელა იწევს უკან. მის ადგილზე კი შემოდის ბევრი, ბევრი ფარნის შუქი, სხვადასხვანაირი ხმები. ამ ხმებში მაინც არჩევს დედისა და მამის შეშფოთებულ ძახილს:

— ოოო!..

— მე აქ ვარ! — უბრალოდ, მშვიდად უპასუხებს გოგონა და ბუჩქებიდან გადის. ბუჩქები ტოტებს ისწორებენ და ცდილობენ ადარ გატოკილდნენ. მათ წინ, ერთმანეთს მიხუტებულ ბალახებზე, დიდ-დიდი მბრწყინავი წვეთებია დაბნეული. და გოგონა ხვდება, რომ ეს ღამის ცრემლებია, ეს მისგან წასული მარადნაღვლიანი ღამის ცრემლებია.

— მე მიყვარხარ შენ, ღამევ!

აღმოხდა ძახილი — ძახილი აღტაცებისა თუ შეშფოთებისა, მაგრამ სულ ახლოს მოსულ ადამიანებთანაგანაც კი არცერთს არ გაუგონია იგი.

იმ ღამეს მთელ აგარაკზე თითქმის არავის სძინებია. ყველას აინტერესებდა გოგონას ნახვა, რომელიც ტყეში დაიკარგა და ძლივს-ძლივობით იპოვნეს. ყველას უნდოდა გაეგო — რატომ წავიდა გოგონა ისე შორს, ტყეში, და ეშინოდა თუ არა იქ. მაგრამ გოგონა არაფერს არ ამბობდა. დიდი, ფაროდგახელილი ცისფერი თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე და არაფერს არ ამბობდა. იცოდა, რომ თუნდაც ეთქვა, რისთვისაც წავიდა ტყეში და რაც ნახა იქ, მაინც არ დაუჯერებდნენ. ის ხომ მართლაც ყველაფერს ცოტა სხვანაირად ხედავდა სხვებთან შედარებით! შენ სულ ასე უცნაურად გეჩვენება ყველაფერიო, და არ დაუჯერებდნენ.

ეს კი ძალიან, ძალიან ცუდია, როცა შენ რაიმე გჯერა და სხვები კი არ გიჯერებენ.

შიო პაპასი და მისი სახედრის ამბავი

ვიცი, რომ ბევრი კარგი ბერიკაცი გინახავთ. მაგრამ იმისთანა კოხტა პაპა, როგორიც შიო პაპა იყო, არა მგონია სხვა შეგხვედროდეთ სადმე. ისეთი თეთრი, სპეტაკი წვერი ჰქონდა, თითქოს ბამბის ფთილა ამოუკრავთ შოკოლადისფერ ყბებზე და ნიკაპზეო. ისე უციმციმებდა წამოფაფრულ წარბებში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალული თვალები, თითქოს ცელქი ბიუია და აი სადაცაა რაღაც სასაცილო ონის ჩაიდებსო. ამაზე კარგი სანახავი ხომ სხვა აღარა იყო რა, როცა ის თავის თეთრ სახედარზე გადამჯდარი, კეზე გარდიგარდმო თოხგადგადებული, სასოფლო გზაზე გამოვიდოდა და „ვოლგებსა“ და „ბობედებში“ გაეიოდა! სახედარს ზედ კუდუსუნზე ეჯდა კაპიტანივით წელში გამართული, ფეხებს თითქმის მიწაზე მიათრევდა და მხიარულ სალამს ურიგებდა გზის აქეთ-იქით ჩამწკრივებულ სოფლელებს.

— სოლომანას სიცოცხლე!

— ჩემს ძმისწულს გაუმარჯოს!

— როგორა ხარ, ძმისშვილო!

თუმცა ძმა არასოდეს არ ჰყოლია, ვინც კი ასე მისი შვილის კბილად გამოიყურებოდა, ყველას ძმის შვილ ან ძმისწულს ეძახდა.

რამდენიც უნდოდათ, იმდენი ეყვირებინათ შოფრებს თავიანთი მანქანები, შიო პაპა ამით არ შეშფოთდებოდა. არც მისი სახედარი აეჩქარებდა ფეხს. სახედარმა თავისი პატრონის ამბავი იცოდა, პატრონი კი — ჩვენი კოხტა შიო პაპა, ღიმილით მიუპრუნდებოდა გვერდზე ჩაგლილ აბუზღუნებულ შოფერს და ალერსით ეტყოდა:

— რაო, ძმისწულო, არ მოგწონვართ განა?! მოძრაობის წესებს ხომ არ ვარღვევთ მე და ეს ჩემი პატიოსანი სახედარი? არა, არა? აბა მაშ მე საჩქარო არა მაქვს რა. მე რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვეუფერო ამ ლამაზ ქვეყანასა!

ამ სიტყვებზე და უფრო კი შიო პაპას სახის კეთილ გამომეტყველებაზე შოფერსაც გაეცინებოდა, — დიდხანს გაცოცხლოს, პაპა, დიდხანს უყურე ამ ლამაზ ქვეყანასა ეგრე სახენათლადო! — დაუძახებდა მანქანიდან და მერე გახალისებული გავარდებოდა წინ.

შიო პაპა და იმისი სახედარი კი ისევ ნელ-ნელა, აუჩქარებლად განაგრძობდნენ გზას:

— პაკ-პუკ! პაკ-პუკ!

სოფელი დიდი იყო, სოფელი მდიდარიც იყო: ყველას მანქანა ჰქონდა, ყველას მანქანა ეყარა პირზე, და როგორც კი ლაზღანდარა ბიჭები დაინახავდნენ, იმ წუთშივე მთელი ქვეყნის გასაგონად დაუძახებდნენ:

— როგორა ხარ, შიო პაპა! როგორა გაყავს ეგ შენი ვირადინი!

შიო პაპას სადღაც გულში სწყინდა, მაგრამ მაინც ინტიბარს არ იტეხდა და უდარდელად უპასუხებდა:

— მეც კარგადა ვარ და ჩემი ვირადინიცა! თქვენ იჩივლეთ, შვილოსა, რომ ხან პაკრიშკები გაქვთ თავშესაცემი და ხან ბენზინი, თორემ ჩვენ რა! ჩემი ვირადინი ხმელ წალამსაც გემრიელად გეახლებათ და არც თიხიან ალმართზე უცურდება უნაოდად ფეხი!

აბა ბიჭებს ამაზე რა უნდა ეპასუხათ! ჩაიჩრიდნენ ტურტლიან თითებს პირში და უსტვენდნენ.

მაგრამ ზოგნი ამითაც კი არ კმაყოფილდებოდნენ. ზოგნი, აი, მაგალითად, ხოფლის ნასწავლები, პირდაპირ მოითხოვდნენ: დრო არის, საბჭომ მოგვაშოროს ეგ სახედარი, სოფელ გვირცხვენს, გეუშნოებს, რაღა დროს სახედარია, სადაცა რაკეტებით დაიწყებს ხალხი ფრენასო. მაგრამ ამას უკვე შიო პაპას ზურგს უკან ამბობდნენ. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი — ისეთი კანონი არ არსებობდა მაინც და მაინც ყველა სახედარი მოსპეთო, მეორეც — ამასაც ფიქრობდნენ: ბერიკაცია შიო პაპა, განა რამდენი ხანიდა უნდა იცოცხლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე, ალბათ, ფეხებს გაფშეკავს და ეგ სახედარიც თავისთავად მოშორდება აქაურობას; ერთ კბილს გასმად არ ეყოფთ ზოოპარკის მგლებსო.

მაგრამ შიო პაპა ფეხების გაფშეკას არ ჩქარობდა. შიო პაპა საერთოდ არაფერს არ ჩქარობდა. დღეებიც მიდიოდნენ ნელა, ნელა. გავიდა წლებიც... შიო პაპა და მისი სახედარი კი ისევ ერთად იყვნენ, ისევ ყოჩაღად იყვნენ და, როგორც სოფლის ნასწავლები ამბობდნენ, ისევ აუშნოებდნენ დიდ, მდიდარ, კრიალა მანქანებით აღსებულ სოფელს.

II

ერთ წელიწადს კი დიდი ზამთარი დადგა. თოვდა და თოვდა. თოვლმა დაფარა ყველაფერი. მთაში მგლები დაიმშნენ, ითმინეს, ითმინეს და ბოლოს სამგლე ველში შეგროვდნენ. ჩაცუცქდნენ აეგრე წრედ და დაიწყეს თათბირი — რა ექნათ, როგორ მოვიქცეთ, ასე შიმშილით ხომ არ უნდა ამოწყდეთო. სოფელში ჩასვლისა ეშინოდათ. სოფელში დიდსა თუ პატარას თოფი ჰქონდა. თოფმა მეხივით ხმა და ცხელი ტყვია იცის. ცხელი ტყვია კი, ეს თქვენც გეცოდინებათ. პატარებო, თქვენი ცერის სიმსხო ცხელი ტყვია ლომსაც წააქცევს და სპილოსაც. დაეჯახება და წააქცევს. აბა მგელს რას უზამს, თუ კი დაეჯახა!

ცხელი ტყვიისა ეშინოდათ და ისხდნენ აეგრე წრედ, ჩაექინდრათ თავები და ფიქრობდნენ. ბოლოს წამოდგა ერთი მურა მგელი, გაჰკრა ბრჭყალები თოვლს და მიწაც მიაყოლა ცოტა. მეო, ერთი საკბილო მეგულებათ. რა საკბილოო — აჩოჩქოლდნენ სხვა მგლები. შიო პაპას სახედარიო, შიო პაპას თეთრი სახედარიო; — მთელი დღე ჭალაში დაყიალობს და ტირიფებსა და ვერხვებს ჰკორტნის, შინ საღამოს ბრუნდება და მერე მთელი ღამე გომურის დერეფანში დგას. გომური სოფლის პირასაა, შიო პაპას კიდევ თოფი არა აქვს. თუ გინდაც ეხლა ეყიდოს, სულერთია. გასროლის თავი მაინც არ ექნება!

— ვინ რას იტყვისო! — გადახედეს მგლებმა ერთმანეთს.

ყველა დაღონებული იყო, ყველას ყურები ჰქონდა ჩამოყრილი — ეტყობოდათ, მაინც ეშინოდათ. როდის-როდის გაბედა ერთმა მგელმა, რომელსაც ყველაზე მეტად გასთხელებოდა ფერდები.

— ხალხნო, რამ გაგაჩუმათ, თუნდა აქ დავხოცილვართ შიმშილით, თუნდა ადამიანებს დავუხოცივართ. იმას მაინც იტყვიან — ვაკაცურად დაიხოცნენო. უნდა წავიდეთ, აბა მეტი რა გზა გვაქვსო.

და წამოდგნენ, დაიბერტყეს თოვლიანი კუდები, გაებნენ ბილიკზე მწკრივად და წამოვიდნენ სოფლისაკენ. მოდიან და ხან ერთი ამოიოხრებს, ხან მეორე. ფუი, ჩვენი სიცოცხლეც თუ სიცოცხლეაო. თოფისა ეშინიათ. იციან, რომ თოფმა მეხივით ხმა და ცხელი ტყვია იცის.

სოფელს რომ გადახედეს, კიდევ ერთხელ ჩასხდნენ. სოფელში სინათლეები ენთო, სოფელში ელექტროსინათლეები ენთო, მაგრამ ამ სინათლეებისა არ ეშინოდათ მგლებს. იცოდნენ, რომ ეს ელექტროსინათლეები ენთო. ელექტროსინათლეს კი ეხლა ყველა სცნობს — მგლებიც და სხვა ცხოველებიც.

— შენ ასე მოიქცევიო, შენ ისეო, შენ კიდევ ისეო! — არიგებდა დიდი მურა მგელი ყველას. — გომურის დერეფნიდან კი მე გამოვაგდებო.

უქნევდნენ თავებს თანხმობის ნიშნად მგლები და თან ჟრუანტელი უვლიდათ ზურგში. მაგრამ რას იზამდნენ! ადგნენ და მუხლების კანკალით ჩაჰყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლიან სერს. წაგრძელებულან ჩრდილებივით და ჩრდილებივითვე უხმოდ, უახლოვდებიან სოფელს.

სოფელს კი სძინავს. ხალხსაც სძინავს და ძაღლებსაც. ძაღლები ღრმა ძილს არიან დაჩვეული. ჰგონიათ, რომ მგლები მთლიანად ამოწყდნენ ქვეყანაზე, ქურდებიც ამოწყდნენ ქვეყანაზე და მთელი ღამე გაუნძრეველად სძინავთ, სძინავთ და სუქდებიან.

სძინავს შიო პაპასაც. გულაღმა წევს, სპეტაკი თეთრი წვერი იხვის ბოლოსავით მაღლა აქვს აპრეხილი. ფუ-ფუ-ფუ! ფშვინავს არხეინად და თან სულ ლამაზ-ლამაზ სიზმრებს ხედავს. ხედავს, რომ მისი თეთრი სახედარი პატარა, პატარა ჩოკინაა. თვითონაც პატარაა შიო პაპა. აღარც თეთრი წვერი აქვს, აღარც ულვაშები. დაკუნტრუშებს მისი პატარა ჩოკინა აბრეშუმივით რბილსა და სასიამოვნო ბალახებში და კუნტრუშით დასდევს შიო პაპაც უკან. შეხტება პატარა ჩოკინა, გადატრიალდება ჰაერში და ჰოპ! — ისევ კოხტად დგას თოხივე ფეხზე მწვანე ბალახებში. შეხტება შიო პაპაც, დაპატარავებული შიო პაპა, გადატრიალდება ჰაერში და ჰოპ! — ისიც ისევ კოხტად დგას ორივე ფეხზე მწვანე ბალახებში. გადაკოტრიალდება ჩოკინა, გადაკოტრიალდება შიო პაპაც. იცინის ჩოკინა და იცინის დაპატარავებული შიო პაპაც.

თავებს აქნევენ, იცინიან ბალახებიც.

სწორედ ამ დროს კი შავი დღე ედგა შიო პაპას თეთრ სახედარს. მგლებს უკვე წაექციათ, ჩასჭიდებოდნენ აქეთ-იქიდან და ეწეოდნენ. ზოგი ფეხებიდან ეწეოდა, ზოგი ყანყრატოდან და ზოგიც ჩიჩვირიდან. იქნევდა საცოდავი სახედარი ფეხებს, მაგრამ რაღას გახდებოდა! ბუჩქნარი ახლოს იყო, ხელდახელ შეთარიეს იმ ბუჩქნარში და გაპკრეს და გამოჰკრეს კბილი. თვალის დახამხამებაში ჩლიქები და ორიოდე ძვალიღა დატოვეს გასისხლიანებულ თოვლზე. მერე ის გასისხლიანებული თოვლიც შეთქვლიფეს და — აბა, ახლა კი წავიდეთ, ბიჭებოო, — წასასვლელად გაემზადდნენ. გაემზადნენ წასასვლელად და ერთმანეთს გადახედეს — აბა, ვინ უფრო გამოძღაო. გადახედეს და გაკვირვებისაგან თვალები დაუდიდდათ. ყველანი იქ იყვნენ, დიდი მურა მგელი კი არა ჩანდა.

— მურა რა გვექნა. ხალხო! მურა დაგვეკარგა!

სად, როგორ? განა იმან არ გამოაგდო სახედარი ვომფორის დერეფნიდან? განა ის არ გვივლიდა ირგვლივ და გვამხნევებდა ძახილით — მიდით, ბიჭებო, მიდით თქვენ გენაცვალეთო! მაშ რაღა იქნა? მიწამ ხომ არ უყო პირი. მოვძებნოთ, აქვე იქნება სადმე!

გაცვივდნენ, გამოცვივდნენ, მიტრიალდ-მოტრიალდნენ და მალე ჩუმი ძახილი შემოესმათ:

— აქეთ, აქეთო.

გაიქცნენ იქით, ტრიალებენ, ტრიალებენ — არავინ არ არის.

— მანდ რას მეძებთ, დაბლა, დაბლა ჩამოიხედეთო.

ნახეს — რაღაც ფიჩხ-ფუჩხი ეყარა, ის ფიჩხ-ფუჩხი გადაყარეს და თქვენს მტერს, რაც იმათ დაინახეს! ერთი ღრმა, ღრმა ხარო იყო და მათი თავკაცი მურა მგელი იმ ხარაში ხტოდა და აწყდებოდა აქეთ-იქით.

— მიშველეთ, ბიჭებო, მიშველეთ, თორემ მარტო ვერას ვხდებიო. ამოსძახა მურა მგელმა. მაგრამ რით უნდა ეშველათ! თვითონაც შეეშინდათ—ჩვენც ხრა ავიტეხოთრაო. ერთი კი ჰკითხეს — როგორ ჩავარდიო. — როგორ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანდაბურად და დოზანურად. მიშველეთ, თუ მშველითო! მაგრამ თქვენც იცით, რანაირებიც არიან მგლები. თანაც თენდებოდა. — შენს თავს შენ უშველეო, და ერთმანეთისთვის აღარც კი შეუხედავთ, გაცვივდნენ სერისაკენ. ეხლა აღარა ფრთხილობდნენ, ბღლარძა-ბღლერიით გადაიოდნენ ღობეებზე, ღობეებს ლაწალუწი გაჰქონდა და ეხლა კი გაიგეს გულძილში წასულმა მსუქანმა ძაღლებმა.

— ჰარიქა, მგლებიო! ჰარიქა, მგლებიო! — და მთელი სოფლის ძაღლები უკან დაედევნენ, მაგრამ სოფლის ძაღლები მსუქნები იყვნენ, ქონი ამძიმებდათ, აბა გამხდარ მგლებს ისინი როგორ დაეწეოდნენ. გამობრუნდნენ და ხაროში ჩავარდნილ დიდ მურა მგელს წაადგნენ. წაადგნენ თავს და დაგიყდნენ სიხარულით, თითქოს იმათ დაიჭიროთ:

— ჰავ-ჰავ-ჰავ! ეე-უუ! — ყურთასმენა აღარ იყო. ხტოდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ, გარბოდნენ, ისევ ბრუნდებოდნენ, პატრონებს ეძახდნენ — გამოგვხედეთ, ნახეთ რა ვქენით, ნახეთ ერთი რა ვქენით, რა ყოჩაღები ვართ, მგელი დავიჭირეთო...

პატრონები კი უფრო მსუქნები იყვნენ, ვიდრე მათი ძაღლები. უფრო მსუქნებმა კი უფრო ღრმა ძილი იციან და როდის-როდის ძლივს გაიღვიძეს. პირველად, რა თქმა უნდა, ბიჭებმა გაიღვიძეს. ბიჭების ხასიათი ხომ იცით! ფეხსაცმელებში კი წაყვეს ფეხი, არც პალტოები ჩაუცვიათ, არც ქუდები დაუსურავთ და ჰაიდა პირდაპირ თოვლში თავთავიანთ ძაღლებისაკენ! გაუძღვნენ ძაღლები, მიიყვანეს ხაროსთან და... რა ამბავს ასტეხდნენ მგლის დანახვაზე ბიჭები, ამაზე ჩემი თქმა აღარ დაგჭირდებათ, თვითონვე მიხვდებით... მიხვდებით იმითაც, რომ ცოტა ხანში არამარტო ბებრები მორბოდნენ ფრიალით, მასწავლებლის გაქცევა ხომ არ შეიძლება საერთოდ, აქ თვით მასწავლებლებიც კი მორბოდნენ.

— მგელი ჩავარდნილა გეოლოგების ამოთხრილ ხაროში, მგელი! ხალხო, მგელი! დიდი მურა მგელი!

ერთი ზარების რეკვაღა აკლდა თორემ, ისე ნამდვილი ომი გეგონებოდათ.

სოფელში დიდსა თუ პატარას თოფი ჰქონდა. თითო თოფის პატრონს ასი ტყვია მაინც ჰქონდა. თითო თოფის პატრონი ათ ტყვიას მაინც მორბენინებდა იმ ერთი მგლისათვის. იმ ერთ ხაროში ჩავარდნილ მგელს კი, იცით, ერთი ტყვიაც მოერეოდა. და მოერია კიდეც. დაეჯახა ერთი ცხელი ტყვია და მაშინვე წაქცია. მაგრამ ის ერთი ტყვია არ აკმარეს, ვაი თუ ცოცხალიაო, კიდევ ცხრა დაახალეს. ამოათრიეს, დაიმკლავეს ყასბობის მცოდნეებმა, დაჰკიდეს ხის ტოტზე, ჩამოატყავეს, ხორცი ძაღლებს მიუყარეს და ტყავი... ტყავი ვისაო.

და აი, სწორედ ამ დროს გამოჩნდა შიო პაპა. ხელში ჯოხი ეჭირა, თავი ჩაეღუნა, მოვიდა სულ ახლოს და მაშინ მიმოავლო თვალი ხალხს. ხალხი გახარებული იყო.

— ტყავი ვისაო! — ყვიროდა ყასბობის მცოდნე ვასილა.

— ტყავი მეო, — ძლივს ამოთქვა შიო პაპამ. — ვინი მე შემიჭამესო.

— მართლა, კაცო?

— მართლა, მაშა!

წავიდნენ და თავისი თვალით ნახეს თეთრი სახედრის თავ-ფეხი. ნახეს და კიდევ უფრო გიიხარეს. ხომ გახსოვთ, როგორ უნდოდათ ამ სახედრის თავიდან მოშორება — *სოფელს გვიშშნოვებსო. ატყდა ერთი სიცილ-ხარხარი*, თანაც ვითომც და სანუგეშებლად უტყაპუნებდნენ შიო პაპას მხარზე ხელს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა უშავს, შიო პაპა, მაგაზე გადაიაროს შენმა დარდმა და სატკივარმაკაბიზიოსეს აი, მგლის ტყავი, წაიღე რაიონში, ფულს მოგცემენ, იმ ფულს კიდევ სხვა ფული დაუმატე და ერთი პატარა, საშენო მანქანა იყიდეო.

სინამდვილეში კი, ხომ გითხარით, ფეხზე ძლივს იდგნენ სიხარულით. ამის შემდეგ მართლა ლამაზი იქნება ჩვენი სოფელი, სახედარი აღარ დაიშენოვებსო.

და მართლაც, ცოტათი გამოიდარა თუ არა, შიო პაპამ ახალი ტანისამოსი ჩაიცვა, ახალი თუშური ქუდი დაიხურა, მგლის ტყავი ლამაზად დაკეცა, მერე ლამაზად გაახვია, იღლიაში ამოიდო და რაიონში წავიდა. რა თქმა უნდა, ავტობუსით წავიდა.

რაიონში მონადირეთა კავშირის მაღაზია იყო. ამ მაღაზიაში ერთი სქელი სახენათელი კაცი მუშაობდა. აღრე ისიც მონადირე იყო. მერე გასქელდა, ვეღარ დარბოდა. თუ ვეღარ დარბინარ, რაღა მონადირე ხარ! იმანაც გაყიდა თოფი და მონადირეთა კავშირის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა. მიუტანდნენ მელიის ტყავს — ათ მანეთს აძლევდა, მიუტანდნენ ტურის ტყავს — იმაზეც ათ მანეთს აძლევდა. ხოლო თუ ვინმე მგლის ტყავს მიუტანდა, ისიც დიდი მგლის ტყავს, იმას მთელ ორმოცდაათ მანეთს გადაუთვლიდა, თანაც მხარზე ხელს დაკრავდა და ყოჩაღო — შეაქებდა.

შიო პაპამაც სწორედ იმ სქელ კაცს მიუტანა თავისი დიდი მურა მგლის ტყავი. სქელმა კაცმა ხელებიც კი გაშალა სიხარულით — რა მშვენიერ მგლის ტყავსა ეხედავო. იმ წუთშივე გადაუთვალა ორმოცდაათი მანეთი. თანაც, რა თქმა უნდა, მხარზეც დაარტყა ხელი — ყოჩაღ პაპაო, და კიდევ ესაც დაუმატა — შიო პაპავ, თუ კიდევ იშოვნო ასეთი ტყავი, სხვაგან არ წაიღო, ისევ მე მომიტანე, ორმოცდაათ მანეთს ხომ მოგცემ, შეგაქებ კიდეც, განა მარტო მე შეგაქებ, შეიძლება გაზეთშიც შეგაქონო.

შიო პაპა დაპპირდა, კეთილი და პატიოსანი, თუ ვიშოვე, კიდევ მოგიტანო. მაგრამ მაღაზიიდან რომ გამოვიდა, სხვა მგლის ტყავის საშოვნელად აღარ წასულა. მაღაზიიდან პირდაპირ ბაზარში წავიდა. ბაზარში მასავით თეთრწვერა პაპები ისხდნენ და ზოგი ღვინოს ყიდდა და ზოგიც სხვადასხვა რაღაცეებსა.

— გამარჯობათ, ბიჭებო! — დაუძახა შიო პაპამ.

— გაგიმარჯოსო. — უპასუხეს მასავით თეთრწვერა „ბიჭებმა“.

— სახედარს ხომ ვერას მაშოვნინებთ, ბიჭებო.

თეთრწვერა „ბიჭებმა“ თეთრი წვერები მოისრისეს, თუშური ქუდები შეისწორეს და მერე ხელი დაუქნიეს.

— მოდი დაჯექი, ბიჭო, ეგრე დგომელა, როდის იყო რომ საქმე გაკეთებულაო.

შიო პაპაც მივიდა და დაჯდა. დაჯდა და ეხლა ყველა თეთრწვერა „ბიჭმა“ ერთად დაიწყეს ლაპარაკი და ხელების აქეთ-იქით გაშვერა.

— რამდენსო?! — უცებ ხმას აიწია შიო პაპამ.

— ოცდახუთ მანეთსო.

— ი, ბედაური ცხენი ხო არა ჰგონია იმას თავისი სახედარი და ისიც ცალუურა! ოცდახუთი მანეთი ბედაური ცხენი არა ღირსო.

— მა რამდენს მისცემო.

— რამდენსა და ოც მანეთსა.

მაშინ ერთი წვერიანი „ბიჭი“ წამოდგა და წინ გაუძღვა.

წავიდნენ, წავიდნენ და მესერს მოეფარნენ. იმას იქით, სად იყვნენ, არ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთი საათის შემდეგ შიო პაპა უკვე ნაცარა სახედარზე იჯდა, რომლისთვისაც ცალი ყური ვიდაც მაიმუნ ბიჭებს მოეჭრათ; კოხტად, თავისებურად წელში გამართული იჯდა, და პაკ-პუკ, პაკ-პუკ! — მოდიოდა მოასფალტებულ გზაზე ის ცალყურა სახედარი და თანაც გვერდზე პატარა ჩოკინაც მოსდევდა.

გზაზე მანქანები ირეოდნენ. შოფრები სიგნალს აძლევდნენ — ჩამოგვეცალეო. შიო პაპა კი დინჯად მიუბრუნდებოდა შოფერს და ძველებურად ეუბნებოდა ღიმილით:

— რაო, ძმისწულო, არ მოგწონვართ განა! მოძრაობის წესებს ხომ არ ვარღვევთ მე და ეს ჩემი პატიოსანი სახედარი! არა, არა? აბა მაშ მე საჩქარო არა მაქვს რა. მე რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვუყურო ამ ლამაზ ქვეყანასა!— და მხოლოდ ორიოდე სიტყვას უმატებდა ახალს: — თუ ჩოკინაზე იტყვი რამეს, ძმისწულო, და... ჩოკინა პატარაა. პატარას კი არც შენ გექნებოდა დიდი ჭკუა და არც მე, პატარას ყველას პატარა ჭკუა აქვს — სახედარსაც და კაცსაც. გაუშვით ირბინოს თავისუფლად!..

წინ კი — ცოტაც და თავისი სოფელიც გამოჩნდებოდა. როგორ შეხვდებოდა სოფელი შიო პაპას ცალყურა სახედარს და მის პატარა ჩოკინას — უკვე თქვენ თვითონვე მიხვდებით. ამის მოყოლა აღარ გინდათ, ამას თქვენ თვითონვე მიხვდებით.

რას ვიზამთ, არიან ასეთი ჯიუტი პაპებიც ქვეყანაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

8991

მიხეილ ევღივიძე

დაკარგული საფლავი

შენი დაღუპვის ადგილი მიხმობს —
მიწის ბორცვი თუ ქვის ობელისკი.
რაღაც ახალი მომელის თითქო,
მაგრამ არ ვიცი, რა მომელის კი...

იქნებ
ვარსკვლავი ძმათა საფლავზე,
ან იქნებ არც ის... მხოლოდ ტრამალი...
და მაიც მინდა ადგილს გადავცე
ჩემი ოხვრა და მამის სალამი.

შენი დაღუპვის ადგილი მიხმობს —
ჩვიდმეტმა წელმა გადაუარა.
მინდა მოვიდე და მინდა გკითხო:
გათავდა ომი, იცი თუ არა?

იცი თუ არა, რომ დედა არ გვყავს,
რომ ბევრს ეწვალა და ძლივს ედირსა
სიკვდილი,
და რომ საფლავში ჩაჰყვა
იმედი შენი დაბრუნებისა...

შენი დაღუპვის ადგილი მიხმობს...
(ო, ისიც თითქო ჩემი ღვიძლია!)
რადგან კაცნი ვართ, რაც უნდა იყოს,
და დავიწყება არ შეგვიძლია!

. . . . . .

შუადღის სიცხე.
ჭილყვავის ზარი.
გადამწვარ ველზე — ბუღი მტვრიანი...
ბილიკზე მიდის დაღლილი მგზავრი,
წერტილი — არა ადამიანი.

17

ჩაფიქრებული მიდის კაცი და
თითქო ვერაფერს ხედავს,
ირგვლივ კი
თვალუწვდენელი ველი გაშლილა
და იკლაკნება ველზე ბილიკი.

აღარ დაადგა საშველი ამ გზას!
აღარ ეცვლება ველსაც იერი:
აქ მიწას — ზეცის კედელი საზღვრავს
და ზეცას — მიწის დასალიერი.

არსად —
არც ბორცვი,
არც ხე,
არც ჩირგვი, —
მხოლოდ ველი და გზა დამღალავი...
და მხოლოდ რუხი ბელტები ირგვლივ...
ეს არი, ძმაო, შენი საფლავი!

*

მოგონებები დაცურავენ წყალში თევზივით...
ოჰ, ღმერთო, ნეტავ, ერთი მაინც დამაჭერინე!
დილადან აქ ვარ.
ანკესით ხელში
ქვაზე ვზივარ და ტალღებს დავცქერი.
ჩამავალი მზე, ვით მეომარი
ბრძოლის ველიდან გამოქცეული,
მთის ფართო ბეჭებს ამოეფარა;
უკანასკნელი სხივი ხმალივით
შემოიქნია, დაჭკრა მდინარეს
და დააჩნია ჭრილობის კვალი.

მერე ეს კვალიც ტალღამ მორეცხა...
ჭალების ჩრდილი დაეცა იორს
და შაბიამნის ფერით შეღება
ჭალა და რიყე...
შესაღამოვდა.
სოფლისკენ ზანტად მიდის ნახარი.
ხის კენწეროებს არხევს ნიავი
და შეუმჩნევლად მკრთალდება ზეცა...

სდუმს არემარე... მხოლოდ იორი,
შეფარებული ფენებს და მურყნებს,
გააფთრებული ვენახებს უყეფს
და კისრისტეხით გარბის თავდაღმა
თბილისის ზღვისკენ.
იქ, სადაც ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგონებების სამოსახლოა
მარადიული...

*

მას ქერა თმები, როგორც ჩაფხუტი,
წარბებზე ჰქონდა ჩამოფხატული...

მას ღია ლურჯი თვალები ჰქონდა,
ისეთი სველი და გამქვირვალე,
როგორც კენჭები მდინარის ფსკერზე...

და როგორც მწყურვალს, უდაბნო ველზე
მოხეტიალეს და ჩრდილის მძებნელს,
მზისგან დამსკდარი ჰქონდა ტუჩები...

და იგი უცებ ქუჩაში შემხვდა...

— ო, ჩქარა, ნაცნობს დაუძახეთ! გამაცნოს ვინმემ! —
აღმომხდა უცებ. მიმოვიხედე,
მაგრამ არავინ იყო მახლობლად,
რომ ეს მშვენება გაეცნო ჩემთვის...

და მე განვაგრძე გზა
და ვფიქრობდი,
რომ ამ პატარა ღუდანიწაზე
ჩვენ, მისი მკვიდრნი და მოსახლენი,
დასაბამიდან ვიცნობთ ერთმანეთს,
მაგრამ, რატომღაც, ამის შესახებ
ჩემს გარდა
ქვეყნად არავინ იცის.

სურათი

გადიღო წვიმამ.
ორთქლავდა ოდნავ.
მთის გაღმა შეწყდა ღრუბლის ხველება...
მზე გამობრწყინდა
და ბალახს ჰქონდა
ახლადდაბანილ თმის სურნელება.

თვალს ახარებდა ცის სიხალასე,
ბაღებში ლაღად სტვენდნენ ჩიტები
და ციმციმებდნენ ლორთქო ბალახზე
აურაცხელი მარგალიტები.

ანჩიდ სულიკაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ამბავი

ნახატი დ. ერისთავისა

გამარჯობა, ბეჟან!

დიდი ხნის შემდეგ გიგონებ, ბეჟან... ბევრჯერ გამხსენებიხარ, სულ მინდოდა შენზე რაღაც დამეწერა, მაგრამ დროს ვერ ვპოულობდი. შენგამო ხშირად ვწუხდი, დროს კი მაინც ვერ ვპოულობდი. ორიოდე სტრიქონი რომ დამეწერა შენზე. არასოდეს შეგპირებივარ, ოდესმე დავწერ-მეთქი. მაშინ ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი. მერმე მიკარგავდა დროდადრო მოსვენებას შენი დუმილი, შენი უთქმელი სიტყვა და ამიტომ მინდოდა სხვებისთვისაც მომეთხრო შენი ამბავი.

ასე გავიდა დიდი დრო...

აბა, სად გვეცალა შენთვის, იმ კაცისათვის, რომელიც ჩვენს შორის აღარ იყო, რომელიც დიდი ხანია ჩვენგან წავიდა...

ახლა გაზაფხულის საღამო მაგონდება.

ბიუები ბეჟანთან უნდა მივსულიყავით „გობსეკის“ მოსასმენად. სულ მიკვირდა, რატომ მაინცდამაინც „გობსეკი“ ამოირჩია-მეთქი წასაკითხად. შესაძლოა, ამ მოთხრობაში მართლაც არის ისეთი რამ, რითაც კაცი მხატვრული კითხვის ნიშსა თუ ოსტატობას გამოამჟღავნებს.

ასე იყო თუ ისე, ბიუები „გობსეკის“ მოსასმენად მივდიოდით. მე უნდოლად მივაბიჯებდი, არ მინდოდა არაფრის მოსმენა, რადგან მოწამე ვიყავი იმისა, თუ რამდენი ძალა შეალია ბეჟანმა ამ მოთხრობის დასწავლას.

მანამდე პატარ-პატარა მოთხრობებს გვიკითხავდა ხოლმე. მე მომწონდა ბეჟანის ხმა — ოდნავ დაგუბული, რბილი, ხავერდოვანი. ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს ძვირფასი რაღაც დაჰკარგა და სინანულმა დაუგუბა და დაუნაღვლიანა ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნებული ვიყავი, სუნთქვა არ ეყოფოდა „ვობსეკის“ წასაკითხად, ესეც არ იყოს, ბეჟანი კითხვის დროს ძალიან ღელავდა და მისი სუსტი, ავადმყოფი სხეული ვერ გაუძლებდა ამდენ ღელვასა და თრთოლვას.

წინასწარი შიში გამიმართლდა, უფრო მეტიც: ბეჟანმა წაკითხვის დღემდეც ვერ გაუძლო ამ დიდ მოთხრობას. მწოლიარე დაგვიხედა და არავითარი დეკლამაცია აღარ შეეძლო. გაცრეცილი, გაფითრებული იწვა. სახე დაპატარავებოდა და ისედაც გადმოკარკლული ყოალი თვალები გადმოცვენაზე ჰქოხდა. დრო და დრო ახველებდა კიდეც.

ასე მწოლიარეს პირველად არ ვხედავდი, მაგრამ მისი დაფეთებული გამოხედვა და დუმილი, ცოტა არ იყოს, შეუცნაური. ბეჟანი დაუდგრომელი იყო, შემტევი. საწოლიდანაც კი გებრძოდა და გიტევდა, მოსვენებას არ გაძლევდა. ახლა კი ფერდაკარგული მდუმარედ იწვა და შიშნასვამ თვალებს საბრალისად აცეცებდა.

ბეჟანის სასთუმალთან ჩემთვის უცნობ ქალიშვილს მიედგა სკამი. მოკრძალებული იჯდა. პატარა, თეთრი ხელები მუხლებზე უძრავად ეწყო და შეწუხებული დასცქეროდა საკუთარ ხელებს. ჩვენ რომ დაგვინახა, რატომღაც წამოდგა და ბოდიშით გაგვიღიმა. ახლა უკვე ყველანი ფეხზე ვიდექით უხერხულად და არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით.

ეს უხერხულობა მე დავარღვევ.

— დაესხდეთ... რატომ ვდგავართ ფეხზე? — ვიკითხე და სკამებისაკენ წავიწიე.

— შვილებო, — გავიგონე დედაბრის ხმა, — ბეჟანი შეუძლოდ არის.

აქ შემოსვლისას დედაბერი არ შემიმჩნევია და გამიკვირდა, მისი ხმა რომ მომესმა. რა თქმა უნდა, მიეხვდით, რასაც ნიშნავდა დედაბრის ნათქვამი და მაშინვე წასასვლელად ავწრიალდით. ბეჟანს წინააღმდეგობა არ გაუწევია, როგორც ჩანდა, აღარც მას უნდოდა ჩვენი აქ დარჩენა და ნელ-ნელა გავლაგდით აივანზე. კართან ბეჟანმა დამაწია ხმა:

— შენ ცოტა ხანს დარჩი, ნუგზარ.

— დაგიცადოთ? — დერეფანში ჩურჩულით მკითხეს მეგობრებმა.

— როგორც გინდათ... თუმცა წადით, ხვალ მაინც შეეხვდებით უნივერსიტეტში.

მე ისევ ოთახში შემოვბრუნდი და კარი ფრთხილად მივხურე.

— თუ ძმა ხარ, გაალე! ცხელა, დავიხუთე.

კარი ისევ გავაღე. მერმე ბეჟანს მივუჯექი სასთუმალთან.

— რა მოგვიდა, ბიჭო?

— რა ვიცი... ჯანდაბას ჩემი თავი.

— სიცხე გაქვს?

— კი.

— რამდენი?

— ცოტა ხანს დაგტოვე რა მე და ნუგზარი მარტო... შენი ჭირიმე. — მუდარით მიმართა ბეჟანმა დედაბერს.

უკვე დავიწყებული მქონდა დედაბრის არსებობა და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ოთახში მარტო მე და ბეჟანი ვიყავით. დედაბერი მორჩილად და უხმაუროდ გავიდა გარეთ, თითქოს წინდაწინვე იცოდა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო.

დღემდე არ ვიცი, რა ნათესაური ძაფები აკავშირებდა ბეჟანს იმ დედაბერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან. მაშინ არ მაინტერესებდა და არც მიკითხავს. ვერც მერმე გავიგე. ეიცოდა კარგად უგლიდა. ოთახს ულაგებდა, საუმეულს უმზადებდა და საცვლებსაც ურეცხავდა. ბიჭები რომ მოვიდოდით, ან გარეთ გაფაჩუნდებოდა, ანდა ოთახის კუთხეში მიიყუჟებოდა და თავისთვის ოჯახი ასე გაყუჩებული. ყურადღებას არ ვაქცევდით და დამშვიდობებამდე აღარც კი გვახსოვდა, იყო თუ არა ჩვენს გარდა სხვა ვინმე ამ ოთახში. ბეჟანს ჩვენი იქ ყოფნისას არასოდეს გაუსტუმრებია გარეთ და ახლა მეჩოთირა, ასე რომ მოექცა დედაბერს..

— ცუდად არი სამე. — დედაბრის გასვლისთანავე მითხრა ბეჟანმა.

— რა სამე?

— ავადა ვარ.

გაცნობის დღიდანვე ვიცოდი, რომ ბეჟანი ავადმყოფი იყო, მაგრამ მისმა ნათქვამმა მაინც დამაფიქრა. ბეჟანს არ უყვარდა თავის ავადმყოფობაზე ლაპარაკი და წუწუნი.

ღია კარიდან მეორე სართულის გაჩახჩახებული აივანი მოჩანდა. კბილებჩაცვენილ, რიკულებიან აივანს მეზობლის მსუქანი დედაკაცი გადმოპყუდებოდა და, გამწარებული, სასაცილოდ იქნევდა მსხვილსა და მოკლე ხელებს, თან გაუთავებლად ღარღალებდა. დაბლა იხედებოდა და რატომღაც გავიფიქრე. ჩვენს დედაბერს ელაპარაკება-მეთქი. ჩემთვის სულერთი იყო, იქნევდა თუ არა დედაკაცი მსხვილსა და მოკლე ხელებს, მაგრამ ისე მომესმა, თითქოს ბეჟანზე ლაპარაკობდა. ბეჟანზე და ჩვენზე — ბეჟანის მეგობრებზე, რომლებიც კვირაში ორჯერ ან სამჯერ ამ ოთახში ვიყრიდით თავს.

— იცი, რატომ დაგტოვე... ჯერ ერთი, იმ დედაბერს უნდა უთხრა, თავი დამანებოს...

— მე როგორ ვუთხრა?!

— როგორღაც უნდა უთხრა, ნუგზარ... მაგას სიკეთით და კულჩვილობით მოსდის, მე კი ჩემი მემართება.

— ჯერ გამაგებინე, რა მოხდა?

— არაფერი. ძალიან წუხს, საღამოობით სიცხეებს რომ მაძლევს. მე ასე არ შემიძლია. მე ვივიწყებ ხოლმე ჩემს ავადმყოფობას, თითქოს არცა მჭირს... ეგ კი თავისი ცრემლებით და ვიშვიშით ყოველ წუთს მახსენებს, რომ ცუდად ვარ.

— მაგის თქმა, ალბათ, არ გამიჭირდება.

— ოღონდ ისე უთხარი, თითქოს მე არაფერი ვიცი... სხვათაშორის ჩამოუგდე ლაპარაკი. თქვი, ბეჟანს თავის ავადმყოფობაზე წუწუნი არ უყვარს-თქო. ანდა, როგორც მოახერხებ...

— შენ რატომ არ ეუბნები?

— ვერ ვუბედავ... მერიდება...

— თუ გინდა, დღესვე ვეტყვი.

— დღეს არა... თუმცა, შეიძლება, არც იყოს საჭირო მაგის თქმა... ჩემისთანა კაცმა, ალბათ, არც უნდა იცოცხლოს... რისი მაქნისი ვარ? არაფრის.

— ნუ სულელობ.

— კიდევ, აი, რა, ჩემთან ასე ჯგუფ-ჯგუფად ნუღარ მოდიხართ. დღეს ყველანი ერთად რომ დაგინახეთ, კინღამ გული გამისკდა. — ბეჟანს ხველა აუტყდა, დიდხანს ახველებდა ყრუდ. უცებ თვალები ჩაულურჯდა, სახეზე სანთლის ფერი დაედო. ხველებისაგან დაღლილმა ძლივძლივობით წამოწია და უღონოდ მიესვენა ბალიშზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა არ ამომიღია, მეგობრის ღრმა სუნთქვა მესმოდა, თან იმაზე ვფიქრობდი, ჩვენმა დანახვამ რატომ გაუხეთქა გული ბეჟანს. განა არ იცოდა, ერთად რომ მოვიღოდით? განა ამ საღამოსთვის თვითონ არ ემზადებოდა თვენახვევრი?

ბეჟანმა სული მოიბრუნა და ხმადაბლა განაგრძო:

— წუხელ გამაფრთხილეს... მოვიდნენ და გამაფრთხილეს...

— ვინ იყვნენ?

— რა ვიცი, იყვნენ...

— რა გვინდაო?

— რახან ასე უნდათ, ნუღარ მოხვალთ.

— ჩვენ ხომ არაფერს ვაშავებთ?.. ვიკრიბებით, ვსაუბრობთ, ვმეცადინეობთ. ხანდახან შენ კითხულობ ლექსებს, ან მოთხრობებს და გისმენთ.

— ნუგზარ, შენ ჯერ კიდევ... ერთი სიტყვით, ასეა საქმე... წუხელ მთელი ღამე თეთრად გავათენეს... დღეს კი სიცხემ ამიწია...

— ჩვენ ხომ არაფერს ვაშავებთ? — ისევ ვიკითხე გულუბრყვილოდ. მერმე უცებ მომეჩვენა, თითქოს ჩვენი თავშეყრით მართლაც რაღაცას ვაშავებდით, რომ ეს იყო რაღაც საიდუმლო სერობის მსგავსი... ეს მხოლოდ წუთით მომეჩვენა. როცა კარგად დავფიქრდი, ცუდი ვერაფერი აღმოვაჩინე იმ მხიარულად და ბედნიერად გატარებულ საღამოებში.

— ამის შესახებ არაფერი თქვა... ჩვენ შორის დარჩეს...

მე წამოვდექი და ოთახში უაზროდ დავიწყე სიარული. საშინლად მომინდა პაპიროსის მოწევა, თავს ძლივს ვიკავებდი. გულ-გამალებით მიცემდა, ვერც კი ვიგრძენი, როდის დამეუფლა მღელვარება, ბეჟანი კი გაუნძრევლად იწვა, თვალები დაეხუჭა, მოკაუჭებული ცხვირი გათხელებოდა და უფრო გაზრდილი მოუჩანდა.

მიცვალებულს ჰგავდა. ფრთხილად მივუახლოვდი და თავზე დავადექი. მივაყურე... ფრთხილი, მსუბუქი სუნთქვა გავიგონე.

მერმე ნელა გაახილა ბეჟანმა თვალები და შემომხედა.

— მაგიდაზე გუიას მისამართია. — მითხრა ჩურჩულით.

მაგიდას გავხედე. მაგიდაზე მართლაც იდო რვეულის ფურცლის ნახევი.

— თუ ძმა ხარ, ხვალ გაიარე და წიგნები წამომიღე. ჩემი წიგნებია... ჩემი წიგნები ჩემთან უნდა იყოს.

— ვისი მისამართია?

— გუიასი. აქ რომ გოგონა იჯდა... ერთი წელია წაიღო და ძლივს დამიბრუნა. დიდი მეტიჩარა ვინმეა.

— ხვალვე მოგიტან წიგნებს.

მე აღარ შემეძლო იქ გაჩერება, ამიტომ დავეთანხმე ასე სასწრაფოდ. ქაღალდის ნაგლეჯი ჯიბეში ჩავუჭმუჭე და თავზარდაცემული გამოვედი ოთახიდან. თავზარდაცემული იმის გამო, რომ ვიღაცას ეჭვი შეეპარა ჩვენს სიწმინდეში, პატიოსნებაში. ჩემს სულში უჩვეულო შეშფოთება ზარივით რეკდა.

აივანზე ბნელოდა. მეორე სართულზე ჩახჩახა ნაფურა უკვე ჩაქქროთ. კიბეზე ბეჟანის ხველება გავიგონე. ახველებდა ყრუდ და გაბმულად. აღარ შეგჩერებულვარ თავქუდმოგლეჯილი დავქანცი კიბეზე.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით... — ქუჩაში გასვლისთანავე მომესმა ქალის მოკრძალებული, შშვიდი ხმა...

ხმა შშვიდი და წყნარი იყო, მაგრამ რატომღაც შემეშინდა — დაფეთებულმა მოვაბრუნე თავი: ჩემ წინ ის გოგონა იდგა, ბეჟანთან რომ ვნახე. ქუჩის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბნელეში სახე ვერ გავარჩიე, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ის გოგონა იყო, რომელიც ბეჟანთან დამხვდა — გუია.

— რამდენი ხანია გელოდებით. არ მეგონა, თუ ასე დაიგვიანებდით.

— ბიჭები წავიდნენ? — მეტი რომ ვერაფერი მოვახერხე, ეს ვკითხე.

— დიახ... ისე დავემშვიდობეთ, არც კი გაგვიცინა. მე არ მითქვამს, თუ თქვენ გელოდებოდით... ვუთხარი, აქვე ვცხოვრობ-მეთქი და დავშორდით.

გუია მშვიდად ლაპარაკობდა, დაჯერებით. წელან რომ არ მეხახა, ლაპარაკის კილოთი დარბაისელი, ჭკუადამჯდარი ქალი მეგონებოდა...

ჩვენ უხმოდ გავყევით ბნელ ქუჩას. ერთხანს ასე ვიარეთ, მე ახლა ყველაფერი მაღიზიანებდა და მაწუხებდა. მაწუხებდა ისიც, ქუჩა რომ ჩაბნელებული იყო; ისიც, რომ ეს გოგონა გვერდით მომყვებოდა.

— მე ვიცი, რატომაც დაგტოვათ ბეჟანმა.

— შესაძლოა, არ გედავებით, — ვუპასუხე და გამახსენდა ბეჟანის ნათქვამი: „დიდი მეტჩარა ვინმეაო“, რომ მითხრა, ახლა მაგის მეტჩრობის თავი აღარ მქონდა და მინდოდა როგორმე მომეცილებინა თავიდან ეს ტიკტიკა გოგო.

— ხვალ, ალბათ, წიგნების წასაღებად შემოივლით ჩემთან?

— კი, მოსვლას ვაპირებდი. — დავთანხმე. თან ბეჟანზე ვფიქრობდი. საკვირველია, ვინ მივიდა ბეჟანთან? ანდა საიდან გაიგეს, რომ მასთან ვიკრიბებოდით? ვის შეეპარა ეჭვი? ვაითუ მართლა ვაშავებდით რასმე?.. რატომღაც ტირილი მომინდა.

— ტყუილად გაირჯებით. მე სოხუმიდან არაფერი ჩამომიტანია.

— მე არ ვიცი, საიდან რა უნდა ჩამოგეტანათ. ბეჟანმა მისამართი მომცა..

„ღმერთო, ეს ვის გადავეკიდე. მაინც რამდენს ლაპარაკობს?! ბიჭი რომ იყოს. ერთს მივბერტყავდი ამ სიბნელეში. ახლა დავემშვიდობები და ვეტყვი, აქვე ვცხოვრობ-მეთქი.“

— ბეჟანს წიგნები კი არა, სიმშვიდე და მყუდროება სჭირდება.

— კი, მაგრამ...

— იმ წიგნებს არ დავუკარგავ... მისთვის უკეთესია, რაც უფრო ცოტა წიგნი ექნება.

— კი, მაგრამ ხვალ რა ვუთხრა?

— უთხარით, რომ მე არ დაგხვდით შინ.

— მოვატყუო?

— რაც გინდათ, ის დაარქვით, ოღონდ ასე უთხარით. ანდა, უკეთეს რასმე თუ მოიფიქრებთ...

— მე ვერაფერს მოვიფიქრებ.

— მაშინ უთხარით ისე, როგორც მე გეუბნებით.

გაბარაზებულმა ალმაცერად გადავხედე გუიას. გულისამრევად მეტჩრობდა. არ ვიცი, იგრძნო თუ არა ჩემი ალმაცერი მზერა, ეს კი იყო, ორმოცდაათიოდე ნაბიჯი უხმოდ გავიარეთ. ამ დუმილში გამახსენდა, რა საშინლად მინდოდა წელან პაპიროსის მოწევა. ხალათის გულის ჯიბიდან ამოვიღე სიგარეტი და ცეცხლი მოვუკიდე. სიამოვნებით ჩავისუნთქე ცხელი ბოლი.

— მე მაინც ვერ გამიგია, — ვუთხარი, — რატომ არ სჭირდება წიგნები ბეჟანს? წიგნს სწორედ სიმყუდროვე და სიმშვიდე უყვარს.

— რა თქმა უნდა, — არც კი დაფიქრებულა ისე მომიგო, — ოღონდ არა ისეთი, როგორც ბეჟანს ესაჭიროება. წიგნი მაინც ღლის ადამიანს, ბეჟანი არ უნდა დაიღალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იმ წიგნების გარდა სხვაც ბევრი აქვს... მარტო ჩემი სამი თუ ოთხი ასეული წიგნი ადგია თაროზე.

— ხვალ რომ მიხვალთ, წამოიღეთ... სხვებსაც უთხარით, ასევე მოიქცნენ.

ბეჟანმა მართალი მითხრა — ასეთ მეტიჩარა გოგოს პირველად ვხედავდი.

როგორც ჩანდა, გუიას ბეჟანის მფარველობა და მოვლა-პატრონობა გადაეწყვიტა. ალბათ, ამ მიზნითაც იყო ჩამოსული სოხუმიდან.

ბეჟანს კი სულაც არ ეპიტნავებოდა ეს გოგონა. თანაც... და ისევ ზარივით დარეკა სულში შეშფოთებამ. მთელი სხეულით ავკანკალდი. აღარ მესმოდა, რას მელაპარაკებოდა გუია. ასე უსიტყვოდ მივყვებოდი. ახლა უკვე მეშინოდა კიდეც, შუა ქუჩაში არ მივეტოვებინე. არ დამმშვიდობებოდა, ვებღაუჭებოდი როგორც ბავშვი ებღაუჭება ხოლმე დედის კალთას. მერმე ნელ-ნელა დავმშვიდდი და ვცდილობდი, მხოლოდ იმაზე მეფიქრა, რაზეც გუია მესაუბრებოდა. გუია ისევ ბეჟანის წიგნებზე მელაპარაკებოდა. მე კი ხვალ ბეჟანს წიგნები რომ არ მივუტანო, გადაირევა, ჭკუას დაკარგავს.

ბეჟანს ავადმყოფურად უყვარდა წიგნები. წიგნებით ცოცხლობდა და სულდგმულობდა, როგორც ცოცხალ არსებებს, თავს ევლებოდა. მისგან წიგნის წაღება არც ისე იოლი საქმე იყო. ყოველთვის სჭირდებოდა ის წიგნი, რომელსაც სთხოვდი. გასაოცარია, როგორ წაიღო იმ გოგონამ ბეჟანისაგან წიგნი, ისიც რამდენიმე ერთად. თუმცა ისეთი ვინმე ჩანს, რას არ მოახერხებდა.

— დიდი ხანია იცნობთ ბეჟანს? — ვკითხე. თან ვიგრძენი, უკვე დავმშვიდდი და საკუთარ თავს დავუბრუნდი, როგორც ნაბრძოლი მეომარი უბრუნდება თავის კერას.

— სამი-ოთხი წელი იქნება.

— სად გაიცანით?

— თეატრში.

— თქვენ ალბათ მსახიობი ხართ? — გადავუკარი დაცინვით.

— მაშინ მე მაყურებელი ვიყავი.

— ახლა!

— ახლა თითქმის აღარც დავდივარ თეატრში. ბეჟანმა რაც სცენა მიატოვა, აღარ ღირს იქ სიარული...

შარშან ზაფხულში გავიცანი ბეჟანი, უნივერსიტეტში, მისაღებ გამოცდებზე. თითქმის ერთი წელია, რაც ვმეგობრობთ და ერთხელაც არ დასცდენია, თუ ოდესმე მსახიობი იყო. რატომღაც მეგონა, ავადმყოფობის გამო გაუცდა წლები და ამიტომ შემოვიდა ასე გვიან უნივერსიტეტში-მეთქი. თუმრა, როგორც სოხუმელი გოგონასაგან შევიტყვე, ავადმყოფობის გამო მიუტოვებია თეატრი. სამი წელი ყოფილა სცენაზე და მერმე მიუტოვებია. ახლა ჩემთვის უკვე ნათელი გახდა ის სადამოები, როცა ბეჟანი მხატვრულად კითხულობდა მოთხრობებსა და ლექსებს. ამით იკლავდა არტისტულ ენერგიას. რა თქმა უნდა! ბეჟანს ჩასუნთქული ჰქონია რამპის ბაცილა და ამ ავადმყოფობისაგან განკურნება ისევე ძნელია, როგორც ჭლექისაგან.

— ბეჟანი სცენაზე რომ გამოჩნდებოდა, ტაშით ინგრეოდა იქაურობა.

— მართლა? — ვკითხე. მერმე ისევ დარეკა სულში ზარმა, ისევ დამიარა ერუანტელმა. „ნუთუ მართლა ვაშავებდით რასმე?..“

— რანაირი მეგობრები ხართ, ერთმანეთის არაფერი იცით? — ასეთი რაღაც მკითხა მგონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხანდახან ხდება ხოლმე, — ვუპასუხე ისე, კარგად, არც კი გამიგია, რაზე ეუბნებოდა შემეკითხა.

— არცერთ სპექტაკლს არ ვაცდენდი... მარტო მე კი არა, მთელი კლასი...

ჩვენ უკვე მკრთალად განთიბული ვიწრო ქუჩით მივდიოდით, ქუჩაში ჩვენს მეტი არავინ ჩანდა. სულ მეშინოდა, გუია საცაა მეტყვის „გმადლობთ, სახლამდე რომ მომაცილეთ...“ და დამშორდება-მეთქი, მაგრამ არ მეუბნებოდა და ჩვენ მივდიოდით ხან ბნელი, ხან ნახევრად განთიბული, ოღრო-ჩოღრო ქუჩებით. ჩემ სახლს დიდი ხანია გამოვცდი. შესაძლოა გავცდით იმ სახლსაც, სადაც გუია ცხოვრობდა. გუია გატაცებით მიყვებოდა ბეჟანის არტისტულ ცხოვრებაზე, როგორ ითამაშა „კრაზანაში“ არტური და მეცხრე კლასელმა გოგოებმა როგორ მიართვეს ყვავილების უზარმაზარი კალთა.

„ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!“ — ჩურჩულებდა ხანდახან გუია, კრაზანას სიტყვებს ბეჟანის ყრუ და დაგუბული ხმით იმეორებდა და მე ვგრძნობდი, ორიოდე წლის წინათ მეცხრეკლასელ გოგონას რა ღრმად აღბეჭდოდა მეხსიერებაში მებრძოლი, ძლიერი მამაკაცის სახე.

სიგარეტს სიგარეტზე ვაბოლებდი და უხმოდ მივყვებოდი გუიას. სულელურად ამეკვიატა და ერთავად ვიმეორებდი უაზროდ: „ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!“

— დღეს ისე გავბრაზდი, ამბობდა გუია, — როცა გავიგე, ბეჟანს „გობსეკი“ მოუმზადებია. სულ არ უფრთხილდებით, ასე არ შეიძლება.

— გუია... — მინდოდა მეთქვა, „გუია, მე ვუშლიდი-მეთქი ბეჟანს“, მაგრამ აღარ მითქვამს.

„გუია“ — პირველად მიგმართე სახელით სოხუმელ გოგონას. მას არ გაჰკვირვებია, სახელით რომ მიგმართე. მე კი რაღაც მომეწონა... შეიძლება უბრალოდ მესიამოვნა ამ სახელის წარმოთქმა, როგორღაც დამამშვიდა, დამაწყნარა, ამიტომ ვიმეორებდი ფიქრში: გუია... გუია...

— ყველა ადამიანში ზის პატარა გობსეკი, — ასე თქვა ერთხელ ბეჟანმა. მე მგონი არ არის მართალი. ყველაში არც შეიძლება იჯდეს გობსეკი, — პასუხის მოლოდინში გუიამ შემომხედა, მაგრამ მე სიტყვაც არ დამიძრავს, ისაა, სოდეს დავფიქრებულვარ იმაზე, თუ ვის სულში იყო მოკალთებული პატარა გობსეკი.

— ბეჟანი ამბობს, ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის რაღაცით ვძარცვავთ, რაღაცას ვართმევთ, შესაძლებელია ძალიან მცირეს, მაგრამ რაღაცას მაინც ვტაცებთო.

„ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!..“

— არც ეს არის მართალი, ზოგჯერ თუ ვძარცვავთ, უმეტეს შემთხვევაში, ვამდიდრებთ კიდეც ერთმანეთს... ხომ მართალია?

თრიალეთის მთიდან იჭექა. ქუხილი ზვავით წამოვიდა და თბილისის თავზე საშინელი ხმაურით დაიმსხვრა. უნებურად შეკვრთი და გული გადაშიქანდა. ცას გავხედე: დაბალ სახურავებს მიღმა დროდადრო წითლად ნათლებოდა. ზერმე ღრუბელს აქა-იქ ელვა დაეკიდებოდა, როგორც მდინარის კბოდეს ხის ფესვები.

— წელს ქუხილი პირველად გავიგონე, — თქვა გუიამ.

— მეც.

— ვიჩქაროთ, თორემ გაწვიმდება.

— შორს ცხოვრობთ?

— ვაკეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ მთელი ქალაქი გვქონდა გასავლელი. გუიამ კი თქვა, — ვიჩქაროთო, მაგრამ არ აჩქარებულა, ნელა მიდიოდა. გზადაგზა ვფიქრობდი: ვაკემდე კი გავაცილებ-მეთქი... გაცილება არაფერია, იქიდან დაბრუნება თქვი.

გუია წედანდლეგინი ალარ მაღიზიანებდა, ახლა უკვე სახეზეც მინდოდა შემეხედა. ბეჟანთან როგორღაც ვერ დავაკვირდი. ისე კი გადავხედე. წყნარად, მოკრძალებულად იჯდა ავადმყოფის სასთუმალთან და თეთრი, პატარა ხელები მუხლებზე ეწყო. რამდენადაც მახსოვს, ლამაზი სახე ჰქონდა.

წვიმის მსხვილი წვეთი დამეცა სახეზე. ალბათ, მე და გუიას ერთდროულად დაგვეცა, იმანაც ახედა ცას...

უცებ თითქოს ცა ჩამოიქცა. კოკისპირულად დაუშვა და ძლივს მოვასწარით სადარბაზო კართან მიყუჟვა. მონაცრისფრო ასფალტი სწრაფად გადაშავა წვიმამ. სადარბაზოს კარიდან ოიოდე ნაბიჯის იქით დიდი მოედანი მოჩანდა, მოედანზე ხალხი გარბოდა და ვისაც სად შეეძლო, თავს აფარებდა. მანქანები თავსხმაში ნელა მოძრაობდნენ და ფარების შუქზე ვხედავდით ჩქარსა და ირიბ წვიმას, რომელიც ნათელი, მოძრავი ხაზებით სერავდა ღამეს.

ჩვენს წინ აკაციის დიდი ხე იდგა. წვიმამ ყვავილები დააყრევინა და ხის ძირი თეთრად გადაიპენტა. ყვავილთან ერთად წვიმას აკაციის სურნელი ჩამოჰქონდა დაბლა და იქაურობას აბრუებდა.

მე და გუია ავიტუხეთ. ზურგით, რაც შეგვეძლო, კარს მივეკარით, რომ ასფალტზე დაცვმულ წვიმის ზხეფებს ფეხსაცმელები არ დაესველებინა. მოწყენილები გავცქეროდით ქუჩას, მოთმინებით ველოდით წვიმის გადაღებას.

გულმოდგინედ, ჯიუტად წვიმდა.

ალარაფერზე ალარ ვფიქრობდი. ასე დგომა და წვიმის ცქერა დილამდე შეიძლო. თანდათან სიმშვიდე მეუფლებოდა და, როცა კაცი დამშვიდებულია, ალბათ, გათენებამდეც შეუძლია უცქეროს შხაპუნას.

გუიას ლაპარაკის ხალისი დაეკარგა, ან სალაპარაკო შემოელია. რაც აწუხებდა, ალბათ, მითხრა და სათქმელი ალარ ჰქონდა. ერთი ორჯერ საუბრის წამოწყება დავაპირე, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ანც პიჯაკი მეცვა, თორემ გავიხდიდი და შევთავაზებდი — მოიხურეთ, არ გაცივდეთ-მეთქი, სხვათა შორის, მაინც ვკითხე:

— ხომ არ გცივავ, გუია?

— არა... ისე კი ცოტა აგრილდა.

— ნამდვილად აგრილდა. — დავუდასტურე მაშინვე.

ჩვენ წინ ვიღაცამ გამოსტოპა ქუჩა. თავზე პიჯაკგადაფარებულმა ჩაგვირბინა წინ და სიბნელეში გაუჩინარდა. თვალი გავაყოლეთ და მერმე რატომღაც ერთმანეთს გავუღიმეთ, თითქოს რაიმეს ნიშნავდა, რომ ვიღაცამ გაირბინა წვიმაში.

„ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!“.

მე ვცდილობდი, დამშვიდებული ვყოფილიყავი, მაინც რა მაფორიაქებდა, რა მიშფოთებდა სულს? უკვე ალარაფერზე ალარ ვფიქრობდი, თითქოს ყველაფერი დავივიწყე და ალარაფერზე ალარ ვფიქრობდი... მხოლოდ გუიას ვუმზერდი, ვიზეპირებდი მისი სახის ნაკვთებს და ვცდილობდი დამშვიდებულიყავი.

გუიას ოდნავ მოგრძო სახე ჰქონდა, დიდი, წყლიანი თვალები. პატარა სახეზე ასე დიდი თვალები, თანაც ასე წყლიანი, იშვიათად მინახავს. თმა შავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბზინავდა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, შავი თმა არ უნდა ჰქონოდა, იქ სინათლეზე. მგონი სპილენძისფერი გადაჰკრავდა.

— თქვენ გცივათ, გუია... იცით რა? ადგილები შევიცვალოთ. ეს უფრო მოფარებული ადგილია.

გუია უსიტყვოდ დამეთანხმა და ადგილები შევიცვალეთ.

— აქ მართლა თბილა... ალბათ, ეს კუთხე თქვენ გაათბეთ.

— შეიძლება.

— ღმერთო ჩემო, როდის გადაიღებს წვიმა.

მსუბუქმა მანქანამ ჩაგვიარა წინ. ალბათ, შოფერმა თვალი მოგვკრა საცოდავად ატუზულებს. მანქანა სულ ნელა გაგვიტარა ცხვირწინ. მე კაპიკი არ მომძეკოდა. გულისჯიბეში დავიწყე ხელის ფათური, უკანასკნელი სიგარეტი ამოვიღე და ნირწამხდარმა ცეცხლი მოვუკიდე. გუია გატრუნული იდგა, ხმას აღარ იღებდა. ახლაღა შევამჩნიე, დაბნეულივით აფახულებდა დიდ თვალებს, შეგატყე, სციოდა და ხელზე ხელი მოვკიდე... ზედიზედ მოვქაჩე სიგარეტი, ჯერ ნახევრამდეც არ მქონდა მოწეული, გადავაგდე. ანთებული სიგარეტი სველ ასფალტზე დაეცა და შიშინით ჩაქრა.

გუიას გრილი ხელები ჰქონდა. უფრო ახლოს მივიწიე და თვალებში ჩავხედე. შეშინებული შემომცქეროდა. უცებ მომეჩვენა, რომ უმწეო იყო, განწირული და შველას მთხოვდა. ორივე ხელი სახეზე მოვკიდე, თავი გადავუწიე, უფრო ღრმად ჩავხედე შემკრთალ თვალებში.

გუია მთელი ტანით მომეკრა. მე ხელები მოვხვიე სუსტ, ათრთოლებულ სხეულს და ჩავიხუტე. ასე გაყუჩულები დიდხანს ვიდექით ტყეში დაკარგული, შეშინებული ბავშვებივით.

— გუ-ი-ი-აა!

— გუ-ი-ი-აა!

ქუჩაში ჩვენს მეტი არავინ იყო. წვიმა ჯიუტად თქრიალებდა ფოთლებზე. გუია ჩემს მკერდში მალადა სახეს. ისევ გადავუწიე თავი და დავხედე! გუიასაც წვიმით ჰქონდა სავსე დიდი თვალები, ხოლო ჩემში ვიღაც იძახდა ხმამაღლა:

— გუ-ი-ი-აა!..

— გუ-ი-ი-აა!..

მთელი ღამე დავეხეტებოდით წვიმიანსა და უკაცრიელ ქუჩებში. ფეხსაცმელები გავიხადეთ და ფეხშიშველები მივტყაპუნობდით გუბეებში. ღამის დარაჯებს ვთხოვდი პაპიროსებს და ნეტარებით ვაბოლებდი. შუა ქუჩაზე, თავსხმაში ვუყოცნიდი სველ სახესა და ტუჩებს. თუ სადმე ნიაღვარი გადაგვიღობავდა გზას, გუიას ხელში ავიტაცებდი და ქუჩიდან ქუჩაზე გადამყავდა თავიდან ფეხამდე გაწუწული.

მერმე წვიმამ გადაიღო და განთიადი წამოგვეწია გუიას სახლთან.

— ხვალ მიხვალ ბეკანთან? — მკითხა გუიამ დამშვიდობებისას.

— რა თქმა უნდა.

— მოდი, ნუ მიხვალ.

— რატომ? — გავვოცდი.

— ასე უკეთესია.

მხრები ავიჩეჩე. გუია დაფიქრდა, მერმე ისევ მე მომიბრუნდა.

— ბეკანს არაფერი უთქვამს?

— არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რახან დაგტოვა, უსათუოდ გეტყოდა.

„ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!“..

— ნუ მიხვალ, გეხვეწები, ნუ მიხვალ... ერთ კვირას მაინც...

მე შევპირდი, რომ ერთ კვირას მოვითმენდი და ბეჟანს არ ვინახულებდი... სამაგიეროდ ამ დღეებს გუიასთან ერთად გავატარებდი. გუიასთან ერთად... ღმერთო, რა უცებ ამავსო ამ პატარა, ლამაზმა გოგონამ. ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყნად არ მეგულებოდა! მე სხეულით მომქონდა გუიას თრთოლვა და სითბო.

მეორე დღეს უნივერსიტეტში არ წავსულვარ. ღამენთევეს და დაღლილს გვიან გამეღვიძა. საღამოს გუიას უნდა შევხვედროდი და მთელი დღე მოუსვენრად ვწრიალებდი, ვერ ვისვენებდი.

შინ ვეღარ გავძელი და ქუჩაში გავედი. გადაწყვეტილი მქონდა, არ მოვსულიყავი ბეჟანთან, მაგრამ გუიასთან შეხვედრამდე დარჩენილი ორი საათი არ ვიცოდი სად გამეტარებინა და მაინც წავედი.

ბეჟანი ფეხზე დამხვდა. ოთახში რაღაცას ჩალიჩობდა. სახეზე შევხედე და გული გადამიქანდა: ბეჟანი უკვე ამ ქვეყნისა აღარ იყო.

— კიბეზე ხომ არავინ შეგხვედრია? — მკითხა საიდუმლო ჩურჩულით.

— არა.

— ახლახან წავიდნენ...

ჯერ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა, მერმე გავშრი და ენა დამება.

— რა უნდათ, ვერ გამიგია...

„ოღონდ არა ეს! უფალო, რაც გინდოდეს, ოღონდ არა ეს!“...

— სოფელში წასვლა გადაწყვიტე... მოვშორდები აქაურობას.

— გამოცდები?

— ჯანდაბას გამოცდები!

ბეჟანი ჩემოდანში წიგნებს ალაგებდა. არჩევდა, რომელიც არ სპირდებოდა, ისევ თაროზე აწყობდა. ხელში ჩემი წიგნი მოხვდა. მეგონა, გადმომაწოდებდა. მეტყოდა — „შენია, წაიღო“, მაგრამ ისე იყო აღელვებული, რომ უკვე თავისას და სხვისას ვეღარ არჩევდა.

უცნაურია, რატომღაც ვიფიქრე, რომ ბეჟანს უკანასკნელად ვხედავდი, რომ უკანასკნელად ვიყავი იმ ოთახში, სადაც ამდენი კარგი დღე მქონდა გატარებული. აქაურობას შეჩვეულს მენანებოდა, გული მწყდებოდა ყველაფერზე, რაც აქ გატარებულ დღეებთან იყო დაკავშირებული. ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა მეარსება იმ ფიქრების, იმ ოცნებების გარეშე.

— როდის მიდიხარ?

— ხვალ საღამოს. ერთ რამეზე მწყდება გული, ბასკეების თამაშს ვეღარ ვნახავ...

— გაგაცილოთ?

— არა. არცერთი არ მოხვიდეთ გასაცილებლად.

— მე და გუია მოვალთ...

— რა დროს გუიაა?

მეწყინა, ასე აგდებულად რომ ახსენა გუია. ვიგრძენი: გავწითლდი, ცეცხლი მომეკიდა სახეზე.

— რა? ცუდი გოგოა?

— კარგად არ ვიცნობ.

— გუია რომ გიცნობს?

— მართლა. რატომ არ გაიარე გუიასთან ჩემი წიგნების წამოსაღებად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბეჟან, როგორი გოგოა გუია?

— გითხარი, არ ვიცნობ-მეთქი.

— წიგნები რომ გითხოვებია?

— ხანდახან მოდიოდა ჩემთან... ვსაუბრობდით. მარტო ეგ კი არა, მთელი კლასი მომადგებოდა ხოლმე.

— როგორი გოგოა გუია?

ბეჟანი ხმას აღარ იღებდა. წიგნებში ფათურობდა. საშინლად უკანკალებდა უღონო, თხელი ხელები. მასთან ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლებოდა. მე მაინც ჩავაჯაჭნდი, მინდოდა გამეგო, რატომ მოდიოდა გუია ბეჟანთან.

— „ოღონდ არა ეს“ ...ფუ! — ჩავიქნიე ხელი. ნამდვილად იდიოტი ვარ. თუ რამე ამეკვიატა, ვერაფრით ვეღარ მოვიშორებ.

თითქოს ოთახში არ ვეგულებოდი, ჩემს დაკინებულ შეკითხვებს გვერდს უვლიდა და გაბრაზებული თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

ასეთი ზიზღი და გაბოროტება ბეჟანის სახეზე მანამდე არ შემიმჩნევია. უცებ გამიელვა ეჭვმა და მთელი სხეული შემირყია. მომეჩვენა: თითქოს ისინი, ბეჟანთან რომ მიდიოდნენ და ეკითხებოდნენ, სტუდენტები რატომ იკრიბებითო, რაღაცით გუიასთან იყვნენ დაკავშირებულნი. მომეჩვენა, თითქოს ეს იცოდა ბეჟანმა და მიმალავდა. ბევრი რამ საეჭვო და დასაფიქრებელი გავიხსენე. რატომ მელოდებოდა გუია ჭიშკართან? ალბათ, იმიტომ, რომ გაეგო, მეტყოდა თუ არა რასმე ბეჟანი იმ უცნობი კაცების შესახებ. ანდა ასე უცებ როგორ მოვმენდი? სულ ერთი საათის გაცნობილები თუ ვიქნებოდით და მომენდო. ანდა რატომ მიკრძალავდა ბეჟანთან მოსვლას? მე დავიბენი და საკუთარ ეჭვებსა და ფიქრებს თავს ვეღარ ვართმევდი.

ეჭვი თანდათან მერეოდა, მჩაგრავდა, წუხანდელ ბედნიერებას მთელი ძალით აწვებოდა და აძევებდა.

ბეჟანს დავემშვიდობე და წამოვედი.

იმ ღამის შემდეგ ბეჟანი აღარ მინახავს. არც გუია მინახავს იმ ღამის შემდეგ. ალბათ, დიდხანს მელოდა ოპერის ბაღთან...

მე შინ ვიჯექი და არავის ნახვა აღარ მინდოდა. მეჩვენებოდა, ქვეყანაზე მარტოდმარტო დავრჩი. უსიამოვნო გრძნობა სიმარტოვისა გულზე მძიმედ მაწვებოდა... გუია მეცოდებოდა, ეს პატარა, ლამაზი და თვალთმაქცი გოგონა. დე, მდგარიყო იქ, ოპერის ბაღთან, დამლოდებოდა. ხომ უნდა მიმხვდარიყო, ბოლოსდაბოლოს, რომ ბრმა ლეკვები არა ვართ...

მეორე დღეს ბეჟანი სოფელში წასულა.

მე არ გამიცილებია.

არცერთ მეგობარს არ გაუცილებია ბეჟანი.

უნივერსიტეტელი მეგობრები (ისინი, ბეჟანთან რომ დავდიოდით) ალმაცერად ვუცქერდით ერთმანეთს, ვერიდებოდით და გავურბოდით. ყველაში მეპარებოდა ეჭვი. ხანდახან ბეჟანიც საშიშ კაცად მეჩვენებოდა. საშიშ ადამიანად მეჩვენებოდა ის დედაბერიც, ბეჟანის ოთახში უხმაუროდ რომ დაფაჩუნობდა; ის დედაკაციც, მოკლე და მსხვილ ხელებს რომ იქნევდა მეორე სართულიდან...

ბეჟანი აპრილის ბოლოს წავიდა.

ერთი თვის შემდეგ გარდაცვლილა და ეკლესიის ეზოში დაუმარხავთ — სოფლის სასაფლაოზე...

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, ბეჟან... მე დავწერე ყველაფერი ისე.

როგორც იყო. შენზე მეტის დაწერა მინდოდა, მაგრამ არ გამომივიდა, ჩემს თავზე უფრო ვილაპარაკე, ვიდრე შენზე. კარგია, თუ ცუდი, სხვანაირად ვერ მოვახერხე. ყოველშემთხვევაში, შენგამო ფიქრმა დამაწერინა ეს პატარა მოთხრობა და მიხარია, რომ მაშინ უმწიკვლონი ვიყავით, ბავშვური ნათელი ოცნებებით აღსავსენი.

ნეტავი ახლა სად არის გუია? გუია ჭკვიანი გოგო იყო და ბოლოსდაბოლოს, ალბათ, მიმიხვდა, რატომ არ მივედი იმ საღამოს ოპერის ბაღთან, რატომ დავკარგეთ ერთმანეთი ასე უგზო-უკვლოდ. შესაძლოა, მიმიხვდა კიდეც, თუმცა ეს არც მისთვის, არც ჩემთვის ნუგეში არ არის, ეს საუკუნო დაღია სიყრმის ოცნებებზე დაჩნეული.

ჩვენ გავამდიდრეთ ერთმანეთი და გავძარცვეთ კიდეც. მაგრამ მე მგონია, გუია მართალი იყო, ჩვენ უფრო გავამდიდრეთ, ვიდრე გავძარცვეთ. მე ახლა თქვენით ვარ სავსე. რა გაძარცული და გაჭურდული ვიქნებოდი, ოდესღაც თქვენ რომ არ შემხვედროდით — შენ და გუია. ჩემი სიმდიდრე ხსოვნაში აღბეჭდილი მახლობელ ადამიანთა ძვირფასი სახეებია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა აკობია

ორი დაბადება

ეს იყო მდინარე კოდორის ნაპირას, ზღვის ახლოს... ქალი იერუსალიმიდან... და აი — ხელში მყავს ადამიანი...

დანა ბარაკში მომპარეს — და მე კბილით ვკბენ ჭიას, ბალღი ღრიალებს... დედა კი იღიმება.

მ. გორკი. „ადამიანის დაბადება“.

1

ზღვაურს ფრთები არ ეღლება,
არ ყუჩდება ზღვის ღრიალი.
ტალღა ლოდებს დაეხლება,
თითქოს რაშის წიხლი არის.

გვადა ეძებს აფხაზურას,
ქვიშას აყრის ქარბორბალა...
ჰაუ, ღამე გადასულა,
მთებზე შუქი გადმომდგარა!

სად მონახოს ქანცგაცლილმა,
ლურჯა რაში, საყვარელი:
ალბათ ქარმა გადასილა
მისი ცხენის ნაკვალევი!

მიტოვებულ კარმიდამოს,
გავს ბურუსში ზღვის ნაპირი;
ხმელი მუხა ქარში დაობს,
ვით მოხუცი სიტყვაძვირი.

ვერ იპოვა გვადამ ცხენი,
ვეღარც ცხენის ნაკვალევი.
შეციებულს გვანან ხენი,
ქარით ანაკანკალები.

ზღვაურს ფრთები არ ეღლება,
არ ყუჩდება ზღვის ღრიალი.
ტალღა ლოდებს დაეხლება,
თითქოს რაშის წიხლი არის.

2

გლეხკაცური, მძიმე ძილი,
ტკბილი არის იმედივით...
და ის იყო, სოფლად ჭრაქებს
თვალი ჰქონდათ მიბნედილი...

ქარს შემოჰყვა აკივლება,
როგორც ელვის ნაპერწკალი;
ეს ხმა სთესდა გაკვირვებას,
აუხილა ჭრაქებს თვალი.

ის კივილი ყველას მიწვდა,
აწრიალდნენ ქოხმახებში.
გვადამ სწრაფად გადაიცვა,
რაც პირველად მოხვდა ხელში.

ერთ ეზოში თავი ხელად
მოიყარა ყველა ჭრაქმა...
მელოგინეს ვერ უშველა, —
ფერი მისდის ბებიაქალს.

შავი ბედის შავი მიჯნა,
თითქოს აგერ, ახლოს არის,
აწერინებს ყველას პირჯვარს,
ეს წუთები საოცარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს,
ბედი რომ განრისხდება,
უფრო ესმის ერთმანეთის;
მაშინ ბჟობა დაიწყება,
მაშინ განზე რჩება ღმერთი.

ამჟამადაც,
პირჯვრის წერას
უცებ, ბჟობა მოაყოლეს:
— ბებიების ნუღარ გვჯერა,
ნუ ვედებით ღობე-ყორეს!

3

— გადაარჩენს დოსტაქარი.
— თუ მანამდე გადაურჩა!..
— აბა, ცხენი ჩქარზე-ჩქარი!
— აბა, გვადა შენი ლურჯა!

...ვერ იპოვა გვადამ ცხენი,
ვეღარც ცხენის ნაკვალევი.
შეციებულს გვანან ხენი,
ქარით ანაკანკალები.

წასვლა საით დაეპიროს?
ცივი ღილა ნისლში ყვინთავს...
კოდორს აჰყვა, სანაპირო
ეკალ-ბარდებს მოეჩითა.

იქნებ სმენა ატყუებდეს;
თითქოს ვიღაც დაიკივლებს!
დაიკივლებს,
წუთის შემდეგ
მეორდება ხმა იგივე.

ხისქვეშ რაღაც გაარჩია,
გაოცებამ აიტანა.
მიეახლა... ზღაპარშიაც
არ სმენია ამისთანა:

შეხიზნული უკაცრიელს,
მელოგინე, სიკვდილს ნატრობს;
მეანობა თუ გასწე,
ეს უშველის მარტოდმარტო.

ო, ნეტავი არც ენახა;
ქალს ღიბალი სად გარიყავს!
ნუთუ საწყალს არც დედა ჰყავს,
არც მამა ჰყავს,
არც ქმარი ჰყავს?!

თითქოს ებრძვის ცეცხლს და ღადარს,
უპატრონო, უხმობს პატრონს.
მელოგინეს, ლოგინადაც
შერჩენია მდელო მარტო.

ქვეშ უგია ნეშობალა;
არც ზეწარი, არც ბალიში...
ამ ჭალაკში შეუპოვარს
ალბათ სხვა აქვს ანგარიში!

ალბათ სოფელს ემალება,
როგორც მნახველს ტანშიშველი:
„დაგეხმარო მევალება,
მაგრამ, დაო, რას გიშველი!“ —

გვადამ ასე გაიფიქრა,
მიტრიალდა გულნატკენი;
ახლა, ორი ქალის ღიბალს
გადასწყვეტდა მისი ცხენი!

შავი ცელი სიკვდილისა,
მსხვერპლის ახლოს თამაშობდა.
ცხენს მოუხმო, ჭიხვინის ხმა
მოიტანა ქარაშოტმა.

ლურჯა მოქრის ჭალაკიდან,
ცინცხლებს აჩენს რაშის ნალი:
— ნატვრისთვალი რაღად მინდა,
ლურჯავ, შენ ხარ ნატვრისთვალი!

. . . . . .

არ იკარებს მათრახს ლურჯა,
არც სხვა ვინმეს გაიკარებს;
გვადაც ექიმს შემოუჯდა.
ო, ბოდიში ეთქვა ბარემ!

ვაქკაცს გულით სამართლიანს,
თავისთავთან კამათი აქვს:
— ერთი ქოხში იტანჯება,
ერთმა ცისქვეშ გაათია;

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ერთისათვის მიშველება
მეორესთვის ღალატია!
ცხენი საით გააქროლოს?
გულში ცხარე კამათი აქვს!

ᲡᲣᲚ უᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲐ:
ვისთვის — ქარი საბანია,
ვისთვის — ნეშო ბალიშია,
უფრო შესაბრალისია!

—მაგრამ, ტოლი-საიმედო,
როგორ უნდა გავიმეტო?!.

მაგრამ... ო, ეს სიტყვა „მაგრამ“
უცებ არევს ფიქრს და კამათს,
როგორც თოფზე ხელის აკრა
ტყვიას აძლევს სხვა მისამართს!

როცა ბედი საცდელია,
ფიქრმა შეკრა ქამანდივით:
ო, ახლოდან რა ძნელია,
რაც შორიდან ჩანს ადვილი!

მეზობლობამ
— სამართალთან,
ისევ დავა გამართა და;
სიტყვა „ჩემი“
სიტყვა „სხვისი“
კვლავ შეება ერთურთს რისხვით...

ბოლოს მაინც: „ჩემმა“ — „სხვისი“
გადასწონა თავისთავად!..
ერთი სიტყვა — სინდისი, —
ნეტავ, რატომ დაისწავლა!

„სად, დაეკარგე, გვადამ, იგი?!“..
ლურჯა რაშით მიქრის წყვილი.
მზე ანთია, მაგრამ ირგვლივ
ნისლს იფარებს დარცხვენილი.

ჰა, სოფელი ახლოს არი,
ჰა, ის ქოხიც ახლოს არი,
უცებ თოფმა დაიქუხა,
ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა ესმის! არცკი ენდო
გვადა ერთხანს თავის ყურებს:
— იქნებ ხუმრობთ?
— ო, ასეთ დროს
კაცი განა გაიხუმრებს?!

გვადას თავი ავიწყდება:
— ო, ის ქალი სად წავიდა?!
მოკამკამე ცვარი წყდება
ბალახების წამწამიდან.

კვალი ოდნავ დასანახი
უგზო-უკვლო გზას მიჰყვება,
ამხელს ქვიშა და ბალახი
უცხო ტერფთან გასიტყვებას.

ჰა, კოდორთან ქვიშა სველი.
წყვილის კვალი ამჩნევია!
თითქოს წიგნი არის ველი
და ეს კვალი სარჩევია.

ერთი არის მამაკაცის
და მეორე არის ქალის...
ღამე იყო მართლა მკაცრი
ცივი იყო ქარიშხალი.

ჰორიზონტზე არვინ არ ჩანს,
ქვიშას შერჩა კვალი წყვილის...
შავი ღამე უკან დარჩა,
როგორც დიდი გაკვეთილი.

დრო გასულა, ახლა იგი
მეასეზე გადასულა.
იმ მინდორზე დგება ფიქრით:
არ ჭიხვინებს აფხაზურა!..
გაუშლია გორკის წიგნი,
მოგონების დასასრულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ნაჯიროშვილი

რიკინის დღე

6

რკინის რიკულები მედიდურად იცავდნენ ბაღს, რომელიც სიყვარულის მწვანე დარბაზივით ამოცურებულიყო ქალაქის დიდი შენობების და მტვრიანი ქუჩების ხმაურში. ნოდარმა და ნანამ ჩქარი ნაბიჯით ჩაუარეს რიკულებს და ტუჩებივით ერთნაირი რიკულები მირბოდნენ ბაღში შესასვლელამდე. რიკულებმა თვალი აუჩრელეს ორივეს, თითქოს მთის მდინარეში გადიოდნენ ფეხით და მზერა ვერ მოეშორებინათ წყლისათვის.

ბაღის ხეივანში ქარი აქანავებდა ელნათურებს და მათი შუქი მოუსვენრად ღვრებოდა მიწაზე.

ისინი ისხდნენ სკამზე თითქოს ერთ სხეულად გადაქცეულები და ერთნაირად განიცდიდნენ ამბარი გამვლელების მოურიდებელ შემოჭრას შემოდგომის ფოთლებით გადაყვითლებულ ბაღში. მწვანე ნაძვები აშრიალებდნენ ტოტებს. ერთმანეთს სილამაზეში ეჯიბრებოდა ატეხილი გაზაფხული და მშვიდი შემოდგომა.

ისინი ისხდნენ სკამზე და თითქმის ესმოდათ, როგორ ჩურჩულებდნენ სხვა სკამებზე, და ვნებით გაჟღენთილ ჩურჩულს შრიალით იმეორებდნენ ფოთლები...

— გაუშვი, თმებიც მომედოს პირზე, შენი თმები, შენი მხიარული თმები.
— მოიცა, გადავიწევ...
— არ გინდა, მე შენი თმებიც მიყვარს, ლოყებიც, ცხვირიც...
— სულელო, სურდო მჭირს.
— ყელიც... ტუჩებიც...
— სირცხვილია.
— ხომ გიყვარვარ?
— არა, აღარ მიყვარხარ, მეჯავრები, გამიშვი, გამიშვი-მეთქი, არ გესმის?
— გიყვარვარ?
— არა, მეჯავრები, უხეში ხარ და უსინდისო...
— გაჩუმდი.
— დაგვინახავენ...
— მერე-რა, ხომ გხედავენ ხეები, ცა და არ გერიდება.
— ისინი არაფერს იტყვიან.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 7.

— რა იცი, იქნებ ლაპარაკობენ, დაუგდე ყური...
— გამიშვი...
— რა თბილი, თბილი გოგო ხარ.
— აღარ მიყვარხარ.
— ნუ იტყუები.
აყლაყუდა მილიციელმა ერთი-ორჯერ ჩაუარა სკამზე ჩახუტებულ წყვილს. სიფრთხილის გამოსახულებასავით დაალაჯებდა ბაღში და ეშვიანი თვალებით ჩაჰკირკიტებდა ბნელ სკამზე ჩახუტებულ წყვილებს.
ნოდარი ამრეზილი იყო.
— რას დაეხეტება ნეტავი, მოგვასვენოს, — ჩაიბუტბუტა მან.
— მიფრთხილდება ჩემი მილიცია, — თქვა ნანამ და გაიცინა.
— ჰო, შენ გიფრთხილდება, მაგრამ მე რაღა დავაშავე.
— შენც გიფრთხილდება.
ყველაფერს მიჩვეული სკამი ცივი იყო და ხმას არ იღებდა.
— არ შეგცივდა?
— არა, მე ხომ თბილი გოგო ვარ.
— აბა, ხელები მაჩვენე, როგორი გაყინული ხელები გაქვს, საერთოდ კი თბილი გოგო ხარ...
— გამიშვი, სირცხვილია. არ მიყვარს სხვის მუხლებზე ჯდომა.
— რაო, ბევრჯერ მჯდარხარ? — თქვა ნოდარმა და ალმაცერად შეხედა. ნანამ უხმოდ დაუქნია თავი.
— სერიოზულად?
— ჰო, ბევრჯერ... ბებიას მუხლებზე.
ნოდარს გაეცინა. თითქოს ტყვიამ გაიზუზუნა ჰაერში და ყურებში რეკდა შიში და რამდენიმე წამი ვერ მიმხვდარიყო, მოარტყეს თუ არა ტყვია. მერე იგრძნო, რომ ტყვია ასცდენოდა და გაეცინა. ნანაც იცინოდა.
— სულელო, არ უნდა იეშვიანო მეათეკლასელი ბიჭივით, — თქვა მან.
— არა ვარ ეშვიანი. განა გეკითხები, გიყვარდა თუ არა ვინმე ჩემამდე.
არ მაინტერესებს და თუნდაც მომიყვე, სულერთი იქნება.
— შენ მოყევი, გიხსენე შენი პირველი სიყვარული და მოყევი...
— ვიცინოთ?
— ჰო, გიხსენე და ვიცინოთ.
— ჩემს პირველ სიყვარულს ერქვა ვიოლეტა.
ნანა ხმამაღლა აკისკისდა.
— დასაწყისი უკვე სასაცილოა, — თქვა მან.
— ეს იყო ათი წლის წინათ, — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ნოდარმა.
— კარგია, მომწონს, მერე?
— ვისეენებდი ზღვაზე და ვიოლეტას გარდა არავინ იყო ჩემი ტოლი.
— ამიტომაც შეგიყვარდა ვიოლეტა?
— ჰო, სხვა არავინ იყო ჩემი ტოლი.
— მერე?
— მეტი არაფერი. ხომ გაგაცინე, ახლა შენ მიამბე.
— კარგი, ყური დამიგდე. ჩემი პირველი სიყვარული ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მორცხვი ბიჭი იყო და ერთი სიტყვის ამოღებას ვერ ბედავდა. მხვდებოდა ხოლმე ჩვენი ქუჩის ბოლოს და წერილს მაძლევდა ხელში.
— წერილით გიხსნიდა სიყვარულს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, დაწვრილებით მიამბობდა, როგორ დაიბანა დილით ბინა, როგორ გამოირეცხა კბილები, როგორ მიირთვა საუზმეზე თოხლოდ მოხარშული ორი კვერცხი, ტკბილი ნამცხვარი და ჩაი.

ახლა ნოდარი იცინოდა.

— იცინე, იცინე, შენსავით სულელი იყო. მერე მიამბობდა, როგორ წავიდა სკოლაში, როგორ გაიძახეს გაკვეთილზე და ხუთიანი მიიღო და შინ დედამ გადაკოცნა. ჰოდა, დაწვრილებით აღწერდა თვითეულ თავის ნაბიჯს, და ბოლოში ორი სტრიქონით მიცხადებდა სიყვარულს.

— არ დასცინოდი?

— არა, ის ჩემი პირველი სიყვარული იყო. ყოველთვის სუფთად ეცვა. თმა კოხტად ჰქონდა დავარცხნილი და არასოდეს არ ამბობდა ცუდ სიტყვებს. კოპწია და ბუთხუზა ბიჭი იყო.

— ყველანი სულელები ვართ ხოლმე ათი წლის წინათ, — თქვა ნოდარმა.

— ახლა დაეჭკვიანდით?

— ჰო, ახლა უფრო მეტი გაგვეგება. ნახე რა უბრალოდ დავმეგობრდით მე და შენ. არავითარი დაბრკოლება, არავითარი ჭოჭმანი და პრანჭიაობა...

— თამრიკოსა და იუზას წყალობით.

— ალბათ გადაგვედო სიყვარული გრიბივით.

— თითქოს ბავშვობიდანვე ვიცნობთ ერთმანეთს, არა?

— იცი, რას ვფიქრობ, ნანა? ჩვენ ლაბირინთებში ბევრი ვიარეთ და უკვე კარგად ვიცით გზა, აღარ აგვბნევეა. ამიტომაც წყნარად და დაუბრკოლებლად გვიყვარს ერთმანეთი.

— იმდღეევანდელი დაგავიწყდა, ფეხბურთი რომ იყო...

— ჰო, ფეხბურთი. აღარ მიყვარს ფეხბურთი, ასჯერ ნახული სპექტაკლივით მოსაბეზრებელია.

— იმ დღეს ქიეივით იყავი.

— არც მახსოვს, მაგრამ ყურებში დიდხანს ჩამრჩა საშინელი ღრიალი.

— სასაცილო ბიჭი ხარ.

— გაუშვი ვიყო სასაცილო, სიცარიელეს სასაცილო სჯობია.

7

მიჰყვებოდნენ ვარაზის ხევს. მოჩანდა გამოფიტული კლდეები და ბალახი, ოდნავ გათელილი და გახუნებული ბალახი. უჩვეულოდ ეჩვენებოდა თბილისისათვის ეს კლდეები ნოდარს და ბალახიც ურიცხვ ფიქრს ჰბადებდა.

სატვირთო მანქანები ქშენით ამოდიოდნენ ვარაზის ხევის აღმართზე. ნოდარი და ნანა ქვევით ეშვებოდნენ და ეხალისებოდათ დაღმართი. ხელმარცხნივ, სიბნელეში მიმალულიყო ზოოპარკი. ერთი ჩქამი არ ისმოდა იქიდან.

— სძინავთ უკვე მხეცებს, — თქვა ნოდარმა, — ივახშმეს და სძინავთ.

ხელმარჯვნივ იყო სახლი, რომელიც ძველებურ ციხე-სიმაგრეს წაგავდა. ეს სახლი გამოფიტულ კლდეებსა და ვერის ხეობის სიღრმეში გადაშლილ ჭალებთან ერთად ჰქმნიდა უცნაურ ანსამბლს. ნელ-ნელა, უდარდელად მოსეირნე ნაბიჯით ეშვებოდნენ და ზევით დარჩა უნივერსიტეტის თეთრი შენობა და ბაღი. ვარაზის ხევის მთელს სიგრძეზე ჯოტის თვალებივით კიაფობდნენ ელნათურები.

— იცი, გუშინ ლექციიდან გამაგდეს, — თქვა ნანამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამეს დაეშავებდი, ჭინკა არა ხარ?!

— დედას გეფიცები, უმიზეზოდ გამაგდო ლექტორმა. ჩემი ამხანაგები ყბედობდნენ და იცინოდნენ. ითმინა, ითმინა ლექტორმა და გაგვაძევა აუდიტორიიდან. სწორედ ასე თქვა: „მე თქვენ გაძევებთ აუდიტორიიდან!“

— შენც ლაპარაკობდი ალბათ.

— არა, მე ჩუმად ვიყავი, მაგრამ მათს გვერდით ვიჯექი და იცის, რომ კარგი ამხანაგები ვართ. ხმაც არ ამომაღებინა, ისე გამაგდო. დერეფანში ავზღუქუნდი.

— ტირილი რომ არ გიყვარს.

— ტყუილუბრალოდ გამაგდო სხვისი გულისათვის და მეწყინა, თანაც დამემუქრა, გამოცდაზე გაგაცინებო.

— მე წამოგყვები გამოცდაზე და სამელნეს ჩავაფარებ თავში მაგ შენს ლექტორს.

— ეგლა გვაკლია.

— კაცია თუ ქალი?

— კაცი.

— ქალი მაინც იყოს, თვალს გავუსწორებდი და დამიდნებოდა ხელში.

— მეტიჩარა!

მოედანზე ავტომანქანები მისრიალებდნენ, თითქოს ერთიმეორეზე გადაბმული უხილავი ტროსით. მწყობრად აუვლიდნენ თერთმეტსართულიან სახლს და იწყებდნენ საბურთალოში მიმავალ აღმართს. ნოდარი და ნანა იდგნენ და გაჰყურებდნენ მოედანს.

— ვიყიდოთ მანქანა, არ გინდა? — თქვა ნანამ.

— როგორ არა.

— ტარება იცი?

— კი. შენც გასწავლი მერე.

— როდის მერე?

— როცა მანქანას ვიყიდით.

— მოიცა, ნუ დამცინი, მართლა ვიყიდოთ.

— სამსახურს დავიწყებ, მოვაგროვებ ფულს და ვიყიდი. გარაჟის ადგილი უკვე შევიგულე ჩვენს ეზოში. ერთი გარაჟიღა დაეტევა. ოღონდ არ დამასწროს სხვამ.

— სამსახურს მალე დაიწყებ?

— ჰო, მალე.

— რამდენი ხანია ეგრე იძახი.

— ათი წელიწადი, არა?

— ნუ მასხრობ, ტყუილი ვთქვი?

— მპირდებიან მალე მიგიღებთო. ალბათ ახალ წლამდე ჩამრიცხავენ, შენ რა გაწუხებს?

— რა მაწუხებს და არა მსურს უმუშევარი ქმარი.

— ერთ თვეში დავიწყებ.

— მერე მოაგროვებ ფულს და ვიყიდით მანქანას.

— ავაშენებთ გარაჟს...

— იცი, ერთ ჩემ ამხანაგს ძალიან უყვარს მანქანა, თვითონ დაჰყავს კიდეც. ეწევა პაპიროსს და უყვარს ღვინო. ახლა შარვლით აპირებს ქუჩაში სიარულს. მე დამსვამ ხოლმე საჭესთან?

— აუცილებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაპაიროსს რომ დავეწვიო, არ გამიჯავრდები?

— არა, აი გაშინჯე.

— არ მინდა, — თქვა ნანამ და ხელი აუკრა ნოდარს. — დალევა?

— უნდა შეგეძლოს დალევაც. ვერავინ დაგათრობს და ვერავინ შეგაცდენს.

— სულელი ხარ.

— არა, ეშვიანი. კინოში არ გინდა თამაში?

— არა, არ გამოვდგები.

— საით გაუფუვეთ გზას?

— რა ვიცი, როგორც შენ გინდა.

— გავისეირნოთ სანაპიროზე.

— როგორც გინდა.

„ყოველთვის ასე ამბობს, — ფიქრობდა ნოდარი, — ყოველთვის ჩემს ჭკუაზე დადის“. სადღაც არ ესიამოვნებოდა, ნანა რომ ასეთი დამყოლი იყო. „ნუთუ სიყვარულის ბრალია, რომ მენდობა და ყოველთვის ჩემს ჭკუაზე დადის. თუმცა რას ვბრაზობ. ვუყვარვარ და მენდობა. ასე მიენდობი ხოლმე შოფერს, რომელიც დამით მიხვეულ-მოხვეულ გზაზე მიგაქანებს და გრძნობ ინტუიციით, რომ მარჯვეა შოფერი და არ გელის საფრთხე. ბოლომდე ენდობი“.

— სანამ მანქანას ვიყიდით, ფეხით ვიაროთ, — თქვა ნოდარმა.

— ჰო, მეც მიყვარს მოგზაურობა, — დაეთანხმა ნანა.

— ზაფხულში მოვიგდებთ ზურგზე რუკზაკებს, ჩავსხდებით მატარებელში და წავალთ.

— საითკენ?

— სულერთია, არა აქვს მნიშვნელობა. რომელიმე სადგურზე ჩამოვხტებით და მერე — ხეტიალი გაურკვეველი მარშრუტით, საითაც გული გაგვიწევს.

— რა საინტერესო იქნება ხეტიალი გაურკვეველი მარშრუტით!

— ჩვენ ორნი ვიქნებით და ვივლით, ვივლით, სანამ მოგვენატრება თბილისი და რბილი საწოლი და შინ დამზადებული კერძი. ვივლით, სუფთა ჰაერი აგვივსებს ფილტვებს, მზით გაგვეძღინთება სხეული და მტვერში ამოგანცლულები ჩამოვალთ თბილისში და დავისვენებთ. მერე ისევ წავალთ რამდენიმე დღის შემდეგ და არ გვეცოდინება, ხვალ სად გავათევთ ღამეს, ზეგ რომელ სოფელს გავივლით და რამდენი დღეა თბილისში დაბრუნებამდე. შეგეკითხები: „ხომ არ დაიღალე?“

— არა, მე არ დავღლილვარ, — არ დააცალა ნანამ და თავისი პასუხი თვითონ თქვა, — შენ?

— მე გიპასუხებ: „ჯერ რა დამღლის, ოღონდ შენ არ დაიღალო, მთავარია, შენ არ დაიღალო“...

ნანა სანაპიროს პარაპეტზე მისეირნობდა.

— ჭინკა ხარ, ნამდვილი ჭინკა.

— ნუ მომდევ გვერდით, არ გადავავარდები.

— მაინც, ყოველი შემთხვევისათვის.

— ძალიან გთხოვ, მომშორდი, ტროტუარის კიდეზე იარე.

ნანას ხმაში მუდარა ჟღერდა. ნოდარს გაუკვირდა ასეთი ახირება.

— მე მინდა ვიგრძნო, მარტო როგორ ვიქნები, — განაგრძობდა ნანა, — შემეშინდება თუ არა! შენს გვერდით მუდამ იმედი მეძლევა და არაფრის მეშინია ქუჩაში, ვიცი, რომ დამიცავ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარი კუნთებდაძაბული მიჰყვებოდა პარაპეტზე ასულ ნანას და ხელებ-აწეული ჰქონდა, გადასარჩენად მომზადებული ხელები. გრძნობდა უჩვეულო ღოხეს და ყოვლისშემძლე ეგონა საკუთარი თავი.

— ლინდაგებზე არ გიკლია? ეს უფრო ფართოა.

— გადმოხტი!

— დამიჭერ?

— ჰო, დაგიჭერ, არ გამიძნელდება.

— ძალიან მსუბუქი ვარ?

— ჰო, მსუბუქი და ჰაეროვანი.

— მოიცა, კიდევ ვიკლი ასე, იცი, რა კარგია, თითქოს ბეწვისხიდზე მიკ-დიოდე.

— გადმოხტი-მეთქი, გეხვეწები, გული მიმდის.

— დამიჭერ?

— ნუ შემიკალი ხელში, დაგიჭერ-მეთქი, მერეც დაგიჭერ ხოლმე, როცა დაბერდები და გასუქდები.

ნანა გადმოხტა. ნოდარმა მკერდზე მიიხუტა:

— არ გასუქდები? ყოველთვის ასეთი წელი გექნება?

— იქნებ დამიწვრილდეს კიდეც.

— არ დაემსგავსები ფქვილით სავსე ტომარას?

— გამიშვი, მეჯავრება ისევ...

განუწყვეტლივ მიედინებოდა სანაპიროზე ავტომანქანების კონვეიერი. ნანა და ნოდარი ყურადღებას არ აქცევდნენ. თითქოს მინის ხუფში იყვნენ ჩაკეტილი და ენით აუწერელი ნეტარება ათრთოლებდა სხეულს.

სანაპიროს პარაპეტზე დაყრდნობილები გასცქეროდნენ მტკვარს. მტკვრის მოცმაცმე ტალღები ოდნავ შესამჩნევად მოძრაობდნენ. ვერის ხიდთან დაგუბებულივით იყო მტკვარი.

— როცა მიღალატებ, უხმოდ შემოგხედავ და ზიზღით ამევსება თვალები.

— გეტყვი, მაპატიე-მეთქი.

— ვერ გაპატიებ, ნანა!

— დავიჩოქებ.

— არ გაბრის, ხელს დაგავლებ და გამოგიყვან გარეთ, საშინაოდ ჩაცმულს გამოგიყვან და ჩავსხდებით ტაქსში. წამოვალთ სანაპიროსკენ. შენ ჩუმად იქ-ნები, პირში ბურთს ჩაგჩრი და სიტყვასაც არ გათქმევინებ...

— მერე?

— მერე გავაჩერებთ მანქანას სანაპიროზე. აი, ამ ადგილას. მომიცადე-მეთქი, ვეტყვი შოფერს, გადმოგათრევ, ჩაგეიდებ ხელს მაგრად, აგ-ტაცებ, მი-გიკრავ მკერდზე, უკანასკნელად გაკოცებ და გადაგაგდებ მტკვარში. მერე ისევ ჩავჯდები ტაქსში, კარს მოვიჯახუნებ და ფანჯარასაც დავკეტავ, რომ შენი კი-ვილი არ გავიგონო...

— რა იცი, რომ ვიკივლებ?

— აბა რას იზამ?

— გავცურავ.

— კარგი ცურვა იცი?

— გენიალურად ვცურავ.

— კიდევ რა იცი?

— ყველაფერი ვიცი.

— ცხენზე ჯდომა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მიცდია, მაგრამ მეცოდინება ალბათ.

— სადილების კეთება?..

— ბრწყინვალედ. განსაკუთრებით ლობიო მეხერხება.

— სარკის წინ კოხტაობა?

— ეგეც ვიცი.

— კოცნაც გენიალური იცი?

— ჰო...

— არა მჯერა...

— გეყოფა.

— აბა რას ტრაბახობდი?!

მერე ვიდაც მთვრალმა დაარღვია მათი მყუდროება. ავტომანქანა გაჩერდა და ჩინური ფარნის გრძელი შუქი მიანათეს პარაპეტთან ამარტულ სილუეტებს.

ყველაფერი თვალის ერთ დახამხამებაში მოხდა და მხოლოდ ტანის შერხევა მოასწრო ნოდარმა. ნანამ ისევ მიიზიდა თავისკენ. ავტომანქანა მოულოდნელადვე გაქრა. ნოდარს სიცილი აუტყდა, ნანა წარბშეკრული უცქერდა.

— რატომ მოიწყინე?

— სირცხვილია, ნაცნობმა რომ მომკრას თვალი.

— ხომ არ გავეკიდებოდი ვიღაც ოხერს.

— წავიდეთ შინ, შემცივდა.

— რატომ არ გაცვია პალტო?

— რა ვიცი.

— გამხიარულდი! გული მიმდის, დაღვრემილს რომ გხედავ.

— ნოდარ, დედას გეფიცები, მართლა შემცივდა.

— კარგი, წავიდეთ. ვერის ხიდამდე ფეხით გავისეირნოთ.

ავტოსადგურის შენობაში ტრიალებდა დეზინფექციის სუნი. მოსაცდელ დარბაზში რამდენიმე კაცი თვლემდა. სალაროები დაკეტილი იყო და არ ისმოდა ჩვეულებრივი ჩოჩქოლი უწესრიგო რიგში ჩამდგარი ხალხისა.

გავთბებით აქ, მომეცი ხელები, შენი ყინულივით ხელები...

ნოდარი თვალიერებდა ავტობუსების მიმოსვლის განრიგს. კითხულობდა რომელი ავტობუსი რომელ საათზე გადის, რამდენი კილომეტრია თბილისიდან ბათუმამდე, რა ღირს ბილეთი კისლოვოდსკამდე. კითხულობდა განრიგს კარგი ლექსივით. ქალაქების მსგავსი სახელები, დასაწყისი ასოთი შეკრულები, ერთმანეთს მისდევდნენ. ქალაქის სახელთან ერთად იყო მკაცრი ციფრები, რომლებიც კილომეტრებს აღნიშნავდნენ და თითქოს მათემატიკური კანონების მიხედვით დაეწერათ ეს ლექსი.

— თეზი, — წაიკითხა ნოდარმა, — სულ რაღაც სამოცი კილომეტრია, რა ნაზი სახელია არა?

— არ ვიცი, რომელ მხარეშია ეს თეზი.

— მოიცა, ვნახოთ.

განრიგის გვერდით გამოჭიმულ სამარშრუტო რუკაზე დაუწყეს ძებნა, ოთხივე კუთხით ეძებდნენ, მაგრამ არსად იყო თეზი.

— თეზი, — ენამოჩლექით თქვა ნანამ, — თითქოს პატარა ბავშვს ეფერებიან.

— ამართლებს ნეტავი სახელს?

ნოდარი მოსაცდელ დარბაზში გავიდა და ჩხირივით ხმელ კაცს, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრისმთქმელი გამომეტყველება ჰქონდა, მოწიწებით ჰკითხა:

— უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, სად არის თეზი?

— თეზი? — გაიკვირვა ჩხირივით ხმელმა.

— არა, ბატონო, თეზი.

ჩხირივით ხმელმა ქვედა ტუჩი გადმოატრიალა და მხრები აიჩეჩა.

— არ იციან, ნუთუ არავინ იცის.

უნდოდა წარმოედგინა ეს იდუმალი თეზი. „ალბათ ცაცხვების ხეივანია თეზში და გამუდმებით უბერავს ქარი. თეთრი სახლები ცისფერი დარაბებით. ორსართულიანი კლუბი და ახალგაზრდა ბიჭი უკრავს გიტარას. ჩემსავით ნანობს, რომ ვერ ჩაუგდია ხელში შავი გიტარა და ჩემსავით ჩუმად ღიღინებს“, — ფიქრობდა ნოდარი.

იხსენებდა ნაცნობ ქალაქებსა და სოფლებს, მაგრამ არც ერთს არ ჰგავდა თეზი. მერე იღებდა ამ ნაცნობი ქალაქებიდან და სოფლებიდან გამოსარჩევ ნიშანს და თეზში მიჰქონდა. მაგრამ ერთმანეთს ვერ მიუსადაგა სხვადასხვა ქუჩები და სახლები, ხეები. მთლიანობაში ვერ წარმოედგინა ეს იდუმალი და აბსტრაქტული თეზი.

— ნაზი და წყნარია ალბათ, — თქვა ბოლოს.

— და მხიარული, — დაუმატა ნანამ.

— შენსავით.

— არა, ჩემსავით ნაზი და წყნარი.

— სუ, ჭინკა!

8

საზაფხულო კინოში იყვნენ და შესცივდათ, თუმცა ისე ახლოს ისხდნენ ერთმანეთთან, თითქოს ერთი ბილეთი ეყიდათ და როგორმე უნდა დატეულიყვნენ ერთი ადამიანისათვის განკუთვნილ ადგილზე.

— ამ სიცივეში შეყვარებულებს გარდა ვინ სულელი გაითოშება ღია ცის ქვეშ, — თქვა ნოდარმა.

ეკრანზე წვიმდა. ცირკის ტრიბუნები დაცარიელდა. არენაზე მარტოდმარტო იდგა გაბითურებული ხასინტო და წვიმა სასტიკად ასველებდა მას. მერე ქოლგა მიაშველა ტანისამოსის გამქრავებელი მაღაზიის ნოქარმა, იგი ტორეადორის ბრჭყვიალა კოსტუმს უფრთხილდებოდა...

— მოგეწონა?

— ძალიან. მაგრამ ნერვებს მოგიშლის ასეთი ფილმი, — თქვა ნანამ.

რომ გამთბარიყვნენ, კომუნარების ბაღი სირბილით აიარეს. დიდხანს მიდიოდნენ ჩუმად.

— ცუდ გუნებაზე დაგვაყენა კინომ, — თქვა ნოდარმა.

— არა ღირს სერიოზული ფილმების ნახვა, კომედია სჯობია.

— კომედიასაც გააჩნია, გახსოვს „პოლიციელები და ქურდები“? გახსოვს, ტოტო რომ მიჰყავს პოლიციელს ციხეში და ტოტო ეკედრება, ფეხით გავიაროთო სუფთა ჰაერზე...

— მაშინ ისეთი ფილმი, რომელსაც ნახავ და ყურს არ დაუგდებ სანახევროდ. არც შეხედავ. გამოხვალ გარეთ და უმალვე დაგავიწყდება, მერე დიდხანს იმტვრევ თავს: რაზე იყო ეს ფილმი.

— ან ცირკი... არ გიყვარს ცირკი?

— კარგა ხანია არ ვყოფილვარ ცირკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცი რა მშვენიერია. კლოუნები ოხუნჯობენ, იცინიან, ყირას გადადიან, კოტრიალობენ, ჰაერში შიშველი სხეულების ქროლვაა და სუნთქვა გეკვრის. მერე მოკრივე დათვები...

— ჰო, აცოდა უკვე და გარეთ ხეტიალი არა ღირს. ცივა, შენობებს უნდ, შეეფაროთ, თეატრში ვიაროთ.

— არა, ცირკში, კლოუნები, მხიარული კლოუნები...

მერე ტროლეიბუსში ჩასხდნენ. მთელი გზა ხმა არ ამოუღიათ. მერე ისევ ჩაბნელებულ ქუჩებში მიდიოდნენ. ნანას სახლი შორს იყო.

— მოგწყინდა? — თქვა ნოდარმა.

— არა, — მიუგო ნანამ.

— არაფერს ვლაპარაკობთ.

— მე ვლაპარაკობ... ჩუმად, ჩემთვის ველაპარაკები.

— ბარემ მეც გავიგონო, გიპასუხებდი რამეს.

— არა, შენს მაგივრადაც მე თვითონ ვპასუხობ. იცი, რა კარგია!

— არ ვიცი.

— შენ ჩუმადა ხარ, მეც, მაგრამ მაინც ვლაპარაკობთ.

იდგნენ სადარბაზო შესასვლელში. ნოდარი დიდხანს არ უშვებდა ნანას შინ. მერე დაეშვიდობა და გარეთ გამოვიდა. ქუჩაში არავინ იყო. საათს დახედა და გაიფიქრა: „ჰო-ჰო, რამხელა დრო გასულა!“

ტაქსმა, რომელიც ნელა მისრიალებდა მგზავრის შოვნის იმედით, ცივად ჩაუკრა მწვანე თვალი. ნოდარმა დააპირა ტაქსის შეჩერება. შოფერს ნელა მიჰყავდა მანქანა, თითქოს ელოდა, როდის დამისტვენენო. მაგრამ ნოდარმა თავი გააქნია და ნანას სახლისაკენ მიბრუნდა. მესამე სართულზე კრთოდა სინათლე.

„ახლა დაწვება ლოგინში და დაიძინებს“, — გაიფიქრა ნოდარმა. რაღაც თბილი და ბუნდოვანი მოაწვა გულზე.

ჟინლოვადა. მხარზე გადაგდებული პლაშჩი გაშალა და ჩაიცვა. საყელო აიწია, ღილები შეიკრა და ხელები ღრმად ჩამალა ჯიბეში. აიარ-ჩაიარა სახლის წინ. მესამე სართულზე ისევ კრთოდა სინათლე. „იქნებ გამოვიდეს აივანზე“. ეზარებოდა შინ წასვლა.

ქუჩის მეორე მხარეს მთვრალი მობანცალებდა, მომცრო ტანის ხეებს ეხვეოდა. ხესთან ჩახუტებული ტკეპნით მღეროდა ერთსა და იმავეს: „ჩემი გახდე, რამდენ რამეს გაჩუქებდი“... ნოდლიანად იმეორებდა ყოველ ხესთან ამ ერთადერთ სტრიქონს და მრავალწერტილი თითქოს უხმოდ იწყებდა სიჩუქრების ჩამოთვლას.

თავისი ქუჩის მთვრალი გაახსენდა ნოდარს. მთვრალები ერთმანეთს ჰგავდნენ და ქუჩაც ჰგავდა მის ქუჩას, და ყველაფერი ნაცნობი იყო, თითქოს ბევრჯერ განცდილი.

9

მკვდრის მზემ ცეცხლისფერი სწორკუთხედები დახაზა ოთახის კედელზე, ფარდის ნაკვთები მკრთალ ჩრდილებად იქარგებოდა სინათლეში. მზე თვალებში უქყიტნებდა წამოწოლილს და თენთავდა.

პიჯაკის ჯიბეში მოიფათურა ხელი. კიდევ ერთხელ შეამოწმა, რამდენი ფული ჰქონდა. ტკიცინა ასმანეთიანი და რამდენიმე თუმნიანი ამოიღო. „გვეყოფა“, — გაიფიქრა და სათუთად შეინახა გულისჯიბეში. „დღეს წავალთ რესტორანში და გადავუხდი დაბადების დღეს“. ეხამუშებოდა, რომ არ გააჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი ფული, მაგრამ თავს იმშვიდებდა, მალე დავიწყებ სამსახურსო. გეგმებს ალაგებდა, როგორ გაატარებდნენ საღამოს რესტორანში. რესტორანში იქნება მოვრალი ხალხი და გულისშემაწუხებელი ყაყანი. დასხდებიან გვერდიგვერდზე და გამოეთიშებიან მთვრალ რესტორანს. ჩუმად, ძალიან ჩუმად, ყურში ჩაუჩურჩულებს სადღეგრძელოს. ჭიქას მაგრად მიუჯახუნებს და მერე მაგრად აკოცებს...

მზე მთებს იქით ჩაიძირა და ცეცხლისფერი სწორკუთხედები ფეხაკრეფით გაპჭრნენ. კედელზე ისევ ერთი ფერი დარჩა და იმ სწორკუთხედების ადგილას ოდნავ შესამჩნევი სიბაცე შეესაზღვრა კედლის ჩვეულებრივ ფერს. ჰორიზონტზე მოჩანდა მზით ფერშეცვლილი ღრუბლები. მთ მორცხვი სიყვითლე მოჭკიდებოდათ.

— ვისადილოთ, — დაუძახა მეორე ოთახიდან დედამ. „სადილის დროც მოსულა“.

— რა ამინდი დაიჭირა, ჰა? — თქვა ნოდარმა ხმამაღლა, — წელს იქნებ არც გვეწვიოს ზამთარი.

— დაჯექი, — თქვა მამამ.

ნოდარი დაჯდა.

— ნანას სადან იცნობ, ვაჟბატონო?

— ვინ ნანას? — შეკითხვითვე უპასუხა ნოდარმა.

— კარგად მოგეხსენება, რასაც გეკითხები და სიტყვას ბანზე ნუ აგდებ.

მამა მკაცრად უმზერდა ნოდარს.

ნოდარმა პასუხი დააყოვნა. ტვინში უჩხვლიტა ფიქრმა: „რა მოხდა, რა მოხდა?!“

მამა თვალმოუშორებლივ უმზერდა.

— იუზას ქორწილში გავიცანი, — გაუბედავად წარმოსთქვა ნოდარმა.

— რა კავშირი გაქვს მასთან, თქვი, რას ჩაგივარდა ენა მუცელში!

— ნანა ამხანაგია ჩემი, — უპასუხა უბრალოდ და აუღელვებლად.

— ამხანაგებთან ერთად სანაპიროზე არ დასეირნობენ ღამით.

„დამინახეს სანაპიროზე, მაგრამ რა მოხდა მერე“, — ისევ დაიძრა ერთი ფიქრის ნაკადი. ვერ მიმხვდარიყო, რას მოასწავებდა ეს უცნაური გამოკითხვა.

— როგორ აგიხსნათ, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ და...

„მაინც რაშია საქმე ნეტა?“ — აკვიატებულმა ფიქრმა თითქოს მესამე სიჩქარეში ჩააგდო ტვინი.

— ჩემი მეგობარია...

— თუ სატრფო?

ნოდარს უგემურად შეაჟრჟოლა. ამ სიტყვას ვერ იტანდა შაქარგარეულ ოვინოსავით, არც ხმარობდა ხოლმე. მაგრამ ამ წუთში მაინც შეებრალა ასე უხეშად და დაცინვით ნთქვამი, თითქოს წიწილას დაუსვეს კისერზე დანა და აფართხალდა წიწილა.

— არა, საცოლე არის, — უპასუხა გამომწვევად.

— საცოლე! იქნებ უკვე ცოლადაც შეირთე?

— არა, საცოლეა და ძალიან კარგი გოგოა.

ხმა ჩაუწყდა და უაზროდ ჭყლეტდა თითებით პურის ნაჭერს.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ. მაშასადმე საცოლეა, მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ საცოლეა და მეტი არაფერი, გულს მომეშვა.

„რა მოხდა?“ — ისევ გაიელვა ფიქრმა.

— ცოტა გულს მომეშვა, — გაიმეორა ხანმოკლე დუმილის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამამ და კოეზი პირთან მიიტანა. როგორც ყოველთვის, საგარეო ტანსაცმელი ეცვა და მკერდზე სალფეტქჩამოფარებული ნებივრად ხვრეტდა ბორშჩს.

— რაშია საქმე? — თქვა ნოდარმა.

— მშვენიერი ბორშჩია, მადლობა ღმერთს, ცოლად არ შეგირთავს.

„რა მოხდა? ნუთუ ცუდი ამბავი შეიტყეს ნანაზე... არაფერია გასაოცარი. ქალაქში, სადაც ბავშვებზე უფრო მეტი ჭორი იბადება, ნანას ვინ გამოარჩევს“, — ფიქრობდა ნოდარი.

— მაინც რაშია საქმე, გამაგებინეთ, — თქვა, რამდენადაც შეეძლო, მშვიდად და ზრდილობიანად. მაგრამ იგრძნო, რომ დამფრთხალი სიტყვები ამოდიოდა ყელიდან.

— მაგ ქალიშვილს აღარ შეხვდები, გესმის?! მორჩა და გათავდა. ერთხელ და სამუდამოდ.

ნოდარმა ვეღარ მოითმინა და იყვირა:

— რატომ, რისი გულისთვის?

მამამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ გაკიცხვით შეხედა და სახე მოეღრუბლა. დედა სკამის კიდეზე იჯდა დამორცხვებული სტუმარივით და ხმას არ იღებდა. თავჩაქინდრული იჯდა სკამის კიდეზე.

— მამა, რატომ, რატომ, — ლუღლუღებდა ნოდარი.

— ჩემს სახლში საროსკიპოს ვერ გავხსნი. არა მსურს, მთელმა თბილისმა ჩემს შვილზე ილაპარაკოს ანეგდოტები. არა მსურს, თითით საჩვენებელი შეიქნეს ჩვენი ოჯახი. არა მსურს, იმ ავხორცმა დედაკაცმა თავისი ცხვირმოუხოცელი კავალრები მოიყვანოს აქ და ჩემს საწოლზე ინავარდოს. მაგ ქალს ვერ დავუნათესავდები...

ბორშჩის შუაგულში ცურავდა სქელი არაჟანი. მამა ნაპირიდან იღებდა წვენს კოეზით და სქელი არაჟანი ხელუხლებლად ტიტივებდა ბორშჩის ზედაპირზე. სალფეტქი ისევ ქათქათებდა.

ნოდარს ზამბარასავით დაჭიმული ნერვები დაუწყნარდა იმ ადამიანივით, რომელსაც ჭგონია, რომ კაცის მოკვლას აბრალებენ და უცებ ხვდება, რომ მხოლოდ ქურდობა დასწამეს. თვითონაც მოხვრიპა გაცვებული ბორშჩი. დედა იჯდა სკამის კიდეზე, როგორც უცხო ქალაქში ჩასული მაყურებელი და პირისახეზე სიმშვიდის ნიღაბი ეკერა.

ყველაფერი გასაგები იყო.

— მერე ნანამ რა დაშავა?!

— რა იქნება, შვილო, ასეთი ქალის ხელში გაზრდილი გოგო, შენც გაგიმწარებს სიცოცხლეს და ჩვენც, — წყნარი ხმით აუხსნა დედამ.

— პიკასო სად არის?

— რა შუაშია პიკასო?! — წარბები მაღლა ასწია მამამ.

— კიდევ შეუცვალეთ ადგილი?

— ჰო, საბაზანო ოთახში ჩამოვკიდეთ, იქ უკეთესია, — თქვა დედამ.

ადრე სასადილო ოთახში ეკიდა პიკასოს ნახატი. ახლაღა შენიშნა ნოდარმა, რომ აღარ იყო ამ ოთახში პიკასო. ყოველთვის ანცვიფრებდა ლურჯ ფერში გამოსახული სიბეჩავე და უიმედობა: ბიჭის დიდი თვალები, სუფთა სახე, მოხუცის ნახევრადდახუჭული თვალები (თუ ბრმაა?!) და მკვეთრად გამორჩეული ძვლები, წვეტიანი მუხლისთავები. ყოველთვის ანცვიფრებდა ლურჯ ფერებში გამოსახული სიბეჩავე, მკრეხელობად უთვლიდა პიკასოს. ლურჯი ფერი სხვა ასოციაციებს იწვევდა ნოდარის აზროვნებაში, ახსენებდა შორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწოლილი მთებისა და დაწყნარებული ზღვის სილურჯეს. ოცნებაც ლურჯი ფერისა იყო, სიზმრებიც....

— მერე ნანამ რა დაიშავა?

— არ შეიძლება, გესმის, არ შეიძლება იმ ქალთან დანათესავება, — თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე თქვა მამამ, — შენს გარდა მთელმა თბილისმა იცის მაგ ქალის ამბავი. ხალხის აბაში ჩავარდნა არა გვსურს. გაანძრიე ტვინი და მისვდი, არა გვსურს მთელმა თბილისმა ჩვენს ოჯახზე ილაპარაკოს. შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ, რომ არსებობს რაღაც წესი და კანონი. არ გაგიგონია, კვიცი გვარზე ხტისო. რა უნდა იყოს იმ ქალის ხელში გაზრდილი გოგო!

სიტყვები კრიალოსანის მარცვლებივით აწვებოდნენ ერთიმეორეს, დაყვავებით ნათქვამი სიტყვები. თითქოს ბავშვს უხსნიდნენ მარტივ ამბავს, უხსნიდნენ, რომ წიგნი წასაკითხავად არის მოგონილი და არა დასაფხერეწად.

ვეღარ დაღეჭა ნოდარმა ხორცი. ღეჭავდა, ღეჭავდა და მაინც ყელში ეჩხირებოდა ქათმის თეთრი ხორცი, ღეჭავდა და გემოს ვერ გრძნობდა.

— ცოლი გინდა და მოიყვანე ახლავე, მაგრამ მაგ ქალიშვილს ოჯახში არ შემოვუშვებთ, სხვა მოიყვანე ვინმე!

— როგორ თუ სხვა, ქუდი ხომ არაა, მაღაზიაში წავიდე და გამოვაცვლევინო.

— ნუ ოხუნჯობ, — თქვა მამამ. ჭაღარაშეპარული ულვაში ხიშტივით ყალუზე შედგა, — ნუ ფიქრობ, მართალი ვარო. ისმენ ჩემს სიტყვებს და მამტყუნებ. ჯერ ახალგაზრდა ხარ, რა გინახავს ცხოვრებაში! დაღვარე ოფლი, ნახე ცხოვრება, გაიარე, რაც ჩვენ გაგვივლია, ნახე, რაც ჩვენ გვინახავს და მერე იფიქრე, რაც გინდა, ახლა კი იცოდე, რომ ჩვენა ვართ მართლები და უნდა დაგვიჯერო. ფიქრშიაც კი ნუ გაგვამტყუნებ, ჩვენ შენთვის კარგი გვწადია, ცუდს არაფერს გირჩევთ, ხომ იცი, როგორ გვიყვარხარ და ხათრი უნდა გქონდეს ჩვენი.

მონოტონური სიტყვები ისევ კრიალოსანის მარცვლებივით გორაობდნენ აქეთ-იქით. ხმამოუღებლივ უსმენდა ნოდარი და უცბათ მოეჩვენა, რომ ფიქრებმაც მიატოვეს, თითქოს დაცარიელდა თავი და წყალიღა დგაფუნობდა ღუნედ. ფიქრებმა მიატოვეს და სასოწარკვეთილებამ შეიპყრო.

მერე რაღაცას ბუტბუტებდა შეცბუნებული, თითქოს იმართლებდა თავს, თითქოს ნანასაც ამართლებდა. მამას ცოტა ყურს აკლდა, მაგრამ ახლა უფრო მეტად იყრუებდა თავს. სახეზე დაიხატა ყურადღება და სმენა გაამახვილა, ხელით იჩრდილავდა ყურს და თავს ხრიდა ქვევით.

— ჰა, არ მესმის...

— არაფერი, არაფერი, — პირში სიტყვა გაუწყდა ნოდარს.

მამას საგარეო ტანსაცმელი ეცვა. ძვირფასი და ლამაზად შეკერილი მომწვანო ფერის კოსტუმი საზეიმო ელფერს აძლევდა სადილს. თითქოს საშვილიშვილოდ დაკერებული ღილები დალაგებულიყვნენ კოსტუმზე დარბაისელი ლოდებივით, რომლებიც მიწას შეხავსებიან და წარმოუდგენელია მისი მიწიდან აგლეჯა. მტვრის ნაწილაკები თითქოს ვერ ბედავდნენ ამპარტავან კოსტუმზე დასახლებას. კოსტუმი სუფთა იყო და კრიალა.

ნოდარი ვეღარ ძლებდა უპპაროსოდ. მოუნდა მოწევა. თავი ვეღარ შეიკავა და მაგიდიდან პაპიროსის კოლოფი აიღო. სახეზე ოდნავ მოაწვა სიწითლე და გაამოლა.

— ეს რა ამბავია, გადააგდე პაპიროსი! დიდიხანია ეწევი? — გაჯავრდა მამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, პირველად გავშინჯე. გამიგონია, ნერვებს აწყნარებსო თამბაქო.

ჩაქრო. იტენიდა პირში ქათმის ხორცს, ორივე ხელის თითები დაესვარა მსუყე ჩახოხბილით, მერე დასვრილი ხელები აიფარა თვალებზე. რატომღაც ეგონა, რომ ახლა ატირდებოდა, დასძლევდა ცრემლი და ატირდებოდა.

რინგის კუთხეში, თოკებთან მოქცეული ემისამართოდ იქნევდა ტყავის ხელთათმანით შემოსილ მუშტებს, თითქოს ზრდილობის გულისათვის და მხოლოდ ვალის მოსახდელად, იცოდა, რომ საბოლოოდ მაინც წაგებდა. მერე მის მაგივრად ვიღაც მშიშარამ და ფრთხილმა თეთრი პირსახოცი გადმოისროლა რინგზე. ეს იყო ტექნიკური ნოკაუტი...

უტყუარი გუმანით იგრძნო ნოდარმა თავისი უძლურება და ხელები ასწია დამარცხების ნიშნად, თითქოს ტყვედ ჩაიგდეს და უხმოდ დანებდა.

— რას გაჩუმებულხარ? — თქმა მამამ.

ნოდარმა არაფერი უპასუხა.

— რას გაჩუმებულხარ-მეთქი.

— რა ვიცი, მეძინება, წიგნს ვკითხულობდი და მზე მიეყიტინებდა თვალებში, მომთენთა, თანაც გემრიელი სადილი, ძილის გუნებაზე მოვედი.

— წადი და დაიძინე, თუ გეძინება, — თქვა დედამ.

— მოიცა, ჯერ შეეთანხმდეთ.

— გეყოფთ, — თქვა დედამ, — სულელი ხომ არ არის.

— ჰო, უნდა დაგვიჯერო. იმ ქალიშვილს თავს დაანებებ. აღარ შეხვდები არასოდეს, ქმარა დისკუსიები! არ დაგვიჯერეს და წადი სახლიდან. დაიმახსოვრე, ჩვენ შენთვის კარგი გვინდა, ხმა არ ამოიღო, წადი ახლა და დაიძინე.

წყნარად ლაპარაკობდა თავის სიმართლეში დარწმუნებული და ნოდარიც გრძნობდა, რომ უაზრო იყო წინააღმდეგობა...

საღამოს შვიდი საათი სრულდებოდა. ნანა უკვე კოხტაობს სარკის წინ, ჩაიცვამს შავ კაბას, ნოდარის საყვარელ კაბას, წელზე შემოირტყამს ფითელი ფერის პრიალა სარტყელს, ნოდარის ხათრით თმებს უფრო აიწეწავს, ჩაიცვამს მოკლექესლიან ფეხსაცმელს, რომელიც ძალიან უხდება და მის ანვობას ხელს არ უშლის, მოიხვევს აჭრელებულ თავსაფარს და წელში გამოყვანილი ყვითელი პალტო თბილად ჩაიკრავს მის სხეულს.

— იძინებ? ფეხზე რატომ არ გაიძრე? გაეჩუქეიანებ ლოგინს.

ნოდარი თვალებდახუჭული იწვა.

— ნუ ნაღვლობ, გოგოების მეტი რა არის თბილისში, სხვაც შეგიყვარდება. გაუმოიღე ფეხები საწოლიდან!

თითქოს სხვა ხმა იყო. დაიცა, ხელი მოჰკიდოს თითებზე, იცნობს გამხდარ და ალერსიან თითებს, უსათუოდ იცნობს. წამოჯდა, თვალები გაახილა.

— დაიძინე, დაგაწყნარებს ძილი.

ფეხსაცმელი გაიხადა, ისევ წამოწვა და დახუჭა თვალები.

ბაკურიანში იწვა ერთხელ ტალახიანი სათხილამურო ბატინკებით ახალგამოცვლილ ლოგინზე. ორმოცდასამნმამრიანი ბატინკები აუთოვებდა თეთრეულს. თხილამურებით შეაბოტა ოთახში, არ დაბერტყა თმაზე მიკრული თოვლი, მოიხსნა და კედელთან აყუდა. ოთახის სითბო ადნობდა თოვლს. იატაკზე წყლის გუბეები დადგა. იწვა და სათხილამურო ბატინკებით აუთოვებდა ზეწარს. ბიეები ლაზღანდარობდნენ და ვერ გაეგოთ, მთვრალი იყო ნოდარი თუ სიცხიანი, თუ იმას დარღობდა, პირველი ადგილი ვერ ავიღეო. ნოდარი კი თავს იმძინარებდა.

საღამოს შვიდი საათი შესრულდა. ნანა უკვე ელოდება კიროვის ბაღის

ჭიშკართან. ყველა მაღალი ტანის ბიჭს ამსგავსებს და მოუთმენლად აკმაცდ ერთ ადგილზე. გამველლები ირონიულად უმზერენ. „არ მოვიდა? — ეკითხება ვიღაც ბიჭი. — ვიცნობდეთ ერთმანეთს: ბიძინა, ან ჯაბა, ან ვალიკო, სულეთია, არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ ბიჭი მოწადინებულია ნანასთან საუბარს. მარტო საუბარს?! თქვენი სახელი? ნანა! რაფელა დამთხვევაა მე კი ზაზას მეძახიან. სასიამოვნოა, კიდევ რას იტყვით?! თქვენმა მეგობარმა უკვე ხუთი წუთი გადაცილა, რამხელა უსინდისობაა, თქვენნაირ მშვენერ არსებას ხუთი წუთი ელოდინო, ნამდვილად აღარ მოვა. მე რომ თქვენს ადგილას ვიყო, აღარ მოვუცდიდი. მე რომ ვიყო იმ ბიჭის ადგილას, ნახევარი საათით ადრე მოვიდოდი პაემანზე. მართლა? ღმერთს გეფიცებით. იცით, როგორ მიყვარს ბიჭები, რომლებიც არ იგვიანებენ პაემანზე. უკვე ათი წუთი გავიდა, დროა გავუდგეთ გზას. რომელ გზას?! გზას ჩემი სახლისაკენ. როგორ თუ თქვენი სახლისაკენ? სახლში არავინ იქნება, დავუკრავთ ჯაზებს და ვიცეკვებთ. მერე? მერე არაფერი. ვიცეკვებთ. თქვენ კარგი ცეკვა გეცოდინებათ! შესანიშნავი. გენიალურად ვცეკვავ. სხვა რა იცით გენიალურად? კოცნა. ვნახოთ, ვნახოთ“.

ნოდარი დაფეთებული წამოხტა, საჩქაროდ ჩაიცვა პალტო და კისრისტეხით ჩაირბინა კიბე, უზარმაზარი ნახტომით ტოვებდა საფეხურებს. მძიმე პალტო აწვებოდა მხრებზე და სირბილი უჭირდა. ტრამვაის ხაზამდე დიდი მანძილი იყო. სირბილმა დაღალა. აწყვეტილივით მიდიოდა ტრამვაი. ბედზე კარიც ღია იყო. უკანა ვაგონის კარი. ნოდარი ფეხდაფეხ მისდევდა ტრამვაის. მაგრამ პალტო აწვებოდა მხრებზე, ნაცრისფერი და მძიმე პალტო. ტრამვაი საიმედოდ მიჰყვებოდა სწორ ლიანდაგს. ვაგონიდან ვიღაცამ დაუქნია ხელი: ამოხტი! ამოხტი! მაგრამ ტრამვაიმ სიჩქარეს უმატა. ღონე აღარ დარჩენოდა ნოდარს უკანასკნელი ნახტომისათვის და მანძილი გაიზარდა. ინერციით ავრძელებდა უმიზნო სირბილს. ამ ტრამვაით უნდა წასულიყო და მიეუწრებდა. ახლა ვეღარ მიუსწრებს. ამდენ ხანს აღარ დაელოდება ნანა კიროვის ბაღის ჭიშკართან. ნუთუ გაჰყვა იმ ბიჭს, რომელიც საცეკვაოდ ეპატიჟებოდა თავის ცარიელ სახლში, ნუთუ ათი წუთი არ აპატია. ისინი უკვე ცეკვავენ ვეებერთელა დარბაზში და ფირფიტები მხიარულად უმღერიან წყვილს. წავიდა, არ აპატია ათი წუთი და წავიდა ვიღაც ბიჭთან, რომელსაც ზაზა ჰქვია, ან ბიძინა, ან ამირანი. არ აპატია ათი წუთი, წავიდა უცნობ ბიჭთან. კვიცი გვარზე ხტისო.

მერე წამით გაიფიქრა, რომ ვიღაც ბიჭი მისი ფანტაზიის ნაყოფია. ნანა არ წავიდოდა, ნანა ისევ ელოდება კიროვის ბაღის ჭიშკართან. დახედა საათს. რვის ნახევარი იყო. „არა, უკვე წასული იქნება“, — გაჰკრა თავში მწარე ფიქრმა.

დაბრუნდა შინ. გაიხადა მძიმე პალტო, ჩამოკიდა და თითქმის გაიღუნა საკიდი. მერე ფეხზე გაიძრო, დაწვა გულაღმა და თვალები დახუჭა. ისევ ვეებერთელა დარბაზი ელანდებოდა. ნანა ცეკვავდა უცნობ ბიჭთან, მერე ჩააქრეს სინათლე და ცეკვავდნენ სიბნელეში. მერე ვეღარ არჩევდა მათს სილუეტებს, და მძაფრი ტკივილით წარმოიდგენდა ყველაზე საშინელს.

ტვინი ჯიუტად იმეორებდა აკვიატებულ ანდაზას. სხვა ელფერი ეძლეოდა ნანას თავაწყვეტილ ალმაჯობას, სანანპიროს პარაპეტზე სეირნობას, მის ხმამაღალ კისკისს, როცა ადამიანები თავს აბრუნებდნენ და თვალწუნებით უმზერდნენ. ყველაფერს სხვა ელფერი ეძლეოდა, თვითოეულ ნაბიჯს, თვითოეულ სიტყვას. ყველაფერს, რითაც გამოირჩეოდა ნანა სხვებისაგან, არ მიყვარს სხვის მუხლებზე ჯდომა. რაო, ბევრჯერ მჯდარხარ? ჰო, ბევრჯერ, ბებიას მუხლებზე... ყოველთვის: როგორც შენ გინდა, როგორც შენ გაგიხარდება, შენი

ნებაა. საერთოდ, რა ადვილად დაიწყო მათი სიყვარული, არავითარი დაბრკოლება, არავითარი წინააღმდეგობა! თვალთმაქცობაა ყველაფერი. ყველა გოგონაგონია ანგელოზი, სინამდვილეში კი ყველა... გარითმა და საკუთარ თავზე ბრაზი მოუვიდა. თითქოს სილა გაეწნა უმწეო ნანას. მერე გაახსენდა მისი ცხელი სუნთქვა, სუნთქვად გადაქცეული ჩურჩული თუ უსიტყვო კოცნა ალმურივით ედებოდა ყურზე; მერე გაახსენდა მისი კანის შეხება, უსვამდა თითებს სახის რბილ კანზე და თვითონაც რბილდებოდა, ნაზდებოდა, ყვინთავდა გამოუცნობ ნეტარებაში.

ფიქრებიდან ტელეფონის ზარმა გამოიყვანა.

— ნოდარი? სძინავს ნოდარს, — უპასუხა დედამ.

„ალბათ ნანაა. როგორ ჩაგვიშხამდა დღევანდელი საღამო!“

მეორე დღეს ისევ დარეკა ტელეფონმა. შინ არავინ იყო. ნოდარმა აიღო ყურმილი.

— ალო, ალო, ალო...

„ნანაა, ნანა!“

ნოდარი ხმას არ იღებდა.

— ალო, ალო, ალო... — ისევ ესმოდა ყურმილში.

— ტუ, ტუ, ტუ, — მოკლე სიგნალებით პასუხობდა ტელეფონი ნანას.

ისევ რეკავდა ნანა.

— ალო, ალო, ალო... — ისევ ესმოდა ყურმილში და სულგანაბული იკვნეტდა ტუჩებს.

— ტუ, ტუ, ტუ, ტუ....

— ისევ რეკავდა ტელეფონი. აღარ მიაქცია ყურადღება. „რეკოს რამდენიც უნდა“. ტელეფონი რეკავდა სასიკვდილოდ დაჭრილივით და ითხოვდა შველას. ნოდარი აივანზე გავიდა. „რატომ იმცირებს თავს“, — ფიქრობდა ერთსა და იმავეს....

მერე დაიწყო ცარიელი დღეები და ნერვიული ღამეები. არ ყოფნიდა გამბედაობა შეხვედროდა ნანას. არავის ეკითხებოდა რჩევას. იცოდა, კეთილშობილებაზე დასდებდნენ თავს, შეარცხვენდნენ, გაიცხადებენ მაღალფარდოვანი სიტყვებით, ჭკუას დაარიგებდნენ, ზოგიც მოუწონებდა საქციელს; ადვილი იყო მსჯელობა სხვის გასაჭირზე. „სხვა როგორ მოიქცეოდა? ყველა ასე მოიქცეოდა, — იმშვიდებდა თავს, — ყველანი ერთნაირები ვართ“.

ერთ მშვენიერ დღეს ნანას ამხანაგებს შეეჩეხა ქუჩაში, თავაზიანად მიესალმა, არ აპირებდა საუბრის გაბმას, მაგრამ სამივენი გაჩერდნენ და სამივეს სათითაოდ ჩამოართვა ხელი.

— როგორა ხარ? — ჰკითხა შავქურქიანმა ქალიშვილმა. ჩაფლულიყო ქურქში და ეეღარ გაიგებდი, მსუქანი იყო თუ გამხდარი.

— გმადლობთ, თქვენ როგორ ბრძანდებით, რასა იქმთ?

— საუცხოოდ, საუცხოოდ, — არავის დაეცალა ხმის ამოღება შავქურქიანმა, — ვათხოვებ მეგობრებს, ლამარა გავათხოვეთ, ელისო, ახლა ნანას ვათხოვებთ. ვის მიჰყვება? რა ვიცი, ვის მიჰყვება, მალე გავიგებთ, — ეშმაკურად იცინოდა და თვალს არ აცილებდა ნოდარს.

შეიპყრო გაქცევის სურვილმა, სადმე შორს, დასაკარგავში გაქცევის სურვილმა. „თითქოს სარეცხის თოკი ვიყო, ისე მუმიავენ აქეთ-იქითა; — ფიქრობდა იგი, — თხოვდება შენი შეყვარებული, შენ მოგყვება და...“. დაუნდობლად იპყრობდა გაქცევის სურვილი, სადმე შორს, დასაკარგავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10

ნანა დაბნეული უმზერდა. თითქოს ავადმყოფს პირთან მიუტანეს წამალი, სადილის კოჭზზე დასხმული სითხე და მერე მოულოდნელად, ხელის უხეში მოძრაობით კოჭზიდან ძირს დაიღვარა წამალი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,—უაზროდ იმეორებდა ნანა.

მათი სკამის წინ სამავშვო ეტლით ასეირნებდნენ პატარა ბავშვს. იგი საიმედოდ შეეფუთნათ და მხოლოდ თვალები უჩანდა. ნანამ ცრემლი მოიწმინდა. ნოდარმა თავს ძალა დაატანა და თქვა:

— შენ იცოდი?

ნანამ უხმოდ დაუქნია თავი.

მზიანი ამინდი დადგა, მაგრამ არ ცხელოდა. ხეებს ფოთოლგაცვენილი ტოტები გაეშვირათ ჰაერში მათხოვრის ხელებივით. ანათებდა მკრთალი, დაღლილი და გრილი მზე.

არსად იყო ქარი.

არსად იყო წვიმა.

არსად იყო ქარხნის მილების კვამლით ფერშეცვლილი ნისლი.

დეკემბისათვის უცნაური მზიანი დღე იყო. ზამთრის სიცივეს მიჩვეულებს მაინც თენთავდათ ეს დაღლილი და მკრთალი მზე.

— ნუთუ არაფერი გვეშველება? — თქვა ნანამ, — ღმერთო ჩემო, რა დავაშავე ასეთი.

— ნუ ტირი, ძალიან გთხოვ.

— ვიცინო? ძალიან მთხოვ, რომ ვიცინო?

— მე ხომ არ ვიცინი, მაგრამ ცრემლი რას მოგვიტანს.

— გულს გადააყოლებ.

— არ მეტირება.

— ალბათ უკვე გამომიტირე,—ოდნავ შესამჩნევი ღიმილით თქვა ნანამ.

— არა, ცოცხალს როგორ გამოგიტირებდი.

თვალები ორი ახალგათხრილი საფლავივით იყო მის სახეზე. ორმოში ეყარა შავი მიწა და თვალის უბეებიც ჩაშავებოდა. „რისი ბრალია,—ფიქრობდა ნოდარი,—უძილობის თუ დარდის. არა, ეს დარდი არ იქნებოდა. ეს იყო ალბათ განგაში, რაღაც ხიფათის მოლოდინი და გაურკვევლობა“.

— ყოჩაღი ბიჭი ხარ, უცრემლოდ უძლებ ტკივილს. ასეთი გაქვავებული სახით ადიოდნენ ალბათ რკინის ნერვებისა და მაგარი გულის პატრონები ეშაფოტზე. როგორი ყოჩაღი ბიჭი ხარ, ჭირს წარბშეუხრელად უმაგრდები, როგორი ყოჩაღი ბიჭი ხარ...

— არ გინდა ნანა, გაჩუმდი, ძალიან გთხოვ, გაჩუმდი.

— რამდენი სათხოვარი თქვი: გავჩუმდე; არ ვიტირო, არ ვიცინო, შენსავით გავმაგრდე, არა? გრძნობა დავუმორჩილო გონებას, არა?

— რა ვიღონო?

— არაფერი. წარმოიდგინე, რომ ზღვის ტალღები გაწყდებიან და გამაგრდი კლდესავით...

— მე ხუმრობის ხასიათზე არა ვარ.

— არაფერია, უნდა გამაგრდე.

ვიღაც ქალიშვილი მიაბიჯებდა ვაჟთან ერთად. მკლავგაყრილები იყვნენ. ქალიშვილი ამაყად მიაბიჯებდა. ვაჟს ნაცნობები მიესალმნენ და ქალიშვილმა ცივი მზერა ესროლა მათ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უნივერსიტეტის ბაღი უდრტვინველად სუნთქავდა. გაშიშვლებული ხეები გაშეშებულიყვნენ.

— ნუთუ არაფერი გვეშველება?

— ნანა, მე ვერ დავკარგავ მშობლებს, რომლებმაც გამზარდეს, რომლებიც მარჩენენ. რა უნდა ვიღონო...

— შენ ხომ უკვე დაიწყე სამსახური, გაისად მეც დავამთავრებ ინსტიტუტს, ვიმუშავებ, სადმე ვიქირავებთ ბინას და ვიქნებით ჩვენთვის.

— ნუ ფანტაზიორობ.

— ან წაიიღეთ სალმე, აქედან შორს, წავიდეთ რუსეთის რომელიმე ქალაქში და ვიცხოვროთ. უფრო მოენატრები შენს მშობლებს,—თქვა ნანამ და ნაღვლიანი თვალები მიაპყრო ნოდარს.

— შენ არ იცნობ მამაჩემს.

— რამდენს გეხვეწები, არა?! წამიყვანე-მეთქი ცოლად, ნოდარ, წამიყვანე ცოლად. რა სასაცილო ვარ და საწყალი,—თქვა ნანამ და წამიერი ღიმილით გაუნათდა სახე.

— ნუ ლაპარაკობ ეგრე.

აღელვების დროს ნოდარს უყვარდა წამოდგომა და როგორც იტყვიან, ბოლთას სცემდა ხოლმე. მაგრამ ახლა თვითონაც უკვირდა, რომ მშვიდად იჯდა სკამზე, თითქოს მილურსმული, და არ შესწევდა ძალა წამომდგარიყო.

— ნოდარ, თვეში ერთხელ მაინც შეეხვდეთ ხოლმე ერთმანეთს, როგორც ამხანაგები. ხომ გყავს ამხანაგი გოგოები, თუნდაც მათთან ერთად.

— იცი, რამხელა თვალები აქვს ქალაქს?

— ნოდარ, მე არ გავთხოვდები, შენც ნუ შეირთავ ცოლს. გავა დრო, იქნებ...

— ზღაპარია.

— გესმის, არ გავთხოვდები და ჩუმად შეეხვდეთ ერთმანეთს, გესმის, გაიგე?

გული აუჩქროლდა ნოდარს. ალერსით მოჰკიდა აწეწილ თმაზე ხელი, ლამობდა დაელაგებინა.

— აღარ მოგწონს?

— ალქაჯივით ხარ.

— ნოდარ, გაიგე, რაც გითხარი, ერთხელ ძლივს ვთქვი და როგორ გავიმეორო.

— ეს უარესია შენთვის,—თქვა ნოდარმა და თვალი თვალში გაუყარა.

— გეშინია?

— არა, შენზე ვფიქრობ, მიყვარხარ და შენზე ვფიქრობ,—თქვა და საოცრად გულგრილი მოეჩვენა თავისი ხმაც და სიტყვებიც.

— ვუყვარვარ,—ირონიულად გამოსცრა კბილებში ნანამ.

ნანა არ ქვითინებდა.

არსად იყო ქარი.

არსად იყო წვიმა.

— ჰო, ძველებურად მიყვარხარ,—ისევ გაიმეორა ნოდარმა.

გაუნძრევლად ისხდნენ სკამზე და თითქოს მომეზრებულ ლექციას ისმენდნენ.

— მაინც შენი ბრალია,—თქვა ნანამ,—შენი ბრალია ეს ცრემლები, ეს ყველაფერი...

— გაჩუმდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გითხრა, არაფერი არ გითხრა?

— ტყუილად მაბრალებ.

— არ გითხრა, რომ მხდალი ხარ და იოტისოდენა ნებისყოფა არ გაგაჩნია? რომ ამხელა ბიჭი შშობლებზე ხარ დამოკიდებული, რომ უსინდისოდ იქცევი მათი ხათრით...

— ნანა!

— ლაჩარი, ხარ ლაჩარი!

ზამთარი ჩვეულებრივად ზამთრობდა. ხან წვიმდა, ხან მზიანი დღეები იყო, ერთი-ორჯერ მოთოვა. ღამღამობით ქარი დათარეშობდა ქალაქში, მთვრალი სტუმარივით აბრახუნებდა სახურავებს, ღროდადრო წყნარდებოდა და სულგანაბული უსმენდა კატების კნავილს.

ნოდარმა სამსახური დაიწყო. დილით ადუღებული ჩაი უთუთქავდა სასას, ცივ წყალს ასხამდა ცხელ ჩაიში და სვამდა. მერე იპყლიტებოდა გატეხილ ავტობუსში, წამდაუწუმ ამოწმებდა საათს, ჩქარობდა, ნერვიულობდა და რამდენიმე წუთით მაინც იგვიანებდა სამსახურში.

საღამოობით ხედავდა ერთი და იმავე სახლის სახურავს, მოპირდაპირე მეზობლის ფანჯრებს, შორს მოჩანდა წყნეთი. ცა მუდმივი იყო და ერთფეროვანი. ნანას ამხანაგები პირს არიდებდნენ ნოდარს.

ქალაქის ცხოვრება ძველრა ჩვეულებრივი რიტმით. ქალაქს ეძინა, მუშაობდა, სადილობდა, მოუცლელ კაცივით ათას საქმეს გადაყოლილი. თითქოს შორიდან უმზერდა ქალაქის აჩქარებულ რიტმს და მხოლოდ დილით ესმაგავსებოდა: მირბოდა, ჯდებოდა გაუდიელ ავტობუსში, წამდაუწუმ იხედებოდა საათზე, მერე ისევ გარბოდა.

წვიმდა თბილისში და ნისლი ეფინა მთაწმიდის კალთებს. ტელევიზორის ანძის წვერიღა ამოწუეულიყო ნისლში. ისიც ბუნდოვნად მოჩანდა. ნისლმა გახსენა და მოანატრა მთები.

11

— რა ლამაზი ტანი გქონია, ნოდარ, პირდ პირ ქანდაკებასავითა ხარ... აბა, გაიარ-გამოიარე.

ნოდარი ვერ ეტეოდა შიფონერის გრძელ, ვიწრო სარკეში. მისი განიერი მხარბეჭი უფრო დიდი ზომის სარკეებისათვის იყო გაჩენილი. თეატრის ფოიეში ერთმანეთს ამშვენებდნენ ხოლმე კედლისხელა სარკე და ნოდარის განიერი მხარბეჭი.

ქალი კმაყოფილებით ათვალიერებდა ნოდარის დაკუნთულ სხეულს.

— კრიზე დავდიოდი, ტანვარჯიშზე.—თითქოს თავს იმართლებსო, ისე ამბობდა ნოდარი. — უყურე, კბილებით შემიძლია სკამი აეწიო. აი, უყურე... მოეშვი მაგ ჟურნალს ერთი წუთით.

ქალს საოცრად უყვარდა კროსვორდი. ფანქარს შუბლზე მიიბჯენდა და ტუჩების კვნეტით ფიქრობდა. როცა მიაგნებდა საჭირო სიტყვას, ახითხითდებოდა და გამარჯვებული სპორტსმენის იერით ავსებდა კროსვორდის უჯრებს. მალიმალ პაპიროსს ეაჩაედა. საფერფლეში მკვდარი თევზებივით ეყარა წითლადშეღებილი ნამწვავები. იატაკზე ალაგ-ალაგ იყო ფერფლი. ქალმა რომისებური დაასხა ღვინის ჭიქაში და გადაჭკრა.

— რამდენს სვამ, არ გათრობს?

— არა, ძალიანა ვსვამ. არაყი ერთი ლიტრა დამილევია ქეიფში. ტაქსით მიმიყვანეს შინ და სანამ გადმომთრევდნენ, მრიცხველმა ათი მანეთი დაწერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი მანეთი! უკრძნობლად მთვრალი ვიყავი, მეგონა თვითმფრინავიდან ძირს მიპირებდნენ გადაგდებას, უპარაშუტოდ.

— პარაშუტზე ერთი ანეგდოტი ვიცი...

ქალმა გაიცინა და თქვა:

— ძველია.

ქალს ჰქონდა დახუჭუჭებული თმები და გაპუდრული სახე. პუდრი სქელ ფენად გადაშლილიყო სახის ნაკვთებზე, მაგრამ ნოჭები მაინც ემჩნეოდა.

ქალმა ხელი გადაუსვა თმაზე.

— თეთრი თმები... რამ გაგითეთრა ასე მალე.

— აზრზე არა ვარ.

— თეთრი თმები დარდმა იცის.

— ჰო, დარდმა.

— რა დროს შენი დარდია.

ნოდარმა არაფერი უპასუხა. ქალმა ფანჯარა გააღო და გარეთ გაჰყო თავი.

— უჰ, რა ღამეა... მოდი ერთი. რა მოწყენილი ხარ, ყველაფერი გეზარება.

— გაზაფხულზე ეგრე მომდის ხოლმე, ქალაქში სული შემეხუთა.

— ქალაქი კარგია გაზაფხულზე.

— მაგრამ მალე ზაფხულიც მოვა, წავალ მთაში და სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ.

— აი, ფანჯარას მთლიანად გავაღებ, გაძღები სუფთა ჰაერით.

შეხედე, როგორ აახრჩოლე კვამლით ოთახი, რამდენს ეწევი, რამდენსა სვამ,—თქვა ნოდარმა.

— მაშ რა ვქნა?!

ოთახში იდგა ძველებური რკინის საწოლი. კედელში შეპრილი განჯინიდან, რომელიც თხელი ფარდით იყო დაფარული, ელექტროქურაზე დასკუპებული ჩაიდანის მხიარული სტვენა ისმოდა. მეზობელ ოთახებში ჩამიჩუმი არ იყო. ნოდარს ეგონა, რომ ყური ყველას აქეთ აქეს მომართული და კედელთან მიკრულები ყურს უგდებენ მათ.

— მოდი ჩემთან,—თქვა ნოდარმა.

ნოდარს ავიწყდებოდა, რომ ქალს ჰქონდა რბილი, ძალიან რბილი ტუჩები, თითქოს ცხელ წყალში დამბალი. ეტანებოდა ალერსს და მთელის სიცხადით შეიგრძნობდა მისი სხეულის ყოველი უჯრედი მომქანცველ ვნებას.

ქალი შეწუხებული ხმით იმეორებდა:

— უი, რამდენი თეთრი თმა.

— რას იზამ, დარდმა იცის,—თქვა ნოდარმა და გაიცინა.

— ამოგვლიჯო?

— არ გინდა, დარჩეს. უფრო მიხდება.

— შენ მალე დაბერდები.

— არაფერი შეგეშალოს,—ისევ სიცილით თქვა ნოდარმა.

— ბევრს დარდობ, ყველაფერზე ნერვების გაფუჭება არ ვარგა.

— შემომხედე, როგორი დაწყნარებული ვარ.

— თეთრ თმებზე რაღას იტყვი!

— ბავშვობიდანვე ეგრე მაქვს.

ქალმა კვლავ დალია რომისებური და ნამცხვარი მიატანა.

— რატომ არა სვამ, დალიე, იქნებ მოსვიდე გუნებაზე.

— რაში მეტყობა უგუნებობა?

— დღეს არა ხარ შენებურად, ვერ ამჩნევ?

— *არაფერია, ხვალ მოვალ.*

— *ხვალ სტუმრად მივდივარ ძმასთან, იშვიათად ვნახულობ და წყინთ.*

ხვალაც რომ არ წავიდე, ვეღარ გადავურჩები.

ნოდარი მოიღუშა და თქვა:

— რა ამბავია!

— მოდი შემირთე ცოლად და ყოველთვის შენი ვიქნები.

— სიამოვნებით,—თქვა ნოდარმა და გაიღიმა. „აი, თუ გინდა სკანდალი, გამოიძიონ მერე ამ ქალის გენეალოგია“.

— ერთი ამას დამიხედეთ, განა ახტა-დახტა სიხარულით, როგორ უგულოდ მპასუხობს.

ნოდარი ხმამაღლა იცინოდა.

— ძალიან უფროსი არა ხარ ჩემთვის?

— *მერე-რა.*

ნოდარმა თბილ ფლოსტებში გაჰყო ფეხი და ღია ფანჯარასთან მივიდა. ნიავმა შეაყრუოლა. მარტო ფეხები ჰქონდა თბილი. „ვინ იცის, რამდენს ჩაუცვამს ჩემამდე ეს ფლოსტები“,—გაიფიქრა მან. ეხამუშებოდა სხვისი ნახმარი და გაცვეთილი ფლოსტები.

მერე ორივენი იდგნენ ღია ფანჯარასთან. ნოდარს ანაგმაგებდა. ხმადაბლა მღეროდნენ: მშვიდობით ჩემო ქალაქო, ხვალ უკვე ზღვაში გავალთ...

ნოდარს მოსწონდა ვაკაციური სევდით შეფერილი სიმღერა და ვეღარ გრძნობდა, რომ ნიავი ცივად ედებოდა მის ტანს.

თითქოს მიელტოდა ახალ ქალაქს, თანამედროვე თეთრი სახლებით და მწვანე იავნზე აცოცებული მწვანედ შეფოთლილი ხეებით, მიელტოდა და ხედავდა ჟამთა სიავით გახუნებულ, ჩაყანგებულ ქალაქს, რუხი ფერის ჩამონგრეულ სახლებს და ერთადერთი ის იყო საერთო, რომ ორივეს ქალაქი ერქვა: თეთრსაც და რუხსაც.

12

არ აინტერესებდა რომელი სადგურები უნდა გაევლოთ. პირველად მგზავრობდა თელავამდე მატარებლით, მაგრამ მაინც არ აინტერესებდა. მატარებელი ზანტად მიბაჯბაჯებდა სიბნელეში, სადგურის პაწია სინათლე წუთით აჩერებდა მის ერთფეროვან ჯანჯღარს. ნოდარს არ აინტერესებდა მძინარე სადგურები. ისინი წუთით აჩერებდნენ მატარებლის ერთფეროვან ჯანჯღარს. ნავთლუღში გადახედა სადგურს და მერე ადარ დაინტერესებულა. იწვა და ნატრობდა ძილს. მატარებელი ერთფეროვნად ჯანჯღარებდა. სადგურები გულცივად ეგებებოდნენ მატარებელს, მცირე ხნით აყოვნებდნენ და ისევ უშვებდნენ ღამის სიბნელეში. ნოდარი იწვა და ნატრობდა ძილს. ოდნავ ღია სარკმლიდან ცივი ჰაერი მოიწევდა ვაგონში. მატარებელს მობეზრებული ტვირთივით მიათრევდა ორთქლმავალი.

გაეხვია პირამდე ზეწარში. ცოტა შეცივდა, მაგრამ ეზარებოდა სარკმლის დაკეტვა. ქვედა საწოლზე ხვრინავდნენ. ერთმანეთისაკენ პირშექცეულნი ხმამაღლა და ბრაზიანად ხვრინავდნენ, თითქოს ხვრინვა დღისით დაწუებული კამათის გაგრძელება იყო. ნოდარი იწვა და ნატრობდა ძილს. ხანდახან ჩათვლემდა. მერე ისევ ეღვიძებოდა, მერე ისევ ჩათვლემდა. ორთქლმავალი მობეზრებული ტვირთივით მიათრევდა მატარებელს გრძელ გზაზე. მატარებელი ერთფეროვნად ჯანჯღარებდა. მკრთალად განათებული სადგურები გულცივად ეგებებოდნენ მატარებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილის ხუთ საათზე ვაგონის გამყოლმა ჩამოიარა ლოგინის ქირის ასაკრებად. უკვე გათენებულიყო. სარკმლიდან ადარ მოჩანდა სიბნელე.

მოღუშული მაიორი განცვიფრებით უმზერდა, როგორ მოსწია ნოდარმა უზმოზე ზედიზედ ორი სიგარეტი და როგორ ჰყრიდა ფერფლს ისედაც დანაგვიანებულ იატაკზე. მაიორი წესრიგის მოყვარული კაცი ჩანდა. მან სწრაფად და ლაზათიანად ჩაიცვა, თითქოს საბრძოლო სიგნალის ხმა მოესმაო. საიდანღაც ფეხსაცმლის სწმენდი ხავერდი ამოაძვრინა და გაბრიალებულ ჩექმებს ერთიორჯერ გადაუსვა. ახლა ნოდარი ადევნებდა თვალს განცვიფრებით. მაიორის პეწიანობამ მოხიბლა. მერე დაჰხედა თავის მტვრიან ბატინკებს და გაიცინა.

— ლეიბები არ ვარგა, თითქოს ქვაზე მეძინა,—მკაცრი კილოთი უთხრა მაიორმა ვაგონის გამყოლს.

— მაღე გამოვცვლით,—დაპირდა გამყოლი.

— სიზიზღარი ლეიბებია,—თქვა მაიორმა.

„ეტყობა, კომფორტის მოყვარული კაცია,—გაიფიქრა ნოდარმა,— მე ულეიბოდაც მშვენივრად დავიძინებდი და ფულიც შემენახებოდა“.

ამომავალ მზეს ბატკნებივით მიჰყვებოდნენ ღრუბლის პატარ-პატარა ნაფლეთები. ჩრდილოეთით იყო ლურჯი კავკასიონი, თეთრი წვეტები სუსხს ურევდნენ გულკეთილ ეერში. კავკასიონი ალაზნის ველის ვეება ჯებირად ავარდნილიყო მაღლა. ნოდარს გაახსენდა, როგორი იყო ორი თვის წინათ ალაზნის ველზე გაზაფხული, რომელიც სიმწვანის ზღვაში კუნძულებად აფეთქებდა თეთრსა და ვარდისფერ ხეებს. ახლა კი უკვე ზაფხულის პირველი სიცხით სუნთქავდა ალაზნის ველი.

ავტობუსში ნოდარის გვერდით იჯდა ცნობისმოყვარე მოხუცი, თავზე ეხურა ჭილის ქუდი და თეთრი ტილოს კოსტუმი ეცვა.

ცნობისმოყვარე მოხუცი განუწყვეტლივ აცმაცუნებდა ტუჩებს, თითქოს კამფეტს ეწუწნიდა უკბილო პირით.

— ექსპედიციაში მიდიხარ?—ჰკითხა მან ნოდარს.

— არა, წყალსადენს ვაკეთებთ ყარაჯალაში,—მიუგო ნოდარმა.

— თითრებმა ალაზნის წყალი უნდა დალიონ?—თქვა ცნობისმოყვარე მოხუცმა გაურკვეველი ინტონაციით და ნოდარმა ვერ გაიგო, მოსწონდა თუ არა მოხუცს, რომ ამერიდან თათრებმა ალაზნის წყალი უნდა დალიონ.

— შალვას იცობ?

— როგორ არა, ჩვენთან მუშაობს.

— სადაა ახლა, ხომ ვერ მეტყვი?

— არა, არ ვიცი. ჩვენ მოხეტიალე ხალხი ვართ და ღმერთმა უწყის ჩვენი ადგილსამყოფელი.

— თქვენ რესპუბლიკის ფარგლებში მაინცა ხართ, ზოგი პამირზეა და ზოგი კამჩატკაზე... შალვა ჩემი სიძეა.

ნოდარმა თავაზიანად გაუღიმა და თქვა:

— ჰო, შალვა... ჭკვიანი ბიჭია.

— ვიქტორი როგორ არის?—დაინტერესდა მოხუცი.

— ვიქტორი დაჭერილია.

— აუ,—დაიღრიჯა მოხუცი და შუბლზე შემოირტყა ხელი,—ეს რა მითხარი! კარგი კაცი იყო, ტყუილად გაიფუჭა თავი,—თქვა მან დანანებით.

მერე რაღაცას ყვებოდა, მაგრამ ნოდარს მობეზრდა მისი ცნობისმოყვარეობა. „ახლა მამაჩემის პროფესიას მკითხავს,—ფიქრობდა იგი,—მერე ცოლის სახელს, ბოლოს ისიც დაინტერესებს, ბაბუაჩემი რომელ სასაფლაოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარხია". ნოდარი ყურს უგდებდა ცნობისმოყვარე მოხუცის მსჯელობას. თვალი სხვებზე გადაიტანა.

კვირა დღე იყო და ავტობუსი ხალხს ვედარ იტევდა. კონდუქტორი ყაჩაღს ჰგავდა. შავებში ჩაცმულმა, მოკუნტულმა დედაკაცმა ორი შაური ხუთრდა შეახსენა. კონდუქტორმა ერთი შაური მისცა.

— მითხარი, როცა ჩასელას დააბრეკ და დანარჩენს მერე მოგცემ, — თქვა მან და შავტუხა ახალგაზრდას გადაულაპარაკა. — ძნელია, ძმაო, ამ ბაზრის ხალხში შუამავა, გაწუწკებული არიან.

მთელი ავტობუსი დაიპურა. მერე დინჯად ამოიღო „ყაზბეგი" და გააბოლა. ავტობუსში ტეგა არ იყო, ცხელოდა. თამბაქოს არავინ ეწეოდა კონდუქტორის გარდა.

ავტობუსმა გემოზე აამტვერა გზა და ყარაჯალაში ჩავიდა.

ორღობე ნარიყალს მიჰყვებოდა. ორივე მხრიდან აღმართულიყო ქვის ყორეები. ყველგან ქვები ეყარა. დიდი თუთის ხის ქვეშ ფარდაგი გაეშალათ და ზეზე ამძვრალი ბავშვები ბერტყავდნენ თუთას. ეზოებიდან წითელი ნაკვერჩხალივით ბრიალებდა ბროწეულის ყვავილები.

ნოდარს გაახსენდა, ორი თვის წინათ როგორ მიეშურებოდა ალაზნის პირას ჭალაში, სოფლიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მანძილზე, სადაც ცენტრალურ შურფს თხრიდნენ. იქ, პატარა კარავში, ცხოვრობდა დარაჯი, სახელად მაჰმუდა, საკმაოდ ხანდაზმული კაცი. მას ხოჭოსავით ულვაშები ვაშვა. მაჰმუდა უმზადებდა ლობიოს კერძს ხახვითა და ზეთით. ნოდარი ვერ იტანდა კახურად მოხარშულ ლობიოს, მაგრამ სხვა გზა არ იყო და ნაძალადევად შეექცეოდა, თან აქებდა მაჰმუდას გასაგონად. მაჰმუდა უამრავ ტყუილს აცხობდა. ოგონებდა თავის ახალგაზრდობას, ტრაბახობდა, როგორი ვაჟკაცი იყო თავის დროზე, როგორ აცურებდა ქალაქელ ჯიბგირებს, როგორ ჰპირდებოდა საროსკიბოს „უნამუსოობს." ცოლად წაუყვანს და როგორ მუსრავდა „მტრებს" ბასრი ხანჯლით. ყვებოდა ტყუილებს მაჰმუდა და ნოდარი აღტაცებული იყო მისი ფანტაზიით. მერე გაახსენდა, რამხელა გაჭირვებით გათხარეს ცენტრალური შურფი. ვეღარ მიმხვდარიყო რა უფრო უხარიდა: ის, რომ თვითონ აკეთებდა წყალსადენის პროექტს თუ ის, რომ ამ სოფელს ბოლოსდაბოლოს ეღირსებოდა კარგი სასმელი წყალი. ყველაფერი რიგზე იყო...

ძველ მასპინძელს მიადგა. თაირის ქალები შეეგებნენ ეზოში.

— გამარჯობათ, როგორა ხართ? — მხიარულად მიმართა მათ ნოდარმა.

— გმადლობთ.

— რა მაგარი სიცხეა...

— გმადლობთ.

ყველაფერზე რატომღაც „მადლობას" ამბობდნენ. ოჯახის უფროსი ბაჭოში წასულიყო გამოცდების ჩასაბარებლად. ნოდარმა თავისი რუკაზეკი მეორე სართულზე აიტანა, იმ ოთახში, სადაც ორი თვის წინათ ცხოვრობდა.

მერე წავიდა ალავერდში. თელავის ბაზარზე ძარღვიანი კახური ჰური იყიდა და ყველი. ალვანის ავტობუსშიც ჰედვა იყო. ჩამოვიდა ალავერდის გადასახვევთან. უფრო მაგრად ჩამოცხა. ფეხით გაუყვა გზას. ცხელოდა და გზა არ თავდებოდა.

ალავერდში არავინ იყო. კარზე ჩამოკიდებული კლიტე უკმეხად იბღვირებოდა. გარშემო შემოუარა ტაძრის გალავანს და არსად ჩანდა ღია შესასვლელი. მერე ალაბედად ვიღაც ექსკურსანტები მოგრიალდნენ ავტობუსით. სოფლიდან ტაძრის დარაჯი მოიყვანეს. ნოდარი ექსკურსანტებს შეერია. ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოჭლი ქალი ერთად მიაბიჯებდა ბოლოში. ერთ მათგანს წითელი ლაქები ჰქონდა უმარილო სახეზე და მოკაუჭებული ცხვირი. „ლამაზი მაინც იყოს, — გაიფიქრა ნოდარმა, — თუმცა საიდან იქნება ლამაზი, დარდი დაუწნეობდა“.

ტაძარში რატომღაც ზოგპარკის სუნი ტრიალებდა, ლომებისა და ვეფხვების გალიასთან რომ იცის ხოლმე საუზმის დროს.

დარაჯმა ხალისით გასწია გიდობა. ექსკურსანტები უდიდესი გულისყურით ათვალიერებდნენ ტაძარს და გამუდმებით იწერდნენ რაღაცას უბის წიგნაკში. ნოდარი შეჰყურებდა გაქვარტლულ ჭერს. მერე ექსკურსანტებმა დიდი მადლობა გადაუხადეს დარაჯს. დარაჯიც მადლობას იძახდა. მერე ექსკურსანტები ჩასხდნენ ავტობუსში და წაგრიალდნენ. ნოდარი აინუწნიაც არ ნაუგდია, მასაც დაეზარა ხვეწნა. „ისევ ფეხით წავალ“, — გაიფიქრა ნოდარმა.

ონკანიდან წყალი მოუშვა და ალია. წყალი თბილი იყო და უგემური.

— მინერალების ნაკლებობა, მაგნიუმ-ნატრიუმიანი შენაერევები, — ხმამაღლა თქვა მან.

— რაო, შენი ჭირიმე? — თქვა დარაჯმა.

— წყალი არ გივარგათ.

— კარგი წყალი იყალთოში არის და კარგი ბუნებაც, — ხაზგასმით თქვა დარაჯმა, თითქოს დახლში იდგა და გასაყიდ საქონელს ექებდა.

— იყალთოში ვეღარ მოვსწრებ, შუამთა მირჩევნია...

ცაზე საავდრო ღრუბლები გროვდებოდა. გომბორის თავზე შავად შეიღება ცა. ტაძარს უკვე დიდი მანძილით გამოსცდა და აღარ ღირდა უკან დაბრუნება. ფეხს აუჩქარა. ჭვიმდა და თავს დასტრიალებდნენ უზარმაზარი ღრუბლები. მერე სეტყვამ წამოუშინა. სეტყვა მსხვილი იყო. ნოდარი მირბოდა მახლობლად მდებარე სოფლისაკენ. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ატყდა ტკაცანი. ნოდარს ეგონა, რომ სკდებოდა მეხი და აღარ შეეფარა ხეებს. მეხისა ეშინოდა. ორღობეს სირბილით გაუყვა და პირველივე სახლის ეზოში შეჯრდა. ეზო სეტყვის მსხვილი მარცვლებით იყო მოფენილი. სეტყვის მარცვლები ცურავდნენ წყლის გუბეებში. აივანზე მთელი ოჯახი გამოსულიყო. ნოდარი საშინლად დასველდა. მასპინძელს მესტები ეცვა შიშველ ფეხზე, კოჭებთან შაბიამნისფრად შეღებოდა თეთრი, მზედაუკრავი ხორცი. ეტყობა ვენახს წამლავდა და სეტყვამ მოუსწრო.

ტკაცანი გრძელდებოდა.

— ამდენი მეხი აღარ გამიგია, არც ელავს, — თქვა ნოდარმა.

მასპინძელმა ქერა ულვაშებში ჩაიღიმა და თქვა:

— ეგ მეხი როდია, თოფებს ისვრიან სოფელში.

— თოფებს? ღრუბლების გაფანტვა ხომ არ უნდათ?

— არა, რწმენაა.

აივანზეც ეცემოდა სეტყვის მსხვილი მარცვლები. ნოდარს წყალი მოსწყურდა.

— წყალს ვერ დამალევინებთ? — თქვა მან მოკრძალებით.

— მოიტა, გოგ, წყალი, — თქვა მასპინძელმა. პატარა გოგონამ კოკით გამოიტანა ოთახიდან წყალი და ტოლჩაში დაუსხა. ნოდარი ხარბად დაეწაფა წყალს და ორი ტოლჩა დალია.

— ტყუილად იღებენ ხელფასს გეოლოგები, ეგ მკვდარძაღლები, — ბრაზიანი ხმით თქვა მასპინძელმა.

„რა შუაშია გეოლოგები, — ეწყინა ნოდარს, — ალბათ მეტეოროლოგებს გულისხმობს“.

ოჯახში თითქოს მიცვალებული ესვენა. მსხვილი, ბავშვის მუშტისოდენა ბრილიანტი თეთრი მარცვლებით აციცო ეზო. მასპინძელი იგინებოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადაიღო სეტყვამ. ორღობეში პროცესია დაიძრა. ყველას მგლოვიარე სახე ჰქონდა. ნოდარი უხერხულად გრძნობდა თავს. მერე გაუყვა ატალახებულ ორღობეს...

თელავში წვიმის ერთი წვეთიც არ ჩამოვარდნილიყო. ტალახში ამოგანგლული ნოდარი საკმაოდ დანაღვლიული „მოსკვიჩის“ ატ-ტრონს გაურბოდა და შუამთაში წავიდნენ. შუამთაში საბავშვო სახლი აღმოჩნდა. „კარგი ადგილი აურჩეიათ“, — გაიფიქრა ნოდარმა...

მონასტერი დათვალიერა. მერე სამრეკლოზე ავიდა. კიბე ბნელი იყო. მტვრედები დფრთხიალებდნენ სიბნელეში. სამრეკლოს კედლები და ჭერი ექსკურსანტთა წარწერებით იყო აჭრელებული. ზოგს დიდრონი ასოებით ამოეკვეთა თავისი სახელი და გვარი, ზოგს მეტი თავმდაბლობა გამოეჩინა. ნოდარი კითხულობდა წარწერებს და ნაცნობს ეძებდა. მთელი ნახევარი საათი შესწირა წარწერების ამოკითხვას, მაგრამ ერთი ნაცნობი სახელი და გვარი არ მოხვდა თვალში. მერე ფანქარი ამოიღო, კედლთან ჩაცუცქდა და სასწაულით გადარჩენილ ადგილზე თავისი სახელი დაწერა. მერე ხელა მექანიკურად გამოიყვანა მეორე სახელი. ყველგან ერთად წერდა ამ ორ სახელს და ახლაც ხელმა მისდაუნებურად გაასწია ნანა. ასოები ჩვეულებრივზე მეტად დაეშორა ერთმანეთს, რომ თავისი სახელის სიგრძეზე გაეგრძელებინა მეორე სახელიც. მერე ზემოდან გადახედა. ულრან ტყეებად ატეხილ მიდამოს.

ტყეში სამარისებური სიჩუმე იყო., ულრანი ტყე ისვენებდა. სიგრილე მაროსავით უნიავებდა სახეს, კუნძზე დაჯდა და მოშიებული დაეტაკა თავის პურსა და ყველს.

— ნანა! — ხმამაღლა წამოძახა მან. ტყე არ პასუხობდა.

ნოდარი დარწმუნებული იყო, რომ ნანას ესმოდა მისი ხმა, ნანა აქ, სადღაც იყო დამალული, გაჩუმებული, და გაბუტული არ პასუხობდა.

— ნანა!

რა ბედნიერები იქნებოდნენ, აქ რომ ყოფილიყო. ირბენდნენ, დაიღლებოდნენ და მერე თვალები ატკივდებოდათ ცაში ყურებით. ხის ცენწეროები მორცხვად დასუნქავდნენ თვალებს.

მერე აუქნია ხელი ფიქრებს. ტყეში სამარისებური სიჩუმე იყო. ნოდარი პურსა და ყველს შეექცეოდა.

13

მეორე დღეს მუშაობდა. წყალსადენის ტრასას აპყვა თითქმის ალვანის გზამდე. ზაპიდა და ქოსა თხრიდნენ შურფებს. ნოდარი სამკილოიან ნიმუშს იღებდა კოროზიაზე.

სოფელს წყალი უჭირდა. ცხენწებმული ორთვალთი მიჰქონდათ წყალი მინდორში სამუშაოდ გასული ხალხისათვის. წყალი ესხა ალაგ-ალაგ შეკსელტილ რკინის კასრში. კოლმეურნეობის კანტორის წინ, ონკანთან, გრძელი რიგი იდგა. მაღალყელიან სპილენძის თუნგებს ავსებდნენ ძვირფასი და უგემური წყლით და ბავშვივით დედის კისერზე მოკიდებული თუნგები მისვირნობდნენ ორღობეში.

— იცოცხლე, — დალოცა ვიღაც ქალმა ნოდარი, როცა გაიგო, ყარაჯალაში მალე იქნება წყალიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღის მუშაობით ქანცგამოლეული დაბრუნდა შინ. თბილისიდან წამოღებული ხორცის კონსერვი გააცხელა ელექტროქურაზე. მასპინძლებმა მწვანე ხახვი მოართვეს. ხახვი ყელს უწვავდა. მერე მასპინძლის ახალგაზრდა ყმაწვილთან თამაშობდა ნარდს. ოთახი ბუზებით იყო სავსე. მაგიდაზე გაშლილ მცირეოდენ ხორავს გაზეთი გადააფარა. ბუზები ბზუილით ასკდებოდნენ გაზეთს და გზას ეძებდნენ.

შემდეგი დღეები ისევ მუშაობამ წაიღო...

— ზაპიდ, — თქვა ნოდარმა, — ეს ქოსა რა ჩუმი კაცია, არაფერს ლაპარაკობს.

— ქართული არ იცის, — თქვა ზაპიდამ.

— მართლა. ერთი მითხარი, ნამდვილი სახელი რა ჰქვია?

— ქოსა, — სთქვა ზაპიდამ.

— ნამდვილ სახელს გეკითხები, კაცო.

— ყველა ეგრე ეძახის. ბავშვობიდანვე ეგრე ეძახიან. დედ-მამაც ეგრე ეძახდა. ნამდვილი სახელი არავინ იცის.

შავი ხალათი ზაპიდას ჩია ტანს უფრო აპატარავებდა. იგი ბევრს ლაპარაკობდა (თითქოს ქოსას მაგვარადაც), წამდაუწუმ ისვენებდა, გაზეთის ქაღალდში ახვევდა თუთუნს და აბოლებდა ქვაზე ჩამომჯდარი.

— ბეჩავი კაცია ეს ქოსა,—თქვა მან.

ნოდარმა გაჰხედა ქოსას. ქოსა ბულდოზერივით შუაობდა. მოყვითალო ულვაშები ოფლს დაესველებინა. ოდესღაც მომწვანო ფერის ათასჯერ დაკერებული შარვალი ეცვა და საშინლად გახუნებული კიტელი. ქოსა მაგრად შუაობდა.

ნოდარი თავზე ადგა მუშებს და თვითონაც ეხმარებოდა შურფის ამოთხრაში. მერე იღებდა ნიმუშებს და ისევ მიწით ავსებდნენ ამოთხრილ ორმოებს. ამოვსებული შურფები შავი მუწუკებივით დაჩნდა მწვანე ყანას. მიჰყვებოდნენ წყალსადენის ტრასას ალაზნის მიმართულებით და ხელმარცხნივ, თეთრად ბდღვიალებდა ალავერდი.

ერთი-ორ ადგილას ძალიან ღრმა შურფი იყო გათხრილი. ვიღაცას თავი მოეჭარა. მიწით ავსებდნენ ორმოს, მაგრამ სიღრმე თითქოს იგივე რჩებოდა.

— არ შეიძლება. ლანჩხუთში კოლმეურნეობის ძროხა ჩავარდა და ათი ათასი მანეთი შეგვაწერეს, — აუხსნა ნოდარმა.

— გაუშვი, ეგრე დავტოვოთ,—თქვა ზაპიდამ.

— ფეხით რომ ჩამომკიდონ, მაინც არაფერი გადმომცივა. ფულს დაწესებულება გადაიხდის, მე კი მომხსნიან სამსახურიდან.

— კაცი რომ ჩავარდეს და მოკვდეს?—არ მოეშვა ზაპიდა.

— კაცზე ცისეა.

ქოსა ჩუმად მუშაობდა...

ალაზნის პირას ახლახანს დარგული ვერხვების ხეივანი იყო. ვერხვები პარალელურ მწკრივებად დაერგოთ. ხეივნის იქით ქვიშა იყო, მერე — ალაზანი. ალაზნის თხელ წყალში კამეჩები იწვნენ. წყნარ ამინდშიც ირხეოდნენ ვერხვები და გაუთავებლად შრიალებდნენ. წყლის სიო ხანდახან მაგრად შეაქანებდა ჯერ კიდევ ნორჩ ვერხვებს.

— რა უმეური კაცი ყოფილა შენი ქოსა,—თქვა ნოდარმა.

— აბა, არც თვითონ იცინის, არც სხვას გააცინებს,—ისევ წაიგრძელა ენა ზაპიდამ, გახარბუულმა იმით, რომ სალაპარაკო თემა მონახა,—თანაც ცოლი გაექცა და პატარა ბალღები მიუტოვა.

ორმოში წყლის გუბე იდგა. გუბეში ბაყაყები ჭყუმპალაობდნენ. ზაჰიდ-ჯინჭებს ესროდა.

— ცოლი გაიქცა საწყალს?—თქვა ნოდარმა.

— ჯერ გაადგეს და მერე გაიქცა. თელავში გაიქცა. ვინა და ქოსას უფროსმა ძმამ გაადგო!

— ძმას ვინ ეკითხებოდა მაგ ამბავს.

— რა ვიცი, ქოსა აქ არ იყო, თორღვას აბანო იცი? იქ მუშაობდა გზის შენებლობაზე. ჩამოვიდა და ცოლი არ დახვდა.

— მერე?

— დარდობს, თანაც შვილებს ვერ უვლის. მთელი დღე მუშაობს და როგორ მოუვლის.

კამეჩი ვერხვის ფოთლებს შეეკცეოდა. ნოდარმა დაუტატანა, კამეჩმა ყურიც არ გაიბერტყა. მერე ქვები დაუშინა და კამეჩი მოშორდა ხეივანს.

ზაჰიდა საუბრის მადაზე იყო.

— ერთი არაკი ვიცი, სწორედ მაგაზეა.

— აბა ბრძანე,—თქვა ნოდარმა.

ზაჰიდას მეტიც არ უნდოდა.

— ერთი მდიდარი კაცი იყო და მწყემსებს ეძებდა. ორი ძმა მივიდა. მდიდარმა ორივეს ქვაში ჩაუყარა ჩექმაში და უთხრა, საღამომდე ეგრე იარეთო. ძმები წამოვიდნენ. ერთმა შეიგინა და გაისუფთავა ჩექმა. მეორემ მთელი დღე იწვალა, მაშ!—ნიჩბის ტარს დაყრდნობილი ზაჰიდა ღიმილით უმზერდა ნოდარს, რომელიც გაფაციცებით ჰყრიდა ორმოში მიწას. ქოსა ოდნავ მოშორებით მუშაობდა. — ჰოდა, მივიდნენ საღამოს მდიდართან. მდიდარმა გაახდევინა ორივეს და ფეხებდახეთქილს უთხრა. შენ შენი ფეხებისათვის ვერ მოგივლია, ჩემს საქონელს როგორ მოგაბარებო. მეორე ძმა აიყვანა მწყემსად. ეგ არის სულ.

— ქოსაზეა?

— არა, ეს ძველი არაკი არის.

— ქოსაზე არისო რომ თქვი.

— ქოსაც ბეჩავი კაცია.

— არ უნდა ცოლი დაიბრუნოს?

— ცოლი ვერანაა,—განაგრძობდა ზაჰიდა,—მიხვალ სამუშაოდან. დაღლილი ხარ. გშია. ბუზღუნებს, ეზარება პური გაჭამოს. ჩაი აადუღოს. უნდა სცემო და მორჩა.

— ბიჭოს, შენ ანტიფემინისტი ყოფილხარ!

— არა კაცო,—დაიმორცხვა ზაჰიდამ.

— ჰა, ზაჰიდ, იცი, ერთი მეცნიერი იყო, გვარად ბიშოფი, ამტკიცებდა, რომ ქალი და კაცი ვერ გათანასწორდებიან, რადგანაც ქალს უფრო პატარა ტვინი აქვსო...

— ქალს მგონი... — იჭვნეულად თქვა ზაჰიდამ.

ყური დამიგდე, იმ მეცნიერმა ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ბერი წაიღო. გაჭრეს და იცი, რა ნახეს: იმ შენი მეცნიერის ტვინი ისე პატარა იყო, რომ ქალი კი არა, ქათამიც დაიწუნებდა.

—ზაჰიდამ არაფერი თქვა, მხოლოდ თავი გააქნია და ისევ დაიწყო ქვიშიანი მიწის ჩაყრა ორმოში. ნიჩაბს ქვებიც ხვდებოდა და ერთი ჭახა-ჭუხი იყო.

— აბა, ცოტა ავჩქარდეთ, თორემ დაგვაღამდება,—თქვა ნოდარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოსას არ სჭირდებოდა შეხსენება. მუშაობდა ჩუმად და ორივეზე მეტ-სანაცვლოს მეს აკეთებდა.

მერე დაღლილებმა მხარზე ნიჩბები გაიდეს და სოფლისაკენ მიმავალ გზას გაუდგნენ. ნოდარს ორივე ხელისგულზე ბეგრები ეჩნდა. ნაბიჯს უმატა, რომ მალე მისულიყო შინ და დაესვენა. დასვენება, ვახშამი და ძილი არაჩვეულებრივი ხალისით მოწყურებოდა დაქანცულ სხეულს.

— ფულს ხვალ დილით მოგცემთ,—უთხრა მუშებს.

დილის ექვს საათზე მიდგა ქოსა და ტკბილი ძილი დაუფრთხო. ძლივს გაიღვიძა ნოდარმა კარის ბრახუნზე და ოთახში შეიპატიჟა. ქოსამ მესტები გაიხადა და აივანზე დასტოვა.

ნოდარი ნამძინარევ თვალებს იფშვნეტდა. ხელფასის უწყისი შეავსო და ხელი მოაწერინა ქოსას. მერე მისცა ფული.

ქოსამ ფული დაითვალა, ცივად შეხედა ნოდარს და თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

„აღმათ ფული ეცოტავა“, — გაიფიქრა ნოდარმა.

— რაო, ქოსა, გეცოტავა ფული?

— ?!

— ფული...—ნოდარმა თითებით ანიშნა.—ცოტაა ფული?.

ქოსამ ოდნავ გაიღიმა.

14

რადიოლა აფრქვევდა დაღლილ ბლიუზს. ყველანი ცეკვავდნენ. ისვენებდა სუფრა: სავსე ჭიქები და დათხვრილი თეფშები. წყვილები ირწეოდნენ ერთფეროვნად, როგორც ნაპირზე ჯაჭვით დაბმული ნავები და ბლიუზის ტალღები ერთ მოტივს კვნესოდნენ.

ნოდარი ძალად მოყვანილი სტუმარივით იჯდა ცარიელ მაგიდასთან. მას არ უნდოდა ყოფნა ამ დღეობაზე, ერიდებოდა ნანასთან შეხვედრას, მაგრამ ბევრ ხვეწნას ვერ გაუძლო და ახლა ღვინომოკიდებული თვალებით უმზერდა, როგორ ცეკვავდა ნანა მაღალ-მაღალ ვაჟთან, რომელსაც ნოდარი ცხვირამდე მიწვდებოდა. მაღალ-მაღალი ვაჟი რაღაცას ეჩურჩულებოდა ნანას. სხვა წყვილები ჩუმად ცეკვავდნენ, ზოგიც ხმამაღლა ლაპარაკობდა და ერთის შეხედვით ჩანდა, რომ ისინი მხოლოდ ცეკვავდნენ.

ნანა და მაღალ-მაღალი ვაჟი ხშირად იცინოდნენ. მათი სახე ერთმანეთს ემსგავსებოდა სიცილის დროს. მაგრამ ნანას სიცილი უფრო მკთალი იყო იმ ვაჟის სიცილის ნეგატივივით. ნოდარი კი ხედავდა, რომ ჩვეულებრივზე მეტად ეკვროდნენ ერთმანეთს ნანა და მაღალ-მაღალი ვაჟი, რომელსაც ცხვირამდე მიწვდებოდა ნოდარი.

რადიოლა აფრქვევდა დაღლილ ბლიუზს. წყვილები ირწეოდნენ ერთფეროვნად. მერე საერთო რწევას გამოეყო ძალიან ლამაზი და ძალიან მსუქანი ქალიშვილი. მან იცოდა, რომ ლამაზი იყო და სიმსუქნეზე ალბათ თავს იტყუებდა. ცეკვა მშვენიერი წამალი იყო მისთვის, მაგრამ დაიღალა და მეტი აღარ შეეძლო.

ნოდარს გაეხარდა, რომ მსმენელი იპოვა და ჰყვებოდა ათას აბდაუბდას, ხუმრობდა და ერთი-ორჯერ მოწყალებასავით გაიღო ღიმილი მსუქანმა ქალიშვილმა.

— მე თქვენ აღგიქვამთ, როგორც ყურებს,—თქვა ნოდარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუქანს ეწყინა.

— არა, ნუ გამიგებთ ცუდად, მე ცას ვეწევი სიხარულით, რომ თქვენ მისმენთ. თქვენი გაჯავრება ფიქრადაც არ მომსვლია.

მსუქანმა ნაზად გაიღიმა და თქვა:

— ყურები ყველაზე მახინჯი რამ არის ადამიანში. ამიტომაც არ ხატავს გუდიაშვილი ყურებს!

— მართლა?

— რაო, თქვენ არ გინახავთ გუდიაშვილის გამოფენა?! — გაოცებით შეხედა ნოდარს მსუქანმა.

— როგორ არ მინახავს.

— ალბათ არ გახსოვთ.

— თქვენ მხატვარი ბრძანდებით?—ჰკითხა ნოდარმა.

— არა, აკადემიაში ვმუშაობ, მეცნიერ თანამშრომლად,—თქვა მსუქანმა და სერიოზული სახე მიიღო.

— თქვენთან შვეიცარად მაინც არ დამნიშნავენ?

— რა ვიცი, სცადეთ, იქნებ გაგიღიმოთ ბედმა,—თავშეკავებულად იცინოდა მსუქანი.

ნოდარმა თვალი აარიდა მის სავსე გულმკერდს (დეკოლტე ახალი შემოსული იყო) და ქურდულად გახედა ნანას. ნანა ისევ მაღალ-მაღალ ვაჟთან ცეკვავდა უდარდელი კისკისით. ნოდარი მსუქანს მიუბრუნდა.

— შორს ცხოვრობთ?

— არა, რუსთაველის პროსპექტზე,—თქვა მსუქანმა.

— ეგრეც უნდა იყოს! რა თქვენნ საკადრისია ნავთლუღი ან ნაძალადევი, თქვენ თვითონაც რუსთაველის პროსპექტივით ტურფა და ფართო ბრძანდებით...

— გმადლობთ, უნიჭო კომპლიმენტისათვის,—პირში მიახალა ნოდარს სახეწამოწარხლებულმა მსუქანმა.

— ეგ არის, რაც შემიძლია. მე თქვენ გაგაცილებთ და ვნახოთ ახალგაღვიძებული თბილისი. ნებას მომცემთ?

— არ ვიცი, ძალიან მეძინება.

— მოგწყინდათ ჩემი უბედობა?

— პირდაპირ გეტყოდით, მე ძალიან მიყვარს პირდაპირობა და ადამიანში ყველაზე მეტად ამ თვისებას ვაფასებ.

მისი სახის თვითეული ნაკვთი მიჰყვებოდა სიტყვებს და სახეზე დასთამაშებდა ირონიული ღიმილი. თითქოს წინასწარ ამზადებდა ამ ღიმილს ქათინაურების მოსაგერიებლად. მაგრამ ნოდარი არ იყო ქათინაურების გუნებაზე.

— რაო, აქ ცუდი ჰაერია?

— არა, საიდან მოიტანეთ?

— რა ვიცი, ცხვირი ისე აგიწევიათ, თითქოს არა გნებავთ აქაური ჰაერი.

მსუქანმა ქალიშვილმა წარბი შეიკრა. ნოდარს ისევ მოეკიკავე წყვილებისაკენ გაურბოდა თვალი. წყვილები ირწოდნენ ერთფეროვნად. ნოდარმა თავი ჩაქინდრა.

— ასე რატომ მოგიწყენიათ?—ჰკითხა მსუქანმა დამცინავად.

„ოჰო, შეტევაზე გადმოვიდა“, —გაიფიქრა ნოდარმა, ქათმის ბარკალს სტაცა ხელი და კასურ კილოზე მოუქცია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აკი ვქმ!

მსუქანმა ზრდილობიანად გაიცინა. მერე ისევ საცეკვაოდ გაიწვიეს და ნოდარმა ისევ ჩაჰქინდრა თავი.

მერე ნანასთან ცეკვავდა. მის წელზე მოხვეული ხელის ოთხი თითი ჰაერში გაეშვირა და მხოლოდ ცერით ეხებოდა ნანას წელს. „არასოდეს დაბერდება, არც გასუქდება, ყოველთვის ასეთი მხიარული იქნება, არ დაემსგავსება ფქვილით სავსე ტომარას. რა მოხდება ახლა რომ ვაკოცო?! ოღონდ ნუ ატკენ ტუჩებს, ისე აკოცე“...

ისინი ცეკვავდნენ ჩუმად.

ისევ აფრქვევდა ბლიუზს რადიოლა. ისვენებდა მიტოვებული სუფრა. ღიმილად გადაქცეული წყვილები ირწეოდნენ ნაპირზე ჯაჭვით დაბმული ნავებივით და თითქოს ლამობდნენ ნაპირიდან აწყვეტას. მაგრამ დაღლილი და ერთფეროვანი ბლიუზი აკავებდა სურვილს.

— როგორა ხარ, ნანა?—ბოლოს ძლივს ამოიღო ხმა.

— გმადლობთ, კარგად.

მერე ისევ გაჩუმდნენ.

ნოდარი ღვინომოკიდებული თვალებით ვერ არჩევდა ნანას კარგად თუ ავად ყოფნას. სმენას კი ჯერ არ მოჰკიდებოდა ღვინო.

— კარგადა ხარ? — იუნეულად ჰკითხა.

— ძალიან კარგად, გიკვირს? — თქვა ნანამ.

— მე აღარაფერი მიკვირს.

— შენ ცუდად ხარ ვითომ?

— ნანა, რატომ არ გინდა, რომ გამიგო...

— როგორ არა, მესმის შენი. უკვე გვიან არის, ამდენ ხანს რომ შერჩი დღეობას, დედიკო არ გაგიჯავრდება?

— დედაჩემს თავი დანებე, გარჩევნია დედაშენს მოუარო.

ნანა გაფიითრდა.

— „რა საზზღარი ვარ, — გაიფიქრა ნოდარმა, — ეს სისუსტეა. რა დაშავა ნანამ, ან იმ მსუქანს რატომ ჩავაცივდი. ჯავრს სხვაზე იყრი, ბრიყვო?!“

— მაპატიე, — თქვა მან.

ნანამ მხრები აიჩეჩა და მხოლოდ თვალებით უთხრა: რა უნდა გაპატიოო.

მერე ისევ მსუქან ქალიშვილს ელაზღანდარებოდა ნოდარი. ნანა გიგისთან ცეკვავდა.

— მზია რატომ არ მოიყვანე? — თქვა ნანამ.

— აღარ ვხვდები. გათავდა. ვერ მამჩნევ, რომ გათავდა? წინათ რომ მისხენებდნენ, ფერი მეცვლებოდა, ელელავდი, ახლა სულერთია.

ნანამ ხმას დაუწია და თითქმის ჩურჩულით თქვა:

— სულ აღარ გიყვარს, ნუთუ სულ აღარ გიყვარს?

— არა, ნამდვილად აღარ მიყვარს, — გიგი ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— ადრეც არ გყვარებია ალბათ, თორემ ასე არ იტყოდი.

— ნანა, ის ცივია და შენი არაფერი აინტერესებს, მხოლოდ საკუთარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი უყვარს. იცი, რა ციცი თვალები აქვს! დამიჯერე, არ არის სიყვარულის დრსი, გესმის?!

ნანას არ ესმოდა და თავისას იმორებდა:

— არ გყვარებია, ნამდვილად არ გყვარებია.

— ნანა, ის ციცია, შენ უკეთესი ხარ, ყველაზე უკეთესი ხარ, გესმის? — მერე თითქოს შერცხვა და სიტყვა ბანზე ააგდო. — ბეკრი ღვინო დალიე?

— არა, მეჯავრება ღვინო.

ერთფეროვნად უკრავდა რადიოლა. ერთფეროვნად ირწეოდნენ მოცეკვავე წყვილები.

ცოტა ხნის შემდეგ გივიმ გაუცინა ნანას და თქვა:

— მგონი წასვლის დროა.

— ალბათ აღარ გაგვიშვებს თამრიკო. დასაძინებელი ადგილის მეტი რა არი! თქვენც დარჩით...

— მე და ნოდარი?

— ძალიან გთხოვ დარჩით და დილით ერთად წავალთ.

— ნოდარი არ დარჩება.

— გეხვეწები!

მეორე დილით ნოდარი და ნანა ერთმანეთის გვერდით იდგნენ ღია ფანჯარასთან. გარედან დილის სიგრილე მოედინებოდა ოთახში. ისინი იდგნენ ერთმანეთის გვერდით და პიჯაკი ეხახუნებოდა შავ კაბას. ნანას ტუჩებს ოდნავ გადაჰკრავდა წითელი საღებავი. ასე უყვარდა ნოდარს. შავი კაბაც უყვარდა ნოდარს და პრიალა ქამარი და დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი.

თამრიკომ ჩაბღუჯა ნანას ხელი და სახეზე მოუთათუნა ნოდარს, ერთიორჯერ შემოჰკრა კიდეც. ნოდარი უხერხულად იღიმებოდა. თავი ტკიოდა წუხანდელ ნაქეიფარს და შინ წასვლას არაფერი ერჩივნა.

ისინი მიდიოდნენ ქუჩაში შუნჯებივით და ორივე ნანობდა, რომ წუხელიე არ წავიდნენ შინ. ძალიან გულუბრყვილოდ მოეჩვენა ნანას თავისი ახირება, უნაყოფო და ნერვებმოშლელი.

— ხომ არა გრცხვენია, ჩემთან ერთად ხომ ხარ ქუჩაში, — თქვა მან.

— ნუ ლაპარაკობ სისულელეს, — მიუგო ნოდარმა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ ნანამ დაარღვია სიჩუმე.

— შინ მეკითხებიან შენზე, სად დაიკარგაო?

— მერე?

— ეუთხარი, ჩემი ბრალია-მეთქი ყველაფერი... ახლა გათხოვებას მიპირებენ, მაგრამ არ მინდა.

გადასასვლელზე ხელი მოხვია და უცებ იგრძნო, როგორ გაინაბა ნანა პატარა ბავშვივით, ალერსს დანატრებული ბავშვივით. თვალი აარიდა და ხელმკლავი იკმარა.

იდგნენ გადასასვლელთან და აღარ თავდებოდა ავტომანქანების ნიაღვარი.

15

— ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს, — თქვა გივიმ, — ყოველთვის გაგვეტანოს ერთმანეთი, სამარის კარამდე გვახსოვდეს, რომ მეგობრები ვართ, ჭირი და ლხინი გაგვეყოს...

— იცოცხლე, — თქვა ნოდარმა.

სასაუზმის დახუთული ჰაერი თამბაქოს კვამლსა და ცხელი საშმლის

ორთქლს საშრობივით იწოვდა, დახლში ოთხი თეთრხალათიანი იდგა. ერთი ლუდს ასხამდა, მეორე საჭმელს არიგებდა, მესამე ჰურს ჭრიდა, მეოთხე ფულს იღებდა. საათივით აეწყოთ თავიანთი საქმე და მარდად უმასპინძლდებოდნენ მოშივებულ სტუმრებს. სამზარეულოს პატარა სარკმლიდან ვერცხლისფერი ლანგრით ხინკალი გამოიტანეს. ორთქლი ბოლქვა-ბოლქვად ასდიოდა ხინკალს. დახლთან ჩოჩქოლი ატყდა. ფულჩაბღუჯული ხელები ირხეოდნენ ჰაერში.

— კლასიკური ხინკალია, ძმაო, — თქვა გივომ.

სახელოკაპიწუბულს ფეხები განზე გაეჩაჩხა და მადლიანად შეექცეოდა ხინკალს.

სასაუზმის კიბეზე განუწყვეტლივ ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ ადამიანები. ფანჯრიდან მოჩანდა ტროტუარი. გივი უმზერდა გამვლელგამომვლელთა ფეხებს. ათასი ჯურის ფეხები თელავდნენ ტროტუარს, როგორც ეკრანზე, ისე მოძრაობდნენ ფანჯარაში სქელი, წვრილი, მსხვილი და ჩამოქნილი ფეხები.

— ზოგს როგორ უჭერს ფეხსაცმელი, არა? მაგაზე საშინელი არაფერია ამ ქვეყნად, — თქვა გივომ.

— გამოიცვალოს მერე, რას ელოლიავებ.

— უნდა შეაჩვიოს ფეხი.

ცოტა ხნის შემდეგ ნოდარმა ჭიქა ასწია და თქვა:

— მოდი, ნანას გაუმარჯოს! მართალია, შენ არ გაღელვებს ჩემი ამბავი...

— როგორ არ მაღელვებს, — სიტყვა გააწყვეტინა გივომ, — მაგრამ ყველაფერი ადრევე ვიცოდი და...

— შენ იცოდი? რა იცოდი... საიდან იცოდი... რატომ არ მითხარი დროზე?

— ძნელია სხვის საქმეში ჩარევა, ნოდარ. იქნებ არავის გაეგო, იქნებ კარგად წასულიყო ყველაფერი. რად უნდა მესროლა პირველი ქვა, ან რას გიშველიდა. თანაც არასერიოზული დამოკიდებულება მეგონა, ბევრთან გივლია ეკრე.

— ეჰ, ყველას ცოდნია, ჩემს გარდა. შინაც ჩემზე ადრე გაიგეს. მოულოდნელობამ შემბორკა ხელ-ფეხი, თორემ რამეს ვიღონებდი.

— როცა არ იცი, უფრო ტკბილია ცხოვრება.

— დაიკარგე აქედან შენი რომანტიკით!

— ვიცოდი და კვანძის გახსნისა მეშინოდა. ერთხელ კიდეც ვიფიქრე, რომ შენც იცოდი. მაგრამ ისე უდარდელად და ბედნიერად გრძნობდი თავს და არაფერი გაწუხებდა...

— უყურებდი, არა, კომედიას?

— არა, კომედია არ იყო ჩემთვის. ძალიან მეწყინა. მე ძალიან მეწყინა. რომ ყველაფერი ასე ცუდად დამთავრდა. უაზროდ ისჯება ნანა. ყველანი მართლები არიან: შენც, შენი მშობლებიც, იქნებ ის ქალიც...

— გამბი ახლა სულელური ფილოსოფია.

— არა, სულელურს ნუ დაარქმევ. გეუბნები, ყველანი მართლები არიან და ერთდროულად დამნაშავენიც, ყველანი, და პირველ რიგში შენ!

— გმადლობთ.

— მხოლოდ ნანაა უდანაშაულო და ისჯება ყველაზე მეტად. ესაა საკვალალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნანას გარდა არავინ დაისაჯა? — ხმადაბლა თქვა ნოდარმა.

გივემ არაფერი უპასუხა. გაჰყურებდა ფანჯარას. როგორც ეკრანზე, ისე მოძრაობდნენ ათასი ჯურის ფეხები.

— კიდევ ხომ არ დაგველია, — თქვა გივემ.

მას არ უყვარდა სმა. რიგიანად ვერც იტანდა სასმელს, როგორც იტყვიან, „მიკროლიტრაჟიანი" იყო, ძილის გუნებაზე მოდიოდა ან ცუდად ხდებოდა. ამიტომაც არ უყვარდა სმა. მაგრამ პირველ ჭიქას როცა გადაჰკრავდა, სმის ჟინში ჩავარდნილი ვეღარ გრძნობდა საზღვარს, სვამდა და სვამდა. განსაკუთრებით კონიაკი ატყუებდა.

— ორას ორმოცდაათი დავლიე და არაფერი მეტყობა, ჩიტივითა ვარ, დავლიოთ კიდევ.

— არ გვინდა, ჰაერზე გავალთ და მერე მოგვეკიდება, — თქვა ნოდარმა.

— დავლიოთ, ნოდარ, დარდს შეგიმსუბუქებს.

ნოდარმა ალმაცერად გაიცინა და თქვა:

— გავლოთდე?.. დღეს დალევ, დათვრები, ყველაფერი დაგავიწყდება, კარგი, ბატონო, ხვალ, ზეგ?! ,ყოველდღე ვსვა?

— ქალი ხომ არა ხარ, მარტო სიყვარულზე იფიქრო...

— სიყვარულში არ არის საქმე. განა თექვსმეტი წლის ბიჭი ვარ...

— ჰო, მესმის, — გააწყვეტინა გივემ.

— არაფერიც არ გესმის. შენ გონებით გესმის და ვერა გრძნობ, რომ ტიკინები ვართ. მაქერენ თითს და ვტიკტიკებ. სიყვარული...

— რა სულელური და მოძველებული სიტყვებია: ტრფიალი, ღალატი, მიჯნური... ჰემინგუეის ერთ მოთხრობაში წერია, სიყვარული ნეხვის გროვა არისო.

— ჰემინგუეი არ წამიკითხავს, — მოუჭრა სიტყვა ნოდარმა.

— კაი ერთი — თქვა გივემ და მერე დაუმატა: — არც სიმფონიურ კონცერტებზე დადიხარ?

— არა.

— ყოჩაღ შენ! — წამოიძახა გივემ.

— შეხედე, კედელზე წერია, უსაქმოდ ნუ გაჩერდებითო, — თქვა გივემ.

— წავიდეთ.

დახუთული სარდაფიდან ამოვიდნენ და სუფთა ჰაერი ესიამოვნათ.

— ცოტა გამხიარულდი, ნოდარ, შეხედე, რა ცაა, ეს მელანქოლია ინგლისელებმა მოიგონეს. სულ ნისლიანი ამინდებია და გული უწუხთ, მაგათი მოგონილია მელანქოლია და პესიმიზმი.

ნოდარმა გაიფიქრა, რომ თვითონაც ასე დაამშვიდებდა თავგზააბნეულ მეგობარს, დაახლოებით ასეთივე სიტყვებით ურჩევდა უდარდელობას და ვალს მოიხდიდა.

მოედანზე, აფთიაქის წინ ავტობუსი იდგა.

— წახვედი? — თქვა გივემ.

— ჰო, წავალ, მეზარება შინ წასვლა, მაგრამ ერთ ტიპს მოვკარი თვალი და წავალ... გვიყურებს.

— არ გინდა, ჩემი ნაცნობია.

— მერე-რა.

— ტელეფონის ნომერიც ვიცი მაგისი.

— აბა მაჩვენე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივიმ უბის წიგნაკი ამოიღო, ხან თავიდან გადაფურცლა, ხან ბოლოდან.

— აი, ტელეფონის ნომერი, დაბადების წელი, და რომელი სკოლა დამთავრა. მთელი ინკეტაა.

გივის ნაცნობმა გამოიხედა ავტობუსიდან. გივი მიესალმა. მაგრამ ნაცნობმა უხერხულად გაიღიმა.

— ვერა მცნობს, ზამთარში გავიცანი, პალტო მეცვა და ქუდი მეხურა. ახლა ვერა მცნობს.

— წავედი.

— გამოიარე, თუ ძმა ხარ, არ დაიკარგო.

— აუცილებლად.

...ზეპირად იცოდა ყველაფერი თავის ოთახში: მრავალჯერ გაზომილი სიგრძე-სიგანე, აბლაბუდასავით გაჭრილი ბზარები ჭერში, იატაკზე დაცცეული მელნის ლაქა.

ოთახში ენთო სინათლე და შავ ფანჯარაში ნოდარი ხედავდა საკუთარ სახეს, მომაბეზრებლად ნაცნობს. შუბლით მიეყრდნო ცივ მინას. მოპირდაპირე მეზობლებს ეძინათ. ჩაბნელებულ ფანჯრებში არაფერი ჩანდა. დალუქული კონვერტივით იყო მეზობლის ფანჯრები.

ოთახში იყვნენ ნოდარი, ელექტრონის შუქი და მარტოობა. ფანჯარაში კრთოდა ოთახის ანარეკლი. თეთრად ნალვლობდა გაშლილი ლოგინი და ოთახი მოიცვა მარტოობამ.

უეცრად ატკივდა კბილი. „რა დროს კბილის ატკივება იყო“, — გაიფიქრა გულმღიერვეთი. უკვირდა, რომ დალეულზე ატკივდა კბილი. წინათ სწორედ ტკივილს აყუჩებდა დალევა, ან პაპიროსი, ან პირამიდონი. მაგრამ დალეულზე კბილს ტკივილი არ ახსოვდა. კბილი წყნარად და შეუმჩნეველად იყო, ერთგულად ემსახურებოდა პატრონს და პატრონი ვერც გრძნობდა კბილს არსებობას. რაღაცამ გაღიზიანა და მოჰყვა ტკივილი. ერთი წუთით მანც ვამჭრალიყო ტკივილი, რომ ძალდაუტანებლად ეფიქრა. კბილის ტკივილი სხვა მიმართულებით მიათრევდა ფიქრს. ნოდარი მოუსვენრად წრიალებდა ოთახში. მერე კბილს ამოგლეჯა ინატრა. „ხელოვნური კბილი უფრო მაგარი იქნება, ასე ხშირად არ გაგახსენებს თავს და აიტანს გაღიზიანებას“, — ფიქრობდა ნოდარი. კბილს ყრუ ტკივილი არ ცხრებოდა. თითქოს ჭია შემძრალიყო და მოთმინებით ხრავდა კბილს. ჭია არ შეეპუა ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცს, რომელსაც ჰქონდა მჭედლის მკლავები და მოკრივის ყბები, სიმაღლე: ასოთხმოცი სანტიმეტრი, წონა — ოთხმოცი კილოგრამი. ნოდარი მიხვდა თავის უძლურებას ამ უჩინარი ჭიის წინაშე. მერე მოწყინდა მარტოობა.

— სად მიდიხარ? — ჰკითხა დედამ.

— ჯანდაბაში, — უპასუხა ნოდარმა და კარი გაიჯახუნა.

გაჩერებაზე დაძაბული სახით გაჰყურებდნენ იმ მხარეს, საიდანაც უნდა მოსულიყო ტროლეიბუსი, თითქოს ამით დაიჩქარებდნენ მის გამოჩენას. ვიღაც გოგომ ჩაირბინა. თეთრი ფეხსაცმელი ეცვა, თითქო ბინტით შეეხვია ფეხები. ნოდარმა წვიმა ინატრა. სარკესავით აბრწყინდებიან გუბეები ასფალტზე, ჩიავლის მანქანა და ტალახში ამოისვრება თეთრი ფეხსაცმელი.

ქუჩაში დასეირნობდნენ წყვილები. ნოდარი გამართული ნაბიჯით უსურებდა წყვილებს, მერე თავს უკან იბრუნებდა და გამომცდელი მზერით აკვირდებოდა უცნობ ქალიშვილებს, თითქოს მსგავსებას ეძებდა. ისინი ჰგავდნენ ნანას, ეცვათ ნანასნაირად, კისკისებდნენ ნანასნაირად და მალულად თვალს ავლებდნენ და ეღიმებოდათ მარტო ტუჩებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ცარიელი ღვინის ბოთლივით. თითქოს დალიეს და გადააგდეს ქუჩაში ცარიელი ღვინის ბოთლი. ძლივს იგრძნობდა კაცი, რომ ბოთლში ესხა ღვინო. მცირეოდენი სურნელი და ფსკერზე შერჩენილი სითხე რაღაც ერთი თითის დადებაზე.

დიდხანს დაეხეტებოდა ქუჩაში. ერთბაშად დაავიწყდა განშორების ამბავი. რამდენიმე წუთით ეგონა, რომ საღამოს შვიდ საათზე ისევ პაემანი იყო დანიშნული. თითქოს არაფერი შეცვლილა მას შემდეგ. თითქოს ნანას მიაცილებდა შინ. წყუროდა მისი ნახვა, მაგრამ ლაგამი ამოსდო სურვილს. ყველაფერი ნაცნობი და მშობლიური იყო ნანას ქუჩაზე.

16

ისინი მასზე უმცროსი ბიჭები იყვნენ. თითქოს რამდენიმე წლით უკან გადაისროლა რამდენიმე წუთმა ამ ბნელ ქუჩაზე. ისინი სამნი იყვნენ, ჯმუხები და პერანგგაღიღილები.

— შენ ნანასთან დადიხარ?

ნოდარი უხერხულად შეიშმუშნა, პასუხი დააყოვნა, მერე დაინახა მათი დამცინავი გამომეტყველება და თავი დაუქნია დასტურის ნიშნად.

— ჩვენი უბნელი გოგოა, ხელი უნდა აიღო, მე მაჭვს მაგისი დილიხორი,— თქვა ერთმა მათგანმა. შარვალზე გადმოწეული პერელი პერანგი ეცვა. თავი გადახოტრილი ჰქონდა და ჩამქრალ პაპიროსს ათამაშებდა კბილებში.

— რაო, გიყვარს? — თქვა მან.

— სხვა ვინმე შეიყვარე, არა გიშავს, — შეეშველა მეორე.

რაღაც ღიმილისმაგვარმა გადაუარა სახეზე ნოდარს და თქვა:

— გაგიგიათ, თქვე საწყლებო, რას ამბობდა რუსთაველი...

— მე ბორიი ხელაძეს მეძახიან, — გაწყვეტინა სიტყვა თავგადახოტრილმა, — მოიკითხე ჩემი სახელი, ვეტყვიან, ბევრი ლაღლი არ მიყვარს.

— ციხიდან გამოსულებს ჰგევხართ, რა თქვენი სახსენებელია ნანა.

— მორჩი ახლა ბაზარს, — თვალები დაუბრიალა თავგადახოტრილმა.

— ეტყობა, ეს არიფი ტყემალზეა, — თქვა მეორემ.

მესამე ხმას არ იღებდა და გულგრილად იღიმებოდა.

— წადი, ძმობილო, სანამ ცოცხალი ხარ, — თქვა თავგადახოტრილმა და ნიკაპზე მოუთათუნა ხელი ნოდარს.

თითქოს გაძარცულს და გახდილს ხელმეორედ უპირებდნენ გაძარცვას. ბრაზმა ავსო ნოდარი. თავი ვეღარ შეიკავა, თუმცა იცოდა, რომ სამივეს ვერ გაუმკლავდებოდა, თავგადახოტრილს ყბაში სოხლიშა. თავგადახოტრილმა დაიღმუვლა. სამივენი დაესივნენ. ნოდარს ხელი აღარ გაუნძრევია. როგორც მოკრივეები სავარჯიშო „მსხალს“, ისე უბათქუნებდნენ მუშტებს შეუბრალებლად. მერე მიწა გამოეცალა ფეხიდან. იგრძნო, რომ ყელში ჩასდიოდა ცხვირიდან წამონადენი სისხლი.

ვიღაცამ ჩაიარა ბნელ ქუჩაზე, წამით დაადგა თვალი ასფალტზე გაშხლართულს, მთვრალად ჩათვალა და გადააფურთხა.

ნოდარმა ძალა მოიკრიბა და წამოდგა. ცხვირიდან ისევ მოსდიოდა სისხლი. უკან გადაზნიქა ტანი და თავი მაღლა ასწია. ნაცები დაბორიალობდა ბნელ ქუჩაზე, უანგარიშოდ დაბორიალობდა და რეალურად გრძნობდა მხოლოდ საკუთარ სხეულს. ტკივილი იმდენად არ აწუხებდა, რომ ნაბიჯი ვეღარ გადაედგა. ტკივილი თითქმის გამქრალიყო. განთებულ ფანჯრებს ხან ხედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვდა, ხან ეჩვენებოდა, რომ არაფერი იყო მის გარშემო. ქვებით დატვირთული ნავივით დაცურავდა სიცარიელეში. განათებულ ფანჯარაში მოჩანდა ავეჯი.

რომელიღაც ჭიშკართან პატარა, თეთრმა ძაღლმა ყეფა აუტეხა. ძაღლი კოხტად იყო დავარცხნილი, წითელი ბაფთა ეკეთა კისერზე და გაწიწმატებით უყეფდა. ნოდარმაც ყეფით უპასუხა. ძაღლმა იუცნოვა ადამიანის ყეფა, შეტრიალდა და კიბეზე აცუნცულდა.

ნოდარს გაახსენდა, რომ ამ მიდამოებში, რომელიღაც სახლში მისი რომელიღაც ამხანაგი ცხოვრობდა, მაგრამ ვეღარაფრით ვერ გაიხსენა, სახელდობრ რომელი. დაავიწყდა მათი სახეები, მათი მიხვრა-მოხვრა, ეზრზე არ იყო, რით განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისაგან, ვინ როგორი ჯამა იცოდა, ვის რა ეცვა, ვინ როგორ იცინოდა, ვის რა უყვარდა. ისინი ბევრნი იყვნენ, ზოგს ძმაკაცი ერქვა, ზოგს მეგობარი, ზოგს ამხანაგი. ერთთან მხოლოდ თეატრებზე მუსაიფობდა ხოლმე, მეორესთან — ფეხბურთზე. მესამესთან — ყველაფერზე. მეოთხესთან — არაფერზე და ხანდახან ამინდზე, როცა შესამჩნევად იცვლებოდა ამინდი: ძალიან ჩამოცხებოდა ან სამხრეთისათვის უჩვეულო სუსხს მოიტანდა ზამთარი. ახსოვდა მხოლოდ მათი სიტყვები. ყველანი სიტყვებად გადაქცეულიყვნენ მის ცნობიერებაში: ძმაკაცები და მეგობრები, თითქოს დაჭარგოდათ ყველა შევრძნება და მხოლოდ მეტყველების უნარით აღჭურვილები სიტყვების სქელ ნისლში იძირებოდნენ.

რუსთაველის პროსპექტზე მეტი ხალხი იყო, ვიდრე მიყრუებულ ქუჩებში. „ინტურისტის“ წინ ვიდაც ტყაპუჭიანი ახმახი გრძელ ხელებს შლიდა და ბოხი ხმით მღეროდა შირაქელი მეცხვარის სიმღერას. რესტორანში უყრავდნენ „მოსკოვურ საღამოებს“. სასტუმროს წინ ცისფერი ავტობუსი იდგა. ავტობუსს ჰქონდა გამჭვირვალე სახურავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ბოლქვაძე

ჩემო მიწავ

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით,
დღეს ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი...

და რაც დაგვრჩი, — დაგვრჩი მარად.
დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად,
დაღუპვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დასიზმრება.

საქართველოს გეტრფით მთლიანს.
საქართველოს გეტრფით ახალს,
იოცხლე და სულგრთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ.

უფრო მეტი დაგებადოს
ერის მშვენი, ენის მშვენი.
არ ჰყოფნდდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!

გელათი

როდესაც გლოვობს სიჩუმე გელათს,
ცვივი სიჩუმე გარდაცვლილ წლების,
მიდი და ნახე, ნახე და ხელად
წარსულის სულში გადასიზმრდები!..

მე ვნახე... იდგა სალამო ლურჯი.
ჩასხვაილიყვნენ სხივნი მზისანი
და იღვიძებდა წარსულის სულში
მისთვის სრულიად უცხო სიზმარი.

ქარით შომესმა იმ გრძნეულ ქვათა
ქართულება ჩუმი, ქურდული:
„განადგურება — თქვეს — გელათს
გარდა,
არაა არსად ასე უძლური!“

თვალწინ დამიდგნენ, ჰგავდნენ არწივებს
ასი ვამეს და ასი ლიპარიტ
და დროშასავით მაღლა ასწიეს
დავითის ხელით ახსნილი კარი.

ქართველმა, ალბათ, ჯერ სიზმრად ნახა
გელათი. მერე იწყო შენება.
ეს გუმბათები ახიდა მაღლა
და მოამთავრა ცის ომშშვენება.

ცოდან მოესმა ზარების რეკვა,
გაოცებული ღმერთის ღაღადად:
დარწმუნდა, ღმერთი თვითონ რომ
შეჰქმნა,
ადგა და ქართულ ცას მიახატა.

ცამ უკვდავება აიღო სესხად
და მიიმატა მიწიერ შუქად,
ტაძარი მიტომ აგუბებს შენს ხმას
და იმ ღმერთის ხმად გიბრუნებს უკან.

მივედი, ვნახე და შევიცანი,
მას შემდეგ სული მაღალს შენატრის
და გარდაცვლილი წლების სიზმარი. —
სულ მელანდება გედი, — გელათი.

ყვავილები

იბადებიან ჩუმად, ერთბაშად
და ბაგშვებენ მთებსა და ველებს,
გეჯიბრებიან წვაში, ენებაში,
სიყვარულად და სითბოდ გვამხელენ.

ჩვენთა ტკივილთა მიზეზს ხვდებიან
და დედებივით ყველგან დაგვდევენ:
ცოცხლობენ — წლებად გვემატებიან,
როცა კვდებიან — სიკვდილს
გვართმევენ.

ერთადერთს გვთხოვენ ყვავილნი კაცთა,
როს იცრემლავენ ვარსკვლავთა ციმციმს:
ისე ლამაზად მიწაში ჩასვლას,
ვით ამოდიან ისინი მიწით.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲭᲐᲮᲘᲫᲔ

ᲘᲡᲔ ᲛᲐᲛᲚᲔᲠᲐ ᲜᲔᲢᲐᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲖᲔ

ისე მამღერა ნეტავ განცდილი —
თბილისზე ჩვენი ხალხის სათქმელი,
რომ ბანს მაძლევდეს ერთი კაცივით
ავკარგიანი ყველა ქართველი.

ის, საქართველოს ქალაქთა დედა,
მუდამ გულსავსე დედად გვყოლოდეს.
ასე თვალი აქვს და ყველას გვხედავს,
სადაც არ უნდა ვიყოთ, ვცხოვრობდეთ,

ჩვენთვის ალალად პურის გამყოფი,
ცას ვარსკვლავებსაც ჩვენთვის აკლებდა.
დიდი ფიქრის და გრძნობის ნაყოფი
მოცემული გვაქვს მისგან საკრეფად.

დედაშვილურად გულს რომ გადაშლის.
მსუბუქდებიან მძიმე განცდებიც.
დაღლა არ ვიცი მე მის კალთაში,
არც არასოდეს დავიქანცები.

ეშხზე მოსული იკრებს და იკრებს
მტკვრის მიდამოებს ახალ უბნებად.
უკვდავებისთვის გაჩენილ ფიქრებს
უკვდავებაზე ესაუბრება:

ᲕᲐᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲜᲘ

ჩემს ყველა პაპას, ყველა ბიძას ქაღალდზე მელნით
არ გაუვლია არასოდეს ფიქრების კვალი.
წილად ხვდათ ბედით ხარ-კამეჩი. სადგომი ბნელი.
გაუხარებლად დაეღალათ შრომაში მკლავი.

იმათგან პირველს მე მომეცა სავალი ფართო,
რაც თავს მოვესწარ, გულის სათქმელს ქვეყნად ეღაღადებ
იმათგან პირველს შემიძლიან გუთანიც ვმართო
და კაცის ფიქრიც ავამღერო მელნით ქაღალდზე.

ვიცი, ეს სიტყვა გეამება, მამულო ჩემო,
შენით მაქვს ასე გამართული დღეთა ჭაპანი.
შენი აპრილით მაგრძნობინე სიმღერის გემო,
ცხოვრების სიბრძნე გამაცანი შენი ანბანით.

თავს დაგტრიალებ, — მაინც დიდი ვალი მაქვს შენი,
როგორ მოვხატო ყველა შენი კორდი და ჭალა!
რომ ხედავ, ასეთ ტვირთს შევეგი, თვითონვე მშველი —
მაძლევ შენსავე მოსახატად სხივსა და ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი და ეღენე პაპაშვილები

საფუძველი ეკონომიკური შეიძლება მოიტანოს

— რატომ?

— წავასწარი, როცა ჩემს ძაღლს მოწამლულ ხორცს აჭმევდა.

— გასაგებია. მეტი არაფერი ჩაგიდენიათ?

— არა, სერ.

— ნამდვილად?

— დიახ, სერ.

— თქვენ ნამდვილად დაინახეთ, რომ ეს კაცი ხეს ამტვრევდა? — ჰკითხა „მისმა უმწიკვლოებამ“ პოლისმენს.

— არა, სერ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დანარჩენები გამოტყდნენ. ეგეც იმათთან იყო და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

— ოფიცერო, მე მწამს, რომ ეს კაცი გულწრფელი ადამიანია. თქვენ ალბათ, შეცდით. საქმე წარმოებით ისპობა.

და შემდეგ „მისი უმწიკვლოება“ ჩემსკენ გადმოიწია და იცით რა მითხრა მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს? — ახალგაზრდავ, მე მსურს ხელი ჩამოგართვათ! — და მართლაც ჩამომართვა. მთელი დარბაზი გვიყურებდა.

ნიუ-იორკის ცემენტს ვეღარ ვიტანდი. ქუჩებში მრავალი მილის სიგრძეზე დიდძალი ცემენტი იყო დაფენილი. უფრო მეტი სახლებად იყო ამართული გზის ორივე მხარეს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ქვისთაღიან სარდაფში ვცხოვრობდი. ისიც მაწუხებდა, რომ, ალბათ, მავთულით შემოუღობავი არც ერთი ხე, ბალახი და ყვავილი არ იყო დარჩენილი. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ახლოს არ გავკარებოდი მათ.

სხვაგან კი სად წავსულიყავი, არსად არაფერი მეგულებოდა. მაგრამ აი ერთხელ, როდესაც სამსახურიდან მეტროთი ბრონქდებოდი შინ, ორი კაცის საუბარი შემომესმა. რამდენადაც მიეხვდი, ერთი მათგანი ახლახან დაბრუნებულიყო დასავლეთიდან, მაღალ მთების გადაღმა მდებარე ქალაქიდან. ეს ტყიანი მხარე თურმე ამერიკის კიდე იყო. ორი დიდი მდინარე ღრიალითა და ზავითთ უერთდებოდა ერთმანეთს და შემდეგ მეგობრულად აგრძელებდა გზას.

ვაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძართალი გითხრათ, ცნობისწადილმა წამძლია და მივაყურადე. იქ თურმე მრავალი სლვი ცხოვრობდა. ყველანაირი სამუშაო ყელთამდე იყო და გასამრჯელოსაც კარგს იძლეოდნენ. სულ არ მინანია, რომ ორიოდე მილით გავცდი ჩემს გაჩერებას. სამაგიეროდ გარკვევით გავიგონე იმ ქალაქის სახელი.

და აი შაბათს, როგორც კი ხელფასი მივიღე, სადგურში წავედი და იმ შესანიშნავი ქალაქის ბილეთი ვიყიდე. ეს პიტსბურგი გახლდათ. პენსილვანიის შტატის ქალაქი. როცა ჩავედი, სიმართლე უნდა ვთქვა, ქალაქი მთლად იმნაირი არ აღმოჩნდა, როგორსაც მოველოდი, მაგრამ წუწუნის უფლება არ მქონდა. ახი იყო ჩემზე — ყური არ უნდა დამეგდო უცხო ხალხის საუბრისათვის. რაც იყო—იყო, გულხელის დაკრეფა აღარ შეიძლებოდა. დავიწყე სამუშაოს ძებნა. რა თვეს ვიხეტიალე. ბოლოს წებოს ქარხანაში გამოვნახე ადგილი, მაგრამ მხოლოდ სამ დღეს შევრჩი იქ — უფროსი სხაპასხუპით ლაპარაკობდა და ვერაფერს ვუგებდი. სამსახურიდან პირდაპირ შინ გავრბოდი, რომ კიდევ რამე შემეძინა ჩემი სიტყვების წიგნიდან, მაგრამ შეუძლებელი იყო ოდესმე დავწეოდი იმ კაცს, — მას მთელი საუკუნით გაესწრო ჩემთვის.

შაბათს მომცეს ჩემი ექვსი დოლარი და მითხრეს: თუ ოდესმე უკეთესად ისწავლი ინგლისურს, შეგიძლია დაბრუნდე და იმავე ადგილზე მიგიღებთო. დიდი შედავათია, არა? და აი, კვლავ ქუჩაში აღმოვჩნდი. ხან ერთი, ხან მეორე ფაბრიკის კართან ვიყავი ატუზული. ერთხელ, ხეტიალის დროს, რომელიღაც სადალაქოს მივადექი. დალაქი უკრაინელი იყო. მაშინ არც რუსული ვიცოდი ხეირიანად, მაგრამ ინგლისურზე უფრო მაინც მეხერხებოდა, და შევძელით გამოვლაპარაკებოდით ერთმანეთს.

— მუშაობ? — მკითხა მან.

— არა-მეთქი, — ვუპასუხე.

— გინდა მუშაობა?

— რაკი ჰამი მინდა, მუშაობაც უნდა მინდოდეს.

— ამ საღამოს 9 საათზე მოდი, შენი ჩემოდანიც მოიტანე. იქნებ ადგილი გიშოვნო.

— რა ადგილია?

— კარგი ადგილია. აი მოხვალ და ნახავ.

ცხრა საათზე სადალაქოში მივბრუნდი. ძვირფას აბრეშუმის პერანგში გამოწყობილი ბრგე კაცი სავარძელში იჯდა და 25-ცენტიან სიგარას აბოლებდა. ორი კაცი კი ფეხსაცმელებს უპრიალებდა.

— კიდევ კარგი, რომ რვაფეხა არაა, — ვუთხარი დალაქს რუსულად: — მაშინ ხომ მთელი არმია დასჭირდებოდა გასაპრიალებლად.

— ხმა ჩაიწყვიტე! — რუსულადვე დამიბრუნა დალაქმა.—მისტერ ბლეკ,— მიმართა იმ კაცს ინგლისურად, — ეს ის კაცია, მე რომ მოგახსენეთ. ძალიან უნდა მუშაობა.

— კარგი მუშაა?

— დიახ, სერ, მაგარი მუშაა.

— საიმედო თუა?

— დიახ, სერ, სულ რამდენიმე თვის ჩამოსულია ამერიკაში.

მისტერ ბლეკი ახლა მე მომიბრუნდა და მკითხა: „ლაპარაკობ ინგლისურად?“

„რომ ვიცოდეთ, ვლაპარაკობ-მეთქი და ეს ადგილიც დავკარგო. არ ივარგებს, ჯობს ამთავითვე იცოდეს ყველაფერი“. — გავიფიქრე და თავი გავაქნიე — არ ვლაპარაკობ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი! — მისტერ ბლეკმა ხელები მოიფშვნიტა და ისე შემომხედა, თითქოს სამშობაო გოჯი ვყოფილიყავი და აქნას მიპირებდა.

მოდი და გაუგე რამე ამ ამერიკელებს: ზოგან მოსწონთ, რომ ინგლისური იცი, ზოგან — არა. აი როგორაა საქმე ამერიკაში.

— ერთი ჰკითხე, შეუძლია თუ არა დღესვე წამოვიდეს, — უთხრა ბლეკმა დალაქს. დალაქმა რუსულად გადმომცა ბლეკის კითხვა.

თავი დავუქნიე და ჩემოდანზე ვანიშნე.

როგორც კი მისტერ ბლეკი გაპარსეს და უხვად ასხურეს ოდეკოლონი, მის მანქანაში შევჯექი და დავიძარით.

თორმეტცილინდრიანი კადილაკის მოტორი ისეთი ხმით მუშაობდა, ეტყობოდა საგანგებო შეკეთით იყო დამზადებული.

რამდენიმე ადგილას შევჩერდით და ხალხი წამოვიყვანეთ: ორი ჩინელი, ერთი ყრუმუნჯი ბიჭი, ერთი მექსიკელი და ერთიც ხნიერი გერმანელი. სულ ისეთები შევიყარენით, იტყოდით, მოხეტიალე ცირკის ხალხიაო.

გზას ბოლო არ უჩანდა. დალაქმა აკი თქვა, შორი გზა მოგელითო, და ასეც გამოდგა. ცოტა თვალი მოვატყუე. გთონებისას გამომეღვიძა და წინ ქარხნის შიღები, დიდი სახლები და ანთებული ბრძმედები დავინახე. მისტერ ბლეკმა მანქანა შეაჩერა და სამჯერ დაუკვრა. შემდეგ ადგილიდან მოვწყდით, 70 მილის სიჩქარით დავეშვით დაღმართზე და ქარხნის ღია ჭიშკარში შევვარდით. ჭიშკარი მაშინვე მოგვაკეტეს.

მანქანიდან გადმოვედით. გვიჩვენეს, სად უნდა გვებანავა.

ვიღაც კაცმა ყავა და ფუნთუშები მოგვიტანა და შემდეგ სამუშაოზე დაგვაყენა.

ვიღაცამ სამუშაო იარაღები მომაჩეჩა ხელთ. ახლა უკვე შემკეთებელ ხელოსნად ვითვლებოდი. ძალიან კარგი. ამასაც ვცდი.

დავიწყე საამქროში მიყრილ-მოყრილი მანქანების შეკეთება. გავიდა რამდენმე საათი. ვიღაც კაცი მომიახლოვდა, დამთავრებული სამუშაო შემიმოწმა და რამდენჯერმე დამიკანტურა თავი. ეს ნიშნავდა, რომ საქმე კარგად მიდიოდა.

გულმა მიგრძნო, რომ კარგ ადგილზე მოვხვდი. სამუშაოს თავს მივაკლავ. საღამოობით ვიმეცადინებ, კაკვეთილებზე ვივლი. ადრე მოვალ სამუშაოზე და გვიან წავალ, შემდეგ დამაწინაურებენ. მე უკვე ვხედავდი ჩემს დიად მომავალს: 30-ცენტიან სიგარას ვეწევი და ძვირფას კოსტუმში გამოწყობილი დავდივარ. მაგრამ ორ კაცს კი არ გავაწშენდინებ ფეხსაცმელებს, — ეს ხომ ყოყლოჩინობა იქნება... შუადღის საყვირმა იმ დროს მომისწრო, როცა ეფექრობდი. პაკარდში დავაბანდოო ფული თუ კადილაკში-მეთქი.

ეს ჩემი პირველი დღე იყო და, რა თქმა უნდა, საუზმე თან არ მქონდა. ის იყო ქარხნის დუქნის მოძებნა დავაპირე, ღვეზელს, ბისკვიტს, სოდიან წყალსა და შემწვარ ხორცს ვიყიდი-მეთქი, მაგრამ დავინახე, რომ ყველა ერთერთ კარში შედიოდა და მეც მათ ავედევნე.

გრძელ-გრძელი გაწყობილი მაგიდები, თხლად დაჭრილი შემწვარი შაშხი. პური, კარტოფილი, ჭყინტი ლობიო, მოხარშული სიმინდი, კარაქის მოზრდილი ოთხკუთხა ნაჭრები... მიირთვი, რამდენიც გენებოს! მუკუკი, მწნილი, — სწორედ აღდგომის სუფრა იყო. მაგრამ სუფრას ხალხს უცნაური კრებული ამშვენებდა — ნამდვილი ერთა ლიგა იყო. ცალ მხარეს ჰოლანდიელი მეჯდა. მეორე მხარეს — ვიღაც საყურიანი კაცი, მგონი სიცილელი, ცოტა მოშორებით მჯდარი კაცი ნამდვილად სირიელი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისადილეთ. შემდეგ მოვიდა ღვეზელი, ყავა და ნაყინი. კვლავ აღრიალდა საყვირი. ჩვენ ოთახიდან გამოვედით. კართან ფული ამოვიღე, საშველში გადავიხდი-მეთქი, მაგრამ არ გამომართვეს და ისევ შევინახე. ვიფიქრე: ალბათ, ხელფასიდან დამიქვითავენ; ღირს კიდეც, ყოველდღე აქ ვისადილებ-მეთქი.

სამუშაო დამთავრდა და მე იმ კაცთან ერთად მომიხდა გამოსვლა, რომელიც სირიელად შევიცანი. როგორც მივხვდი, მისი მოვალეობა საცეცხლურში ბაზეთილი ქაღალდების შეკეთება იყო. უცნაური სამუშაოა, ჭუჭყიანი და კვამლიანი. ორიოდე სიტყვით გამოველაპარაკე. იგი ბეირუთელი იყო, მაგრამ უცხვირპირო და სიტყვაძვირი კაცი გამოდგა; ვკითხე, სად ცხოვრობ, იქნებ შენს დიასახლისს ჩემთვისაც მოეცა ოთახი-მეთქი.

— საცხოვრებლად? — გაიკვირვა მან. — რას ამბობ? ჩვენ აქვე ვათევთ ღამეს.

— ფაბრიკაში?

— რასაკვირველია!

— აქვე ვივახშმებთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა!

— რატომ?

პასუხი არ გამეცა.

ვახშმობა მოვიდა, მოიტანეს ორი დიუმის სისქის ბიეშტეკსები. შემწვარი კარტოფილი, მწვანე მუხუოო, სტაფილო, სალათა, ნამცხვარი, ხილი. შემდეგ დიდი ყუთით სიგარები ჩამოატარეს.

— სხვები სადღა ჭამენ? — ვკითხე სირიელს გამოსვლისას. ვფიქრობდი, იქნებ ვინმე გამომლაპარაკებელი მენახა, სხვა სასადილო ოთახში რომ მოვხვედრილიყავი-მეთქი. გუნება მიფუჭდებოდა ხოლმე, როცა ჭამის დროს ვერავის ვესაუბრებოდი.

— ვინ სხვები?

— სხვა მუშები.

— მეტი არავინაა.

— შენ რა, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ ამ ეეებერთელა ფაბრიკას ორასიოდე კაცი ვამუშაავებთ? აქ ათასებია საჭირო.

ამ დროს სასადილოს გამგემ მანიშნა, გამომყევიო. მან საწოლებით სავსე დიდ ოთახში შემიყვანა და ჩემი საწოლი მიჩვენა. საწოლები ლამაზად იყო გაწყობილი. ქათქათა ზეწრება, თბილი საბნები. დავწექი თუ არა, ჩამეძინა; სიზმარში ვფიქრობდი, ამერიკა მართლაც შესანიშნავი ქვეყანა ყოფილა-მეთქი!

გათენდა მეორე დღე, ორჯერ გაისრიალა ეზოში სანიტრულმა მანქანამ. პირველად ორი ახალგაზრდა გამოიტანეს მანქანიდან და მედპუნქტში შეიტანეს. მეორედ — სამი. სულ ერთიანად სისხლში იყვნენ მოსვრილნი. რას იზამ, საბოდიშოთ სამუშაო ჰქონიათ, ჩემი ბედი, რომ შემკეთებელი ოსტატი ვარ!

ბოლოს დადგა შაბათიც. დავინახე, მუშები რომელიღაც ფანჯარასთან მიქუჩებულიყვნენ და მეც მათ მოვუდექი უკან. ხელფასის დღე იყო. კონვერტი მომცეს. კონვერტში კი — ღმერთო დიდებულო! — 42 დოლარი ნაღდი ფული იდო. ჭამისა და ღამის გათვეისათვის არაფერი დაექვითათ. ეს კომპანიის ხარჯზე ყოფილა. 7 ცინცხალი დოლარი ყოველ ნამუშევარ დღეში.

ისე გამეხარდა, რომ სული კბილით მეჭირა, სანამ ქალაქში წავიდოდი და ფულს დავხარჯავდი. ის სირიელი მოვნახე და ვუთხარი: გინდა ქალაქში გავისეირნოთ? ერთ ბოოლ ღვინოს ვკისრულობ. ცოტა ვისიამოვნოთ-მეთქი.

— რას ამბობ? — მიპასუხა სირიელმა. — სრულ ჭკუაზე ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჰ, ყველაფერს მივხვდი. ასეთი ხალხი აღრეც შემხვედრია, ისინი ჭიქ-ღვინოს არ დაგილევენ. ეშინიათ, მთელი ბოთლის ჩამოდგმა არ მოუხდეთ. ფულის გიჟი ყოფილა! ბედნიერებას ვუსურვებ! იქამდე იცოცხლოს, რომ თავის გემოზე მოიხმაროს დანაზოგი. თუმცა, ჩვეულებრივ, ასე არ ხდება ხოლმე.

დავიწყე ხეტიალი, რომ ვინმე სხვა მეპოვნა. კლუბის ოთახში, რომელიც მშვენივრად მოეწყო ჩვენთვის კომპანიას, ორ ბანქოს მოთამაშეს წავაწყდი. ისინი „დურაკობანას“ თამაშობდნენ. „დურაკობანა“ რუსული თამაშია და ამიტომ გადაეწყვიტე გამოვლაპარაკებოდი.

მოთამაშეებმა რაღაც დამტრეულ ენაზე გამცეს პასუხი. ისინი ფინეთიდან, ლატვიიდან თუ სადღაც იმ მხრიდან უნდა ყოფილიყვნენ. როგორც საუბრიდან მივხვდი, რუსული ჯარში ესწავლათ და ჩემსავით ცუდად ლაპარაკობდნენ. ბარემ უკეთეს მეინახეებს ვეძებდი, მაგრამ რაღას ვიზამდი, მაინც დავპატიჟე. მათ ისევე იუარეს, როგორც სირიელმა. „შენ რა, ტვინი არა გაქვს თავში? შენც სანიტარული მანქანით ხომ არ გინდა დაბრუნება?!“, რა დაებრთა ამ ხალხს, მე გავგიჟდი თუ ესენი?

— აი რა, ბიჭებო, ერთი უბრალო კითხვა უნდა მოგცეთ. გინდათ თუ არა ჩემთან წამოსვლა და ერთი ბოთლი ღვინის დალევა ჩემს ხარჯზე?

— გარეთ მოგლაყვენ, — მითხრა ფინელმა, — უკან უთავოდ მოგიხდება მოსვლა!

— ვინ მომლაყვს?

— გაფიცულები, — მიპასუხა მან ინგლისურად. — გარეთ გაფიცულებია.

— კარგი, იყვნენ გაფიცულები, მაგრამ მე რატომ უნდა მომლაყნ?

— გაფიცულები იმას ჰქვია, — განმიმარტა მან, — ვინც წინათ აქ მუშაობდა და ახლა აღარ მუშაობს.

— მერე, მე რას მერჩიან? ისინი წავიდნენ, მე მოვედი. ხალხი ყოველდღე იცვლის სამუშაოს!

— სულ კი არ წასულან, მათ მხოლოდ იმიტომ შეწყვიტეს მუშაობა, რომ უფროსის მიცემული ფული არ ყოფნიდათ.

— აშენება ხომ არ უნდოდათ? ასეთი სამუშაოს დატოვება შეიძლება? რას იშოვნიან უკეთესს! როსტბიფი, მუქთი თამბაქო, სუფთა ლოგინი და 7 დოლარი. პირადად მე სიხარულით ვიმუშავებდი აქ კიდევ ერთ წელიწადს.

— მათ ამდენს არ აძლევდნენ, არც აუმევდნენ და არც აწევნდნენ. მარტო ორ დოლარ ნახევარს აძლევდნენ დღეში, ისინი სამ დოლარს თხოულობდნენ.

— მე კი 7 დოლარი ვუჯდები უფროსს, რატომ არ აძლევს მათ 3 დოლარს? ვერ ყოფილა კარგი ბიზნესმენი.

— უფროსი 7 დოლარს მანამ მოგცემს, სანამ გაფიცულები ლოდინით დაიღლებიან და კვლავ ორ ნახევარ დოლარად არ დაიწყებენ მუშაობას. ან იქნებ ორ დოლარს და 25 ცენტსაც დაჯერდნენ, — მაშინ ჩვენი უფროსი სხვაგან წაგვიყვანს.

— სად სხვაგან?

— სადაც სხვა გაფიცვა იქნება.

— ეს ჩვენი უფროსი რომელია? ის კაცი, ჩვენ რომ მოგვიყვანა? მისტერ ბლეკი?

— ჰო, ისაა!

მე ჩავფიქრდი.

ისინი კვლავ თამაშობდნენ: ტყაპ, ტუზი, ტყაპ, ვალეტი.

— ბოდიში, რომ თამაშს გაწყვეტინებთ, — მივმართე მათ ცოტა ხნის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ, — მაგრამ იქნებ გახსოვდეთ, როგორ ითქმის ის სიტყვა რუსულად „ბ-ფიცული“?

— ზაბასტოვჩიკ!

ზაბასტოვჩიკ? აჰა! ზაბასტოვჩიკ! ახლა კი გამახსენდა. ჩემმა მეგობარმა არსენამ, იქ, სამშობლოში, კარგად იცოდა გაზეთების კითხვა. იგი ყველა საყურადღებო შემთხვევას მიყვებოდა ხოლმე. გასაგებია. ზაბასტოვჩიკი!

— ეს ადგილი არ მომწონს, — ვთქვი მე, — ახლავე მივდივარ აქედან. მაგრამ ის სად არის? მისტერ ბლეკის ოთახი?

— მთავარ შენობაში.

— საწყობების გაყოლებაზე?

— ჰო. პირველი სახლი, აგურის.

ეზო გადავჭერი და კიბეზე ავედი. „დაკაკკუნეთ!“ — ეწერა კარზე. მეც დავკაკკუნე.

— შემოდით.

ეს მისტერ ბლეკის ხმა იყო. იგი იჯდა, ფეხები მაგიდაზე დაეწყო კბილში კბილის ჯაგრისი ჰქონდა გაჩრილი.

— მე მივდივარ, — მივმართე ბლეკს, — ოღონდ ჯერ ქაღალდი უნდა მომცეთ, სადაც ეწერება, რომ აქ ვიცოდი, თუ ვქურდობდი.

— აა, ეს შენა ბრძანდები? — მისტერ ბლეკმა ჯაგრისი ყურზე ჩამოიდო. — მე კი მეგონა, ინგლისური არ იცოდი. კარგი მაიმუნი ყოფილხარ!

— ამდენი კი ვიცი, — ვუპასუხე მე. — ისეთი ქაღალდი მომეცით, სადაც წათქვამი იქნება, რომ აქ შემთხვევით მოვხვდი, რომ არ ვიცოდი, თუ ვქურდობდი. აი შემდეგ კი წავალ. აქ საკამათო რა არის?

— კარგია! აი თქვე ტილიანო ჩამოთრეულებო! ყველანი ერთნაირები ხართ. ათიოდე დოლარს მოიგდებთ ხელში და ქეიყანა თქვენი გგონიათ!

— „ჩამოთრეული, მაიმუნი, ტილიანი?! უკაცრავად, მაგრამ თქვენი ხნის კაცი ასე არ უნდა ლაპარაკობდეს.

— ახლავე გამეცალე აქედან!

— დამიწერეთ ქაღალდი და წავალ.

— აი, შე გამოთაყვანებულო ნაბიჭვარო! — მისტერ ბლეკი სავარძლიდან წამოხტა. — არაფერსაც არ დაგიწერ. წადი, წაეთრიე, თორემ აქედან გისვრი. — მან მაგიდაზე მუშტის ბრახუნი დამიწყო. — არ გესმის?! გაეთრიე!

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქიდან მაღალი, გამხდარი, ჭაღარა კაცი გამოვიდა. მისტერ ბლეკმა მუშტების ბრახუნი შეწყვიტა და კრავივით უწყინარი გახდა: „რას მიბრძანებთ, სერ? ბრძანეთ, სერ“. „აჰა! ეს, ალბათ, ყველას უფროსია“, — გავიფიქრე მე.

— რას ნიშნავს ყოველივე ეს?! — უფროსი ალუბლის კურკებივით ისროდა სიტყვებს. — მე მგონი იცი, რომ აქ შენი მაწანწალები არ უნდა შემოუშვა!

მე უკვე ადარ შემეძლო ამდენი ლანძღვა-გინების ატანა.

— ნუ მეძახით მაწანწალას, მე ეს წუთია ამას ეეუბნებოდი თქვენს მეგობარს, მისტერ ბლეკს. თქვენ, მით უმეტეს, დროული კაცი ხართ და მეტი უნდა გესმოდეთ. ლანძღვა-გინება ხომ ლაწირაკების საქმეა. თქვენ კაცი ხართ და კაცურად მოიქეცით!

— მომაშორეთ ეს კაცი!

მისტერ ბლეკმა ქაღალდის წერა დაიწყო.

— ეს კი იცოდეთ, — უფროსმა გრძელი თითი ჩემსკენ გამოიშვირა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირადად მე ვიზრუნებ, რომ თქვენი სახელი შეერთებული შტატების ყველ
საწარმოს შავ სიაში მოექცეს.

— მილიონობით ადამიანს, ალბათ, არც კი გაუგონია თქვენი სახელი.
თქვენი შავი სია მათთვის ჩალადაც არა ღირს. ისინი მომცემენ სამუშაოს.

— ანისაც ვსახავთ!

მისტერ ბლეკმა წერა დაამთავრა.

— აბა, შენი ქალალდი, ოღონდ, როცა ალაყაფის კარს გაცდები და გა-
ფიცულები ნაწლავებს დაგაყრეინებენ, მე ნუ დამემდურები! ნახე სანინტრუ-
ლი მანქანით მოყვანილი ხალხი? როგორ ფიქრობ, სამართლიანად მოექცნენ
მათ?

— თუ ვინმეს ცოლს, ფულს, სახლს, ბავშვებს მოვტაცებ, — ვუპასუხე
მე. — ჯაშინ მას უფლება ექნება ყოველნაირად შემიშალოს ხელი.

— კმარა, წაეთრიე! — გაცოფდა ბოსი. — ახლავე, თორემ ქარხნის მცვე-
ლებს დავუძახებ. მათ იციან შენისთანების მოვლა!

— არ მიყვარს, როცა მაშინებენ, — ვუთხარი მე. — ახლა უკვე მეძნელება
წასვლა, ეს გაქცევას ემგვანება. თქვენი სიტყვები უკან წაიღეთ, მაშინ წავალ
და ბარი-ბარში ვიქნებით.

— იცი რას გიზამენ მცველები?!

— რას? მომკლავენ? ომის დროს ყოველდღე ვხედავდი, რომ ჩემზე უკე-
თესი ბიჭები ეცემოდნენ და აღარ დგებოდნენ. ერთხელ დაბადებული ერთხელ
მოკვდება, დღეს თუ ხვალ, რა ბეღენაა!

მისტერ ბლეკი ტელეფონის მილს წასწვდა, მაგრამ მე მოველოდი ამას,
ტელეფონს ხელი ვტაცე და ჩემს უკან მაგიდაზე დავდე.

— თუ გინდა დავარტყათ, — ვუთხარი მისტერ ბლეკს, — სადაც გინდა და
როცა გინდა. ვამჯობინებდი კი ახლავე. ოღონდ ვაყაცურად. მცველები? ეგ
რა კაცობაა? სიმამაცე გინდა იყიდო, ისე როგორც წინდებს ყიდულობ ხოლ-
მე? ფული გადაუხადო ვინმეს, რომ შენთვის გამოიჩინოს ვაყაცობა?

დიდ ბოსს სახე მარჯნისფერი გაუხდა და თვალების პარპალი დაიწყო.
იგი ჯანმრთელ კაცს არ ჰგავდა. ალბათ, ბევრი ჭამა-სმა უყვარდა.

— ინანებ, — თქვა მან.

— რა თქმა უნდა ვინანებ, უკვე ვნანობ კიდეც. როგორ ფიქრობთ, მესია-
ზრვნება, რომ ასე უხეშად გელაპარაკებით ამ ჭალარა, მამისტოლა კაცს? რა
თქმა უნდა, არა! ჩემი თავისა მრცხვენია, მაგრამ თქვენი ბრალია იმიტომ, რომ
მლანძღავდით და შემუქრებოდით.

მისტერ ბლეკმა რაღაც წაუჩურჩულა დიდ ბოსს.

— არა, — უპასუხა მან, თან ყბა ისე უცახცახებდა, რომ ძლივსღა აბამდა
სიტყვას სიტყვაზე. — ალაყაფიდან გავიდეს, ეს უფრო იოლი გზაა.

— მშვიდობით! — მე უკვე კართან ვიყავი. — ყველა ერთნაირად არ უყუ-
რებს ცხოვრებას.

მათ არაფერი მიპასუხეს.

ავლავ კლუბში დავბრუნდი, ქალალდი ავიღე და ოთხი წერილი დავწერე —
თურქულად, რუსულად, სპარსულად და ქართულად:

„პატივცემულო ბატონებო!

გთხოვთ მაპატიოთ ჩემი შეცდომა. ისე მოხდა, რომ არ ვიცოდი, თუ სა-
მუშაოს გტაცებდით. აი ამიტომ გამოვდივარ!

თქვენი გულწრფელი...“

და ხელი მოვაწერე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიჯაკის ორივე მხარეს ორ-ორი წერილი დავიმაგრე ქინძისთავით, მისტერ ბლეკის წერილი შლაპის ბაფთაში გავირეკე, ჩემთდანი ავიღე და პირველი ჭიშკარი გავიარე. მთავარ ჭიშკართან რომ მივსულიყავი, დაახლოებით 200 ფუტის სიგანის ეზო უნდა გამეელო. გავიგონე, როგორ დაიწყო ხალხმა ღრიალი, როცა ამ ეზოზე მივდიოდი. „გაიღე!“ — მივაძახე დარაჯს, რომელიც მთავარ ალაყაფთან ამართულ სადარაჯო კოშკურაზე იდგა. მან თავი გააქნია და ბრბოზე მანიშნა. „გაიღე!“. საკეტმა გაიტკაცუნა, მე ღრმად ჩავისუნთქე და გავედი.

გონს რომ მოვედი, ტახტზე ვიწექი და ვიღაც ლედი სისხლს მწმენდდა. ირგვლივ რამდენიმე კაცი შემომხვეოდა და მომჩერებოდა.

— ჩვენ ძალიან ვწუხვართ, — მომმართა რომელიღაც სლავურ ენაზე ცალთვალა კაცმა, — ჩვენი ბიჭები ფიცხები არიან.

— არაფერია, — მე თავი და ხელ-ფეხი ავამოძრავე. დაზიანებული არაფერი მქონდა. — რა მოხდა?

— შენ გარეთ გამოხვედი. ბუნებრივია, პატარა არეულობა მოხდა. ვიღაცამ მოგცხო და დაგაგდო. როცა დაეცი, მათ ბლეკის წერილი ნახეს და მაშინვე შენი მოკვლა დააპირეს.

— რატომ?

— წერილი ამბობს: „ამა წერილის წარმომდგენი ჩემი პირადი რწმუნებული არის, კეთილ ინებეთ და შესაფერისად მოექეცეთ“. მაგრამ ერთმა თქვა:— მოიცათ, მოიცათ, მაგ შტრეიკბრეხერების დალალს ჩვენთვის არასოდეს არ უთქვამს სიმართლე, ახლა რატომღა უნდა დავუჯეროთ. რაღაც მახეს გვიგებენ. ერთი ენახოთ სხვა წერილები რას ამბობენო. მაგრამ ვერავინ შეძლო მათი წაკითხვა და ამიტომ აქ მოგიტანეს.

ყველაფერი წერილად მოვუყევი და დავმეგობრდით. სანამ გამოვჯობინდებოდი, იმ სლავ კაცთან და მის ოჯახობასთან დავრჩი, შემდეგ კი მეცხვეებთან ერთად, გაფიცულთა პიკეტებზე ვდარაჯობდი. აღარც თამბაქო მქონდა, აღარც ბიშტექსი, აღარც 7 დოლარი. სამაგიეროდ არც მისტერ ბლეკი იყო აქ. ასე, რომ სრული წონასწორობა სუფევდა.

ერთი კვირის შემდეგ დიდმა ბოსმა გადაწყვიტა შეთანხმებოდა გაფიცულებს. მე ვფიქრობ, მობეზრდა ყოველდღე 7 დოლარის ძლევა იმ სირიელისათვის, რომელიც იმისათვის უკეთებდა საეცხლურში გაზეთილ ქაღალდებს, რომ გაფიცულები მოეტყუებინა — ბრძმედები მუშაობსო; ბოსს კი შეეძლო 3 დოლარად ეშოვნა ისეთი ხალხი, რომლებიც ნამდვილ ცეცხლს დაანთებდნენ, — რაც უნდა იყოს, ის ხომ გაქნილი ბიზნესმენი იყო.

ასე რომ, ჩემმა მეგობრებმა მუშაობა დაიწყეს და მეც კი მომინახეს ადგილი იმავე შემკეთებელ საამქროში. მაგრამ გადაწყვიტე, ეს სამუშაო არ ამეღო. მართალი გითხრათ, გული არ მიშვრებოდა ამისთანა უფროსის ხელში მუშაობას — ამ კაცს ზრდილობის ნასახი არ გააჩნდა და ყველაზე ცუდი კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ სამუდამოდ ასეთი დარჩებოდა.

მიწის ძახილი

ამის შემდეგ ემბრიჯში წავედი. პირველად დეპოში ვმუშაობდი, მერე გარაჟში ვიშოვე ადგილი. თვე თვეს მისდევდა. უკვე სამი წელი იყო, რაც ობილისი დავტოვე. სამი წელი! ამ ხნის განმავლობაში, თუ ნიუ-იორკში გატარებულ პირველ თვეებს არ ჩავთვლით, ერთი ქართული სიტყვაც კი არ გამიგონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც არ უნდა მოვხვედრილიყავი, სულ სომხის, ასურელის და სპარსელის ძებნაში ვიყავი, — ერთიც ენახოთ ქართული ესმოდეთ-მეთქი, მაგრამ ბედი არა მწყალობდა.

პიტსბურგში რომ ვმუშაობდი, ერთმა თურქმა მითხრა, ჩემი ბიძაშვილი უილინგში ცხოვრობს და ქართულად მოლაპარაკე კაცს იცნობსო. როცა დასვენების დღე დადგა (ჯერ კიდევ არ ვიყავი გამოვდებული წეროს ქარხნიდან), ავტობუსით წავედი და თურქის ბიძაშვილი მოვნახე. მაგრამ გამოირკვა, რომ მის მეგობარს სულ ერთი თუ ორი კვირა ეცხოვრა ბათუმში 1918 წელს. მას ახსოვდა ხილის გამყიდველები, ახსოდა ბულვარი. ენა კი... რაღა კითხვა უნდა, ორ კვირაში ხომ ვერ შეისწავლიდა.

კარგახანს შევრჩი მასთან. ძეხვი და ბური გიახელით და რამდენიმე ჭიქა ღვინოც გადავკარით.

— მე არ მიკვირს, — მითხრა თურქის ბიძაშვილმა (ასლანი ერქვა), — კარგად მესმის, რაც გემართება. ერთხელ ინდიანას შტატში წავედი მზარეულად. ექვსი თვე ვმუშაობდი იქ. ღმერთმანი, ერთი კაციც ვერ ვნახე. რომ გამოვსაუბრებოდი. ათასი დოლარი ნაღდი ფული რომ მომცენ, ამას აღარ ჩავიდენ.

სულ ასე მემართებოდა, მაგრამ მაინც ხელახლა ვიწყებდი ისეთი კაცის ძებნას, რომელსაც ქართული ეცოდინებოდა. ეკლესიაში, სასაუზმესა და ბულულ კლუბში რომ მოვხვდებოდი, პირველად იმას კკითხულობდი, ქართული ხომ არავინ იცის-მეთქი. ეს უკვე ჩვეულებად გადაშექცა.

ერთმა სომეხმა დიაკვანმა გაიგო ჩემი გასაჭირი, ღამით შინ მომადგა და მითხრა. ერთ სომეხს ქართველი ცოლი ჰყავს, წაგიყვან და იქნებ შესძლოს შენთან ლაპარაკი.

წავედით. ის ქალი მართლაც ქართველი გამოდგა, მაგრამ ქართული არ იცოდა. ბოდიშიც კი რუსულად ძმისიხადა — ერთი წლისა ყოფილიყო, მშობლებს რომ ოდესაში წაეყვანათ: მაპატიეთ, გეთაყვათ, ერთი სიტყვაც არ ვიცი ქართულადო.

ერთხელ გავიგე, რომ უნივერსიტეტში დიდი მეცნიერები ყოფილან, რომ ისინი წერენ წიგნებს და ბევრ ენაზე ლაპარაკობენ, რომ ქვეყნის ყველა კუთხიდან უამრავი სტუდენტი მოდის მათთან სასწავლებლად. ვიფიქრე, ასეთი ნასწავლები თუ არიან, იქნებ ქართულიც იცოდნენ-მეთქი. დასვენების დღეს საგანგებოდ გამოვწყე და უნივერსიტეტში წავედი. ორ პროფესორთან ამაგზავნეს ზედა სართულში. მარმარილოს კიბით ავედი მათთან. სირიული კინდა, რუსული, ბერძნული, სპარსული, სომხური თუ თათრული, — ყველა ინგლისურივით იცოდნენ. ქართული? არა, ქართულისა არაფერი არ გაეგებოდათ.

კარგახანს აკანტურეს თავი. შემდეგ ერთმა მათგანმა თაროდან უზარმაზარი წიგნი გადმოიღო.

— იცით თუ არა, რომ თქვენ ერთ-ერთ იშვიათ ენაზე ლაპარაკობთ, რომ იგი არ უკავშირდება ენათა არც ერთ ჯგუფს? — მკითხა მან.

— მგონი, სუმერულის კვალი შეინიშნება მასში, — თქვა მეორემ. შემდეგ მითხოვეს რამე თქმეა ქართულად, მაგრამ არ ვქენი. რა აზრი ჰქონდა? მელაპარაკა და პასუხი არ მიმეღო? წყალი მენაყა? დავევშვიდობე და წამოვედი. ხელი ჩავიქნიე, არაფერი მეშველება-მეთქი, გადავწყვიტე და ღიღინი დავიწყე ვულის გადასაყოლებლად (როგორც კრიალოსანს მარცვლავს ხოლმე ზოგი ვულის გადასაყოლებლად).

ქუჩაში ვიყავი თუ სამუშაოზე, სულ სიმღერებს ვღიღინებდი, თავში სულ

სიმღერები მიტრიალებდა. „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ...ლაო...“

ქუჩაში მომიხედავდნენ ხოლმე, დუქნის ბიჭები დამცინოდნენ, მაგრამ გაჩუმება არ შემეძლო. მემღერებოდა...

იმ დღესაც ღიღინით მივედი სამრეცხაოში პერანგების გამოსატანად. „რომ არ გაფუქდეს ჩონგური, ოღელა, დელა, დელაო“.

დახლში მდგომ ქალს ქვითარი გავუწოდე. შევამჩნიე, რომ გაოცებული მომჩერებოდა, მაგრამ ყურადღება არ მივაქციე, — უკვე მიჩვეული ვიყავი ამას.

— თქვენ რომელიღაც უცნაურ ენაზე ღიღინებთ, არა?

— დიახ, ქალბატონო!

— მამაჩემმაც იცის ერთი უცნაური ენა, ძალიან უცნაური. ერთხელ, ამ ათი წლის წინათ, განცხადება გაუგზავნა „სან ტელეგრაფს“: „ვეუხდი 1000 დოლარს, ვისაც ჩემი ენა ეცოდინება“. აი ასეთი განცხადება მოათავსა და ხელი მოაწერა: ალ. მონტო. რამდენიმე კაცი მოუვიდა, მაგრამ ის ენა არავინ იცოდა. ძალიან უცნაური ენაა.

— ქალბატონო, ყველა ენა, რომელიც არ იცი, მე ვგონი, უცნაურად მოგეჩვენებათ, — ეუთხარი მე და წავიღიღინე: „ნურც გფრინდები, ნურც მოფრინდები, დელია რანუნი...“

— მოდი დავუძახებ. მამა! მამა!!

— მა-მა!!

— წყალს ნაფოტი, ჰარალო, წყალს ნაფოტი ჩამოქონდაა...

გვერდითა ოთახის კარი გაიღო და იქიდან პატარა მოხუცი გამოხტა.

— „წყალს ნაფოტი“? ვინ მღერის „წყალს ნაფ ტი“? — იკითხა მან („წყალს ნაფოტი“ ისე წაიმღერა, თითქოს დაუსპანგამა ურეშმა დაიკრიალაო).

მე მოხუცს მივაშურე:

— გამარჯობათ, ბატონო!

მან ხელები გაშალა, გულში ჩამიკრა და გადამკოცნა. ლოყებზე მსხვილი ცრემლები ჩამოუგორდა.

— გაგიმარჯოს, შვილო! ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა!

— მეშვილა! სამი წლის შემდეგ კვლავ გავიგონე მშობლიური ბგერები...

ქალიშვილმა სკამი მოუტანა მამამისს. მე მის გვერდით იატაკზე მოვიკალთე.

— სამი წელი! — თქვა მოხუცმა ქართულად. — სამი წელი და წუწუნებ? მე რაღა ვთქვა, შვილო, 30 წელია მშობლიური ქართული არ გამიგონია!

მოხუცმა მიამბო თავისი თავგადასავალი: ორი წლისა ყოფილა, როცა დედამამა (მამა გემის კაპიტანი ჰყოლია) ცოვბ-ცხელებით დაღუპვია ბათუმის ნავსადგურში. ბავშვი ერთ ქართველ ოჯახს აუყვანია. როცა დავაკაცებულა, მეზღვაურობა დაუწყია. პიტსბურგში მოხვედრილა, მოსწონებია და საბოლოოდ აქ დარჩენილა საცხოვრებლად.

ამის შემდეგ თითქმის ყოველ საღამოს მოხუცს გავუვლიდი ხოლმე სამრეცხაოში. ვიყიდდით ზეთისხილს, მარილიან ყველს, კიტრებს, ძია მონტოს ერთსართულიან სახლში მივდიოდით და ღვინის ქასრს მოვუსხდებოდით ხოლმე, ძია მონტოს თუმცა 30 წელი არ გაეგონა ჩვენი ენა, ჩვენებური ღვინის დაყენება მაინც არ დავიწყებოდა.

ყოველ საღამოს დავსხდებოდით ხოლმე მისი სარდაფის კართან გამართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანჩატურში, ვმღეროდით, ვყვებოდით კინტოების ანეკდოტებს, არაკებს, რიგ-რიგობით ვიხსენებდით ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

ვლაპარაკობდით... ვლაპარაკობდით...

არ ვიღლებოდით. სიტყვები მოდიდებული მტკვარივით მოედინებოდა და ნანასავით ესალბუნებოდა სმენას.

გულისმომკვლელი სურათია, როცა ავადმყოფი თვალდათვალ გადნება ხელში, მაგრამ ბევრად უფრო საშინელი სანახავია ქალაქი, რომელიც შენს თვალწინ კვდება.

ასე დაეშართა დეტროიტს 1932 წლის ზამთარში. ეს ქალაქი, წინათ მხიარული და სიცოცხლით სავსე, მოკვდა,

ჯერ ფაბრიკა-ქარხნებს მოეღო ბოლო, შემდეგ ზედიზედ მიიკეტა პატარა დუქნები, რომლებიც ცოტაოდენ შემოსავალს მაინც უტოვებდა მედუქნეებს. გამოცარიელებული ვიტრინები ცხედრის თვალებივით მისჩერებოდნენ უკაცურ ქუჩებს. ყველგან მოჩანდა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლები და სახელმწიფო დაწესებულებები. ქვეყანა ისე იცლებოდა ფულისგან, როგორც დაპრილი სისხლისგან.

ჯამაგირის მიღების დღეს სულ უფრო და უფრო მეტ მუშას აძლევდნენ ჩეკზე ქინძისთავით მიმაგრებულ ვარდისფერ ქაღალდს, — ეს ნიშნავდა, რომ მუშები უკან აღარ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ძალიან ხშირად ვხედავდი ასეთ სურათს, როცა ჯამაგირის რიგში ვდგავ. დათხოვნილები ისე გაიცრიცებოდნენ, თითქოს ტიფმა შეამცივნაო. ეს დეპრესია მართლაც ტიფსა ჰგავდა, ოღონდ კვდომის პროცესი იყო შენელებული.

ნეტა რატომ მოხდა ასე? მიზეზი არავინ იცოდა. ვითომ ნიუ-იორკის ბირჟის ბრალი იყო? ზოგი ასე ფიქრობდა. ზოგი კი ამბობდა, ნიუ-იორკის ბირჟა სადღაც დაკარგულშია, როგორ მომწყდებოდა დეტროიტში, როგორ წამართმევდა ლუკმა-პურსო. ვერც მე მიმეხვდარიყავი, რა მოხდა. იმას კი მივხვდი, რომ სირცხვილი იყო დავრჩენილიყავი სამუშაოზე, რომელიც ცოლშვილიან ხალხს ესაჭიროებოდა, ამიტომ ანგარიშის გასწორება მოვითხოვე. აღებულ ფულს შავი დღისათვის გადანახული ორასიოდე დოლარი დავუმატე და ჯართის მოგროვება დავიწყე. ვყიდულობდი ძველ ავტომანქანებს, ვამტკრევდი და ნაწილებსა და ჯართის ვყიდდი. ფასზე არა ვჯანჯლობდი.

ჩემს მეზობლებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. ყოველ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებისას, ვხედავდი ანა ფიოდოროვნას, იგი ჩაის სვამდა სასადილო ოთახში. ვატყობდი, რომ დღეს გუშინდელზე უფრო შეწუხებული იყო.

პარასკევს ბინის ქირა გადავიხადე და ცოტა ხანს შევყოვნდი ანა ფიოდოროვნასთან.

— დაბრძანდით, გიორგი ივანიჩ, — მითხრა მან და ჩაი დამისხა. — საშინელი დრო დადგა, საზარელი. უკვე თქვენმა მეგობარმაც დაკარგა ადგილი, ვალოდიამ. მადამ გრეშკინას არც ერთი მოწაფე აღარა ჰყავს.

— ეგ მოსალოდნელიც იყო, — ვთქვი მე, — ვიღასა სცხელა მუსიკისათვის. ტრა-ლა-ლა მშიერ კუჭზე?

— ეჰმაკი და ის მოხუცი სპარსელი ჯენტლმენიც მიდიან ორშაბათს. მთელი ეს უზარმაზარი სახლი თქვენი ქირის ანაბარა მრჩება. რა უნდა ჰქნას კაცმა?!

— იქნებ დრო შემოტრიალდეს, — დავამშვიდე ანა ფიოდოროვნა.

— ეჰ, არა მგონია. მე თუ მკითხავთ, რაც თავი მახსოვს, ცხოვრება სულ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

უკან-უკან მიდის. მე კი მეგონა, ამერიკა მდიდარი ქვეყანაა და აქ ყველაზე-ᲛᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ
თავზე საყრელია-მეთქი.

— სამწუხაროდ აქაც არიან ღატაკები, ისინი ყველგან არიან.

ოთახში ანა ფიოდოროვნას მამა — „მისი აღმატებულება“ შემოვიდა. ანა ფიოდოროვნამ ნამცხვარი დაუჭირა და შემეპატიჟა:

— მიიჩთვეთ, გიორგი ივანიჩ, ერთი ნაჭერი. დღეს მამაჩემის დღეობაა. ვინ იცის გაის ამ დრომდე მიაწევს ჩემი მამიკო, ან ვინმე ჩვენგანი!? ნამდვილად აღარა ღირს ბრძოლა. ხშირად მიფიქრია ამაზე. სიკვდილი ჯობს ყველაფერს.

— გაიჩნია: იქნებ ვერც მაგაში ნახოთ სიამოვნება. ერთხელ ხომ სცადეთ?

— რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“ და გულიანად ამოოხრია ჩაის ჭიქას. — სწორად არ მოდის საქმე. ხომ დაგვპირდნენ, ამერიკაში ყველას ექნება სამუშაოო! ასე არ იყო?

რატომ წუხდა ასე, ვერა ვხედავდით. მას ერთი დღეც არ უმუშავია თავის სიცოცხლეში. (თუმცა ეს რა ჩემი საქმეა).

— ჰო, მაგრამ რა ვიღონოთო, რა შეგვიძლია? — იკითხა ანა ფიოდოროვნამ.

— სადმე სხვაგან გადავიდეთ. — თქვა „მისმა აღმატებულებამ“. — ამ თვალსაზრისით ამერიკა კარგი ქვეყანაა: რამდენ ადგილსაც არ უნდა იყო ნამყოფი, წასასვლელი მაინც დარჩება.

— ოღონდ ისეთი მხარე მოვნახოთ, სადაც სამუშაო იქნება. სწრაფად თუ ვიგლეთ, მამიკო, ძალიან სწრაფად, იქნებ გავასწროთ ღვთის რისხვას. (ანა ფიოდოროვნამ პირჯვარი გადაიწერა), დეტროიტს რომ დასტეხია თავს.

— დრო მინდა მოსაფიქრებლად, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“, — ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონო. — მან თვალებზე ხელი აიფარა და ჩაფიქრდა.

ამ დროს ანა ფიოდოროვნას ქალიშვილი ლუბა მოვიდა, თხუთმეტი-თექვსმეტი წლის კუდრაჭა გოგონა. ანგელოზივით ლურჯი ოვალები, კარდისფერი ლოყები და იხვის ჭუკივით ყვითელი კულულები ჰქონდა. ხასიათიც შეეფერებოდა მის გარეგნობას — ჯორივით ჯიუტი და თავნება იყო; საშინელი გაწყრომატება იცოდა და თუ ტირილით ვერაფერს გახდებოდა, კბენასაც კადრულობდა. მე ლუბას ძმა მეცოდებოდა, არტაშა. იგი მშვენიერი 12 წლის ბიჭუნა იყო. ხშირად მიფიქრია, ნეტა თუ გიიზრდება ლუბას ხელში-მეთქი?

— გამარჯობა, ლუბა. რა გასწავლეს დღეს სკოლაში?

— ნუ მეძახი ლუბას, — მან ფეხები დამიბაკუნა. — ათასჯერ გითხარი. განგებ მეძახი — ლუბა! ლუბა! მე ახლა ლუსეტი მქვია.

— ზრასტვუიტე, ლუსეტ პეტროვნა, გამარჯობათ. მის ლუსეტ, სასიამოვნოა თქვენი გაცნობა. ასე გირჩევნია?

— გარდა ამისა, მე სკოლაში აღარ დავდივარ. თავი დავანებე. ვმუშაობ.

— რას აკეთებ?

— ადგილებს ვუჩვენებ მაყურებლებს კინოში.

— მერე მაგისათვის დატოვე სკოლა? რა გამორჩენა გაქვს?

— ყველა სურათი შემიძლია ვნახო, სამი, ოთხი, ხუთი — რამდენიც მომესურვება. ესაა ჩემი გამორჩენა.

— თეატრის ბრალია, — თქვა ანა ფიოდოროვნამ. — ვერ გავამატყუნებ, ამაში მე მგავს. ეჰ, თეატრი! როგორ მიყვარდა! პეტროგრადში ჩვენი ლოჟა გექონდა...

„მისმა აღმატებულებამ“ რიხიანად ჩაახველა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაცა მოიფიქრა. — მაშ შევთანხმდით, — თქვა მან. — ეს ერთი. მეორე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი გაიღო და ოთახში ბორბლებიან ციგურებზე შემდგარი არტაში შემოგორდა. მან ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ მაგას ყველაფერს ათ ცენტად ვნახავ ბელ აილის სამხეცეში.

— ქერიგებს ღვთის რისხვა დაატყდათ თავზე, — დაიწყო ტირილით ანა ფიოდოროვნამ და ცრემლები ღვართქაფად ჩამოედინა ლოყებზე. — თქვენ თუ უარს მეტყვით, რა ქნას ვახალო თავი, არ ვიცი.

— ჭიქაში ნუ იცრემლები, დედიკო, — უთხრა არტაშამ და ხელი მოუთათუნა ხელზე, — ჩაი დაგიმლაშდება. მე ძაღლებშემბმული მარხილით გასეირნებ, როცა იქ ჩავალთ. მე და გიორგი ივანიჩს ძაღლები გვეყოლება და ქერიგით გაგაკვირვებთ. — არტაშა ფეხებით მიაწვა მაგიდას. — გასწით, გაფრინდით, მე წამალი მიმაქვს ნომში, აბა, ყოჩაღად!

ლუბამ კიდევ აიღო ნამცხვარი.

— *ოქრო! — თქვა „მისმა აღმატებულებამ“,* — სულ ოქრო მიტრიალებს თავში. *ერთი მიგნებაა სამმე, თორემ მერე ხვეტე და ხვეტე.*

— ზღვის ლომებიც — თქვა არტაშამ — სელაპებს ჰგვანან, ოღონდ ულვაშები აქვთ, გიორგი ივანიჩ. ვიცი, მოგეწონებათ.

— კარგი, კარგი, ნუღარ ტირიხართ, ანა ფიოდოროვნა, მე მოვდივარ.

ლუბამ ნამცხვარს ბოლო მოუღო, თითე ბეჭედზე ადგა და განაცხადა:

— მივდივართ, ოღონდ ალიასაში კი არა, მე მსურს კინოვარსკვლავი გავხდე. ამიტომ გადაგწყვიტე ჰოლივუდში წავიყვანოთო.

— ახლა ამაზე აგვიტყდა დავა — ალიასკა თუ კალიფორნია. ჩემს სიცოცხლეში პირველად დავუქირე მხარი ლუბას; თუკი სადმე წავიდოდი, ყველას კალიფორნია მერჩია. ძია ვანო ამ ექვსი თვის უკან წავიდა კალიფორნიაში და სულ მწერდა, ჩამოდით; ამერიკელებთან საუბრიდანაც დავასკვენი, რომ კალიფორნია ძვირფასი მხარეა. ბოლოს და ბოლოს თოვლი მაინც არ იქნება.

დავიწყეთ მზადება გასამგზავრებლად. ჩემი ხარახურის საწყობში მივედი, საუკეთესო ნაწილები ამოვარჩიე და ავტომობილი შევაკოწიწე. ცოტათი ღილიკას წაადავდა, ცოტათიც — ბალდახინს.

— სპარგო მანქანაც დაგვჭირდება, — მომახალა ანა ფიოდოროვნამ, როცა ჩემი „შემოქმედება“ შინ მივაგორე თავის მოსაწონებლად.

— რათა? თქვენ, მისი აღმატებულება, ბავშვები და მე ხალვათად დავეტევით. ერთი ადგილიც დარჩება.

— ჰო, მაგრამ მადამ გრეშკინაც დავიყოლიე. ისიც ისიამოვნებს ჩვენი ექსკურსიით. ერმაკიც ფიქრობს წამოსვლას.

— კეთილი, მაგრამ სპარგო მანქანა რაღად გვინდა?

— რა საკითხავია, ჩემი ავეჯისათვის.

— ანა ფიოდოროვნა, ხომ არ გინდათ თქვათ, რომ ავეჯის კალიფორნიაში გადატანა გსურთ, მე მგონი ამას არ ამბობთ?

თქვენ წარმოიდგინეთ, ანა ფიოდოროვნა სწორედ ამას ამბობდა.

ვიშოვე სპარგო მანქანა. 150 დოლარად. იაფად გამოვედით. ტონანახვევრიანი ფორდი იყო. დავიწყეთ დატვირთვა. საწოლებზე, მაგიდებზე, სკამებსა და ხალიჩებზე ხმა არ ამომიღია. მაგრამ შემდეგ კაუჩუკის ხის შეფუთნა დაგვჭირდა, — კაუჩუკის ხე კალიფორნიაში მიგვქონდა! შემდეგ ტომრით 50 გირვანქა ბუმბული გამოიტანეს.

— ეს ბუმბული ბებიაჩემის დედის ნამზითვია, — აგვიხსნა ანა ფიოდოროვნამ. — ჩემი წმიდა მოგალეობაა ლუბას შევუნახო სამზითოდ.

— ლუბამ ჯერ ქმარი მონახოს, ისა სჯობს, — ვუთხარი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხის მაგივრად ჩიტის ბალია მომაჩჩა, მანქანაზე დადეო. დიდი ბალმა იყო. ჩიტი გზაში მომკვდარიყო, როცა რუსეთიდან მოდიოდნენ.

— ამ ბალიას ვერაფრით ვერ შეელევით?

— რად გინდათ, გეთაყვათ, გამაწბილოთ? ჩემი სიამოვნება ასეთი უბრალო, პატარა რაიმეთი შეიძლება. რატომ მატოვებინებთ ბალიას? რად გინდათ მომისპოთ იმედი, რომ ოდესმე მომდერალი იადონი მეყოლება, რომ მისი გალობით დავტკბები?

ბალია მანქანაზე დავდე. ბოლოს, როცა სამცხეს მარხილის ეტვნებაინი მოსართავები და ის სკა დაუდეს, არტაშას უკანა ეზოში რომ ედგა, მივხვდი, ლაპარაკით ვერაფერს გავხდებოდი. რაც უნდათ ისა ჰქნან!

— მე დავამთავრე ჩვენი ექსპედიციის გეგმების საბოლოო ვარიანტი, — თქვა „მისმა აღმატებულებამ“ ერთ დილას, თავის დიდ პორტფელს თასმები შეხსნა და მოგრძო ქაღალდი ამოიღო: — მსუბუქი მანქანით წავალენ ჩემი ქალიშვილი, ბაჟშვები, მადამ გრეშკინა და ერმაკი. ერმაკი — დამცველად. საბარგოთი მე და თქვენ წავალთ, გიორგი ივანიჩ: გზას გავეკალავთ.

— ერთმანეთს უნდა მივსდიოთ, ერთად უნდა ვიყოთ, ესაა მთავარი, — თქვა ანა ფიოდოროვნამ. — თუ დავკარგდით, ნამდვილად ვიცი, მხოლოდ ზეცაში შევერთდებით.

— მერე როგორ მოვასერხოთ,—ეკითხა მე,—რუკის ცნობა რომ არ ვიცი? როცა ქაღალდზე უყურებ გზას, სულ ბრტყელია, როცა მიდიხარ, გზა აღმართზე და დაღმართზე გადის, ხან უხვევს, ხან ნაკადულებს ჭრის. დიდი განსხვავებაა.

— მაგას მე ვკისრულობ, — დამბირდა „მისი აღმატებულება“. — ინსტრუქციებს მე მოგცემთ. უზარმაზარი გამოცდილება მაქვს. მთელი სიცოცხლე ვმოგზაურობდი — ტრანსსიაიანიდან თურქეთში, პეტროგრადიდან ვლადიოსტოკში. ნურაფრისა ნუ გეშინია.

ყველაფერი მზადაა?

არა, ანა ფიოდოროვნას დრო სჭირდებოდა საგზლის მოსამზადებლად. მთელი კვირა ნამცხვრის სუნი ტრიალეს სახლში, მაგიდები დახორგილი იყო დატენილი ქათმებით, მოხარშული ლორით, სალათიანი, ჭარხლიანი და მწნილიანი ქილებით, ყველგან ტკბილეული ელაგა და დაჯდომისას დიდი სიფრთხილე გმართებდათ.

— გამგიგებთ, ანა ფიოდოროვნა, — ვუთხარი მე, — რას სჩადიხართ, აღდგომა ხომ არ გვისწრებს გზაში?

— დამაცადეთ, დამაცადეთ, ნუ მიშლით. ხუმრობა ხომ არა გგონიათ იმდენი საგზლის მომზადება, რომ შვიდ კაცს კალიფორნიამდე ეყოს.

— მე კი მეგონა რესტორნებში ვისადილებდით.

„მისმა აღმატებულებამ“ თავი გამოჰყო საკუჭნაოდან, სადაც „პირაშკებს“ ამოწმებდა.

— ჩემო საწყალო ბიჭუნა, ნუთუ იმედი გაქვს, რომ სადაც გავჩერდებით, ყველგან გამზადებული საკმელი დაგვხვდება? ეს იმის მაჩვენებელია, რომ სულ არ გქონია მოგზაურობის გამოცდილება. იქნებ რკინიგზის სადგურებს გულისხმობ? მაშინ მართალი ხარ — ადუღებულ წყალს ვიყიდით, რომ ჩაი დავლიოთ. მაგრამ ჩვენ ხომ ღარიბი ხალხი ვართ, აბა ვინ უნდა დავაწინაუროთ, რომ შევატყობინოთ, მოვდივართ და საკმელი დაგვიმზადეთო?

მის აღმატებულებასთან კამათს წყლის ნაყვა ჯობდა, ამიტომ აღარ შევეპასუხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, ოქტომბრის ერთ მზიან დილას, როცა სუსხი შამპანიურივით ციბინებოდა, მზადება მოვთავეთ და გავემგზავრეთ. დასამშვიდობებლად მოვიდნენ ანა ფიოდოროვნას მეგობრები — ოცი-ოცდახუთი ქალი, „ბისი აღმატებულების“ კლუბის წევრების უმეტესობა, ორიოდე ჩემი ნაცნობი ბიჭი და უამრავი მოსწავლე — ლუბას და არტაშას ამხანაგები. ყველა ერთად შეეგგუფულიყო და თვალდაჭყეტილი შემოგვცქეროდა. საბარგო მანქანა დატვიროლია. ბენზინი და ზეთი მსუბუქ მანქანაშია. მზადა ვართ?

— არა, — თქვა ანა ფიოდოროვნამ და მანქანიდან გადმოვიდა, — არა. ასე წასვლა არ იქნება. მეგობრებს მარტო გამოცარიელებული სახლი უნდა დაამახსოვრდეთ?! ეს სამნელი დანაშაული იქნება. დაე, ყველას ახსოვდეს ანა ფიოდოროვნას ხელგაშლილობა, დაე ყველამ ილაპარაკოს, ყოველთვის გულუხვი იყო და წასვლის დღესაც ასეთი დარჩაო. გადმოიღეთ სამოვარი!

— სამოვარი საკერავი მანქანის ქვეშიდან გამოვათრიეთ, კოზები — ნახერხიდან (ნახერხში არ დაიფხაჭნებოდა), არტაშა სარდაფში გაიქცა და ერთი ტომარა ნახშირი მოიტანა, ან ფიოდოროვნამ მთელი საგზალი გადმოალაგა, რომ ნამცხვრამდე მიეღწია. ჩემს მოვალეობას შეადგენდა ჩაის ჩამორიგება და ანა ფიოდოროვნას მეგობრების ლაპარაკის მოსმენა. ისინი დაწვრილებით ყველაზოდენ თავიანთი მოგზაურობების ამბებს. მოგზაურობათა უმეტესობა უბედურად დამთავრებულიყო.

შუადღეზე ყველამ მოათავა ჭამა და ტირილი, ჭიქები გავრეცხეთ, საბარგო მანქანა ხელახლა დაეტვირთეთ და ახლა კი ნამდვილად წავედით. ნახვამდის! ნახვამდის! ნახვამდის!

ხელმძღვანელობა „მისმა აღმატებულებამ“ იკისრა: — მარჯვნივ! მარცხნივ! პირდაპირ! — და მიხვეულ-მოხვეულ, ტალახიან, ვიწრო გზაზე აღმოჩნდით.

— დეტროიტიდან მეთორმეტე შარაგზით გადიან ხოლმე. რატომ იმ გზით არ წავედით? — ვკითხე მე.

— ეჰ, ჩემო ბიჭუნა, — გადააქნია თავი „მისმა აღმატებულებამ“ — შენ ხულ ასეთი ბრძენი ხარ. გამოცდილი მოგზაურები ყოველთვის ერიდებიან მთავარ გზებს: ქურდებსა და ბანდიტებსაც აცდები და არც ბაჟს გადაიხდი.

ხან ტლაპობი მივდიოდით, ხან ყანებში, ხან ნახირს ჩავუქროლებდით გვერდზე, ხან მაყვლიანებს. ღამით ეკლესიის ეზოში დავბანაკდით. მეორე დილას კვლავ დავადექით გზას. ჩემი ვარაუდით კალიფორნიამდე ჯერ ბევრი გვაქვლდა.

მეორე დღეს, საღამოს, საგზალი გაგვითავდა. მადლობა ღმერთს! — ახლა შეგვეძლო რესტორანში შევსულიყავით და ადამიანურად გვეჭამა. მისი აღმატებულების ვარაუდი არ გამართლდა, — რესტორნებს თვლა არა ჰქონდა (შეტი არც დეტროიტში დაგვიტოვებია), ყოველ ნაბიჯზე გვხვდებოდა.

მშვენიერი სუფთა სასადილო ავირჩიეთ, ყველანი შევედით, მაგიდას შემოეუსხეთ და კერძები შეუკვეთეთ. მაგრამ ნეტავ რამდენი გამოვიარეთ? ცნობისმოყვარეობა მაღრჩობდა. ავდექი და დახლთან მივედი. სარკმელს გაღმა კაცი დავინახე. იგი ძეხვს წვავდა.

— თუ არ შეწუხდებეთ, მითხარით რომელ ქალაქში ვარ?

— იანგსტაუნში.

— იანგსტაუნში? ჩვეულებრივ რომელ შტატში ითვლება ეგ იანგსტაუნი?

— ოჰაიოს.

— ეს ოჰაიოა?! — დამცეცხლა. ნამდვილად მახსოვდა, რომ ეს შტატი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიარე, როცა პიტსბურგიდან დეტროიტში მივდიოდი. ესე იგი მხარი გვქცევია ჩრდილოეთისაკენ.

— მაპატიეთ, კიდევ ერთი შეკითხვით უნდა შეგაწუხოთ: თქვენი აზრით, კალიფორნიაში რომელი გზით უნდა წავიდეთ აქედან?

— დასავლეთით. — მითხრა მან და მამაკაცთა საპირფარეშოზე მიმითითა.

მე იქით წავედი, სამზარეულო და უკანა ეზო გადაკვეთილი და ნაგვის ყუთზე ჩამოვჯექი. კარგა ხანს შევყურებდი ზეცას და ბოლოს ეარსკვლავების მეოხებით კარგად ჩავიბეჭდე თავში მიმართულება. შემდეგ დავბრუნდი და ერთი ლურჯი თეფში შევეშვი (ეს ინგლისურად ნიშნავს მხოლოდ იმის შეშვას, რასაც ამ თეფშით მოგართმევენ — თეფში, რა თქმა უნდა, ოფიციანტს დავუბრუნე).

მეორე დილას ხელმძღვანელობა მე ვიკისრე:

— ორი დღე ვავფლანგეთ, — ვთქვი მე, — ორი დღე, რომელსაც ვერაფრით ვეღარ დავიბრუნებთ. გაშალეთ რუკები. არტაშ, ახლა კალიფორნიის გზას გააყოლე ჯოხი. ო'კეი. ახლა ჩამომიწერე ის შტატები, რომლებიც უნდა გავიაროთ.

არტაშმა ლამაზად, თანმიმდევრობით ჩამომიწერა: ოჰაიო, ინდიანა, მისური, კანზასი, კოლორადო...

— ახლა კი, — ვთქვი მე და მანქანა ავამუშავე. — ყველა მომყევით. სულ ასე ვივლით, პირდაპირ. ნამდვილ კვალს მივაგენი. კალიფორნია იქ გვიცდის, სადაც მზე ჩადის.

(გაგრძელება იქნება)

ინგლისურიდან თარგმნა ანდუყაფარ ბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

გზა-გზა მოკრეფილი ყვავილები

ბაქოს სანაპიროზე

ცა დაუშენს ზღვის მკერდს ვარსკვლავების ისარს,
ტალღის სასთუმალზე მთვარე გაგორდება.
ჩემი სანაპირო, სანაპირო მტკვრისა
ამ კასპიის ზღვასთან რატომ მაგონდება.

გული ისე იწვის, იტყვი, გვალვაშია,
ვდგავარ მარტოდმარტო, ზღვას გავყურებ ხარბად,
ბნელ კუნჭულში, ხესთან ვიღაც ქალვაჟია...
ეხ, მტკვრის სანაპიროს მეც ვახსოვარ ალბათ.

მტკვრის კამკამა სარკემ მეც დამხატა ქალთან
და გამტაცა მტკვარმა იმა ტალღის სარკე...
დღეს კასპია ჩემს წინ აშრიალებს კალთას
და ჰა, მარტოდმარტო მივალ ბაღისაკენ.

აქ თუ მოიტანა, აქ, კასპიის ზღვაში
ტალღის იგი სარკე კალმახიან მტკვარმა...
დაუბერა ქარმა, ზღვამ შემოჰკრა ტაში,
ვერც იმ ტალღას ვხედავ, ვერც იმ გულის კალმახს...

ბნელ კუნჭულში, ზღვასთან ვიღაც ქალვაჟია,
ეხ, მტკვრის სანაპიროს მეც ვახსოვარ ალბათ...
გული ისე იწვის, იტყვი, გვალვაშია,
ვდგავარ, ვდელავ ზღვისებრ და ზღვას გავცქერ ხარბად

ბაბრის გახსენება

როგორ ჩაგვიქროლა, როგორ გაქრა ის დღე...
წამოჩოქილ ზღვაზე თოლიები ისხდნენ.

ძმაო ალიოშა, მეგობარო ჩემო,
მლაშე წყალი მოსვა მოწყურებულ მზემო,
იმ მზის ახლო წამო, მაღალ მთების ზემოთ.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მაგრამ... როგორ დავთმობთ ამ საზღაპრო ნაპირს,
ქვიშამ ხარბად შესვა ქარვისფერი ქაფი,
ზღვისპირ დადგა ქალი მაისისფერ კაბით.

...გაგრა, მოქნეული შელის მშვენიერ ყელად,
შავ ზღვას შემოკკვრია მზისფერ ცისარტყელად.

მაგნოლიის ფოთლებს ჰკვეთს მზის სხივთა სვეტი
და ორთქლდება უცებ ჩეხურ ლუდის წვეთი...

როგორ გაჰქრა ის დღე, ჩვენ რომ შევაქეთო,
გაგრის ბაღში ალბათ ისევ შევა ქეთო...

ქეთო-ქეთევანი, ჩემი სულის ვანი,
ღამისფერი თვალი და ღიისფერი ტანი.

მე სად დავუსვდები, ბაღის რომელ კართან...
დღეს თბილისის ზეცა ზედ მაბერტყავს კალთას.

სად წაგიდა, მითხარ, შორს წასული გემო,
ის თაფლივით ბაგე და მარილის გემო...

რუსთაველზე ახლა ფრთას შლის შემოდგომა,
გვხიბლავს მთაწმინდაზე მთვარის შემოდგომა.

შეგვიმოკლდა წლები, მოიმატა დღემო,
ძმაო ალიოშა, მეგობარო ჩემო.

ხსვა ზღვის ტალღის ხმა რეკს, ეს ზღვა მართლაც სხვაა...
ათასფერი ზღვაა! განა შაი ზღვაა.

შაო ზღვაო, ალბათ აღარც გაგონდებით,
ხსვა ზღვამ აგვიტაცა როგორც ნაფოტები.

და პაი, რომ უკვე მიგვეფარა ის დღე...
წამოქოჩრილ ზღვაზე თოლიები ისხდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ კუხიანიძე

შენ დაგფენოდეს

ჩაყუჩებულხარ ნექტარნასვამი,
საბანს ამშეენებს შენი ხელები.
ტუჩზე ღიმი ხტის თაგუნასავით,
ფეთქავს სიცოცხლე დაუძლეველი.

შენი ლამაზი თმების ლივლივი
საამბორებლად მიწვევს, მაქეზებს...
ეჰ, რაც დამაკლდა ქვეყნად ღიმილი,
შენ დაგფენოდეს, შვილო, ბაგეზე.

მესკიას გუდე სასაფლაოზე

ამ მიდამოს მოღუშულს და იდუმალს
გადაუფრენს რიდით არწივიც.
შენ კი, შენ კი, მესკიელა ჩიტუნავ,
მითხარ, სიკვდილს ხომ არ დასცინი.

დასწიწკინებენ ციცქნა ფრთების ფათქუნა
სასაფლაოს ბუჩქნარს ეკლიანს.
მაყვლიანში ბუდეცა გაქვს ჩადგმული
და ბარტყებიც დაგიჩეკია.

დამცხრალი მზე შუბის ტარზე დასული
სამარენი ჩანან კორდებად...
შენ თუ გინდა შეჩვეულხარ ამ სურათს
ეგ ბარტყები არ გეცოდება?

ჩიტო, ჩიტო მოუარე პატარებს,
გაუფრთხილდი ყოველ ცისმარე.
ბუდეს ფოთლის ფარდა ჩამოაფარე,
ხომ არ ნახონ ცუდი სიზმარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იანკა კუპალა

მემკვიდრეობა

მე გადმომეცა დასაბამიდან
აურაცხელი მემკვიდრეობა
და ბედმა ჩემს სულს არ აარიდა
დედის სინაზე, მამის მხნეობა.
ეს ბუნებაა ჩემი სიმდიდრე, —
მემკვიდრეობის განძი ულევი.
დასაბამიდან მე დავიმკვიდრე
ოქროს ზღაპრები,
გაზაფხულები.

ჩემია ეს ბა,
ეს ძეძვის ლობე,
ყარყატი ცისკენ ღრუბლად წასული,
ნისლი — კაბად რომ აცვია სოფელს,
ღელესთან ძეწნა —
ტურფა ასული.
ჩემია ჩემი ყვავების გუნდიც
სასაფლაოზე მოყაშყაშენი.
მე ვარ მემკვიდრე
და მე მეკუთვნის
ეს დედამიწა — ჩემი გამჩენი.

და დღემდე ერთი მაქვს საზრუნავი,
ერთი რამ მექცა დღეს საფიქრალად
ჩემზე არავინ თქვას სამფურავი:
მემკვიდრეობა ვერ მოიხმარა.
ჩემი სიმდიდრე შეამაყება,
მეც მუდამ მასზე ზრუნვას ვუნდები
და სადაც წავალ — ყველგან დამყვება
ეს დიდი განძი — ფასდაუდები.
ის შვილებისგან არ იყიდება,
ჩვენ მას ვწირავდით სიზმრებს უცოდველს.
ის არი ჩვენი ავლადიდება,
ჩვენ მას ყველანი მამულს ვუწოდებთ.

თარგმნა შოთა ნიშნიანიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ კაკაბაძე

ბინის ეკონომ

ნაწილი ბონდს მიადგა. საიდანღაც ქვევიდან ისმოდა მდინარის ხმაური. უკუნეთში ხანდისხან მთვარე გამოანათებდა, მაგრამ ღრუბლები უმალ გადაეფარებოდნენ და ისევ ფისივით სქელი ღამე ჩამოწვებოდა. წამით გამოჩნდა ყუმბარებითა და ნაღმებით ტოტებგაპარსული ვეებერთელა ხეები, რომლებიც ახლა ტელეგრაფის ბოძებს უფრო გვანდნენ; გამოჩნდა დაკიდებული ვიწრო ხიდიც. მაგრამ გიორგიმ ცივად განათებული ბაგირის მხოლოდ ნახევარი დაინახა, ამ თავში.

ბონდიდან სულ ახლოს წინა ხაზი გადიოდა. მაგრამ ახლა გარშემო ისეთი სიჩუმე გამეფებულიყო, როგორიც მხოლოდ სოფელში იცის სოლმე ამ დროს. მდინარე კისრისტეხით გარბოდა სადღაც და მხოლოდ ეს არღვევდა ღამის მყუდროებას.

ლეიტენანტ გიორგი გიგაურის ოცეული ბონდზე გასვლის რიგს ელოდა. ფარაჯებში გახვეული ჯარისკაცები ყუმბარით ამოთხრილ ძაბრისებურ ორმოში ისხდნენ და ხმადაბლა საუბრობდნენ, თან გაზეთის ქაღალდში გახვეულ წეკოს მალულად აბოლებდნენ. ისინი ერთმანეთს ეკვროდნენ, რადგან წინა ხაზზე გასვლის ღამე იყო და ზამთრისპირის სიცივე.

გიორგიმ კარგად იცოდა, რომ გავიდოდა თუ არა ამ მერყევ და ჭრიჭინა ბონდს, კვლავ დაუბრუნდებოდა ერთი თვის წინანდელ ფრონტულ ცხოვრებას, რომელიც ამ ხიდივით ეკიდა ცასა და დედამიწას შორის და მასავით ქანაობდა, ქანაობდა, ქანაობდა... უკან რჩებოდა მეორე ეშელონში გატარებული დღეები (რომელთაც რატომღაც დასვენებას უწოდებენ), მისი ნაწილიდან საკელე ჰოსპიტალში გადასული ქერათმიანი ფერშალი ელისო, რომელთან განშორებასაც მწვავედ განიცდიდა...

— მალე წავალთ, ამხანაგო ლეიტენანტო? — იკითხა ერთმა.

გიორგიმ სიბნელეში ხმაზე იცნო ბოგვერაძე, ახალბედა მებრძოლი.

— რა გეჩქარება, ძმიავ? — ლეიტენანტის ნაცვლად გაეპასუხა ბოგვერაძეს ათმეთაური საჩანელი. — მოესწრება. ამ ბონდს კი თვალხუჭული გადახვალ, ამის მეტი რა გიკეთებია ზოვრეთში, მაგრამ მერე ვნახოთ, რა ვაჟკაციც ხარ.

— ვაჟკაცობა რა შუაშია? — იწყინა ბოგვერაძემ. — ორმოში ისე უქმად ჯდომას ისევ სიარული ჯობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიარულიცაა და სიარულიც, — არ ეშვებოდა საჩანელი, — გააჩნია სად მიდიხარ. ორმოში ჯდომას რას უკადრისობ? დავით გურამიშვილიც კი იჯდა ორმოში, მაგრამ კაცი გამოვიდა.

ორმოში გაიცინეს. „ბედნიერი კაცია, — გაიფიქრა გიორგიმ საჩანელზე, — მუდამ ხუმრობის გუნებაზეა“. მან კარგად იცოდა ბოგვერაძის ამგვარი მოუსვენრობაცა და ამ სიცილის ფასიც.

მდინარის ხმაურს რაღაც უცხო ხმა შეერია. ახლა მიაქციეს ყურადღება ტალღების დგაფუნს და ამ ხმას: ზვავი, ძალიან მაღლა, მტრის მზვერავი თვითმფრინავი გუგუნებდა. მონოტონურმა გუგუნმა თანდათან იმატა — „ფოკე-ვულფ 198“ დაბლა ეშვებოდა.

უეცრად ღღესავით განათდა: თვითმფრინავმა გამანათებელი ბომბი გადმოაგდო და იგი ახლა პარაშუტით ნელა ეშვებოდა ძირს. რამდენიმე კაცი ტყისკენ წელში მოხრილი გაიქცა. გიორგის არ გამოპარვია, რომ მის ოცეულშიც აწრიალდნენ ახალბედები.

— ფეხი არ მოიცვალოთ! — გასცა ბრძანება.

დაკიდებულ ხიდს გახედა. ახლა ის კარგად მოჩანდა, თავიდან ბოლომდე. ბონდი ძალიან ირყეოდა, — ერთ ოცეულს ზედ შუაში მოუსწრო გამანათებელმა ბომბმა და გიორგი ხედავდა, როგორ · გარბოდნენ ჯარისკაცები მეორე ნაპირისაკენ. თვითმფრინავიდან ტყვიამფრქვევის ჯერი დადგენეს ხიდზე გაქცეულებს, მერე უეცრად ჩაქრა ბომბი და კვლავ ღამემ დაისადგურა. ერთხანს ზევიდან ალაბადზე ისროდნენ ტყვიამფრქვევს, მაგრამ მალე თვითმფრინავის გუგუნმა იკლო და თანდათან სულაც შეწყდა. გიორგის თითქოს თვალებში ჩარჩა ამ ბორცვიანი მიდამოს, გასხეპილი ხეებისა და მთის ძირში შეფენილი წიწვიანი ტყის კონტურები, — ახლა, კუპრისფერ ღამეშიც არჩევდა ყოველივეს. ისიც კარგად დაინახა, როცა თვითმფრინავმა ბონდს ტყვიები დაუშინა, ერთი ჯარისკაცი წყალში გადავარდა.

გიორგი ფიქრობდა ელისოზე, თავის ახალბედა ჯარისკაცებზე, თბილისზე, ბონდიდან მდინარეში გადავარდნილ მებრძოლზე, ამას წინათ დაღუპულ ახალგაზრდა მფრინავზე, რასაც განიცდის განათებულ მიწაზე გაშხლართული კაცი ჰაერიდან თავდასხმისას, ფიქრობდა თავის ოცეულზე, ასმეთაურ ცომლიანსკიზე, მომავალ ბრძოლებზე, დედაზე... საბუზე რაღაც სისველე იგრძნო, ერთხელ, მეორედ. წამოჯდა და ხელისგული გაიშვირა, — ფიფქი დაეცა, ერთი, მეორე.

— ბიჭებო, თოვს, — თქვა ვიღაცამ.

— თოვლში კარგია ომი, — უმალ გაეპასუხა საჩანელი. — რბილად ეცემა კაცი.

ჰაერში შურთხივით გაიშხუილა ნაღმმა და სადღაც ახლოს გასკდა. მას მეორე მოჰყვა, მერე ზედიზედ იქუხა რამდენიმემ.

— ბონდს უშენენ, — თქვა ნიკომ.

— არ ჯობდა ახლა გაღმა ვყოფილიყავით? — ნიშნის მოგებით ჰკითხა ბოგვერაძემ საჩანელს.

— მოიცა, ჯერ სად ხარ!

მკრთალად გამოანათა მთვარემ, იგი ბანდის გამჭვირვალე ფარდაზე დახატული ჩანდა, ხოლო გაპარსული ხეები სცენაზე დადგმულებსა ჰგავდნენ.

გიორგის ასმეთაურის მეკავშირე მიეახლოვდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენი ჯერია, — უთხრა მან.

ლეიტენანტი წამოდგა და სერჟანტს ხელი გაუწოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორაა საქმეები, გუსაროვ?

— არ არის ურიგოდ, ამხანაგო ლეიტენანტო. უმჯობესი კი იქნებოდა, ეს სროლა არ აეტეხათ.

— ვისი ოცეული იყო ბონდზე რომ მოუსწრო განათებამ?

— ბაგრიჩისა. მე წავალ, ამხანაგო ლეიტენანტო.

გერმანელები მეთოდურად ისროდნენ. ნაღმები ნაპირზე ცვიოდა. ხანდისხან მდინარე ამოიღრეკებდა, — ნაღმი წყალში მოადენდა ზღვრთანს და იქ სკდებოდა.

ოცმეთაურის თანამშეწეს ნიკოს უკვე მოეწყო ოცეული. გიორგიმ დაკვრევებით შეათვალიერა თავისიანები. სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრზე სკდებოდა ნაღმები, მაგრამ ყველანი მშვიდად გამოიყურებოდნენ. აღელვება ახალბედებსაც კი არ ემჩნეოდათ. ლეიტენანტმა იცოდა თუ ნებისყოფის როგორი დაძაბვით ახერხებდნენ ჯარისკაცები შიშის დათრგუნვას. „კარგები ხართ, ბიჭებო“. — თბილად გაიფიქრა გიგაურამ.

— ამოცანა ყველასთვის ნათელია? — იკითხა მან.

— ნათელია.

— წინა ხაზამდე ოთხი კილომეტრია. ვივლით ათეულების მიხედვით, ერთ მწკრივად. ბონდს გადავალთ სირბილით. ძატერიალურ ნაწილს გაუფრთხილდით. ჩემი თანამშეწე პირველ ათეულთან იქნება. ახლა ისმინე ჩემი ბრძანება!

ლეიტენანტმა ყური მიუგდო ნაღმების შხუილს და როგორც კი ერთი ზალპი ხვნეშით დაასკდა მიწას, რამდენიმე წამი შეიცადა და პირველი ათეული სირბილით გაისტუმრა ხიდისაკენ. მერე ისევ სიჩუმე ჩამოწვა, მხოლოდ მდინარისა და ბონდზე გაქცეულთა არეული ფეხის ხმა ისმოდა ყრუდ. ისევ ღონივრად მოეხოჭნა ოდნავ დაფიფქული მიწა ლიოონის წვეტიანმა ფრჩხილებმა და ისევ სირბილით გაისტუმრა ლეიტენანტმა ბონდზე თავისი მეორე ათეული. მერე მესამე, მეოთხე...

ათასეული მთლიანად არც კი იყო გაღმა გასული, როცა გერმანელებმა ერთბაშად ძლიერი საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლი გახსნეს. გიორგიმ ხევში ჩაიყვანა ოცეული და ასე ხევხეე, ჩქარი ნაბიჯით გაუდგნენ გზას წინა ხაზისკენ.

გიორგი მიწაზე დამჯდარ მებრძოლს წაადგა. ჯარისკაცს ფეხზე გაეხადა და ტოლაღებს ფერთხავდა, იქვე ათასეულის ნაღმსატყორცნის ლულა დაეყუდებინა.

— რომელი ოცეულიდან ხარ?

ჯარისკაცმა აუჩქარებლად ამოხედა და უცნობი ლეიტენანტი რომ დაინახა, შეშფოთდა, აწრიალდა და წამოდგომა სცადა. ხანწიშესული იყო, ხშირად სუნთქავდა, ალბათ, დაღლილა. გიორგიმ გუნებაში შეუკურთხა იმას, ვინც ამოდენა სიმძიმე აკიდა ამ ხნის კაცს და ლულას სამხრეებს წამოავლო ხელი, უმალ წამოიგდო ზურგზე.

— ცოცხლად ჩაიცვი და მომყევი, — თქვა და წავიდა.

მალე ჯარისკაციც წამოეწია.

— ქუსლები გადავიტყაევე, ეს ოხერი, — თავს იმართლებდა იგი. — მომეცით, ამხანაგო ლეიტენანტო, ეგ სამოვრის მილი.

— მოგცემ, აბა მე რა ეშმაკად მინდა!

მტერი მიხვდა, რომ მოწინააღმდეგის განლაგებაში ნაწილები ერთმანეთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლიდნენ და შეტევაზე გადმოვიდა. გერმანელთა საარტილერიო ცეცხლმა ეარიოვანდა ზურგში გადაინაცვლა. სამაგიეროდ, ტყეიამფრქვევები აკაკანდნენ უფრო გაბედულად და ნაღმები წამოვიდა სეტყვასავით. დათოვლილ ველზე გამოჩნდნენ გერმანელ ჯარისკაცთა პატარა ფიგურები, — ცოტაა გამორჩენილნენ და თოვლიან მიწაზე გაწვებოდნენ, გამოირჩეოდნენ და გაწვებოდნენ...

გიგაურის ოცეულმა მისთვის განკუთვნილ სანგრებამდე ვერაკი მიაღწია. ახლა მისი ჯარისკაცები მტერსაც იეარიებდნენ და სახელდახელო სანგრებსაც თხრიდნენ.

— არ გერჩივნა, ბაბაია, იმ ორმოში ჯდომა? ეს გინდა აბა? — დაუყვირა საჩხელმა ბოგვერაძეს, რომელიც პატარა ნიჩბით გამალებით ჭრიდა სანგარს. გიორგის გაეცინა, თუმცა სასაცილო არაფერი იყო: სამი ტანკის საფარქვეშ შეტევაზე გადმოსული მტრის ჯარისკაცები ახლა უფრო მკაფიოდ ჩანდნენ.

გიორგიმ ადრევე შეამჩნია, რომ ხევი გერმანელთა მხარეს გრძელდებოდა. „რა იქნება, რომ ფლანგიდან დავარტყა?“ — გაიფიქრა მან, მაგრამ ერთხანს ყოყმანობდა, მერე ნიკოს გაუხიარა ნაფიქრი და ციმლიანსკისთან გაგზავნა ნებართვის სათხოვნელად. მალე ასეულის მეთაური მასთან გაჩნდა და გვერდში წოუწვა.

— ძალიან კარგი გადაწყეტილებაა, გიგაურო, — თქვა ციმლიანსკიმ. — ოღონდ მარტო შენი ოცეული არ ეყოფა ამ საქმეს. ხევი გამაგრებული ექნებათ. შენს დასახმარებლად ხუთ წუთში ბაგრიჩისა და დუბინსკის ოცეულები ხევში იქნებიან. ჩვენც აქედან დაგიერთ მხარს. გასაგებია?

ხევში ფრთხილად მიდიოდნენ. ბნელოდა. მარცხნივ პატარა ღელე ჩხრიალებდა. შედგნენ და დაწინაურებული დაზვერვის ნიშანს დაელოდნენ. უეცრად წინ ავტომატის მოკლე ჯერი დაიცალა, მეორე ხელუყმბარამ იქუხა...

— წავედით! — ხმადაბლა დაიძახა გიორგიმ.

ჩქარობდნენ, რადგან ყველა მიხვდა, რომ დაზვერვის მოწინავე ჯგუფი მტერს გადაეყარა. ხანმოკლე, მაგრამ ძძაფრი შეტაკების შემდეგ გზა გაეხსნათ. გიორგი ფრთხილობდა. — ისევ მზვერავები გაუშვა წინ. მალე შეტევაზე გადასული მტრის ნაწილს თითქმის ზურგში მოეკცნენ. ხევიდან ამოფოფხდნენ, სწრაფად ჩასანგრდნენ და ტყეიამფრქვევები და ნაღმსატყორცნები გამართეს. დათოვლილი ველი უცნაურად ლაპლაპებდა.

— ო, როგორ ჭიაკოკონსავით ანთია ეგ შეჩვენებული! ტანკი იწვის, ბიჭებო, ტანკი! — იყვირა ნიკომ.

— ცეცხლი! — დაიძახა გიორგიმ.

— ცეცხლი!

— ცეცხლი!

გიორგი ტყეიამფრქვევს მიუწვა და გაშმაგებით დაიწყო სროლა. დუბინსკის სანაღმტყორცნო ოცეულმაც სწრაფი ცეცხლი დააყარა მტერს. გერმანელები ერთხანს ვერ გაეკრკნენ, მაგრამ მალე შეფრკნენ, მხოლოდ ორი ტანკი სროლით მიიწევდა წინ. უცებ ერთი ტანკი ადგილზე დატრიალდა და ლულა დაუშვა დაბლა.

გაიშხეულა ნაღმმა და ხევში იფეთქა. მეორე ნაღმი ბაგრიჩის საცეცხლე პოზიციების წინ დაეცა, თანაც ტყვეებმა თოვლის მტვერი დააყენა ბრუსტვერზე.

— შეგვამჩნიეს, კოსტია? — გადასძახა გიორგიმ ბაგრიჩს.

ჯოჯოხეთურ ხმაურში გიორგის „ეშას“ ძახილი მოესმა. სროლა არ შეუწყვეტია, ისე გაიხედა მარჯვნივ: ათასეული კონტრშეტევაზე გადავიდა და

შავად დაიძრა მტერზე. მესამე ტანკმა პირი იბრუნა, მერე კვლავ შემობრუნდა და ბრძოლაში გაბმულად ააკაკანა ტყვიამფრქვევი, მაგრამ ისევ შემობრუნდა და ხევისაკენ წამოვიდა. „ნუთუ ჩვენზე მოდის?“ — გაუელვა გიორგის და ტანში უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.

— ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები მოამზადეთ, — დაუყვირა გვერდზე გაწოლილ ჯარისაკაცს. მაგრამ ტანკმა ისევ იცვალა მიმართულება, — იგი ბრძოლის ველს ტოვებდა. და როდესაც გიგაურის ოცეულის განლაგებას გაუსწორდა, გარკვევით მოისმა მისი ძრავის გუგუნი და მუხლუხოების ღრჭიალი. უეცრად ვიღაც წამოიჭრა და ტანკისკენ გაიქცა.

„რას შვრება?“ — გაიფიქრა გიგაურამ. ჯარისაკაცი დაეწია ტანკს, ხელყუმბარა ტყორცნა და თოვლში მოსხლტით დაეცა. გაისმა გამაყრუებელი აფეთქების ხმა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჯარისაკაცი უკან მობრუნდა... ყველამ იცნო, ბოგვერაძე იყო. ტანკმა კი რამოდენიმეჯერ ამაოდ სცადა ადგილიდან დაძვრა.

— არ მერჩივნა, ბაბაია, იმ ორმოში ჯდომა, არა! — აღგზნებით უთხრა ბოგვერაძემ საჩანელს.

— შე კაცო, რა ვიცოდი, ასეთი მხეცი თუ იყავი, — იხტიბარს არ იტეხდა საჩანელი.

სროლა თანდათან მიწყდა. გიორგი ბოგვერაძესთან მიხოხდა და უსიტყვოდ გადაკოცნა.

დუბინსკიც მათთან მივიდა.

— მომილოცავს, ამხანაგებო, მომილოცავს, კარგი დრო ვატარებინეთ ფრიცებს, — მხურვალედ, სიხარულით ლაპარაკობდა და მაგრად ირთმევდა ხელს ბაგრიჩს, გიგაურს, ყველას, ვინც კი ახლოს იყო — სხვათა შორის, ეს ჩემი საბრძოლო ნათლობაა. ის მაჩვენე, თუ ღმერთი გწამს, გიგაურო, ის გვირი...

დასაძინებლად გიორგი მხოლოდ ალიოზე წავიდა ბლინდაჟში. გასაკეთებელი ბევრი რამ იყო და მთელი ღამე სანგრებში გაატარა. საკეთილო წერტილი გამართეს, ტრანშეები და დამაკავშირებელი გასასვლელები ამოწმინდეს და გაალრმავეს, სათვალთვალო პუნქტი მორგებით გადახურეს... ოცეულით კმაყოფილი იყო.

მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ბზინავდა დაბარდნილი მინდორი, რომელიც პატარა ბორცვებით იყო მოფენილი: გვამებს ათოვდა...

ახალი, 1943 წლის დადგომამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. ბოლო დროს მძიმე პოზიციური ბრძოლები ჰქონდათ. ორჯერ გადავიდნენ შეტევაზე, მაგრამ სასურველ შედეგს ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს, — მტერი ძალიან კარგად იყო გამაგრებული, თანაც ჰაერში უპირატესობას ინარჩუნებდა. „ფოკე-ვულფი“ ხომ მაინც სულ ცაში იყო ამაყურვივით ჩამოკიდებული.

მესამე დღე იყო გადაულებლად ბარდნიდა. თოვლმა ჭრილობები მობანა, მიწას და მერე ზედ გადაეფარა. როცა სიმშვიდე ჩამოწვებოდა, მხოლოდ დათოვლილ ველზე გაჭიმული შავი მავთულხლართების ორი გრძელი მწკრივი ახსენებდათ, რომ ომი იყო.

გიორგი ბლინდაჟიდან გამოვიდა და ვიწრო ხვრელით სათვალთვალო პუნქტისაკენ წავიდა. აღარ თოვდა. გერმანელთა განლაგებისაკენ ყვავები მიფრინავდნენ ჩხავილით.

სათვალთვალო პუნქტში ნიკო და ბოგვერაძე დახვდნენ. ნიკო მტრის პოზიციებს გაჰყურებდა, ბოგვერაძე კი მიწაზე მოხერხებულად დამჯდარიყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაცას წერდა. აქედან ყვავები არ ჩანდნენ, მხოლოდ შორიდან ისმოდა მაგრამ ... ულსიამოვნო ყრანტალი.

— ყვავები იქით მიფრინავენ,—თქვა გიორგიმ.

— ყვავის ჩხავილს რომ გაიგონებდა, ბებიაჩემი იტყოდა: წერილი მომივაო. აი, მეც ვწერ,—თქვა ბოგვერაძემ.

— ვითომ ამ ყვავების ჩხავილს გაიგონებს ბებიაშენი? — სიცილით ჰკითხა ნიკომ.

— ბებიაჩემმა შარშანწინ წეიღო ბარათი.

— მერე საიქიოში უგზავნი წერილს თუ? — გაეხუმრა ბოგვერაძეს გიორგი.

— თალიოს ვწერ, ამხანაგო ლეიტენანტო. არის ამფერი გოგო ზოვრეთში.

— შენი ვაქაცობის ამბავს ხომ ატყობინებ?—ჰკითხა გიორგიმ.

ბოგვერაძე წამოწითლდა, ფეხზე წამოდგა და ლეიტენანტს უთხრა:

— ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, ამხანაგო... გიორგი. კი ვწერ იმ ტანკის ამბავს, მარა მეშინია თავის ქება არ გამომივიდეს და, თუ არ დეიზარებთ, წეიკითხეთ ეს ჩემი ნაწერი.

გიორგიმ წერილი გამოართვა.

„წინა ხაზი. 21 დეკემბერი 1942 წლისა.

ვიღებ კალამს და გითვლი, ჩემო თალიკო, ფრონტულ სალამს. რავა ხართ, თალიკო, რას შვებით? მომიკითხე შორიდან ხელის ჩამორთმევით დედათქვენი და მამათქვენი—ქეთო დეიდა და ამბროსი ბიძია. ასევე მომიკითხე თქვენი ოჯახის წევრები მაცაცა, ნთელა, ფუსია და რეზიკო. კიდევ მომიკითხე ვანია ფოსტალიონი, თედორე ბაბუა, ნიკია მეწისქვილე, შუტუნიე, ვენერა, ფუტუცია, მაკო და არველოდი. კიდევ მომიკითხე, ჩემო თალიკო, ყველა, ვისაც კი ახსოვს ნოდარია ბოგვერაძე.

ძალიან გასახარია კარგი მოსავალი რომ მოგიწევიათ. ერთობ შეწუხებული კი ვიყავი, ქალებს რომ დაგრჩათ ამდენი საქმე საკეთებელი, ჭირნახულის მოწევა და დახირვა, საქონლის მოვლა-პატრონობა და სხვა ათასი სოფლური საქმე. მარა, მადლობა ღმერთს, ყოლიფერისათვის კარგად გაგირთმევიათ თავი. შენი წერილით შევიტყვე ის ამბავი. აგაშენა ღმერთმა, ჩემო თალიკო, წერილი რომ გამომიგზავნე, მართლაც რომ დიდად გამახარა შენმა წერილმა.

საწყალ დედაჩემთან ხშირად რომ გადადიხარ, კაის შვები ძალიან, ჩემო თალიკო. შენ ქე იცი, რავა უხარია დედაჩემს შენი დანახვა, ჩემო კაი თალიკო. დარჩა ქალი ცარიელ-ტარიელი და შენი ხელშეწყობა თუ ექნება, ეგება ქე იცოცხლოს ერთ ხანს და ჩემი დაბრუნებით გეიხაროს და ჩვენი ოჯახის შექმნით მთლად ცას ეწიოს სიხარულით. იმ ჩვენს საზიარო ყორეზე ერთხელ ჩხუბი რო ქნეს მამთქვენმა და საწყალმა დედაჩემმა, სულ ცუდად მახსენდება და ხასიათს მიწამლავს შაბიამანივით. მე ქე მიგწერე დედაჩემს და შენც იცოდე, მომაალეთ ი დასაღუპავი ყორე, მაინც ქე იქნება ჩემი ჩამოსვლის მერე მოსაშელელი. ასე ქენით, ჩემო თალიკო.

ახლა ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მე არაფერი მიჭირს. ვარ წითელი არმიის რიგებში და ვებრძვი ფაშისტ დამპყრობლებს. ახლა ერთი ამბავი უნდა მოგწერო და ტრაბახი არ გეგონოს. შენ ქე იცი, თალიკო, არ უყვარს ტრაბახი ნოდარია ბოგვერაძეს. ამწინებზე ნამდვილი ტანკი ავფეთქე, ნამდვილიო იმიტო გწერ, რომ სანამ წინა ხაზზე გამეკვლევინა, ფიცრის ბევრი ტანკი გვაფეთქებიეს. გვასწავლიდნენ, ჩემო თალიკო. ნამეტანი ფიცხელი შეტაკება გვქონდა ფაშისტებთან და იმეკნმა ტანკები მეჩხვარიეს. ჩვენ ტანკებს ვერ ვხმარობთ, იმიზა რომე ჩვენი პოზიცია ძალიანს მთაგორიანია, იგენი კი მინდორში არიენ ჩასაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული, სულძაღლები. ხო და სიტყვა გამიგრძელდა, ჩემო თალიკო. ეს სამი ტანკი იყო, ორი მოსპეს ჩვენმა არტილერისტებმა, ერთმა კი გაქუსლა უკან. აგი რომ დევნინახე, ვიფიქრე, თუ კი თალიკოს ჩემი სიყვარული აქვა, ეს უნდა ავადფეთქოთქვა. ძალიან მაგარი სროლა კი იყო, მარა გავბედე, გადევეწერე პირჯვარი, გამეკვნინე იმ ტანკს და ვესროლე ბომბი. გავრბოდი და სულ შენზე ვფიქრობდი, ვამბობდი, აბა თუ ვუყვარვარ თალიკოს, არაფერი არ მეწევა-თქვა. და მართლაც რომ არაფერი მეწია.

ასე ამგვარადაა ჩემი ცხოვრება, თალიკო. ჩემს ნაწილში ნამეტანი კაი ხალხია. მეთაურით დაწყებული, ლეიტენანტია იგი, და რიგითი ჯარისკაცებით გათავებული, ყველა კაია. შენ ეგება ქე გეფიქრო, ასე საგანგებოდ რავა მოუყრია ყველა კაი ადამიანს ნოდარის ნაწილში თავიო, მარა ასეა და რა ვქნა, ჩემო თალიკო. ახლა ერთი უნდა [illegible] ცოდინო, თალიკო. არის ჩვენთან ერთი ჯარისკაცი, უმაღლესის მეორე კურს[illegible]. რავარც კი იშოვნის თავისუფალ დროს, ლექსებს წერს. დედისერთაა და [illegible] ერავის ყავდა ხელიშეშვლელი ლექსების წერაში. ცოლი შეურთავს ამ [illegible]ენ, მარა იმასაც ნაყვარება ლექსები.

ამ წერილს რომ მიიღებ, ახალი წელი ქე იქნება უკვე. გილოცავ ახალ წელს, ჩემო თალიკო. და გისურვებ იმ ახალ წელში დეგვემარცხებიოს გერმანელი ფაშისტები.

ახლა ვამთავრებ წერილის წერას. კარგად იყავი, ჩემო თალიკო, თავს გაუფრთხილდი. დედაჩემს ყურადღება არ მიმიყლო. ნოდარია".

— ყველაფერი კარგადაა თქმული, — თქვა გიორგიმ, — მაგრამ ერთი შეცდომა გაქვს დაშვებული: ვიღებ ხელში კალამსო და წერილი კი ფანქრითაა დაწერილი.

სამიკეს გაეცინა. ბოგვერაძე ისევ წამოწოლილა და რატომღაც ქუდი მოიხადა.

— კარგი წერილია, კარგი, — ღიმილით თქვა გიორგიმ, ბოგვერაძეს ქუდი გამოართვა და მაგრად ჩამოაფხატა თავზე.—კი, მაგრამ, მედალზე რატომ არაფერი მიწერე? — ჰკითხა ბოლოს.

— გელზე რო დევიბნევ, მერე მივწერ,—უპასუხა ჯარისკაცმა.

— ვინა გვყავს, ნიკო, პოეტი?—ჰკითხა გიორგიმ მცირე დუმილის შემდეგ თანაშემწეს.

ნიკო სათვალთვალო ხვრელში იხედებოდა. უკან არ მობრუნებულა. ისე უპასუხა:

— ზამთარაძე, ამხანაგო ლეიტენანტო. ისინი ყავევეს ესვრიან. აი, იმ ხეზე. შეხედეთ, შეხედეთ...

ისეთი ძლიერი ყინვები დაიპირა, რომ სუნთქვა ჭირდა. მებრძოლებს იარაღი გაეჩირვებოთ ეჭირათ ხელში—ლითონი მწარედ იკბინებოდა. ტყეია რომ გაიწუილებდა, ჰაერი ერთხანს ისე რეკდა, თითქოს ბროლის ჭიქები ერთმანეთს მიუჯახუნესო.

ათასეულის მეთაურს მაიორ კაბანოვს თავის ბლინდაჟში შეეკრიბა პოლიტმუშაკები და მეთაურები. წინა ღამით გერმანელებმა ერთ-ერთ საგუშაგოდან გუშაგი მოიპარეს, იქვე კუნძზე კარგად შებრაწული მთელი თეთრი პური დადეს და ზედ წერილი დამაგრეს: „თქვენი დღეები დათვლილია, შიმშილობთ, ჩვენ კი აი, ასეთ პურს მივირთმევთ. გადმოდით ჩვენს მხარეზე".

მართლაც, ერთი კვირა სრულდებოდა, რაც ათასეულს სურსათი არ მიე-

ელო. ულელტეხილი დიდმა თოვლმა და ძლიერმა ქარბუქმა დანამქრა, გზა ჩაიკეტა. ამიოდ ცდილობდნენ პატარა თვითმფრინავები ნაწილისათვის პურითა და მაქრით, ხორცითა და არყით, ფქვილითა და „თამბაქოთი გატენილი ტომრები ჩამოეყარათ — „მეესერშმიტები“ გამუდმებით დაძრწოდნენ ცაში და ფეიფიერისფრთებიან მანქანებს ასანთის კოლოფებივით ანთებდნენ... მხოლოდ სამმა გამოაღწია როგორღაც და ორცხობილით სავსე ტომრები ჩამოყარა ჩვენს პოზიციებზე.

— მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, ამხანაგებო,—დინჯად ლაპარაკობდა კაბანოვი.—ეს ყველას კარგად გესმით. მაგრამ მე დიდი იმედი მაქვს თქვენი. ათასეული ბრძოლისუნარიანია, ჯანსაღია და თუ აქა-იქ გვხვდებიან მერეყვეი, მოწეწუნე ელემენტები, იმათ უნდა გაიგუმარტოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა... თქვენ ალბათ იცით, რომ ამ დღეებში რამდენიმე კაცი გადავიდა მტრის მხარეზე.—განაგრძო კაბანოვმა.—კუჭს გადაპყვნენ ის მამაძაღლები! ეს ყოველად დაუშვებელია... ამ მძიმე დღეებში განსაკუთრებული სიფხიზლე გვმართებს. ერთი ნაბიჯიც კი არ უნდა გადადგას უთქვენოდ არავინ, რადგან არასწორი ნაბიჯი პირდაპირ სამხედრო ტრიბუნალში მიდის.

— ჩემი ოცეულიდან გაიპარა წუხელ ერთი,—ყრუდ თქვა გიგაურმა და წამოდგა. იგი თვის თავზე იყო გაბრაზებული და აღელვებისაგან ადგილს ვერ პოულობდა. შიმშილს, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ მწვავედ განიცდიდა, ახლა სულაც არ გრძნობდა.

— ვიცი,—თქვა კაბანოვმა,—შენ როგორ მოგვიდა ეს?

გიორგის საშინელი გულისცემა აუვარდა, რადგან კაბანოვის საყვედურს ტყვიის მოხვედრა ერჩია.

— მეორედ მოგვიან ეს და სამშობლოს ღალატში დაგიდებათ ბრალი!—ჩაესმა გიგაურს და უმალ გამოერკვა. ვინა თქვა ეს? კაბანოვის გვერდით ათასეულის კომისარი სტრეპიხეევი წამომდგარა და მგონი თითსაც კი უქნევს. გიორგი ბუნდოვნად ხედავს ამას, რადგან თვალებში ჩამდგარ ცრემლებს მისთვის მზერა დაუნისლავს. სტრეპიხეევი თანდათან დაემსგავსა სტრეპიხეევს, — გიგაურმა თვალები მოიფშვნიტა. სისხლი შემოაწვა სახეზე.

— ამას როგორ დამიმტკიცებთ? — ბოლმა ყელში ჰქონდა გაჩხერილი და ამიტომ ძლივს გასაგონად გამოცრა ეს სიტყვები.

— დაგხვრეტთ!

კაბანოვს ჩუმი სიცილი აუვარდა. ამ სიცილმა გიორგი ერთბაშად მოალბო...

გიორგი ბლინდაჟში იწვა, თვლემდა და. ბუერაში წასული, ელისოზე ფიქრობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ელისოს ვერაფროს ვეღარ შეხვდებოდა, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად ფიქრობდა მასზე. ეს ფიქრი შიმშილსაც ავიწყებდა. ძალასა და მხნეობას მატებდა. მშვიდობით დაბრუნების რწმენას უძლიერებდა.

ბუხარში მოგზიგზიე ცეცხლის ტკაცატკაცი მშვენიერ მუსიკად ესმოდა. ოდნავ წამოიწია და კედელზე ამოძრავებული ჩრდილებით მიხვდა, რომ ბლინდაჟში სხვებიც იყვნენ. მაგრამ არავის გამოხმაურებია, ისევ გაიშხლართა და კვლავ ელისოზე ფიქრებს მიეცა: „გამოქანდებოდა კია ჩემსკენ? იქნება ადარც კი... ყველაფერი გადის—სიყვარულიც. მაგრამ შიმშილი რომ არ გადის? თუმცა ეგეც გადის... მკვდარს არ შია! ელისო, რომ იცოდე ახლა რა დღეში ვარ, ჩემსკენ გამოქანდებოდი. ვითომ? მარტო შიმშილი—ეაქმის მოთხოვნილებას—ალბათ იტანდა კაცი, რომ სხეულთან ერთად ნებისყოფა და აზროვნება არ სუსტდებოდეს. გამაგრდი, გიგაურო, თორმე საინჟინრო თასეული გამალებით მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაობს ულელტეხილის გასაწმენდად და ამ ორ დღეში პურ-მარილს გვპირდებიან. ვაშა! ელისო, გუშინ ერთმა თვითმფრინავმა გადმოგვიყარა პურები, ბევრი, ძალიან ბევრი. მთელ-მთელი პური. ერთი მთელი პური შეეკეპმე, სულ-მოუთმელად. ვფიქრობდი, ვაი თუ ახლა ატყდეს სროლა და თუ სიკვდილია, გამაძღარი მაინც მოვკვდე-თქო. ელისო, ძალიან მჭირია შენი თავი, მაგრამ შორსა ხარ. თუმცა არც ისე შორს... ჩემზე საშინლად იმოქმედა ერთი ჩემი ჯარისკაცის გადასვლამ იმათ მხარეზე. კარგი, დავუშვათ მოშივდა, ძალიანაც აეწვა კუჭი, იმ შეჩვენებულს. მაგრამ თავისი საშშობლო, თავისი სახლი და მშობლები არ სწყეროდა?"

შორიდან „კარმენის" უვერტიურის მხნე მელოდია ჩაესმა. გაოცდა, თვალები გაახილა და სმენა დაძაბა. „ნამდვილად მეჩვენება. ცუდადაა ჩემი საქმე, ალბათ ჰალუცინაციები დამეწყო",—გაიფიქრა, მაგრამ ნაცნობი მუსიკის ხმა ახლა უფრო გარკვევით მოესმა. წამოდგა და ჯარისკაცებს გაკვირვებით შეხედა.

— ახლავე გავიგებ რაშია საქმე, ამხანაგო ლეიტენანტო, — თქვა ზამთარაძემ და ბლინდაჟიდან გავიდა.

„კარმენის" უვერტიურას შოპენის ნაცნობი ნოქტიურნი მოჰყვა და გიორგის ისევაც მიმლილი ნერვული სისტემა მთლად აუფორიაჭა. მას ძალიან უყვარდა შოპენი და ამ ჰანგებმა ბევრი რამ გაახსენა, მშვიდობიანობის დროინდელი. ყელში ძალუმად მოაწვა ბოღმა და პირველად თავის სიცოცხლეში ჩუჩვავედ დაეუფლა ფიქრები სიკვდილზე.

— როგორ ხართ, ამხანაგებო?—უჩვეულოდ ხმამაღლა ჰკითხა ჯარისკაცებს.

— არც ისე ცუდად. აი, ზეგ საუმელიც მოგვივა და სულ კარგად ვიქნებით,—თქვა მანშინმა.

—მომკლა ქამარზე ნახვრეტების კეთებამ. ებრაელების მაცას ჰგავს ახლა ჩემი სარტყელი, — თქვა საჩანელმა.

— შენ ქამარს ატარებ თუ?—სერიოზულად გაიკვირვა ბოგვერაძემ.

— ვითომ რაშიაო საქმე? — იკითხა საჩანელმა.

— ჭიაყელასავით არც შენ გატყვია წელი და...—მხრები აიჩეჩა ბოგვერაძემ.

— უყურეთ ერთი ამ გლახას, — გაბრაზდა საჩანელი, — შენ· გერმანელების ტანკი ხომ არ გგონიავრ?!

ბლინდაჟში ხარხარი ატყდა.

— მაცა გემრიელი საუმელია,—ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ბლინდაჟში შემოსულ ზამთარაძეს ქარი და თოვლი შემოჰყვა.

— რეპროდუქტორი გამოდგეს, კონცერტს გადმოსცემენ ჩვენთვის, — სიცილით თქვა მან.

— ერთი სიმღერა უნდა დოუკვეთო ფრიცის რადიოკომიტეტს,— თქვა ბოგვერაძემ და წამოდგა.

— დაკვირდი, სად დგას რეპროდუქტორი,—უთხრა გიორგიმ და სმენა დაძაბა: შორიდან კვლავ ისმოდა რაღაც მელოდია. მერე ფიქრებმა და ბუხრის საამო გუგუნმა თანდათან დაფარა მუსიკის ხმები.

გიორგის რატომღაც ერთი ძველი ამბავი გაახსენდა. ოთხი წლის წინანდელი. იმ წელს შევიდა უნივერსიტეტში. ის წელიწადი იმითაც იყო სამახსოვრო, რომ ახალი ბინა მიიღეს ვაკეში. ლექციებიდან დაბრუნდა და გაუთავებელ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეებს აუყვა მეხუთე სართულისაკენ. მარდად არბოდა, თითქმის მისულიც კარ-იყო შინ, რომ უციბ მონუსხულივით შედგა: კიბეებზე კარის მეზობელი — ძია დიმიტრი დაინახა, აკვანზე როგორღაც უცნაურად გადამხობილი. სწრაფად მიიჭრა. ძია დიმიტრი უჩვეულოდ, გაუგებრად სუნთქავდა და მისი თვალები სადღაც სხვაგან იხედებოდნენ. საშინლად შეშინებულმა, ძია დიმიტრის წამოყენება სცადა, მაგრამ აკვანზე ჩვარივით გადაკიდებული სხეული მოულოდნელად ძალიან მძიმე აღმოჩნდა.

ჯერ ერთ ზარს ეცა, მერე—მეორეს. დედაც გამოვიდა ზარის ხმაზე და ძია დიმიტრის ახალგაზრდა, ლამაზი ცოლი თინაც. ატუდა ერთი ჩოჩქოლი და წვიფლ-კიენი, მაგრამ სანამ რაიმეს იღონებდნენ, ძია დიმიტრი იმ აკვანს დაეკვდა, რომელიც თავისი თოთო ბიჭისთვის მიჰქონდა.

— დამანახეთ, ჩემი მკვდარი შვილი მაჩვენეთ, —ცივი ხმით გაჰკიოდა ბებია მარო — ძია დიმიტრის დედა, თან ჩამიჩივით დამჭკნარ ხელებს ჰაერში ასავსავებდა.

„ცოცხალს ვეღარ ხედავდი და მკვდარს აბა როგორ დაგანახვებენ...“— გაიფიქრა მაშინ გიორგიმ. ბებია მარო სიმერეში დაბრმავდა.

— აი, ეს არის ჩვენი წუთისოფლის დიალექტიკის შესანიშნავი ილუსტრაცია... ერთი წვიდ და სხვა მოვა, ესე იგი ცხოვრება გრძელდება! ასეთია ამქვეყნიური კანონზომიერება, ასე ვთქვათ, ცხოვრების ესტაფეტა,—თქვა მაღალმა, გამხდარმა მეზობელმა, რომელიც ფილოსოფიის კათედრის გამგედ მუშაობდა პედაგოგიურ ინსტიტუტში...—ნუ სტირით, თორემ ზედმეტმა ნერვიულობამ ძუძუს გაშრობა იქნის. — უთხრა მან თინას.

— რადად უნდა აწი ძოძუები თინიკოს? — ჩაილაპარაკა მეორე მეზობელმა კაცმა, რომელიც შინ ძალზე იშვიათად იყო,—მეტ დროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ატარებდა.

...რატომ გაახსენდა ეს ძველი ამბავი?

ბებია მაროს კვიცი ახლაც ყუმბარასავით უწოიდა ყურებში.

„რა საშინელება იქნება, რომ თუნდაც მხოლოდ დღეს დახოცილთა ჭირისუფლებმა აქ მოიყარონ თავი და ჩვენებურად, მოთქმით დაიტირონ შვილები, ძმები, ქმრები, სატრფოები...“ — იფიქრა გიორგიმ.

რატომ გაახსენდა ეს ძველი ამბავი?

ეს ამბავი ამასწინანდელმა შემთხვევამ მოაგონა.

...ნაწილი მაშინ მერე ეწელოწში იდგა. უკვე ერთი კვირა გადაუღებლივ წვიმდა და შემოოგომის ამ ოსიამოვნო დღეებში გიორგიმ ეჩვენებოდა, რომ თითქოს ჰაერის მაგიერ წვიმის უხილავ, სველ ბუსუსებს ისუნთქავდა ფილტვებში. წვიმამ და ნესტმა მიწა, გახუნებული ბოჩქნარი და გაძვალტყავებული ხეები ერთიანად დაალბო და ადამიანების გაწყობილებასაც და გუნებასაც წყალი შეუყარა და როგორღაც დაანესტიანა. კაპიშონებიან საწვიმრებში გამოწყობილნი, წვიმის ნაცრისფერ ბურუსში მოჩვენებებივით დადიოდნენ, ლაპარაკიც კი იზარებოდათ. ერთადერთი კაცი, რომელსაც ავდარმა ვერაფერი დაჯერო, ათმეთაური საჩაენელი იყო. „უზარმაზარი პიროვნებაა,— თქვა ვიღაცამ,—ცოდ ამინდშიც კარგ ხასიათზეა“.

გიორგი უგულებოდ იყო, თანაც მებენარები აწუხებდნენ. გადაწყვიტა მახლობელ სოფელში წასულიყო და იქ ტანი დაებანა. ტყეში შეფარებულ ამ პატარა სოფელს უცნაური სახელი ერქვა—რეკეტი. გიორგიმ განაპირა ქოხის კარზე დაკაკუნა. ერთხანს არავინ გაეპასუხა. მერე კარი შავ თავშალში გახვეულმა, სანთელივით დალეულმა მოხუცმა ქალმა გააღო.

— რა გნებავს, შვილო?—ჩუმად ჰკითხა მან.

გიორგის გაეხარდა ამ სათნო დედაბრის დანახვა. ახალგაზრდა ქალს ალბათ ვერც კი გაუბედავდა იმის თქმას, რაც ახლა უთხრა დედაბერს:

— დედი, შეგიძლიათ წყალი გამიათბოთ ტანის დასაბანად?

მოხუცი ერთხანს გარინდებული იყო და გაცრეცილი თვალებით ლეიტენანტს აკვირდებოდა. მერე ერთბაშად აწრიალდა, თითქოს წელშიც კი გაიმართა და კარი ფართოდ გააღო.

— ტანის დაბანა გინდა, შვილო? კი, კი, რატომაც არა. მობრძანდი, გეთაყვა, შემოდი, ნუ გერიდება,—სხაპასხაპით ალაპარაკდა და წინკარში შეუძღვა.

— აი, ჩამოჯექი, შვილო. მოისვენე. წყალს ახლავე გაგიცხელებ, არაა ეგ ძნელი საქმე. მე, შვილო, ვაჟი მყავს ფრონტზე. აი, ის, ჩემი ტოლია.— მიუთითა სურათზე.

გიორგის მთელ ტანში საამოდ დაუარა გაკრიალებული ოთახის სითბომ და ოჯახურმა მყუდროებამ. უეცრად მოითენთა, დუნედ დაეშვა სკამზე, ფეხები წინ გაიშვირა და მორიდებით გაიზმორა. მერე თვალები დახუჭა და ამ უცნობი, კეთილი რუსული ქოხიდან ფიქრებმა მშობლიური ქალაქისაკენ გაიტაცა, თავისი ბინა წარმოუდგა თვალწინ და გულზე მწკავე ნაღველი შემოაწვა.

— მოისვენე, შვილო, დაასვენე გატანჯული სხეული. საკინძე შეიხსენი, ჩექმები გაიხადე. აი, ჩემი ტოლანაკე შენი ხნისაა. სად არის ახლა ნეტავი, იმას ენაცვალოს დედა,—შეუჩერებლად ლაპარაკობდა დედაბერი. მერე ფარდის იქით გავიდა, ოთახის ერთ კუთხეში. იქიდან ჩუმი ლაპარაკი მოისმა.—დედაბერი ვიღაცას ეჩურჩულებოდა. მერე ფარდა ოდნავ გაიწია და თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა. გიორგიმ წამოდგომა დააპირა, მაგრამ მოხუცმა არ აცალა—მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

— არ გინდა, შვილო, ნუ დგები. ისედაც ფეხზე დგას მთელი ქვეყანა. დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. დიდი უბედურება!

მოხუცმა მძიმედ ამოიხვნესა, კიდევ თქვა „დიდი უბედურებაო“ და წინკარში გავიდა. გიორგის თითქოს ენა წაერთვა, ხმა ვერ ამოიღო.—მოხუცს ნამტირალევი სახე და უსაზღვროდ სევდიანი თვალები ჰქონდა.

წინკარში რაღაც ახრიგინდა, ალბათ ქვაბი, როფი, თუ ტაშტი... მერე ხმაური შორიდან მოისმა, რადგან გიორგი ერთბაშად ძილმა წაიღო.

თვალები რომ გაახილა, ოთახში უკვე საკმაოდ ბნელოდა. შუაგულში ვეებერთელა როფი იდგა, იქვე ტაბურეტზე ეწყო სარეცხის საპნის დიდი ნაჭერი და ნეშა.

—კარგად გეძინა, შვილო. ძილი კარგია, სხეულს ძალღონით ავსებს,— თქვა ფარდიდან გამოსულმა დედაბერმა და რატომღაც პირჯვარი გადაიწერა.

— ბევრი მძინებია.— უხერხულად იგრძნო თავი გიორგიმ.

— არც იმდენი.— თქვა ბერიკაცმა. — სადღა გაქვთ ახლა ძილის დრო... მოდი, შვილო, ქვაბი შემომატანინე...

სასიამოვნოდ ცხელმა წყალმა როფში მჯდარი გიორგი ერთიანად მოადუნა, ძარღვებში სისხლმა თბილად იწყო დინება და რომ არ ჩასძინებოდა, გამალებით ისვამდა საპნის და მაგრად იხეხავდა ტანს ნეშით. ბერიკაცი უხმოდ ასხამდა წყალს და ალერსიან, თანაც სევდიან მზერას არ აშორებდა. თბილმა წყალმა მაინც თავისი ქნა.—გიორგი ისევ ბუერაში გაეხვია. სანეტარო თვლემაში გამუდმებით ესმოდა რაღაც ძალზე შორეული ლაპარაკი, მაგრამ ვერ გაერჩია—სიზმარი იყო ეს, თუ ცხადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთრგი შენ დაუზილე, კუზმა. მე ღონე არ მეყოფა. — თქვა დედაბერ-მა და გასაპნული ნეკა ბერიკაცს გადასცა. — აი, ახლა ჩვენ ტოლინასაც თუ ჰპანს ტანს ვინმე მადლიანი.

—იყუჩე, დედაკაცო, არ გაეღვიძოს.

—არა, მე ჩუმად ვლაპარაკობ. ალბათ ისიც ამასავით მოქანცულია და უძინარი. იქნებ სულაც შშიერ-მწყურვალია, ან იქნებ დაქრილიც კია, ის უბედური.

— წყალი დამისხი, დედაკაცო, ენად ნუ გადაიქეცი. აი, ასე. ცოტა ბლომად ასხი, ხუ ეეშინია. მდუღაოე ბევრი გვაქვს.

— აბა ოოღასი უნდა მეშინოდეს, გათავდა ჩემი ცხოვრება.

ბერიკაცმა ამოოიხრა და ძალიან ობილად და ნაღვლიანად უთხრა თავის მეუღლეს:

— ჰო, მაშენკა. მართალი ხარ: გათავდა ჩვენი ცხოვრება.

გიორგი ამ ბოლო სიტყვებმა გამოაფხიზლა. „ვისი ცხოვრება გათავდა?“— თავის თავს ჰკითხა და თვალები გაახილა. თან იგე გაქნია თავი, ამოყვინთვისას რომ იცის კაცმა.

— აი, თავიც მოვრჩით. რამე ხომ არ გატკინე, შვილო, ასე უეცრად რომ გამოგეღვიძა?—ჰკითხა დედაბერმა.

—არა, დედი.

დედაბერი თავს ადგა, დაკაპიწებული, ძარღვიანი, სველი ხელებით როფს დაყრდნობოდა. გიორგი სულ გამოფხიზლდა და გაუკვირდა—ორი უცნო ადამიანის წინაშე ასე ურცხვად რომ იწვდა, გაშიშვლებული, წყლით სავსე როფში. მაგრამ სირცხვილი და უხერხულობა ტალღასავით მოზღვავებულმა აუწერელმა სითბომ, ნეტარებამ და ამ მოხუცებისადმი მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობამ წალეკა. გაახსენდა ბავშვობის წლები, წყლით სავსე აბაზანა და ხელებასაპნული დედა, და თვალები დახუჭა.

— თვალები ხომ არ გეწვის, შვილო? ძალიან ვეცადე საპონი არ ჩაგსვლოდა.— უთხრა დედაბერმა. აკი დედაც ასე ეუბნებოდა: „თვალები მაგრად დახუჭე, ორიმ საპონი ჩაგვიაო“.

გიორგის ყელში მოებჯინა ამ მწვავე მოგონებით გამოწვეული სევდა თუ ამ ხალხისადმი მადლიერების გრძნობა... ფრთხილად დასწვდა დედაბრის მილეულ, ნაჯაფი ხელის მტევანს და რამდენჯერმე აკოცა. დედაბერი უხერხულად შეიშმუშნა და ხელის დამალვაც კი სცადა წინასაფარში.

— რა იყო, შვილო? აბა, რა არის აქ სამადლობელო?—ხმადაბალ თქვა მან.

— გაკოცოს, მაშენკა, გაკოცოს მაგ ხელებზე. მადლობა რა შუაშია! ეს დარდიანი გულის კივილია, მისცეს გამოსავალი მწარე ფიქრებს,—უთხრა ბერიკაცმა.

დედაბერმა ზეწარი მიაწოდა გიორგის. — „ტანი ამით შეიმშრალეო“ და წინკარში გავიდა. გიორგი ტანს იმშრალებდა და თავში მოხუცის სიტყვები უტრიალებდა: „ეს დარდიანი გულის კივილია...“ მართლაც, ერთბაშად მოეშვა გულზე, დედაბერს ხელი რომ დაუკოცნა. ბერიკაცი არც ახლა ეშვებოდა.— ხუთრგის შემშრალებაში ეხმარებოდა, თან თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

— ესეც ასე, მოვრჩით,—თქვა მან ბოლოს.

გიორგიმ სუფთა ტანსაცმელი აიღო და ფარდას მოეფარა.

ჭერიდან ჩამოშვებულ თოკებზე დაკიდებულ, ყუთის მსგავს აკვანში ბავშვი იწვა. ბნელოდა და გიორგიმ კარგად ვერ გაარჩია მისი სახე, ის კი შეამჩნია, რომ თვალები დახუჭული ჰქონდა, ალბათ ეძინა. ფრთხილად დაიწყო ჩაცმა. მაგრამ სწორედ მეტისმეტი სიფრთხილის გამო ქამარი გაუვარდა და ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურით დავარდა იატაკზე. გიორგი შეკრთა და ფრთხილად გადადგა ნაბიჯი, [illegible] რის ასაღებად.

— მაგას არ გაეღვიძება,—თქვა ბერიკაცმა და აკვანთან მივიდა.

— შვილიშვილია?

მოხუცმა თავი დაუქნია, თმაზე ხელი გადაუსვა ბავშვს, მერე დაიხარა და შუბლზე აკოცა.

—ო, რა საშინლად ცხელი იყო, პირდაპირ ცეცხლი ეკიდა. ახლა კი ყინულივითაა, საცოდავი...

— ავად არის?

— იყო, შვილო, იყო. ახლა კი მორჩა, ყველაფერს მორჩა ჩემი უკანასკნელი ნუგეში, ჩემი იმედი. — მოხუცს ხმა ჩაუწყდა, მხრები აუტოკდა და აქვითინდა. დედაბერი შემოვიდა და ბერიკაცს დამშვიდება დაუწყო, მხრებზე უთათუნებდა ხელებს, თან ეჩურჩულებოდა:

— იტირე, კუზმა, იტირე, ჩვენი საბრალო ბიჭუნა. ცრემლი კარგია, კუზმა, ბოღმას გულს არ გაახეთქინებს. ტოლინკას რა პასუხი გავცეთ, ბებერო? ვერ მოვუყარეთ მის პირმშოს, დედამისთან წავიდა, საბრალო...

გიორგი თავზარდაცემული შეჰყურებდა დარდით წელმოწყვეტილ მოხუცებს. „გათავდა ჩვენი ცხოვრება“, — გაუელვა თავში ბერიკაცის ნათქვამმა. „აი, თურმე ვისი ცხოვრება გათავებული: სამივესი, ამ კარგი, მზრუნველი ქოხისა“.

დიდხანს ტიროდა ბერიკაცი და დიდხანს ამშვიდებდა დედაბერი. მერე ერთბაშად შეწყვიტა ქვითინი. ქალმა ხელებით მოსწმინდა ცრემლისანი თვალები, ბავშვს ზეწარი გაუსწორა და სკამზე ჩამოჯდა, გულზე ხელები დაიკრიფა. დასხდნენ ბერიკაციცა და გიორგიც და ოთახში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. მხოლოდ შორიდან ისმოდა ზარბაზნების ქუხილი და ტყვიამფრქვევის კაკანი.

გიორგი არასდროს არ მჯდარა პანაშვიდზე ჭირისუფალთა გვერდით. ყოველთვის უჭირდა მისამმირება, ეზოში ან ქუჩაში მოითავებდა ხოლმე პანაშვიდს. მაშინაც კი, როდესაც სამხედრო სასწავლებელში გაწვევის წინ მამიდა გარდაეცვალა, პანაშვიდები მეტწილად დერეფანში გაატარა. ახლა კი, შეშფოთებული და სევდიანი, მდუმარედ იჯდა მოხუცი ცოლ-ქმრის გვერდით. გრძნობდა, რომ მისი აქ ყოფნა აუცილებელი იყო და სამეპიანი ორკესტრის სამგლოვიარო მელოდიის ნაცვლად ომის სიმფონიის შორეული გუგუნი უფორიალებდა ისედაც აშლილ ფიქრებს. „რა უცნაური და უაზრო პანაშვიდია, საწყალი ბავშვი, ესეც ხომ ომის მსხვერპლია...“

— ვერც ექიმს მივაგენით და ვერც წამალს, ოთხ დღეში დალია სული, — თქვა დედაბერმა და ცრემლი მოიწმინდა.

მეორე დილით გიორგი ძალიან ადრე მიადგა ქოხს. მას ასეულის მეთაური ციმლიანსკი და რამდენიმე მებრძოლი მოჰყვნენ. ციმლიანსკიმ ორდენებისა და медლების გაკეთება უბრძანა ბავშვის დასაფლავებაზე წამსვლელებს და თვითონაც გადაიბნია ახალ გმნსსტურზე წითელი ვარსკვლავის ორდენი და სამი медალი. ალბათ ამიტომაც უთხრა ასმეთაურმა გიორგის: „შენ, გიგაურო, კარგი ბიჭები შეარჩიე იქ წასაყვანად, კარგი გამორჩეული ბიჭები, ვისაც რაღაცა აქვს მკერდზე დასაბნევი, და უჩემოდ არ წახვიდეთ“.

კარგა ხანს იდგნენ ბავშვის აკვანთან, საპატიო ყარაულში გარინდებულები და სახეებზე უზომო მწუხარება აღბეჭდვოდათ. საჩანელი დროდადრო თავს მიაბრუნებდა და ცრემლით სავსე თვალებს იწმენდდა მუჭით. გიორგის ნაღველი ყელს უკაწრავდა და საჩანელს ცრემლები რომ დაუნახა, თვითონაც

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ატირდა. მზერადანისლულს ეჩვენებოდა, თითქოს ამ ერთ ღამეში მოხუცები კიდევ უფრო დაპატარავებულიყვნენ. ბერიკაცი გამშრალი, მაღლიერი თვალებით შეჰყურებდა ორდენოსან და მედალოსან მებრძოლებსა და ოფიცრებს და თავის მტირალ დედაპერს მხარზე უსვამდა ხელს. „ხედავ, რა პატივი დაგვდეს...“—წამდაუწუმ ეუბნებოდა ცოლს.

— გიგიორო, შენ აქ ჭირისუფალივით ხარ, შევუდგეთ საქმეს,—გადაუჩურჩულა ციმლიანსკიმ.

გიორგი მოხუცებთან მივიდა და მათ შორის დაჯდა.

— სად დავასაფლაოთ? — ყრუდ იკითხა გიორგიმ.

— მე უკვე დანიშნული მაქვს ადგილი,—თქვა ბერიკაცმა.

გარეთ გავიდნენ და საქმეს შეუდგნენ. მიწა სველი იყო და საფლავი ადვილად ითხრებოდა, ეს პატარა საფლავი.

ქოხში რომ შებრუნდნენ, გიორგიმ ჩუმად იკითხა:

— კუბო?

ბერიკაცმა თავი გადააქნია.

— ამ აკვანში დავასაფლაოთ. კუბოს საღ იშოვნის ახლა კაცი?

დედაბერმა წინკარიდან ფიცარი შემოიტანა და თქვა:

— თავზე ეს დავაკედოთ.

— ეს აკვანი მაინც აღარ არის საკმარი. წერტილი დაესვა ჩვენს ოჯახს, მაშინაა, გათავდა ჩვენი ცხოვრება.

— ცოდვა რატომ ჩადიხარ, ბებერო. წერტილი რას მიქვია! ტოლნიკას ცოცხლად მარხავ?!

ბავშვის ცხედარი გარეთ გაიტანეს და საფლავთან, მიწაზე დაასვენეს. ბურუსი დაბლა ჩამოწოლილიყო და მთაზე შეფენილი ტყის კენწეროები ნისლის ზღვაში გაფარნულ კუნძულებს ჰგავდნენ. წვრილად წვიმდა. ბავშვს წამწამებზე წვიმის ბუსუსები ცრემლივით უბრწყინავდა. „რა პატარაა და უკანასკნელად აწვიმს“, — გაიფიქრა გიორგიმ და თავისი თბილისელი მეზობელი — ფილოსოფიის კათედრის გამგე გაახსენდა, რომელსაც მადალფარდოვანი ლაპარაკი უყვარდა, განსაკუთრებით პანაშვიდებსა და გასვენებებზე, „ამქვეყნიურ კანონზომიერებაზე, ასე ვთქვათ, ცხოვრების ესტაფეტაზე“. ესეც შენი ესტაფეტა...

— გათავდა ჩვენი ცხოვრება,—ისევ თქვა ბერიკაცმა.

ყუთს ფიცარი დააკედეს და საფლავში ჩაუშვეს, მერე სველი მიწა დააყარეს, მუხლებზე დამხობილი დედაბერი მწარედ ქვითინებდა და სუსტ ხელებს მიწას ურტყამდა. საიქიოდან გამოკუეტილი თვალის—პატარა სამარის ადგილს მომტკრო ბორცვი გაჩნდა, რომელთანაც წამით კვლავ ქანდაკებებივით გაქვავდნენ მებრძოლები. მერე ავტომატები და პისტოლეტები აღმართეს ღმერთისაკენ და ისროლეს. ბერიკაცი ატირდა.

საჩანელმა ფირფიტის ნაჭერი მოიტანა წინკარიდან, რომელზეც გიორგიმ დაწერა: „აქ განსვენებს საბჭოთა მეომრის ვაჟი ვოვა, რომელმაც სულ 3 წელი იცოცხლა“. მერე ეს ნაჭერი პატარა სოლზე დააკედეს და საფლავის თავზე დაასვეს.

გაახსენდა, რომ ციმლიანსკიმ ხელით მოსინჯა სოლი,—მისი სიმაგრე შეამოწმა: „რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?“ — გაიფიქრა მაშინ გიორგიმ და თითქოს მისი აზრის საპასუხოდ ასმეთაურმა თქვა: „საჭიროა მამამისის დაბრუნებამდე მაინც იდგეს და არ წაიქცეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეს ფიცარი შეიძლება მართლაც არ წაიქცეს. მაგრამ ეს მოხუცები?..“ — გაუელვა თავში გიორგის.

გარედან ავტომატის გაბმული სროლა მოისმა და მცირე ხნის შემდეგ ბლინდაჟში ბოგვერაძე შემოვარდა ტყვიასავით. მეტისმეტად აღელვებული იყო. ერთხანს ენაც კი ვერ ამოიღო, მერე დაიყვირა:

— ის შობელადღი გამოუშვენ რადიოში! ვეპროლე...

ყველანი გარეთ გავიდნენ. რეპროდუქტორიდან ისმოდა ლეიტენანტ გიგაურის ყოფილი ჯარისკაცის ხმა: „...მოგმართავთ თქვენი ყოფილი მერიგე. ამჟამად ძლევამოსილი ჰიტლერის არმიის ეფრეიტორი. სულ მეორე დღეა, რაც თავი დავაღწიე წითელი კომისრების ბორკილებს და თავისუფლება მივიღე. თავისუფლება კი ადამიანისათვის ყველაზე დიდი ბედნიერებაა. ძვირფასო ყოფილო თანამებრძოლებო, თქვენ შიმშილობთ და გცივთ, ისევე, როგორც ბუშინწინ მე შშიოდა და მცივდა. ომი რუსეთმა უკვე წააგო. ნუ ჩადიხართ უაზრობას, ტყუილად ნუ წირავთ კომუნისტებს თქვენს სიცოცხლეს. მისმინეთ, მისმინეთ, მისმინეთ! ჰიტლერის არმიის რიგებში მე პირველ დღეებე დამაწინაურეს და ამჟამად ეფრეიტორის წოდებას ვატარებ. გავა სულ მცირე დრო და ახალ ჩინს მომანიჭებენ. ამავე დროს, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჯარისკაცს ესაჭიროება ყურადღება. მზრუნველობა, საჭმელი, სასმელი და თბილი ტანისამოსი ამ ცივ ზამთარში. მე აქ გარემოცული ვარ დიდი მზრუნველობით, მივირთმევ თეთრ პურსა და ცხელ კერძებს, ვსვამ არაყსა და კონიაკს, მაცვია ახალთახალი თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ხვალ ერთი თვით კურორტზე მაგზავნიან დასასვენებლად. სადაც ძალიან ბევრი ლამაზი ქალიშვილია. ისინი ჰიტლერის ვერმახტის ჯარისკაცთა სასიყვარულოდ და საამებლად არიან გაჩენილნი. გესმით მე-2 ათასეულის მე-9 ასეულის მე-3 მსროლელი ოცეულის ჯარისკაცებო? მე ხომ კარგად ვიცი, რომ თქვენ შიმშილით იხოცებით. ნუ იკლავთ თავს. გადმოდით ჩვენს მხარეზე. თქვენ აქ მოკვლით დიდება და პატივი, თქვენ აქ მოგელით მშვენიერი ცხოვრება. გადმოდით ჩვენს მხარეზე. გესმით, ნიკო, საჩანელო, მანოშინო, ბოგვერაძე... თქვენ ხომ გშიათ? ჰაილ, ჰიტლერ!“

გიგაური თითქოს გავარვარებულ თონეში გადაეყუდა.—სახეზე ალმური მოედო. თავის მებრძოლებს გადახედა: სანგარში ყველა გაქვავებული იდგა.

— რა ბრტყელი ლაპარაკი უსწავლებიათ ერთ დღეში,—თქვა ვიღაცამ.

— ო, რას გავაბრტყელებდი მაგ ურწმუნოს, — თქვა ნიკომ, მერე ხელები რუპორივით შემოიწყო პირზე და ხმამაღლა გასძახა:

— მშია, მშია, შენი დედა... ხელში ჩამიგარდებოდე. მაშინ გიჩვენებდი როგორაა მშია.

—მე საჩანელი ვარ, საჩანელი, გესმის? — აყვირდა ათმეთაური,—გამოდი ერთი, თუ ვაქაცი ხარ. შე გაუბრებულო: გამოდი, შე თეთრი პურით გაბერილო, დამეგიდე ამ დასუსტებულ კაცს.

— როგორ თხასავით ბაგაყიდა ამ ურჯულომ, — თქვა ზამთარაძემ და სანგრის კედელს მიეყრდნო.

— ნუ ყვირით, ბიჭებო, დასუსტდებით, — თქვა მანოშინმა.

— რეპროდუქტორი თუ ჩანს?—იკითხა გიგაურმა.

— მე ჩევინიშნე, ამხანაგო ლეიტენანტო,—უპასუხა ბოგვერაძემ. —აი, ეგერ ბრეკზე მეჩხერ ტყეს ხომ უმზერთ. მარჯვნივ, იმ დიდ წაბლზე ყვავის პუდესავით გამოჩანს.

— უნდა მოვშალოთ! — თქვა გიორგიმ და ხელის ტყვიამფრქვეველ მიუდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხანს უმიზნა და მერე მოკლე ჯერი დაცალა. სხვებმა შაშხანები დაურთეს, მაგრამ როგორც კი მიწყდებოდა სროლა, რეპროდუქტორიდან ისევ ისმოდა ლაპარაკი და მუსიკა. გიორგის კაბანოვის სიტყვები მოაგონდა: „შენ ეს როგორ მოგვიდაო?“ და რეპროდუქტორის მოსპობა გადაწყვიტა.

— შენ გინდოდა, მგონი, საჩანელო, იმასთან დაჭიდება?—ჰკითხა ათმეთაურს.

— დიახაც. ამხანაგო ლეიტენანტო! აბა რა, თავი მოგეკვეთა იმ შეჩვენებულმა.

— აქედან სროლით არაფერი გამოდის. შორი მანძილია. — თქვა გიორგიმ.

— ყველაფერი გასაგებია. ორი კაცი მომეცით,—უთხრა ნიკომ.

— ერთი პლაკატრტი დაკავებულია,—იხუმრა საჩანელმა.

— მეორე მე ვიქნები. მაგას ვაყურებიებ სერის ბოგვერაძის დაძახებიზა.

— მე გამიშვით, ამხანაგო ლეიტენანტო,— თქვა ზამთარაძემ,—რომ მოვკვდე, იმ რადიოს მაინც მოვშლი. ეჰ, ერთი შვილი მაინც დამრჩენოდა გვარის გამგრძელებლად.

— არა, ჩემო კარგო, ასეთი გუნებით ვერ გაგიშვებ,—უთხრა გიგაურმა.

— ძალიან გთხოვთ, ამხანაგო ლეიტენანტო. მერე ლექსი მინდა დაგწერო ამ ამბავზე,—მუდარით სთხოვა ზამთარაძემ.

— აი, ეს მესმის... წადით! ნიკო, ფრთხილად იყავით.

ნიკომ თავი დაუქნია და მალე სამიეენი სანგრის ხვეულებში გაუჩინარდნენ..

— მანოშინ, სათვალთვალო პუნქტში ვიქნები და როგორც კი ნიშანს მოგცემ, ძლიერი ცეცხლი გახსენით.

სათვალთვალო პუნქტიდან კარგად ჩანდა გაძარცული მეჩხერი ტყე. მარჯვნივ წაბლის ხეს გაჩიჩხული თითებით ეჭირა შავი რეპროდუქტორი, რომელმაც მთელ სამყაროს ამცნო, რომ ლეიტენანტ გიგაურს ერთი მოღალატე აღმოაჩნდა ოცეულში. მთელ სამყაროს ამცნო... ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა გიორგის. „შენ როგორ მოგვიდა ეს?“—თავის გულის ძგერასთან ერთად ჩაესმოდა მაიორის სიტყვები და მისი ჩუმი ხითხითი. პაპიროსს მოუკიდა და რატომღაც ელისოს თხოვნა გაახსენდა—თამბაქოს თავი დაანებეო. მაგარი ნაფაზი დაარტყა და ხმამაღლა თქვა:

— დავანებებ თავს. თუ ახლა ყველაფერი კარგად დამთავრდება.

— მე მითხარით რამე, ამხანაგო ლეიტენანტო?—იკითხა გუშაგმა.

— არა, ელისოს.

გუშაგმა გაკვირვებით აიჩეჩა მხრები.

მარჯვნივ გამოჩნდნენ ნიკო, საჩანელი და ზამთარაძე. ისინი თოვლში მავთულხლართებისაკენ მიხოხავდნენ.

— გავარდი და მანოშინს უთხარი, გახსნან ცეცხლი!

გიორგიმ ვერ შეამჩნია. როდის მოხვდა ზამთარაძეს თავში ტყვია. მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა ნიკომ და საჩანელმა ზამთარაძეს ფეხებში მოეკიდეს ხელები და ხოხვა-ხოხვით გამოასროიალეს უკან. „დაკრილი ასე არ მოაქვთ“,—გაიფიქრა გიორგიმ და თვალები ყინულივით ცივმა ოფლმა აუწვა. ისევ პაპიროსს მოუკიდა, ყურებიანი ქუდი მოიხადა და ოფლიანი შუბლი მოიწმინდა. „არ უნდა გამეშვა“. — გაიფიქრა და ყელში ბურთივით მოაწვა ბოღმა. „ეჰ, ერთი შვილი მაინც დამრჩენოდა გვარის გამგრძელებლად... ენამ უყივლა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდავს...". წაბლის ხეს დაეკვრიდა კიდევ ერთხელ: გაძალტყაკვიბულ ... ჩაჩხული თითები ცარიელი ჰქონდა. მარჯვნივ, დაბარდნილ ველზე საჩანელი და ნიკო მოხოხავდნენ და მარხილივით მოასრიალებდნენ ზამთარაძეს.

მეორე დღეს ოცმეთაურის ბლინდაჟში საჩანელი შემოვიდა. გიორგი ბუხართან იჯდა და ზამთარაძის ლექსების რვეულს კითხულობდა.

— შეიძლება, ამხანაგო ლეიტენანტო?—მორიდებით იკითხა საჩანელმა.

გიორგის ერთბაშად არ მოუხედავს, ლექსი ჩათავა და მერე მიუბრუნდა ათმეთაურს. საჩანელმა რვეულის ოთხად დაკეცილი ფურცელი გაუწოდა.

— წუხელ ლექსი დავწერე, პირველად ჩემს სიცოცხლეში. იმ შავ რადიოზე, — ხმადაბლა თქვა საჩანელმა.

ლეიტენანტმა უსიტყვოდ ჩამოართვა ფურცელი და გაშალა. ხელი უკანკალებდა.

— ჩადეთ მის რვეულში ეს ბოლო ლექსიც, — თქვა საჩანელმა.

გიორგიმ რვეული გადაშალა და პირველ ფურცელზე მხოლოდ ახლა ამოიკითხა ზამთარაძის მინაწერი: „ჩემს ერთადერთ შვილს, რომელიც უნდა გაჩენილიყო და არ გაჩნდა".

ბუხარში ნელა ქრებოდა ცეცხლი.

— საკმეელი მოგვიტანეს, — სიხარულით დაიყვირა ბლინდაჟში შემოჭრილმა ჯაჩარისკაცმა.

ცამ ძლიერად დაიგრგვინა, მერე ელვამ მოტრაბარი ტყვიასავით მოხაზა ტრაექტორია და განაცრისფერებულ თოვლზე აქა-იქ შიშინით დაეცა დიდრონი წვეთები. მალე წვიმამ იმატა და ბოლოს ირიბად წამოვიდა თქეში. სათაღეთვალო პუნქტის ხვრელიდან ნეიტრალური ველი ძირს დაგდებულ შავ დოფას ჰგავდა. წვიმა მორიგესავით შლიდა შემორჩენილი თოვლის პატარა კუნძულებს, ხეთა კენწეროები დაბლა გაწოლილ ღრუბლებს წყლით გასიებულ მუცლებს უკაწრავდნენ.

— გაზაფხული დადგა, ხეში წყალი ჩადგა, — ჩაიღაპარაკა ნიკომ. მერე თავის კანტორით დაამატა: — რა სახანავი მიწა ფუქდება... აფსუს...

— მაგასაც მოესწრები, — უთხრა გიორგიმ.

— ხისა რა მოგახსენოთ და მე კი ჩამიდგა წყალი, — თქვა საჩანელმა.

— მაშ დროდადრო ხელ-ფეხი გაიწუერე, — ურჩია ნიკომ.

— იმათ იკითხონ, თორემ მე კი მოვახერხებ ამას, — თქვა საჩანელმა და მინდვრისაკენ გაიშვირა ხელი, სადაც გერმანელთა გვამები ეყარა.

წვიმამ უეცრად გადაიღო. სანგარში გავიდნენ. მანიშნის ფარაჯა წაეხურა და, კედელზე მიყრდნობილს, ტყვიამფრქვევთან ეძინა. გიორგის ბოგვერაძე მოაგონდა: ეს იარაღი იმ ზოვრეთელი ჭაბუკისა იყო. „...მოშალეთ ი დასაოუპავი ყორე, მაინც ქე იქნება ჩემი ჩამოსვლის მერე მოსაშლელი", — გაახსენდა ბოგვერაძის სუფვილი, თალიკოს რომ წერდა წერილში. „ნეტავ, როგორ არის?" — გაიფიქრა ნიკოს მიუბრუნდა:

— ბოგვერაძე არც ისე მძიმედ დაიჭრა, არა?

— აბა რა გითხრათ, ამხანაგო ლეიტენანტო. დროულად თუ ჩაიყვანდნენ საველე ჰოსპიტალში, ეშველებოდა. თორემ ბევრი სისხლი დაკარგა.

„რა ბედნიერია. იქნებ ელისოს შეხვდეს".—იფიქრა გიორგიმ და თავის თავზე გაეცინა: ელისოს ნახვა ბოგვერაძისთვის აბა რა ბედნიერება იყო?

მზემ გამოიხედა. მდინარის პირზე ალვის ხეები ჩონის მასრებივით ჩაწ-

ყობილიყვნენ. ბეკმაზზე შეფენილი მეჩხერი ტყე ისე საცოდავად გაძარცულიყო ფრთებსა და ზეზილიოსგან, ალარ გამოიყურებოდა, — მზის სხივები ახალამოფეთქილ ფოთლებზე მწვანედ ლიცლიცებდნენ.

— გახსოვთ ის წაბლის ხე? — იკითხა გიორგიმ.

— იმათი რადიოკომიტეტი?

გიორგის გაეცინა, მაგრამ უმალ მოიღუშა: ზამთარაძე გაახსენდა.

— ალარ ეკონცერტებათ, — თქვა საჩახელმა.

გერმანელებმა უკვე კარგა ხანია ფრონტის ამ უბანზე მოქმედი თითქმის მთელი ავიაცია და მძიმე არტილერია მოხსნეს და ვოლგის ნაპირზე დევგმირივით გაწოლილი ქალაქისკენ გადაისროლეს. ჰაერს საბჭოთა თვითმფრინავები დაეპატრონენ. მხოლოდ „ფოკე-ვულფი“ ღმუოდა კვლავინდებურად — ხან ორ-სამ ბომბს ჩამოაგდებდა, ხანაც ტყვიამფრქვევს აკაკანებდა. მაგრამ გამოჩნდებოდნენ თუ არა საბჭოთა გამანადგურებლები, „ურემი“ უჩვეულო სისწრაფით ღრუბლებში ინთქმებოდა.

ახლა „ურემი“ დაბლა მოფრინავდა და საზენიტო ზარბაზნებმა და ტყვიამფრქვეველებმა ცეცხლი გახსნეს.

სანგარში ათასეულის მეთაურის მეკავშირე გამოჩნდა. გიგაურს მიესალმა და კაბანოვის ბრძანება გადასცა.

— მნიშვნელოვანი თათბირია, ამხანაგო ლეიტენანტო, — თვალი ჩაუკრა მან გიორგის, მერე ყურში უთხრა დამარცხლით: — შე-ტე-ვა!

დაბინდდა თუ არა, ზურგიდან გვარდიული ნაწილი წამოვიდა და ცოტა ხანში ბლიდაკეებსა და სანგრებში ხალხის ტეკი არ იყო. როგორც მოსსლთა, ისე დამხვდურთა შორის, შეტევის წინა ღამისთვის დამახასიათებელი ზეიმური განწყობილება სუფევდა, რადგან გვარდიელები თვეზე მეტ ხანს იყვნენ ზურგში, ხოლო მასპინძლები უზომოდ მოქანცა ვიწრო სანგრების ერთფეროვანმა ცხოვრებამ და თვალწინ გადაშლილმა ერთმა და იგივე პეიზაჟმა. „ადამიანმა მხოლოდ ზღვას შეუძლია უყუროს გამუდმებითო“, — იფიქრა ერთხელ გიორგიმ, როდესაც სათვალთვალო ხვრელიდან მტრის პოზიციას გაპყურებდა. როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ, როგორც ერთი თვის წინათ ისევე მოჩანდა: მარცხნივ ზეკი, პატარა მდინარე (რომელშიაც ჩინარები იბანდნენ ფეხებს), წინ — მავთულხლართები და გაშლილი მინდორი, მარჯვნივ — ბეკმაზზე შემჯდარი მეჩხერი ტყე... „ალბათ იმიტომ, რომ ზღვამ არ იცის მოსვენება...“ — დაასკვნა მან.

გიორგიმ მთელი ღამე უძილობასთან ბრძოლაში გაატარა. თავზე ეწამოწოლილმა, ერთხანს ბუხარში ცეცხლს უყურა, შემდეგ კედლისაკენ მიბრუნდა, მაგრამ ძილი მაინც არ მიეკარა. დიდხანს იტრიალა. მერე შეშინდა — სტუმარი არ გავაღვიძოო. გვერდით გვარდიის ლეიტენანტი იწვა და უხრუნველად ფშვინავდა. გიორგი პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა, მერე ასამდე დაიწყო თვლა დინჯად... ყოველივე ამაო იყო. „ნეტავ, რა ეყოლება ელისოს, ბიჭი თუ გოგო?“ — რატომღაც გაუელვა დამძიმებულ თავში და ზამთარაძე წარმოუდგა თვალწინ: „ეჰ, ერთი შვილი მაინც დამრჩენოდა გვარის გამგრძელებლად... ბიჭი თუ ეყოლა, ჩემს გვარს თუ მისცემს, ნეტავი?“ — საოცრად მოუნდა ფეხმძიმე ელისოს დანახვა, თუნდაც შორიდან. „შენც გვარის გამგრძელებელი გინდა?“ — ჰკითხა თავის თავს ბუხარში წასულმა და უმალ გაახლა თვალები, ცივმა ოფლმა დაასხა. „რა შუაშია ეს?!“ — ხმამაღლა თქვა და წამოჯდა. ბუხარში ისევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუბუნებდა ცეცხლი და ბლინდაჟის კედლებზე პინკებივით დახტოდნენ ლეგბი.

— არ გეძინება, ძმობილო? — მოულოდნელად ჰკითხა გვარდიის ლეიტენანტმა და ისიც წამოჯდა.

— ვერაფრით ვერ დაეძინე.

— პირველად მიდიხარ შეტევაზე?

— არა, ბევრჯერ ვყოფილვარ.

— მე კი პირველად მივდივარ, — ღიმილით თქვა გვარდიის ლეიტენანტმა.

„იმიტომ გძინებია, ძმობილო, ასე მშვიდად“, — გაიფიქრა გიორგიმ და მასაც გაეღიმა.

— ერთი თვის უკან მოვხვდი ამ ნაწილში, პირდაპირ სამხედრო სასწავლებლიდან, — თქვა გვარდიის ლეიტენანტმა.

სადღაც შორს, ზურგში, ღონივრად ამოსცელეს ქვემეხებმა. გიორგიმ საათს დახედა — პატარა ისარი ექვსს უჭვენებდა.

— გათენებულა, ავდგეთ, — თქვა და წამოდგა.

გვარდიის ლეიტენანტმა დახედა საათს, შეწუხდა: „ორი წუთით ჩამორჩენილაო“, გაასწორა და მსუბუქად წამოხტა. ახალ, კარგად მორგებულ ტანსაცმელში კოხტად გამოწყობილი, ჯაბუკურად გამოიყურებოდა.

— მშობლები გყავს? — ჰკითხა გიორგიმ.

— დიახ. და კიდევ ორი და.

— მაშ შენ მშობლებს და დებს გაუმარჯოთ, დედაჩემსაც გაუმარჯოს, — თქვა გიგაურმა და არყით სავსე კარდალა მოიყუდა, მოსვა და გვარდიის ლეიტენანტს მიაწოდა.

— მშვენიერი სადღეგრძელოა, — გაიღიმა გვარდიელმა, კარდალა ტუჩთან მიიტანა, მაგრამ სანამ მოსვამდა, ზეიმურად წარმოთქვა: — მაგრამ, მოდი, ჩვენი შეტევის წარმატებისა დავლიოთ...

— მაგას იქ შევსვამთ, ბრძოლის ველზე, — თქვა გიორგიმ და მხარზე დაჰკრა ხელი.

საარტილერიო მომზადება ზუსტად ერთ საათს გაგრძელდა. ირიკრაჟა. თანდათან გამოჩნდა: მარცხნივ ხევი, პატარა მდინარე, წინ — დაგლეჯილი მავთულსლართები და გაშლილი ველი, მარჯვნივ — ბექობზე შემაჯდარი მეჩხერი ტყე... ოღონდ განმარტოებული წაპლის ხე ვეღარ დაინახა გიორგიმ — ყუმბარამ თუ მოთხარა ძირფესვიანად.

ცაში შხუილით ავარდა მწვანე მაშხალა.

— აბა, ბიჭებო, მოვემზადოთ, — ხმამაღლა თქვა გიგაურმა და თავის ოცეულს გადახედა, თან ავტომატი მოიმარჯვა და ქამარზე დაკიდებული ხელყუმბარები მოსინჯა მექანიკურად.

წითელმა მაშხალამ ცისკრით შევერცხლილ ცის ტატნობზე მოხაზა რკალი.

— წავედით, — დაიძახა გიგაურმა და სხარტად ამოხტა სანგრიდან. დაინახა, რომ მოშორებით გვარდიის ლეიტენანტი ამოუძღვა თავის მებრძოლებს და ხმამაღლა გასძახა:

— ვანია, სადილზე ჩემი სტუმარი ხარ, სადღეგრძელოები უნდა გავაგრძელოთ.

გერმანელებმა ძლიერი ცეცხლი შეაგებეს შეტევაზე გადასულებს.

მიწის გ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ძნელაძე

სიყვარული მეძახის

წუთისოფლის სტუმარი
ვეტრფი სიტყვის მწველ სახმილს.
მარად უბერებელი
სიყვარული მეძახის.

გლეხიკაცის ღიღინით,
სუნთქვით მწიფე ვენახის —
სამყაროსებრ უსაზღვრო
სიყვარული მეძახის.

ბავშვის ტკბილი ტიკტიკი
გულში გრძნობებს ზედ მაღვრის,
და ჩვილივით უმანკო
სიყვარული მეძახის.

ჯადოსნური სიმებით
იმ დიდებულ მეჩანგის, —
იგავმიუწვდომელი
სიყვარული მეძახის.

შარიშურით ნათელას
ოცნების და ლეჩაქის —
მტრობის მომგერებელი
სიყვარული მეძახის.

ეკოცნი გმირთა საფლავებს.
მოწმეთ ბევრი მეხ-წარღვნის. —
მამულის გადამრჩენი
სიყვარული მეძახის.

სადაც ადამიანი
კეთილ საქმეს თესავს, მკის —
ყველგან ძლევამოსილი
სიყვარული მეძახის.

ვაჯანსაღებ ძველ წიგნებს —
დაფურცლულებს. მტვერწაყრილს. —
მათკენ ჩაუქრობელი
სიყვარული მეძახის.

ქართლის მიწავ, გამთბობო
ჩემი ლექსის ფესვ-ძარღვის —
შენს სამკობად დიადი
სიყვარული მეძახის.

თუმც ნათელი დაკარგე.
ვარ მმუსერელი მე ჯანღის.
რადგან მზისკენ სიცოცხლის
სიყვარული მეძახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

მოგზაურობა ამერიკაში

დამთავრდა ჩვენი მოგზაურობა ლოს-ანჯელოსში და ორშაბათს, ოთხ ივლისს, დილის 11 საათზე უკვე აეროპორტში ვიყავით. აქ დაველოდეთ გფიცეულ ინჟინერთა პიკეტები აეროპორტის სალარიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქით სასტუმროში, ჩაკრთეთ ტელეგეზრი და მოულოდნელად მართალ სასეირო სანახაობას წვეაწყდით, გადაეკიდნენ ამერიკულ ჭიდაობას.

სანამ ეს ჭიდაობა მიმდინარეობდა, პარტერიდან ისმოდა განუწყვეტელი ღრიალი, ხარხარი, ტაშის გრიალი, გამაძნეველები შეძახილები, სტვენა და ეროთ ვაი-უშველებელი.

გადაცემის დამთავრების შემდეგ მე და ნიკოლოზმა ერთმანეთს გადაეხვიდეთ და უნებურად მოგვაგონდა ჩვენი, უფრო სწორად ჩემი თანატოლი მოჭიდავე ნიკოლოზ ქვარიანი, რომელიც გაგონილი მქონდა, ამერიკაში ჭიდაობდა ერთ დროს და ახლაც იქ არისო.

— იქნება, ბიჭო, ნიუ-იორკში ცხოვრობს.— ვთქვი მე და ტელეფონის წიგნაკს მივწვდი, გადავშალეთ, დავაყოლეთ თითი და ვეხედავთ „ქვარიანი ნიოლაი".

ქვარიანს მე მოწაფეობის დროს შორიახლოს ვიცნობდი. იგი ათას ცხრაას ცხრამეტსა და ოც წლებში ქუთაისის ცირკში გამოდიოდა ხოლმე სპეიადად და თვრამეტი წლის ბაბუკი გოლიათებს ეკიენებოდა. ის, ცხადია, მაშინ ჩვენი ნამდვილი კუმირი იყო და მისი სახელი ყველას პირზე ეკერა. მახსოვს, ერთხელ ვიღაც მოჭიდავის, მგონი თათარ გენჯა-ალის ბენეფისზე უნდა დაჭიდებოდა ბენეფიციანტს. საცირკო ტრადიციის მიხედვით ბენეფიციანტს აუცილებლად უნდა წაექცია მოწინააღმდეგე და ეს იმიტომ, რომ წაქცეულს რევანშზე გამოეწვია წამქცევი და საკუთარ ბენეფისზე ახლა ის დიმარცხებია. ჩვენ, რამდენიმე ამხანაგს საოცრად გვინდოდა დავსწრებოდით ამ ჭიდაობას, მაგრამ ჯიბეში გროში არ აღმოგვაჩნდა. აი-ღეთ და წერილი მივწერეთ ქვარიანს, აგერ იქნები მოწაფე ვიდავართ და გვიშველე რამეოქო.

ვხედავთ, თვითონ გამობაჯბაჯდა და გვიძახის, მოდით ბიჭებო, მოდით, დღეს შეიძლება შეგარაქნინო, მაგრამ გული არ დაგწყდეთო. ეკმესივე შეგვიშვა პარტერში და თვითონ კულისებისკენ გაეშართა.

მართლაც, ამ ღამეს ჩვენი კოლეგა, ბენეფიციანტმა ძირს გაშალა და ყველას გული ისე დაგვწყნა, თითქო ნამდვილად პატიოსანი ჭიდაობით წაქცეულიყოს. მან მაშინვე გამოიწვია რევანშზე მოწინააღმდეგე და თავის ბენეფისზე ქუთაისელების გულს გასახარად იგი ხეთ წუთში ბიჭიბზე დასვა.

ისიც მახსოვდა, რომ ქვარიანი მოწაფეობის დროს ბოლშევიკური ახალგაზრდობის „სპარტაკის" ორგანიზაციაში ღებულობდა მონაწილეობას, შემდეგ ჭიდაობდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში, როსტოვში მიიღო მსოფლიო ფალავნის სახელწოდება და 1927 წელს გემგზავრა საზღვაურგარეთ. იქ, როგორც ეტყობა, სახელზე უფრო ფულის მოზეეშა გიტაცა და საბოლოოდ ამერიკაში დარჩა საცხოვრებლად.

— მოდი დავუტეკოთ, — შეუბნება პაპანაშვილი.

— ალბათ ალარ ვეხსომები. — ვეუთხარი მეუხერხულია.

— დავუტეკოთ. გაეხარდება საქართველოდან ჩამოსული ადამიანის ნახვა. იგი ჩვენი მეზობელი იყო ქუთაისში და ჩვენს ოჯახში ხშირად ყოფილა. იქნებ მე გავახსენედე. — თქვა ნიკოლოზმა.

ავიღეთ ტელეფონის მილი და რუსულ-ინგლისური „რაზოლეორნიკის" დახმარებით ჩავეხეთ ტელეფონისტ ქალს ნომერი.

— ალლო! — მესმის ტელეფონში, თუმცა მილაკი პაპანაშვილს აქვს ყურზე მიდებული.

— ქვარიანი ბრძანდებით?—ეკითხება ის.

და უცბათ ისმის რაღაც გაურკვეველი ქუხილი მილში. პაპანაშვილი ძლივს ასწრებს პასუხების გაცემას და ასე მგონია მიკროფონში რაღაც ატომური რეაქცია ხდება და სადაც არის აფეთქდება, ისეთი გრიალ-ეუხანი მოდის იქიდან. მართალია მილაკი მე არა მაქვს მიდებული ყურზე, მაგრამ ყოველი სიტყვა გარკვევით მესმის.

— შენ რომლის შვილი ხარ, — ვარჩევ სიტყვებს ამ ქუხილ-გრიალში — ტერენტი რა იყო შენი? მამაშენი? ეახსოვს, როგორ არა, ცამეტი წლის ბაბილინა რო შეერთო ცოლად, ულამაზესი ქალი, შენ ამის შვილი ხარ? რამდენჯერ ამიყვანინახ ხელში...

ქვარიანი დიდხანს ლაპარაკობს. მერე მე გამესაუბრა და ტელეფონით სცადა ვამჩნი ჩემთვის, თუ როგორ დაამტკიცა მან ქართველების ნათესაობა შოტლანდიელებთან... ჯერ ერთი ეშმი, რომ რაკეელებს და შოტლანდიელებს ერთნაირი გუდასტვინი აქვთ, მერე ჩვენი და მათი ენის რამდენიმე სიტყვა ერთმანეთს ემსგავსება ოღრმა...

ერთის სიტყვით მთელი ლექცია წამიკითხა, და მერე, ორთავე, მეორე დღისათვის მიგვიწვია ადგილად. ჩვენც აღვუთქვეთ, რომ მოვინახულებდით.

ნაშუადღეევის სამი საათი იყო, როდესაც მე, ნიკოლოზი და ფილიპეს ქვარიანს ვესტუმრეთ.

იგი სასტუმრო „შოტლანდში" ცხოვრობს, სულ ზედა, მეოცე თუ მეოცეაორე სართულზე. უჭირავს ორი პატარა ოთახი. ერთ ოთახში კაბინეტი აქვს, მეორეში საწოლი. როდესაც ზარი დავრეკეთ, კარი გაიღო და ვხედავთ ჩვენს შესახვედრად მობაჯბაჯებს ნაზეული გოლიათი. ჩვენ მხოლოდ ის გვიკვირს, როგორ არ იცდიდა იგი ამ თავის ბინის ვიწრო ღარეფაზეში. სამოცეეს ადგილეზეა, ადგილეკოცა. მერე ნამდვილი ქუთაისური აქცენტით გასაბმა-

— სიღონია!

და ინგლისურად დასძინა, ჩემი თანამემამულენი მოვიდნენ, მოდი, გაიცინო.

მას უცხო ეროვნების ქალი ჰყავს ცოლად, მაგრამ სახელი კი ჩვენთვის ნაცნობი და ნამდვილი ქართული.

დავსხედით, მიმოვიხედეთ, მთელი კედლები მოფენილია მხატვართა ნამუშევრებით, და თაროები გაჭედილი წიგნებით. ძაღიანზედაც წიგნები, მათ შორის რამეენაე ქართული, და რაც ყველაზე მეტად გამიკვირდა, ჩემი, სულ ახლახან გამოცემული მოთხრობების კრებული.

— ბიუოს, ეს სადან? — გაძიკვირდა მე.

— ეგ ილიო სუხიშვილმა ჩამოგზავნა. — მითხრა მასპინძელმა. ამის შემდეგ კი... მე მგონია, ჩემი შეკითხვა იყო ის ირიანდ სიტყვა, რომლის თქმაც მოვასწარი. ჩვენმა ოლიამ, რაც ამ იოდდამატი წლის განმავლობაში ქართული სიტყვა არ ეთქვა, სუფთადაც თქმა ახლა მოინდომა. ხმა არ ამოგვაღებია. გეკითხეთ რამეს და მაშინვე თვითონ განაგრძობდა ლაპარაკს.

— სხვა რა ამბებია საქართველოში, ქუთაისი რას შვება, ჩემი ქუთაისი? ბაღის კიდეზე თუა ის ჩაინება, მე რომ ვდუნავდი?

— ქუთაისს ვეღარ იცნობ... — ეუბნები მე.

— გასსოვს, მე რომ ვეჩიდაობდი, გამყრელიძის ცირკი თუთრი ხიდის ბოლმა, თუა კიდეე? ალარ არის? მე ჩემ ცოლს დაეუბარე ანდერძი, რომ მოკვდები დამწეს, ფერფლი წაიღოს და ქუთაისის ქუჩებში მოაბნიოს. ამ, ამის ბიძა იყო — პიპინაშვილზე მითითებს — რა ვიკაცი, რა შესახედავი. ესენი ჩვენს ბეერდით ცხოვრობდნენ მეზობლად, ამას ბიძა ყავდა, ტერენტი, ის რომ ჩოხას ჩაიცვამდა და გაიგლიდა, ოშის ნახვას არაფერი ჯობდა. გესმის, მე სულ

ეოდნებობდი, ნეტავი ამისთანა ეიქნებოდეე ცხოვრებაში და მეტი არაფერი მინდაოქო, იმას რა მოიეედა, იეი შენ? ცოლს რო ერთაედა, ეორეული ჩხები მოხდა. დიდი ვიკაცი იყო, მართალია ნეფე იყო. მაგრამ რას ქვია შეუოაცტყოფას მაყენებენო. იძრო ხანდაეი, ამ ბროს დედოფალნი ხელი გაიწვდინა, ენდოდა

ეეიეჩერებია და ნეფემ კი, შემთხვევით, თავის ამ მომავალ მეუღლეს ხელი მოეჩა. დიდი ტრაგედია იყო. მერე ის ხელი სპირტში ჰქონდა ჩაგდებული, ცოლს კი მოსაწმასხეე დაეყენა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავს ეკლეპიდა.

— როდესაც ბიძაჩემი გარდაიცვალა — დასძინა პიპინაშვილმა — ცოლმა თავისი მოკრილი ხელი თან ჩაიყოლა.

— ჰო, ეგ აღარ ვიცოდი. — განაგრძო ქვეანანმა — ეჰ, კარგი ვიქაცები იყვნენ ქუთაისში. თუ ხმა ხარ, სანდრო როგორაა, მხეიდ, გახსოვს, მე რომ გიკლიეე...

— შენ კი არა, იმან გცემა, — ეუბნებიან ლიმილით — ანა თბილისში ცხოვრობს.

— ის „დეკორანნსტი“ იყო, მე კლასიკური ვსწავლობდი, ჰოდა, დამხედა ერთხელ, გამარტყა და გიიეკა...

— კარგი, ახლა, ნუ ტრაბახობ! შენ ლონიერი ბიჭი იყავი, მაგრამ სანდროს ვერ გალახავდი.

თანამედროვეობის გამოჩენილ მხატვართა შორის მიხეილ ჯავახიშვილმა თვალსაჩინო ადგილი დაიკარა, როგორც გამორჩეული მანერის შემოქმედმა, რომლის სტილის თავისებურება ეყრდნობა, ერთი მხრივ, კლასიკური ეპოსის გამომსახველობითი საშუალებების ნოვატორულ ათვისებას და, მეორე მხრივ, ახალი ფორმის განუწყვეტელ ძიებას.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო გასაანალიზებელ მასალას შეიცავს რომანები: „ჯაყოს ხიზნები", „გივი შადური", „არსენა მარაბდელი".

ჩვენ გვინდა შევეხოთ მათ შორის ყველაზე ფართო ეპიკური ტილოს — „არსენა მარაბდელის" მხატვრული ენისა და ტიპიზაციის ზოგიერთ საკითხზე.

რომანის მხატვრული ენა ძლერადდა მეტად რელიეფურია. ფრაზა, ძირითადად, სხარტია და შეკუმშული, ხოლო პერსონაჟთა მეტყველება — მკვეთრად გამორჩეული და ინდივიდუალიზებული. რომანისტს არ უყვარს მრავალი ჩართვებით გართულებული წინადადებები, სამაგიეროდ, ხშირად იყენებს ფრაზის ისეთ ნახასს, სადაც სიტყვათა თუ სახეთა განმეორება იძლევა შეამბეჭდავ ხაზგასმას და ჰქმნის თავისებურ, რეფრენულ რიტმს.

რომანის ენა მდიდარია ისეთი ეპითეტებით, სადაც ერთმანეთს ენაცვლება მეტაფორა, შედარება, მეტონიმია, სინეკდოქე, ჰიპერბოლური სახე. ყოველივე ამით მიღწეულია განსაკუთრებული ექსპრესიულობა. ხმოვან-თანხმოვანთა შეთანხმებით მთელ რიგ პასაჟებსა თუ სცენებში მწეოალი ჰქმნის ენის თავისებურ რელიეფს, ზეაწეულ ტონს, სადაც რიტმში გვაგრძნობენ ტენდენცია ერთგვარ ხმოვან ექოა გამოსცემს.

რომანისტის მხატვრული ენის სხვა თავისებურებებიდან ჩვენ აქ გამოვყოფთ ობერთვე მეტაფორული და ლაკონური მეტყველების ჯავახიშვილისეულ მანერას.

მიხეილ ჯავახიშვილის მეტაფორა თითქმის ყოველთვის რეალურის ფარგლეში რჩება.

განზოგადების, პროცესში ეყრდნობა კონკრეტულ სახეს და შემოაქვს შედარების უშუალო ელემენტიც, რითაც ანსტრაგირებულ სახეს მრავალსაგნობრიობას სძენს.

მოვიტანთ რამდენიმე მაგალითი:

1. „მთვარე ცის უზარმაზარი თვალივით ჩამოკიდული და ქვეყანას უთვალთვალებს. ხეებუში ტრები ჩსვიან. ვირთაგვები ნასუფრალზე ნადირობენ. მუხის ფესვები უცნაურ რამეს ჰბოდავენ: მარცხდებიან და იმარჯვებენ, ტრიიან და ეცინიან, ალერსობენ და ჰბეზღუნენენ, ღიღინენენ და ჰკვნესიან".

პირველ ხატოვან სურათში გარდა შინაგანი რიტმისა („მთვარე თვალივით... უთვალთვალებს"), შედარების ელემენტი („მთვარე... თვალივით") უშუალოდ შემოსულია მეტაფორის („უთვალთვალებს") სამყაროში. მუხის ფესვები—არსენას ოჯახშვილების მეტაფორული სახეა, რეალურ ყოფაში გაცსადებული („მარცხდებიან და იმარჯვებენ, ტრიიან და ეცინიან, ალერსობენ და ჰბეზღუნენენ, ღიღინენენ და ჰკვნესიან"). მეტაფორა ცხოვრებისეული მოვლენების რიგშია მოყვანილი და ამდენად რეალურის ხატოვანი გაგრძელებაა.

„ღამე უცებ ჩამოწვა. ტყე აზარმაცდა. ნადირი შეშინდა. ფრინველი აფსორდა. მოლეკვები კოცონი ააბრიალეს, რკალივით შემოეხვიენენ, ძმური ფერხული ჩაადეს და შიელეგო შეტეხეს". ამ რეალისტურ სურათში ორი მეტაფორული სახე გვაქვს და ისიც ნაღირფრინველთა შიშის გამოსახატავადაა გამოყენებული;

2. „ბანაკი ცარიელდება. თრიალეთის ცა სისხლის ფერად ღიებენა. შემდეგ ხეობას სულშემხუთავი ღამე აწვება — ღამე მუქი, ჩუმი და ფდუმალი შფოთით აღსავსე. ძველი მინგრეული ციხე-კოშკები ბნელ ცაში მღოლველი ბერებივით აფმართულან და თითქო ზეცას რაოიას ემუდარებიან. ის კოშკებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნეთა დუმილი ისმის და სვედიანი ნაკადულები იღვრება".

. . . ამ სურათი ეხედებით შედარებასაც („სისხლის ფერად", „ალოცველი ბერებივით") და მეტაფორასაც („ციხე-კოშკები... ემეფარებიან", „სვედიანი ნაკადულები იღვრება"); ეპითეტსაც ღამე მუქი, ჩუმი და იდუმალი შფოთით აღსავსე") და გამჰფორებასაც („... ღამე აწუვება — ღამე მუქი"). ფრაზა მდიდარია, მაგრამ მთავარი მისი ეს თავისთავად მდიდრულობა კი არ არის, არამედ ის შინაარსობრივი განეთარება ამბისა, რომელსაც იგი ემსახურება; სინამდვილის ის მთლიანი სურათი, რომელსაც ასე მკაფიოდ ეხედავთ, ეგრძნობთ, განვიცდით, ბანაკის დაცარიელებაზე მითითებით ნაჩვენებია მოქმედება; ცის სისხლისფრად შეღებვა დისის ან გაშთიადის საერთო ხატოვანი წარმოსახვაა, რომელიც აქვე საერთოდან კონკრეტ ფერ ბ ი ბ ი ბ ი

— ჩუმად! ჩქარა! გზა მომეცი!".

პირველ სცენაში არსენს რაზმელს კუნძი კაცად ეჩვენება სიფრთხილის გამო; მეორე სცენაში ივივე კუნძი არლოფის ჯარისკაცს კაცად ეჩვენება შიშის გამო; რაზმელების თვალში ციხე-კოშკები მოიმედე მლოცველ ბერებად წამომართულან, არლოველთა შემეცნებაში კი ისინი მარაბდელს დამსგავსებიან; ხევში წყალის ხმიანი პირველ სცენაშიაც და მეორეშიაც რაზმელების ჩურჩულად ისმის, მაგრამ პირველად იგი იმედის განსახიერებაა, მეორედ — შიშსა და ძარწოლას სთესავს.

ამგვარად, გარეგნულად, ფორმით მსგავსი ორი ხატოვანი ნახაზის, ორი შეწყვეტილი სცენური შთანაფიქრის შინაგანად, შინაარსობრივად, კონტრასტული დაპირისპირების საშუალებით გადმოცემული ორ სხვადასხვა განწყობილება, სხვადასხვა შინაარსობრივი სიტუაცია, სხვადასხვა ფსიქოლოგიური განცდა.

მიხეილ ჯაჯანიშვილს ახასიათებს მეტაფორის განსაკუთრებული შინაგანი მოქმედი ძალით გამსჭვალვა, დინამიკისა თუ სტატიკის ფეროში გადატანა. მოვიგონოთ დაჭრილი დათუნას მიერ ხიღლით სიკვდილზე: „...ქოხიდან ერთი ხინჯალი მოტაცა და ისე დაეშვა თავდაფმა, თითქო სიკვდილს წინ კი არ მიეძღოდა, არამედ უკან მისდევდადო. და როცა წისქვილს მიაღწია, სიკვდილი უცებ მობრუნდა, დათუნას ყელში მისწვდა, შიგ ჩაეღარა და თვითონაც მასთან ერთად გახეთქა".

მიხეილ ჯაჯანიშვილის პიპერბოლაში ძლიერია როგორც დაკინავ-გროტესკის (ზაალი, არლოვი, გიგოლა, ფარსადანი და ა. შ.), ასევე ხოტბა-ვანდიდების (არსენა, ღუთისავარი, სეკასტი, მარინე, მაგდანა და სხვ.) ელემენტი.

ხშირად მისი ფრაზა თითქოს ალეგორიკა არის, ან განშეორების შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ეს მოჩვენებითია. ნამდვილად კი ასეთი ფრაზების საშუალებით ხსნაცვალი ფუნდამენტალური ინტერესი გადმოსცემს ჰარმონიულ ჯაჭვის განშეორებულ სურათხატებას.

ერთ ადგილს იგი გვეუბნება, თუ როგორ დაირხა ხალხში „ჩუმი ფორიაქი" (გვ. 88) და თითქოს გამოთქმა ალეგორიკია (თუ ფორიაქი ატყდა, იგი „ჩუმი" არ შეიძლება იყოს!). მაგრამ ამით გამოთქმულია შინაგანი სულიერი შეშფოთება ადამიანებისა, რომელთაც მეხივით დაეცა არსენის სიტყვები — „იმასაც ამბობენ... მალე ძალიან ბევრი ხალხი უნდა დაიჭირონ და გაიკმბირონნო" — და დაამუნჯა, მაგრამ აფორიაქა ისინი.

მეორე ადგილს ნახმარია „დუმილის მოსმენა". ესეც ხომ თითქოს ალეგორიზმია (დუმილი უხმაურობაა და იგი არ მოისმინება!). მაგრამ იგი გამოყენებულია ზაალის ხასიათის გასახსნელად. „ურჩით" გარიზგვის საშინელი სახეობის შემდეგ ორბელიანებს, მელიტონ ბარათაშვილს და სხვა შეშფოთებულ სტუმრებს სურთ, რაც შეიძლება მალე გაეცალონ იქაურობას და წასასვლელად ემზადებიან. ეზოში დაბრუნებული ზაალი ამას გაოცებია. იგი ისმენს და ხედავს, რომ სტუმრები წასვლის რაღაც საბაბს იგონებენ, ფაქტიურად კი მას „ჭირიანსავით" გაურბიან. მარაბდის გულქვა ბატონს მხოლოდ დანახვა და მოსმენა შეუძლია, სხვა გრძნობა უცხოა მისთვის. გავიხსენოთ, როგორ გაოცდება იგი, როცა გასამგზავრებლად გამზადებულ სტუმრებს დაინახავს და აღშფოთდება, როცა მათს მიზეზებს მოისმენს, ან როგორ შეწყრება, როცა ამავე პასაჟში გრიგოლ ორბელიანის სიტყვას მოისმენს და ხორეშანის ოვალებს დაინახავს.

მაგდანას სახლში არსენს და მარინეს შეხვედრის აღწერისას რომანისტი ხმაობს გამოთქმას — ოთახში „თითქო ბინდმა შემოჭიანათო". ბინდის შემონათებაც, თითქოს, ალეგიკურია. ფაქტიურად კი რა ოსტატურად არის ამ გადმოცემული ოთახის დაბნელება, რასაც მარინეს შემოსვლა იწვევს. მაგრამ არსენასთვის ეს ხომ ნათელის მოსვლაა და ბინდაც უმალვე ჭქრება. თუმცა მარინე ზღვრულზე შეჩერებული და, არსენასთან შეხვედრის მოულოდნელობით შემკრთალი, სახლში შემოსვლას აყოვნებს.

მწერალი თხრობის შინაგან რიტმს ხშირად აღწევს დამეჯილებით, ორჯერადი, სიტყვის სხვა ფიგურებთან შეწყვილებით განმეორებით, ალეგორაციული ელემენტით პროზაულ თხრობაში („მერე რა გული აქვს ბალღია ბალღი!"; „...მეტისმეტად გულზვიადი გამოდგა, გათამამდა. მეტისმეტად გათამამდა"; „მერე რა მართალი კაცია! ისე სჭრის სამართალს, როგორც სამაჯინი ხელი"; „...ამას წინათ გამართული გუთხეთ მინდორში გაიტანა — მარნე გაიტანა... რადგან მარტო სიკვდილს თუ შეეძლო გლეხისთვის ზეგა-თესვაზე ხელი აეღებინებინა"; „რა ზღაპრული მზე ამოდის! რა მაორნობელია ეს ჰაერი! რა ტკბილია ეს სურნელი! რა საამოცია სირთა ყვავილი და ყვავყორანთა ჩხავეიც!"; „წუწკალ გიგოლს მე არ ვაკადრე იარაღი, არლოვმა კი მე და ამ კაკადრა... არ მაკადრა თუ შეშინდა?"; „ეკმბდი და კიდევაც შეგხედი. გერიფბი-

და და მაინც შეგხვდი...“; „—დაბიხდა-მეთქი! მოგხვდეს დამხვდური უნდოდა და კუჭამტლეულ დაუხვდა“; „...გაახსენდა მარაბდელს ხორეშანის წყველა... გაახსენდა და ამ დროს...“; „მაგრამ ამ დროს — სწორედ ამ დროს.. “ და სხვ. მრავალი).

მხატვრული სახის ან ცალკე ხატოვანი გამოთქმის განმარტებას მწერალი ითვითად და ყოველთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როცა მას ასეთი გაწყვეტება ესაჭიროება ხახვასმისათვის, მეტი სიცხადისა და თვალსაჩინოებისათვის, ტიპის, პერსონაჟის -ან მოელი სიტუაციის ხატვის დროს.

თავის „—აშვებული ლომების“ დასასრულს რომანისტი სამკაცურ ხმაროს ერთ აფორისტულ გამოთქმას და, გარდა ამისა, რომ ამით ხაზს უსვამს მარაბდის ტყის გმირთა მიერ როგორც ბრძოლაში გამოჩენილ სიმამაცეს, ისე ძმიმე დანაკლისის ვაკეკეცურად გადატანას, გვიჩვენებს გულში ჩაკლულ მათს დიდ ადამიანურ დარღსა და შინაგან წუხს. ამავე დროს ერთგვარ შუალედურ შესვენებასაც აკეთებს ძმიმე ამბავის გადმოცემის დროს.

დამთავრდა ბრძოლა. არსენას „აშვებულმა ლომებმა“ არლოვის სადამსჯელო ჯარი დაიფანრინეს. გაუგონარი იყო მათი თავგანწირვა ამ ბრძოლაში. ბევრმა მომხდურმა დასტოცა ძალები მარაბდის მიწაზე. ბატალიის გარდეროზულობის გადმოცემისას რომანისტმა განგება შეიყვანა თავი დახოცილი ტყის ლომების ჩვენებისაგან, რათა ფინალში ერთი ძმური საფლავის ქვეშ მოეთავსებინა ერთი მიზნით ანთებული და ერთად დახოცილი სახელოვანი თანამებრძოლები არსენასი.

დაკრილი არსენა დიდ ლოდზე ზის და თავის მებრძოლთა დიდების ისტორიას წარმოგვიდგენს. მას ეუბნებიან ქვეთარისა და ბაღოს დაღუპვის ამბავს. არსენა გულში ჩაღვრილი ცრემლებით დასტირის თავის საუკეთესო მეგობრებს. „დედაკაცს ცრემლი თვალებზე მოადის, ვაკაცს კი გულში ეოერება“, — ამბობს რომანის ავტორი და ამ სიტყვებით “ხსნის არსენას სულის მდგომარეობას. მაგრამ სიტუაცია სულ უფრო მძაფრდება: „ედიშერი სადღა?“— „მოჰკლეს“. „საბა დალაქი?“ — „მოჰკლეს“. „ნასყიდა?“ — „ისიც მოჰკლეს“. „ორბი? სანდრო? ბაჩვი? ტერა? ბაკლი? მგელი? ილო? — „მოჰკლეს... მოჰკლეს... მოჰკლეს“... — მოის, მის ყოველი მხრიდან.

და ისევ — „ვაკაცი მხოლოდ გულით სტირის, დედაკაცი კი თვალებით“.

და როცა ყველაფერი დამთავრებულა, დალუპულები საერთო საფლავში წვანან, ხოლო დაკრილები ფრთალეთის ქედზე გადაჰყავს ოროზმს, რომანისტი მამა-შვილის განშორებას ეძღვნ ერთ ლამაზს ანორიზმს: „დედაკაცის ცრემლი თვალებში ენინვე, ვაკაცისა კი გულში იქცევა და კლდესავით დუღაბდა“.

ეს ხატვის თავისებური მანერაა, რომლითაც გმირის სულიერი მდგომარეობა დანახულია სხვადასხვა მიდგომით: ა) შემოქმედის, როგორც მესამე პირით მეტყველის მიერ, ბ) თვით გმირთა დიალოგის და გ) ხალხური სიბრძნის გამოყენებით.

მიხეილ ჯაკობიშვილს მხატვრულ ენაში ის თავისებურებაც იგრძნობა, რომ ბევრი ფაქტი და მოვლენა მისი პირით გადმიცემისას ხშირად აღქმულია უშუალოდ პერსონაჟის სულიდან და ამ უშუალობის აორთაში ასლავს მწერლის მეტყველებასაც. რიცა დამსჯელი სალდათების ძალადობის შემახრეზენ სურათს ხატავს, მწერალი გვიჩვენებს თუ როგორ აჩანგებენ ისინი არსენასთან გასულ ლაშქრას, ნასყიდას და სხვათა კარმიდამოს. „ლაშქრას შვილებივით მოვლილი ვაზები დაუხოცავ ს“, — ამბობს იგი. „ეაზების დახოცვაც“ განგებ შექმნილი წარმოსახვითი ფორმაა, რომელშიაც ალეგორული ლოგიკურ კატეგორიად იქცევა: ამით გახსნილია სულიერი აღქმის მომენტი პერსონაჟისა, ნაჩვენებია თუ როგორ შეიმეცნებს ამ ფაქტს ლაშქრას მეოცე.

ლაკონიზმი ის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებაა „არსენა მარაბდელისა“, რომლის საშუალებითაც ფრაზას განსაკუთრებული კინეტიკურობა ეძლევა, ხოლო მოელი სურათი მოქმედი ძალის პოტენციური ნილვით ხასიათდება:

1. „—რასა მღეროდი-მეთქი, ღვთისაკარ?! — დაიქექა ზაალმა და მთელი ეზო აბუტრეგნა.

ყველამ იქით მიიხედა და იგძრნო, რომ ბაერი მეზით იტენებოდა.

ელიზბარმა მაღალ კოლიზე მოსხიპა სიმღერა და ჯოენიდან წამოვარდა, რადგან მისი საყვარელი სეირი იწყებოდა. სუმბათაშვილმა და ბელტონმაც შეწყვიტეს ბაასი და საჯარიბოსკენ წამოვიდნენ.

სევასტი ლაცაბიძეს ქაფერი დაეგდო და ეშვები ჩამოუშვა.

მღვდელი ბარნაველი შეკრთა და გამოფხიზლდა.

სახალის ერთი სარქმელი გაიღო და ორი მოაზლის თავი გამოჩნდა.

ჩორთით მიმავალი კარაბიბ ცალ ქუსლზე მოტრიალდა და ძალღივით ეიმრიზა, რომელსაც სახრე მოუდერეს.

გიგოლა უმალვე მაიორთან დაეჭრა, დუქი ჩამოუშვა და წარბლიანი თვალები ანახმახა.

ლეკი გამზათი მიწიდან ამოიკრა, ისიც მაიორს ამოუდგა და ოდნავ ამოსწია ხანჯალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავითიც დაიძრა და წამოვიდა“.

2. „ღვთისაგარის ცალი თვალი ერთი-ორად გადიდდა და გაიყინა.

ზეცა და ერეკლე უმალვე მოსხლტნენ და ჭიშკარში გაეცვივდნენ.

სეფასტი ლაცაბიძეს ჩამჩა ქვაში ჩაუვარდა.

კარაბიჩას წითური თავი სათონეს კარეში გამოძერა და გაიყინა.

გიგოლა ნაბიქვარმა ფეხი ვეღარ დასძრა, ძარღვებში ყინულის ერეოლა იგრძნო, ნიკაბზე დუქი ჩამოფშვა და წრიპლიანი თვალები მიმქრალი ჭრაქებივით აბმეუტა“.

3. „ლაცაბიძე „შავ ანგელოზს“ ჩრდილივით დასდევს.

.ფიქრია და სულხანი მთვარის შუქში დაბორიალებენ.

მთვარალი „ბუღბული“ კარაჩიჩ სადღაც „ფუბინუშკას“ ჰგმინავს.

როსტომი ვიღაცას ამშვიდებს.

დალი ჰასანი მთვარეს ბაიათს შეჰკვნესენს.

ოსტბანიე გამბარეგებული და „ოი ნე ხოდი“-ს ოხრავს.

სადღაც ბაღ-ს სიმღერაც ტირის.

ლაშქარა „თეთრო ბატას“ ღიღინებს და ისე დალასლასებს, თითქოს მართლა დაკარგულ ბატს ეძებსო“.

რომანის სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული ეს სამი სურათი, ძირითადად, ერთი მანერით შესრულებული პასაჟებია. მათი გარგნული ფორმა, პლასტიკური ნახაზი ერთნაირია.

ეს არის ლაკონურად, კონდენსირებულად შეკრული ხილვა ადამიანებისა და ქმნის საერთო დაძაბულობის თუ ერთი მთლიანი მოძრაობის მეტად რელიეფურ სურათს, სადაც ადამიანთა გარეგნული პორტრეტიც და წამიერი შინაგანი მდგომარეობაცაა დახატულ-გაჯარებული. მაგრამ მათს შინაგან დინამიკას თუ გარეგნულ ეფექტს მხატვარი ამ სურათებში ერთგვარ სხვადასხვა ნიუანსირებასაც აძლევს:

პირველ შემთხვევაში მას აინტერესებს შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს სასტიკი ფეოდალის მრისხანე შეძახილი და მოსალოდნელი „მეხის“ გაკვრნა. აქ შემოქმედმა ჯერ ზაალისა და ღვთისაგარისაკენ მოახდა ყ ვ ე ლ ა, ხოლო შემდეგ მოქმედების ენერგიის გასაღლიერებლად კონკრეტულად დაიჭირა თ ვ ი თ ე ულ ის მდგომარეობა და მათი ბრძოლა, რომელიც, პერსონაჟთა სულის შესაბამისად, სხვადასხვაგვარია: ელიზბარს სეირის ნახვა აინტერესებს, სევასტის ბოლმა აწუება, კარაბიჩა შეცბება, გიგოლა და გაჭახათი თავიანთ ბატონებთან განსხვავდნენ და ა. შ.;

მეორე სურათში ძირითადია უკვე კარა დინამიკურობა, არამედ სტატიკურობა, რადგან მოელოდნელობით გამოწვეული გაოცების ელემენტი აქ უფრო ძლიერია (ღვთისაგარს თვალი გაუფართოვდება და მზერა გაეყინება; სევასტის ჩამჩა ქვაში ჩაუვარდება; კარაბიჩას თავიც სათონეს კარეში გაშეშდება; გიგოლა ფეხს ვეღარ იცვლის და ა. შ.);

მესამე სურათში პერსონაჟთა ლაკონური ხატვა უშუალო ინტიმური გამოელინების ხერხს ეყრდნობა. დაძაბულობას აქ სცენის შინაგანი ლირიკული განწყობილებანი; ისინი ჰქმნიან საერთო ტენდენციას, რომელიც ასე ფერადოვნად არის წარმოდგენილი. სიღებავეები აქ დიდი ზომიერებითაა გამოყენებული.

ლაკონიზმი „არსენა მარაბდელში“ ხშირად ეყრდნობა დინამიკურობის ძლიერ ელემენტს. ამის მაგალითია ზურას შურისძიების სცენა:

„კარებიდან ვიღაცამ ისროა, ტახტზე მიყუდებული თოფი აიტაცა და იმავე წამს სანთელიც ჩაქრა. ჩაქრა, მაგრამ ოთახი ერთი წამით ხელახლა განათდა: ცეცხლის ელვამ სიბნელე გაარღვია და თოფის ქუხილმა სახლი შეაზანზარა. სანთლისა და ელვის მაგიერ მთვარის შუქი შემოჭრა და ამ შუქზე ხიბრი ალაპლაპდა. ოთახში ვიღაც ღანდი ეფეხვივთ დახტოდა და სწრაფი ხელით სთესავდა სიკვდილს. გმინვა, ხრიალი, მოკლე შეძახილი და ჩახუნრა ისმოდა. შემდეგ ის ღანდი ისევ სწრაფად გავარდა, როგორც შემოჭრა, ხოლო ოთახში სასხლის გუბე, შებილწული ქვრივი და სამი გვამი დასტოდა“.

ასე ლაპიდარულია ლაკონური დინამიზმით მოხატული ეს სცენები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს მრავალფეროვნიც და მასობრივიც არის, ხმოვანიც და საგნობრივიც, დინამიკურიც და სტატიკურიც, დრამატიზმით გაჟღენთილიც და ლირიზმით ამეტყველებულიც. ამ შეხამების შედეგია პერსონაჟთა ტიპიზაციის სიმკვეთრე, რასაც მხატვარი აღწევს აღნიშნულ სცენებში.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯიბუჯი

წრფელი და მართალი სტრიქონები

ახალგაზრდა პოეტი მორის ფოცხიშვილი დიდი ხანი არ არის, რაც სამწერლო სარბიელზე გამოვიდა, მაგრამ უკვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ეს ყურადღება მან პატრიოტული შეგნებითა და ხალხურობის სულისკვეთებით დაწერილი ლექსებით დაიმსახურა.

მორის ფოცხიშვილის ლექსები არ გამოირჩევიან რთული მეტაფორებითა და მოულოდნელი ეპითეტებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი ნაწარმოებები მოკლებულია შინაგან პოეტურ სიმდიდრეს. მის ქმნილებებში ჩქეფს ხალისი, მართალი და ღრმა ადამიანური გრძნობა.

მორის ფოცხიშვილის მცირე ფორმის ნაწარმოებები გამოხატავს ადამიანის სულიერი ცხოვრების ერთ მომენტს, ცალკეულ განცდას, განწყობილებასა და შთაბეჭდილებას. ერთი სიტყვით, მისი პოეზია უპირატესად სუბიექტური. ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით, რადგან მასში გამოსახული სატრფიალო თუ სხვა განცდა ეხმაურება ყოველი ჩვენგანის სულსა და გულს. მის ლექსებში ჩვენ ვხედავთ საკუთარ თავსა და ვგრძნობთ ჩვენს სულიერ ნათესაობას პოეტის შინაგან სამყაროსთან. ამით ჩვენ იმის თქმა გვნდა, რომ მის პატრიოტულ, პეიზაჟურ და სატრფიალო ლირიკაში გამოხატული განცდა თუ შთაბეჭდილება ერთიდაიმავე დროს არის კონკრეტულ-ინდივიდუალური და ზოგადიც, საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობის.

როცა ამა თუ იმ პოეტზე ვამბობთ, მის ლექსებში არ ეგრძნობა ნაძალადევი აღტაცება. ვალში პათოსი და მაღალფარდოვნება, ამით ჩვენ მისი პოეზიის ღირსებას კი არ აღვნიშნავთ, არამედ მხატვრული ნაწარმოების აუცილებელ პირობაზე მიეთითებთ, რაც მტკიცედ არის დაცული მორის ფოცხიშვილის შემოქმედებაში. ამის საილუსტრაციოდ დავასახელოთ „შიო მღვიმის ღიღილები“, სადაც დიდი პატრიოტული გრძნობა და ჩვენი ხალხის მაღალი ზნეობრივი თვისებები ასე ნათლათაა გამოხატული: აქ პოეტი უმღერის დღევანდელ დღეს, რომელიც უშრეტი სიხარულითაა აღსავსე:

ერთი გაზედე
რა დარებია,
რა სასიამოდ ფშვნინავს მამული!
აქ ყველაფერი გადამდებია,
ვით მოწყენა და ვით სიხარული.

ლექსის ყოველ სტროფს ახლავს რეფრენი:

აქ ხომ ღიღილო არ იყიდება,
ნურც გაყიდულა ჩვენი ღიღილო!

საერთოდ, რეფრენი დამახასიათებელია მ. ფოცხიშვილის ლექსებისათვის, არა როგორც უბრალო გამეორება, არამედ როგორც მკითხველზე ესთეტიკური და შემეცნებითი ზეგავლენის მომხდენი საშუალება.

მორის ფოცხიშვილის პატრიოტული ლირიკის ამოსავალი წერტილია სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარული, რაც აუცილებლად გულისხმობს საქმეს, მოქმედებას, ღვაწლს აწმყოსა და მომავლის საკეთილდღეოდ. ეს ყველაფერი პოეტის წარმოდგენაში არის ცხოვრება, რომლის რიტმს არ უნდა ჩამორჩეს ადამიანი; თორემ იგი დანაშაულს ჩაიდენს არა მარტო დღევანდელი დღის წინაშე, არამედ მომავლის მიმართაც:

გზა მიდის და არსად თავდება...
გზა კიდევ გზას ეძებს, გზას ერთვის,
თუ დადექ — მომავალს რას ეტყვი?
თუ დასთმე—შენს შვილებს რას ეტყვი?
(„გზა მიდის და არსად თავდება“)

მორის ფოცხიშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში სვამს კითხვას: მთები, ბაერრეგ ამაღლდით როგორ, გზებო, სადა გაქვთ ბოლო ან კიდე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილო, რადა ხარ ცივი და ბრმა? მაგრამ მისი შეკითხვა უპასუხოდ რჩება. ბუნება ხმას არ იღებს, ვერ პასუხობს მას. ამ გარემოებამ პოეტს ერთხელ კიდევ აგრძნობინა სიცოცხლის სიდიადე:

მხოლოდ
სიცოცხლე ასე რომ ხმაურობს,
და ეპასუხება ხალხს.
(„ერთადერთი მოპასუხე")

დიდი პოეტში გულის რწმენა. ამ სათაურით მან ლექსიც კი დაწერა („რწმენა გულისა"), სადაც უკვდავებს, ჩაექრობელი შემოქმედებითი ცხოვრებისა და მეგობრობის რწმენა ამარცხებს ფიქრს მარტოობაზე და სიკვდილზე.

მორის ფოცხიშვილი ჩვენი სისხლსავსე ცხოვრების შვილია. მისთვის უცხოა ბესლიმიზმი, ავადმყოფური სევდა და მელანქოლური ტონი. მისი შემოქმედება სავსეა ოპტიმიზმით, ერთი სიტყვით, მის ლექსებში სიცოცხლე და სიყვარული ზეიმობს, მაგრამ მას აქვს სევდანარევი ლექსებიც. ეს სევდა ზომიერი და უაღრესად ადამიანური.

ლექსში „ღიად დატოვილი კარები" გადმოცემულია ღრმა და გულში ჩამწვდომი ფიქრები ომში დაღუპულ ქმაზე, შინმოუსვლელ მეგობრებზე, სახლეკაცებზე. მასში პოეტმა ჩაქაოვილი დიდი ტკივილები, რომელიც ომმა მოუტანა ჩვენს ხალხს, ცალკეულ ოჯახებსა და პიროვნებ. მაგრამ ამ ტკივილებს ანელებს დიდი სიცოცხლე, რომელიც საბჭოთა დამიანებმა ბარბაროსების სისხლით ხელებიდან დაიხსნეს.

პოეტი იგონებს რა განვლილ დღეებს, ომის მტკივნეულ შედეგებს, ამით ია მოგვიწოდებს მუდამ შემართული ვიდგეთ მშვიდობის სადარაჯოზე. მშვიდობის იდეა ამ ლექსის პათოსი და მისი ძირითადი მოტივი.

ისე როგორც ნამდვილი სიყვარული, ასევე ნამდვილი ცხოვრება არ არსებობს ტკივილების გარეშე. პოეტი უკიდურესად ერთგული ცხოვრებისა. იგი არც ანაწყენებს და არც ცალმხრივად ღებულობს მას. იგი თანაბარი ძალით განიცდის ტკივილსა და სიხარულს. („დიდი ტკივილები", „ოღონდ" და სხვ.)

მორის ფოცხიშვილის ლექსი „ძიება მარადჟამული" ჩვენ მისი შემოქმედებითი კონცეფციის სათავედ მიგვაჩნია. ამ ლექსში იგი თავის მახლობელ ადამიანებს ეუბნება: მოუხდავად ამისა, რომ ჩვენ ასე ახლოს ვმყოფებით ერთმანეთთან, მაინც ერთმანეთს ვეძებთ, ვეძებთ ქუჩაში, სახლში, ჰაერში, სიზმარში, ცხადში, ზღაპარში, მზეზე, მთვარეზე, მთებზე. ეს ჰიპერბოლაა, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს ნაწარმოების ძირითადი ... წარმოსახვის ემოციური მომენტი.

პოეტის წარმოდგენაში ძიება მოქმედებაა, რომლის გარეშე ყველაფერი იყინება, პირველყოფილ მდგომარეობაში რჩება; დაუცხრომელი ძიება

უფრო დიადის, დიდის —
ამიტომ, არენ არ არის ქვეყნად
მდორე, მოფრინული, შშვიდი...

ამრიგად, პოეტის შემოქმედებაში ჰიპერბოლა არ სცილდება ზომელენებისა და საგნების გამოსახვის რეალისტურ სფეროს.

სიახლის გრძნობა, ახლისა და პროგრესის რწმენა მორის ფოცხიშვილის პოეზიის ქვაკუთხედია. პოეტს ღრმად წამს და სჯერა, რომ დიდი ცხოვრებათა და იდეებით შთაგონებული, მდიდარი ფანტაზიით შექმნილი ნაწარმოები არასოდეს მოკვდება. მომავალი ყოველთვის მოიელის თავის დიდ წარსულს:

ასეთი რწმენა მაცოცხლებს მე და
ურწმენო ჩემში წვეთიც არ არის.
(„ასი წლისა და ათასის მერე")

ეს არის რწმენა ჩვენი ცხოვრების სიდიადისა, რომელიც მუდამ დიდების შუქით იქნება შემოსილი. აღსანიშნავია, რომ მ. ფოცხიშვილის ლექსებში ძირითადი იდეა თითქმის ყოველთვის გამოთქმულია ბოლო სტროფში. აციოდ მაგალითად „წერილი და სიხარული", რომლის პირველ ტაეპში გამოხატულია სატრფოსაგან მიღებული წერილებით გამოწვეულ სიხარული და აღტაცება. მაგრამ ეს აღტაცება და სიხარული პოეტში აღძრავს კითხვას:

მარტო ჩვენი სიხარული
განა ქმარა ქვეყნად?!

სიცოცხლის წყურვილით, გრძნობის სიჭარბითა და დიდი სურვილებით გამოირჩევა ლექსი „რაღაც ამბავია... კარგი ამბავი", პოეტს კარგი ამბის მომასწავებლად მიაჩნია, როცა ცად ზვიდი ფერი ზზინავს, როცა დედა ინინებს მშვიდად, როცა ირგვლივ მტრედები ფარფატებენ და ცოლი პატარა ფაიზრებს კერავს.

თემისადმი ორიგინალური დამოკიდებულებით გამოირჩევა ლექსი „ქრიზანტემები და შენი ღიმილი", რომელიც ყვავილების სურნელებით და შეყვარებული ქალაღის სუნთქვით არის გაჟღენთილი. ამ ლექსშიც პოეტის ჩანაფიქრი ბოლო ოთხ სტროფონში ცხადდება:

და ჩვენ, რომლებიც ღიმილით ეცოცხლობთ,
ერთმანეთიც რომ ვგიყვარს ძალიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომღაც ხშირად ამ ღიმილისთვის,
ამ ყვავილისთვის არა გეცალია...
ლექსი „სულის ყვავილიც“ გამოირჩევა სი-

სადავითა და ბუნებრიობით. ამ ლექსში ავტორს ადამიანის უძვირფასეს თვისებად გულახდილობა და პირდაპირობა მიაჩნია.

„საათის სიკვდილი“ მ. ფოცხიშვილის ერთადერთი ლექსია, სადაც იგი ცდილობს სიმბოლოთი მიაღწიოს პოეტურ სახეებს:

ძველმა საათმა შესწყვიტა სუნთქვა,
დროის მნუსხველი დრომ დაიბერა,
. . . . . .
წამები მისნი გულახელმით
ქამთასვლის ჩქერებს აღარ ერთვიან,
შავი ისრები, როგორც ხელები
მკერდზე სიშვიდით დაუკრეფია.

ამ. ლექსის მიხედვით ყველაფერი დროისთან ურთიერთობაში იმყოფება, დროს ემორჩილება.

მ. ფოცხიშვილი რამდენიმე ბალადის ავტორია, მათ შორის ყველაზე საყურადღებოა „გიშერა ძროხის ბალადა“. აქ პოეტი იგონებს თავის ბავშვობის წლებს, სოფელში გატარებულ დღეებს. პოეტი დავაკაცდა, მაგრამ ერთი ამბავი სამედამოდ დაამახსოვრდა მას და სადაც არ უნდა წავიდეს წინ მიუძღვის როგორც ნათელი იმედი. აქ მოთხრობილი ამბავი სრულიად მარტივია, მაგრამ იგი მწერალმა შესანიშნავად გამოიყენა პატრიოტული ნაწარმოების შესაქმნელად. ბავშვს მიჩვეული გიშერა გაუყიდეს, უცხო კაცებმა იგი გზაზე გააგდეს და ვერც კი წარმოიდგინეს თუ რა ხდებოდა ამის გამო მომავალი პოეტის სულში.

მთელი საღამო ვბორგავდი,
ვერ დამაწყნარეს ვერაფრით,
„მო-მეთქი“, თურმე სიზმარშიც
გიშერა ძროხას ვეძახდი.

ხალხისაგან ვიწოდი, იგონებს პოეტი, — ბებიას ანგელოზები მოუხმია და სანთლებიანად აუნთია. მაგრამ ვერაფერი ვერ უშველიდა მას, განთიადზე გიშერას ბღავილი რომ არ შემოსმოდა. ლამაზი ბიჭოლა გამოქცეული უცხოებს, შინ მოსულა და იქვე ბალახს წოწკნიდა დაღლილი.

თურმე:

ადგილის დედის დათმობა
არა ყოფილა ადვილი!
და მიკვირს,
ჩემო სამშობლოვ,
მიკვირს და ვფიქრობ ყოველდღე,
ოდესღაც შენი გაზრდილნი
როგორ გომობდნენ და გტოვებდნენ...
. . . . . .

როდესაც
მტკაველა მიწის დათმობაც
არ შესძლებია ცხოველსაც?!

არის ისეთი ლექსები, რომლებიც თავის თავად მეტყველებენ თავის თავზე და ყოველგვარ ხოტბაზე მაღლა დგანან. ასეთია ეს ბალადა.

მორის ფოცხიშვილს აქვს ერთი ლექსი „ცეცხლი, ღამე და უკვდავება“, სადაც ეკითხულობთ:

როცა ჩვენს გულშიც ცეცხლი ანთია...
სიკვდილი რაა, მხოლოდ ღანდია,
ასკვერ მოვა და ასკვერ დაფრთხება,
ყველგან, სადაც კი ცეცხლი ანთია!

სიცოცხლის ეს მარად ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელიც ასე ათბობს პოეტის სულს, ვიმედოვნებთ გაანათოებს მისი პოეზიის ჩარჩოებს და ყოველ დიდ მოვლენასა და ძლიერ გრძნობაზე მრავალ ხალისიან სიმოკრას ათქმევინებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ კაბდებაკი

ეფრემ მცირე — ქართული დეკლამაციის თეორეტიკოსი

ადამიანთა ურთიერთობის უმთავრესი საშუალება — სიტყვა და სიტყვების განსაზღვრული შეთანხმების პროცესი — მეტყველება, როგორც ახრის გადმოცემის ფსიქიკური მოვლენა, შეიძლება გამოითქვას ორი ძირითადი სახით: ზეპირად და წერილობით. ორივე სახე უზრუნველყოფს ადამიანთა სულიერ კავშირს, ერთიმეორისაგან გასხვავებული ფორმებით, მაგრამ ერთნაირი შინაარსით ამყარებენ ინტელექტუალურ ურთიერთობას. ამ ურთიერთობის ფორმა ერთ შემთხვევაში ზეპირია, ხოლო მეორეში — წერილობითი. შინაარსის ერთი ამთვისებელი მსმენელია, ხოლო მეორე — მკითხველი. ისინი სიტყვით გამოთქმული ახრის ამთვისებლები არიან ერთ პრინციპული ნიშნის — გგების საფუძველზე, ოღონდ გამოხატვის ორი ფორმის — ნათქვამის და ნაწერის მეშვეობით.

ჩვენთვის ამ საყურადღებოა სსენებული პრინციპული ნიშანი — გგება და მისგან გამომდინარე ბუნებიერი შედეგი — გგებინება, როგორც დეკლამაციის განმსაზღვრელი მხარეები.

დეკლამაცია მხატვრული ანუ გამომეტყველებითი კითხვის ერთ-ერთი სახეობაა. ის თავისი ფორმით შინაარსის სრული გამომხატველი, სათქმელის შინაარსისა და თქმის ფორმის შესაბამისი შეთავსების ხელოვნებაა.

ეს ხელოვნება მრავალ დამხმარე ფაქტორს საჭიროებს. ისინი გამოყენების დროის მიხედვით შეიძლება გავყოთ ორ ჯგუფად, რომელთაგან ერთი ჯგუფის ფაქტორები დეკლამაციის პროცესამდე გვეხმარება — ხელს გვიწყობს მხატვრული კითხვის მომზადებაში, ხოლო მეორე ჯგუფის ფაქტორები დეკლამაციის პროცესში გვეხმარება — ხელს გვიწყობს მხატვრული კითხვის დროს.

პირველი ჯგუფის ფაქტორებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სანოტაციო პირობითი ნიშნები. მათი მნიშვნელობის უკეთ გასაგებად საჭიროა გავიხსენოთ ზეპირი და წერითი მეტყველების ზემოაღნიშნული საერთო პრინციპული მხარე — გგება, რასაც მისი გამოყენის სხვადასხვაობის გამო განსხვავებული ფაქტორები უზრუნველყოფენ მეტყველების ფორმებში. წერითი მეტყველების ასეთი ფაქტორი პუნქტუაციაა, ხოლო ზეპირი მეტყველებისა — ინტონაცია. მათი ფუნქციები ანალოგიურია — ისინი ახრის მკაფიოდ გადმოცემასა და შინაარსის ნათლად გაგებას ემსახურებიან. რასაც წერით მეტყველებაში აკეთებს პუნქტუაცია, იმას ზეპირ მეტყველებაში ასრულებს ინტონაცია. პირველი ამას ახერხებს სსენები ნიშნებით ინტერვალებში, ხოლო მეორე — ინტონაციით პაუზებში.

წერით მეტყველებაში სსენები ნიშნებისა და ზეპირ მეტყველებაში ინტონაციის ერთნაირი დანიშნულება მათი ერთობლივი განეთარების მიზეზია და ერთმანეთთან კავშირში განხილვის საფუძველს გვაძლევს. ამასთან, ავრეთვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ნაწერის სსენე ნშანს ნათქვამის ინტონაცია ადგილით ყოველთვის არ ემთხვევა და შინაარსით ხშირად არ გამოხატავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწერში შეიძლება იყოს სსენენი ნიშნები, ხოლო ზეპირში საჭირო არ იყოს პაუზა, ან პირიქით, ნაწერში შეიძლება არ იყოს სსენენი ნიშანი, მაგრამ ზეპირში საჭირო იყოს პაუზა; ანდა, ნაწერში შეიძლება იყოს ერთი რომელიმე სსენენი ნიშანი, ხოლო ზეპირში საჭირო იყოს სხვა რომელიმე სსენენი ნიშნის ინტონაცია.

მაგალითად: სალექსო სტრიქონის ბოლოში სსენენი ნიშანი შეიძლება იყოს და შეიძლება არა, მაგრამ ლექსის ზეპირად წარმოთქმის დროს პაუზა ყოველთვის საჭიროა მასალის რიტმული წყობის გადმოსაცემად. ან: კითხვით-

სიტყვიან კითხვით წინადადებას ბოლოში ეწერება კითხვის ნიშანი, მაგრამ მისი ზებირი რეპროდუქცია საჭიროებს წერტილის ინტონაციას. ან კიდევ: სიტყვათა უჩვეულო წყობა წერით მეტყველებაში ხშირად არ თხოულობს არავითარ სასვენ ნიშნებს, მაგრამ მისი ზებირი გადმოცემა თითქმის ყოველთვის საჭიროებს სავანგებო პაუზებს.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ სასვენი ნიშნებისა და მათი გამომხატველი ინტონაციების ისტორიული განვითარების გზა განსეული არ ყოფილა. ამით აიხსნება ის, რომ წაწერში სასვენი ნიშნების გვერდით განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე თავს იჩენს სპეციალური საინტონაციო ნიშნები. ისინი, ცხადია, არსებითად სადეკლამაციო ინტონაციის ანუ სამეტყველო პარტიტურის პირობითი ნიშნებია, რომლებიც სასვენ ნიშნებთან ერთად ხელს უწყობენ შინაარსის უკეთ გადმოცემას, მაგრამ უმთავრესად გამოძახეულებით კითხვას ემსახურებიან და მასალის მხატვრულ რეპროდუქციას ისახავენ მიზნად. სასვენი და სადეკლამაციო ნიშნების ასეთი ფუნქციონალური დაკონკრეტება შეიძლებოდა მხოლოდ მეტყველების განვითარების მაღალ დონეზე მომხდარიყო. როგორც ჩანს, ასეთ დონეს ქართულმა მეტყველებამ მიაღწია მე-11 საუკუნეზე. ამის საბუთს წარმოადგენს ხსენებული საუკუნის ბოლოში გამოწენილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის ეფრემ მცირის მიერ შემუშავებული სადეკლამაციო ნიტაცია. (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 254).

მრავალრიცხოვანი ქართული ხელნაწერები, დაწყებული მე-5 საუკუნის პალიმფსესტებიდან დამთავრებული მე-18 საუკუნის ფოლიანტებით, ნათლად მოწოდებენ ჩვენი სასვენი და სადეკლამაციო ნიშნების ისტორიული განვითარების გზას. ამ გზაზე წინსვლის სამი ეტაპეული საფეხური გამოიჩრეკა: 1. უძველესი, როცა განკვეთილობის ნიშნები შემოუღიათ. 2. ძველი, როცა სასვენი ნიშნები დაუდგენიათ. და 3. ახალი, როცა სადეკლამაციო ნიშნებიც შეუმოქმედებიათ. მე-12 საუკუნის დამდეგისათვის ეს საფეხურები უკვე გავლილია — მათი ისტორიული განვითარება არსებითად დამთავრებულია. შემდეგ ხდება ამ წარმატების განმტკიცება და ახალი მონაპოვრით გამდიდრება. ეს პროცესი შეინიშნება მე-12-18 საუკუნეების მანძილზე. დასასრულ, მე-19 საუკუნეში, ერთი მხრით, ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების შედეგად და, მეორე მხრით, რუსულ-ევროპული პუნქტუაციის ზეგავლენით სავსებით გაფორმებული სახე მიიღო და სავალებულო სისტემის ძალით დამკვიდრდა ჩვენი თანამედროვე პუნქტუაციაც (ალ. ბ ო ლ ქ ვ ა ძ ე, ქართული მართლწერა, ქუთ., 1916).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართული სასვენი და სადეკლამაციო პირობითი ნიშნების თავდაპირველი განვითარების გზა, რომელიც სამი ძირითადი საფეხურისაგან შედგება, მე-11 საუკუნის დასასრულისათვის მთლიანად გაკვლილია. ეს დასტურდება უძველესი და ძველი ქართული ხელნაწერებით, რომელთაგან განკვეთილობის ნიშნების საფეხურს ვეკრეფენენ პალიმფსესტები, სასვენი ნიშნების საფეხურს — გიორგი მთაწმიდელის ხელნაწერები, ხოლო სადეკლამაციო ნიშნების საფეხურს — ეფრემ მცირის თხზულებანი.

უძველესი ეპიგრაფიული ძეგლები და ხელნაწერები გვიჩვენებენ, რომ თავდაპირველ დამწერლობაში არ ახმარებდა არავითარი სასვენი ნიშანი. დამწერლობის შემოღების პირველ პერიოდებში უცნობია არა მარტო ფრაზების გამოყოფა, არამედ სიტყვების დაშორების წესიც — ფრაზებს არ ყოფდნენ სასვენი ნიშნებით და სიტყვებს არ აშორებენ ინტერვალებით. ეს საერთო მოვლენა აკად. ივ. ჯავახიშვილს ასე აქვს აღწერილი: „თავდაპირველად ადამიანს ჯერ იმდენად განეთავრებული და დახელოვნებული არ იყო, რომ წერისა და წარწერის ამოჭრის დროს სიტყვებისა და წინადადებათა დაყოფაზე ეფიქრა. მაშინ ის მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ ასოები სწორად გამოეყვანა. ამიტომ ყველგან და ყველანაზე უძველესი წარწერები ისეა შედგენილი, რომ ასო ასოს მისდევს და არც სიტყვები და არც მით უმეტეს წინადადებები ერთი მეორისაგან დაშორებულიც კი არ არიან“ (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, ტფ., 1926, გვ. 140—141).

ამიტომ, ზებირი მეტყველების წარმოქმნის უძრაფდეს დაუნწყვეტელელი ხმის ანალოგიურად, წერითი მეტყველება პირობითი ნიშნებით დაფაფიული ჩანს მისი წარმოშობის პირველ ხანებში. მხოლოდ შემდეგ, დამწერლობის დამკვიდრებისა და განვითარების შედეგებით მაღალ საფეხურზე მიხვდა ადამიანი, რომ აზრის ნათლად გადმოსაცემად და უკეთ გასაგებად საჭიროა ნაწერში არა მარტო სიტყვების დაშორება, არამედ წინადადებების განკალკეკებაც. ჯერ, ცხადია, სიტყვების დაშორების საჭიროებას ითანხავდნენ, შემდეგ — ფრაზების განკალკეკების აუცილებლობას. ამ გზით უნდა წარმოქმნილიყო პირველ საფეხურზე განკვეთილობის ნიშნები სიტყვების დაშორებისათვის, ხოლო მეორე საფეხურზე — სასვენი ნიშნები ფრაზების განკალკეკებისათ-

ვის. ამ საფეხურებს შორის, რა თქმა უნდა, დიდი მახვილი უნდა გიგულისხმოთ.

პირველ საფეხურზე გაიკვეთოლების უმთავრეს ნიშანს ინტერვალი წარმოადგენდა. ის კეთდებოდა სიტყვასა და სიტყვას შორის, ამბავურ ნაწილებთან, ეპიზოდებსა და რთულ სიტყვების შუაში. ინტერვალი ხელს უწყობდა ახლის შედარებით ნათლად გადმოცემასა და რამდენადაც სწორად გაგებას. აქორგან, ის ერთგვარი ასევენი ნიშნისა, რომელიც პირველად მოიპოვა ადამიანმა. ამ მოსაზრებას ამტკიცებს ის, რომ ინტერვალის ადსანიშნავად ადრიდანვე შემოღებული იქნა საგანგებო ნიშნები, რომელთა მრავალფეროვანი ვარიაციებით მიღებული იქნა შემდეგ სხვა უფრო არსებითი ხასიათის პირობითი ნიშნები. ასე წარმოიშვა მომდევნო საფეხურზე სასვენი ნიშნების სეკციალური სისტემა.

ინტერვალის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნების ძირითადი შემადგენელი არის წერტილი. ძველ ქართულში წერტილი ნაჩხვლეტს აღნიშნავდა (ს ა ბ ა, ლექსიკონი, ტფ., 1928, გვ. 435). ამ შემთხვევაში იგულისხმება კალმით ნაჩხვლეტი. ის ადრე მოპოვებული თავდაპირველი პირობითი ნიშანია, რომლისაგან წარმოიქმნა შემდეგ ყველა დანარჩენი სასვენი ნიშანი, რომლებიც არსებითად წერტილის სახეობებს წარმოადგენენ.

ქართულ დამწერლობაში ინტერვალის აღმნიშვნელი, ე. ი. გაწყვეთილების პირობითი ნიშნებია: ორწერტილი (:), სამწერტილი (:.ან.:) და ოთხწერტილი (: :). ამ ნიშნების ხმარების კვალს ვხედავთ უძველეს ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებსა და ხანმეტ პალიმფსესტებში. ეს უკანასკნელნი სახარების ტექსტებს შეიცავენ და თავიანთი წარმოშობით მე-6 საუკუნეს განეკუთვნებიან.

აქრიგად, მე-6 საუკუნის დასასრულისთვის ჩვენში დამთავრებული უნდა ყოფილიყო განკვეთილების პირობითი ნიშნების განვითარება და, საფიქრელია, მზად იყო ნიადაგი სასვენი ნიშნების შემოსაღებად. მაგრამ ეს პროცესი, ჩანს, არაბთა შემოსვევამ შეუჩერებია და ის მხოლოდ მე-9 საუკუნეში განახლებულა. ამის მაჩვენებელია ის, რომ მე-10 საუკუნეში ოთანეზოსიმე უკვე ფლობს განკვეთილებისა და სასვენი ნიშნების საკმარისად რთულ სისტემას, ხოლო მე-11 საუკუნეში ვეორგი თოაშვილი არსებობდა ამთავრებს სასვენი ნიშნების განვითარების პროცესს და ნიადაგს ამზადებს სადეკლამაციო ნიშნების შემოსაღებად.

ამ საქმეს აგვრიგვინებს მე-11 საუკუნის დასასრულის გამოჩენილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ეფრემ მცირე.

კლასიკური ფილოლოგიის ეს დიდი წარმომადგენელი აქ, ისევე როგორც სხვგგან, სავსებით ეყრდნობა ძველ მონაპოვარს, **რასაც** ახლებურ დანიშნულებას უძენის და ანვითარებს. ასეთი დანიშნულების განმსაზღვრელი ეფრემის დროისთვის გამოძეტეველებითი კითხვის საჭიროება უნდა ყოფილიყო, რაც იმ ეპოქაში, უნდა ვიფიქროთ, პიმნოგრაფიისა და მუსეკომეტეველების განვითარებამ გამოიწვია. ერთიცა და მეორეც საჯარო ცოცხალი სიტყვის წარმატებას ნიშნავდა და ადამიანთა ზეპირი ურთიერთობის განმტკიცებას მოასწავებდა. ასეთი ურთიერთობის ხელოვნებას ჩვენი სიტყვის ოსტატები, ცხადია, არც მანამდე იყვნენ მოკლებულნი, მაგრამ მძლავრი კულტურული აღმავლობის სათავეში, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ინიონ თავი მხატვრული კითხვის **საჭიროებამ.**

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ძველად დამწერლობის მეცოდნეთა სიმცირე და წიგნების ნაკლებობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა **საჯარო კითხვა, რასაც** ჩვეულებრივად მსმენელთა ფართო წრეში მიმართავდნენ და ემოციური ზეგავლენის მიზნით იყენებდნენ. ამით აიხსნება, **რომ** ჩვენი ძველი წიგნების პროლოგები, ეპილოგები, შესაველის ეპიზოდები, ლირიკული ფიალსელები, ანდერძები, მინაწერები და ხშირად მთელი თხრობანი, **როგორც** წესი, არა მეთხეველს მიემართებოდა, არამედ მსმენელს. ასეთი ვითარებაში მსმენელის პირისპირ უნდა ვიგულისხმოთ მეთხეველი, რომელიც წარმოთქმის ჯნით ამყარებს იმ ურთიერთობას, რაც შემოქმედსა და მისი შემოქმედების ამთვისებელს შორის ივარაუდება.

ყოველივე ამით არის შეპირობებული ჩვენი მხატვრული კითხვის თეორიული და მასთან ერთად, უნდა ვიფიქროთ, **პრაქტიკული** წარმატებაც, რაც მე-12 საუკუნის დამდეგისთვის შეინიშნება. რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს წარმატება არ ყოფილა შემთხვევითი და მოულოდნელი. ამის დასაბუთებლად, გარდა აღნიშნულისა, **საჭიროა** გავიხსენოთ მეტრული პუნქტუაცია, რაც სრული უცილობლობით გამოელინდა მე-10-11 საუკუნეების პიმნოგრაფიულ ძეგლებში, რომლებსაც ერთგვარი სამეტყველო **პარტიტურების** სახით მოეღწევია ჩვენამდე. მეტრული პუნქტუაციის მიკვლევისა და შესწავლის პატივი ჩვენს მეცნიერებაში ეკუთვნის **მკლეკვარ** პ. ინგოროყვას. მისი ცნობილი წიგნი „ვეორგი მერჩული" საგანგებო ცნობებს შეიცავს იმ პირობითი ნიშნის შესახებ, რომლითაც ძველად რიტმულ ერთეულს გამოყოფდნენ. ასეთი ნიშნის წერტილი წარმოადგენდა. **მკლეკვარი** ამბობს: „ლექსის გაბმით დაწერილ ტექსტებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში — მეტრული პუნქტუაციით, წერტილებით, — გამოიყოფოდა ერთმანეთისგან ყოველი ტაეპი“ (3. ინ ტ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 591). ამის მაგალითად ავტორი იშველიებს მე-10 საუკუნის ქართველი პოეტის იოანე მინჩხის ციმბიციას, რომლის ტექსტი ხელნაწერში ასეა წარმოდგენილი: „განუკუეთელი. განიკუეთა ქუეყანაჲ. და დაფლა ამელი რომელ მოიკლა. ძმისა ჴელითა. შეიწყევა ქუეყანაჲ. ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი. იკურთხა მის წილ. აწ და უკუნისამდე“. (იქვე, გვ. 592).

ეს წერტილები არსებითად სადეკლამაციო პირობითი ნიშნებია, რადგან მათი მეშვეობით აქ განსაზღვრული რიტმული ერთეულებია გამოყოფილი, ხოლო გამომქმედებლებთი კითხვის ერთი დამახასიათებელი ნიშანი სწორედ ასეთი ერთეულების გამოყოფით კითხვაა. მაგრამ აქ არ ჩანს მხატვრული კითხვის სხვა მაჩვენებლები, რაც ამას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სმეტყველო პარტიტურის ჩანასახთან, უკეთ, სადეკლამაციო ნოტაციის ერთ პირობით ნიშნთან. ეს ნიშანი, როგორც ითქვა, ეს წერტილია. ეს წერტილი არა სასვენი, არამედ სადეკლამაციო ნიშანია. შესაძლოა, ის ზოგიერთ ადგილს სასვენი ნიშნის ფუნქციასაც ასრულებდეს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ეს ჯარის გამომხატველი შესატყვისია და რიტმული ერთეულის დასასრული ერომანეთს ემთხვევიან.

ამ სახით გამოიყურება ჩვენი სადეკლამაციო ნოტაციის ჩანასახი და მისი მეშვეობით შედგენილი ადრინდელი სმეტყველო პარტიტურა ეს გიორგეა ასახული მე-10 საუკუნის ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში. ჩანს, აქედან იწყება როგორც სასვენი, ისე სადეკლამაციო პირობითი ნიშნების განვითარების მძლავრი აღმავლობა, რაც ჯერ გიორგი მთაწმიდელთან შეინიშნება და შემდეგ ეფრემ მცირესთან.

ჩვენი ყურადღების საგანს ეფრემ მცირის ჰონაპოვარი წარმოადგენს. აქ თავმოყრილი, შეჯამებული და სისტემის სახითაა მოცემული ის, რაც ბანამდე გაკეთებული ჩვენი პუნქტუაციისა და ინტონაციის მოწესრიგების საქმეში. ეს ჩანს იმ თეორიული მოსაზრებისა და პრაქტიკული მონაცემის მიხედვით, რასაც ეფრემის ერთი საყურადღებო ნაშრომი შეიცავს. ეს ნაშრომი წარმოადგენს ე. წ. ზ ა ნ ჯ უ ა ს ა და შ ე ს ა ვ ა ლ ს, რომელიც ეფრემ მცირეს დაერთვის მე-8 საუკუნის ცნობილი ბიზანტიელი მოაზროვნის იოანე დამასკელის თხზულების „ცოფნის წყაროს“ თარგმანისათვის (იხ. თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, 1, ტფ., 1892, გვ. 215—219; ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა. 1. ტფ., 1926. გვ. 182—189,—ს. გ ო რ გ ა ძ ი ს პუბლიკაცია). ეს თარგმანი ეფრემ მცირეს შეუსრულებია მე-11 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როცა, ჩანს, მთაწმიდაზე ყოფილა ჩვენში სასვენი ნიშნების გვერდით სანოტაციო ნიშნების შემოღებისა და მათი პრაქტიკული გამოყენების საკითხი. ამ საკითხის გადაწყვეტა ეფრემ მცირეს უკანასკნელ და თავისი დროის კეკლობაზე მეტად საყურადღებო შედეგისათვის მიუღწეია. ეს შედეგი განზოგადებულია ხსენებული დანართის მეორე ნაწილში, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ლაპარაკია „წერტილითა გაკუეთისათვის საკითხათასა“ (მიმთმხილველი, გვ. 188). აქ ნათქვამია, რომ ადრინდელი თარგმნელები არ ზრუნავდნენ საკითხვა მასალაში იმ პირობითი ნიშნების დასმაზე, რომელთა მეშვეობით რიგიანად იწარმოებდა კითხვა და „ამისთვისცა ზეპირით უმეცა გაკუეთაჲ ყოველთა სახელოვანთა მკოთხელთა“ (იქვე), ე. ი. ნაწერში წერილობითი ნიშნების უქონლობის გამო ცნობილი მკითხველები ზეპირად აწესრიგებდნენ ინტონაციასაც. ხოლო ბერძნულში, — ამბობს ავტორი, — ეს მოწესრიგებულია, ისევე როგორც გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილ საგალობლებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ჰიმნოგრაფია უკვე იყენებდა სადეკლამაციო ნოტაციას და საკითხვა მასალას სმეტყველო პარტიტურების სახით შეიცავდა. ამის უდავო მაჩვენებელს წარმოადგენს ავრეთვე ზემოთ მოთითებული მეტრული პუნქტუაცია, რაც ჩვენში ადრიდანვე შეინიშნება. მაგრამ ეს წარმატება, როგორც ითქვა, ერთგვარ ჩანასახს წარმოადგენს და მთლად ორიგინალურიც არ უნდა იყოს, ამასთან, ის მხოლოდ რიტმულ ძეგლებში შეინიშნება და პროზაში არ უნდა ეხებოდეს.

რაც შეეხება პროზაულ ძეგლებს, სადაც აქამდე ჯერთვანი ყურადღება არ ექცეოდა საინტონაციო პირობით ნიშნებს, ისინი ეფრემს თავისი ორიგინალური სისტემის მიხედვით ერთწერტილით, ორწერტილით, სამწერტილითა და ექვსწერტილით „გაუკეკეთია“. ამით მან შექმნა სასვენი ნიშნებისა და სადეკლამაციო ნოტაციის თავისებური სისტემა, რომლის შინაარსს გარკვევით გვაცნობს საკუთარი თეორიული ახსნა-განმარტების ფრაზი. ის წერს: „ერთწერტილი უკეუ მცირეჲ სასუენად: ორწერტილი განსაკუთეოელად სიტყვისაჲ, და სამწერტილი დიდად სასუენად; და ექვსწერტილი სრულიად დასაბოოლებელად და ანლად დასაწყებელად სიტყვისაჲ“ (იქვე, გვ. 189). აქ ჩამოთვლილი პირობითი ნიშნები უფრო სასვენი ფუნქციებითაა განსაზღვრული, ვიდრე სადეკლამაციო დანიშნულებით. მაგრამ საქმე ამით არ თავდება: ავტორი ქვემოთ განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით საინტერესო განხრას აძლევს თავის ახსნა-განმარტებას, სადაც პირობითი ნიშნების სადეკლამაციო ფუნქციებზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. ის ამბობს: „არს ოდესმე იშვიან, რომელ არა დასაბოლოებელად ზნი ექუსწერტილი, არამედ ჭმისა საქცეველად ოდენ; რომელი ესე მეტადფასთა შინა უფრო იპოვების: რაკამს მოწამე მსაჯულისა მიმართ მეტყუეებადეს და მყის ღმრთისა მიმართ ცვალოს მეტყუეებამ, ესეეთარსა შა ადგილსა ეკუეი წერტილი უზის, არა რათა დაბოლოოს, არამედ რათა ჭმაჲ იქცოს მკითხველმან“ (იქვე). აქ ერთ-ერთი პირობითი ნიშანი— ექვსწერტილი, რომელიც ზემოთ მიჩნეულია „სრულიად დასაბოლოებელად და ახლად დასაწყებელად სიტყვისა“, აღიარებულია „ჭმისა საქცეველად ოდენ“, ე. ი. მხოლოდ ხმის შეაცცელლად ანუ სადეკლამაციო ფაქტორის მაჩვენებლად. ამრიგად, ეფრემ მცირის პუნქტუაციურ სისტემაში ექვსწერტილს დაკისრებული აქვს ორი ფუნქცია: სასვენი და სადეკლამაციო. ერთ შემთხვევაში ის ზის განსაზღვრული აზრის შემცველი ობიექტის შემდეგ, გამოხატავს ნათქვამს და აღინიშნება ხმის დადაბლებით; მეორე შემთხვევაში ის ზის განსაზღვრული აზრის შემცველი ობიექტის წინ, გამოხატავს სათქმელს და აღინიშნება ხმის შეცველით.

ექვსწერტილის ეს მეორე დანიშნულება წვრილდ მხატვრული ხასიათისაა — ის ნაწერის ბეგრითი რეპროდუქციის ფაქტორს წარმოადგენს და სათქმელის გაბმამეტყველებით გამოქმას ემსახურება. უნდა აღინიშნის, რომ ასეთ დანიშნულებას ეფრემის პუნქტუაციურ სისტემაში ნაწილობრივ სხვა სასვენი ნიშნებიც ითავსებენ, მაგალითად, ერთწერტილი და სამწერტილი, რომლებიც მეორე და დიდი პაუზების აღმნიშვნელია და თავიანთი დანიშნულებით გასხვავდებიან ორწერტილისაგან, რომელსაც მხოლოდ განკვეთილობის მოკალოობა აქვს დაკისრებული. ეფრემის სიტყვები: „ორწერტილი განსაკუთე�eულ სიტყვისაჲ“ — უნდა გავიგოთ როგორც სიტყვების მაცალკეებელი ნიშნის განსაზღვრა. ასეთ ნიშნადაა აქ მიჩნეული ორწერტილი. მისი ფუნქცია სიტყვების გამოყოფაა. სხვა მოკალოობა მას არ გააჩნია.

რაც შეეხება სხვა პირობით ნიშნებს, განსაკუთრებით ექვსწერტილს, ისინი სასვენი ფუნქციების გვერდით სადეკლამაციო დანიშნულებასაც ითავსებენ და გამმეტყველებით კითხვის ფაქტორების მაჩვენებლებადაც გვევლინებიან. ეფრემ მცირის მიერ „მცირედ სასუენად“ და „დიდად სასუენად“ მიჩნეული ერთწერტილი და სამწერტილი, ცხადია, „ოთ მარტო სასვენი ნიშნებია, არამედ სამეტყველო პარტიტურის პირობით ნიშნებიცაა, ვინაიდან ისინი პუნქტუაციურ შესვენების გარდა ინტონციურ პაუზებსაც გულისხმობენ. წინაადგილ შემთხვევაში ეფრემ მცირე არ გაარჩევდა ერთმანეთისაგან განკვეთილობის, სასვენსა და სადეკლამაციო ნიშნებს. აქ კი ასეთ გარჩევასთან გვაქვს საქმე: ორწერტილი ახლოოდ განკვეთილობის ნიშნადაა მიჩნეული, ერთწერტილი და სამწერტილი უმთავრესად სასვენ და ნაწილობრივ სადეკლამაციო ნიშნებადაა აღიარებული, ხოლო ექვსწერტილი უმთავრესად სადეკლამაციო. და ნაწილობრივ სასვენ ნიშნადაა დასახლებული.

ამრიგად, ეფრემ მცირის პუნქტუაციური სისტემა შეიცავს სამივე სახის — განკვეთილობის, სასვენსა და სადეკლამაციო პირობით ნიშნებს, რომელთა უერაგლესობა — ერთწერტილი, სამწერტილი და ექვსწერტილი სასვენ ფუნქციასთან ერთად სადეკლამაციო მოვალეობასაც ითავსებს და წერით მეტყველების მოწესრიგების გვერდით ზეპირი მეტყველების ოსტატობასაც უზრუნველყოფს. დიდად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ასეთი ოსტატობის საჭიროებას ეფრემ მცირე უმთავრესად სუტყვაკაზმული მასალისთვის ხედავს. მისი სიტყვით „ჭმის საქცეველი“ ადგილები „მეტფასთა შინა უფრო იპოვების“ (იქვე). ხოლო „მეტფასთა“ მისივე განმარტებით „გარდაკაზმული“ ამბავია (იქვე, გვ. 188).

აქედან ცხადად ჩანს ეფრემის აზრი: მხატვრულ კითხვას კაზმული მასალა შეიფერებს და ამიტომ სწორედ ის საჭიროებს სადეკლამაციო ნიშნებით ნოტაციას, ე. ი. სამეტყველო პარტიტურის სახით გადმოცემას. ასეთი გადმოცემა ხელს უწყობს გამომეტყველებით კითხვას, რომლის წარმატების ერთ პირობას ხსენებული ნოტაცია ანუ სათქმელი მასალის პირობითი ნიშნებით აღქმერა წარმოადგენს.

ამ საქმის ეერთ აღრინდელ თეორიულ დასაბუთებასა და პრაქტიკულ გამოკვლევას ვხედავთ ეფრემ მცირის პუნქტუაციურ სისტემაში. ეს სისტემა იმის მაჩვენებელია, რომ მე-11 საუკუნისათვის ჩვენში სავსებით მოგვარებული მწერლის, მკითხველისა და მსმენელის ურთერთობა და მისი დამყარების მძლავრი საშუალება: წერილ სასვენი და სადეკლამაციო პუნქტუაცია წერით მეტყველებაში და მათ მარცხენა ინტონაცია ზეპირ მეტყველებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგო ფაჩინავა

ვერკორი

ვერკორი — ცნობილი ფრანგი შემოქმედის ჟან ბრიუერის ლიტერატურული ფსევდონიმია. იგი სამწერლო სარბიელზე გამოვიდა მეორე მსოფლიო ომის წლებში და ლეი არაგონთან და ელზა ტრიოლესთან ერთად ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში. მწერალი გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლის წლებში ვერკორის მოებში იმალებოდა, ლიტერატურულ ფსევდონიმადაც „ვერკორი“ შეირქვა.

ვერკორის კალამს ეკუთვნის მოთხრობები: „ვარსკვლავით სვლა“, „წყვდიადის იარღი“, „თვალები და სინათლე“ (ნოველების კრებული), „ზღვის დუმილი“, „სიტყვა“, „უგუნური“, „ეენერა სოლარისკაია“; რომანები: „სინათლის სიძლიერე“, „დენატურებული ცხოველები“; პუბლიცისტური შრომები: „დროის ქვიშა“ (კრებული), „ნაბიჯები ქვიშაზე“ (კრებული), „ფრანგის თავგადასავალი ჩინეთში“ და სხვ.

ვერკორი ერთ-ერთ სტატიაში წერს: „მე ვწერ იმისათვის, რომ ვამხილო სიცრუე და უსამართლობა. მე ვწერ აგრეთვე იმისათვის, რომ დავეხმარო მკითხველებს ცხოვრების ჭრის გაგებაში“.

ვერკორი დაიბადა 1902 წელს, იგი განათლებით ინჟინერია, ვერკორი ნიჭიერი გრაფიკოსია, რომელმაც, როგორც მხატვრმა, ომამდე გაიჩქვა სახელი.

1942 წელს პარიზში არალეგალურმა გამომცემლობა „შუალამემ“ გამოსცა ვერკორის პირველი მოთხრობა — „ზღვის დუმილი“, რომელშიც მწერალმა გაბედულად გაიღაშქრა გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. მოთხრობა ისე ოსტატურად იყო დაწერილი, რომ მას ყველა უფროსი თაობის მწერლებს მიაწერდა. მოთხრობის მთავარი გმირია გერმანელი ოფიცერი ვერნერ ფონ ებრინგი, რომელიც ცხოვრობს ერთი ფრანგის სახლში. საღამოობით ოფიცერი სახლის პატრონს ესაუბრება, იგი ფრანგებისა და გერმანელი ოკუპანტების შერიგებას ქადაგებს, მაგრამ ფრანგები დუმილით პასუხობენ. ეს სამარისებური დუმილი იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია დამპყრობლების შერიგება ფრანგ ხალხთან. ოფიცერი ბრუნდება შინ და თავის თანამემამულეებთან აღიარებს, რომ ყველაფერი, რაზედაც წინათ ფიქრობდა და რისი იმედიც ჰქონდა, ფუჭია. ფრანგები ოკუპანტებს არ დანებდებიან.

1943 წელს გამოვიდა ვერკორის ავტობიოგრაფიული მოთხრობა: „ვარსკვლავით სვლა“, რომელშიც მწერალი მოგვითხრობს უნგრელი ემიგრანტი ებრაელის თომას მიერიცის თავგადასავალს. ძმის ფაშისტებისაგან შემდეგ 12 წლის თომას მიერიცი იძულებული მიატოვოს სამშობლო და ოჯახი, იგი უკანასკნელ მიდის საფრანგეთში, თავისუფლების ქვეყანაში, როგორც წეროებში ჰქონდა ამოკოთხული. თომასი სასაუზოდან შედის ერთ ტრაქტირში, იგი ტრაქტირის მეპატრონეს თავისუფლებაზე ესაუბრება. ტრაქტირის პატრონი მიესალმება მიერიცის ვაზნარახვას — ვახდეს თავისუფალი საფრანგეთის ულარასაკი. გერმანელი ფაშისტები ებერობენ საფრანგეთს, თომას მიერიცი უკვე მოხუცია, იგი ხელისუფალთა ბრძანებით მეერდზე ექვსქმიან ვარსკვლავს ატარებს, — ნიშნად იმისა, რომ ის ებრაელია — მაგრამ მაინც არ სჯერა, რომ პეტენი სამშობლოს გამყიდველია. მაგრამ როცა თომასს ფრანგი პოლიციელები ანატიმრებენ და სხვებთან ერთად დასაჯრეტად გზავნიან, მაშინ მიხვდება, რომ საფრანგეთი გაყიდულია.

საინტერესოა ვერკორის ფილოსოფიური რომანი — „დენატურებული ცხოველები“. ეს წიგნი 1957 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე. რუსული გამოცემის ბოლოსიტყვაში ავტორი სამშობლოს მკითხველებს მიმართავს:

„ამრიგად, რუსულ ენაზე ჩემი წიგნი პირველად ითარგმნა.

საბჭოთა კავშირის ლიტერატურულ ცხოვრებაში შესვლა ფრანგი მწერლისათვის პატარა ამბავი როდია.

10. ცისკრი, 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, რომ უპირველეს ყოვლისა, ჩემს თავს შევეკითხე: რაშიგანად სწორად მოვიქეცი, როცა ეს რომანი ამოვირჩიე? შეიძლება თუ არა ამ წიგნით ვიმსჯელოთ ჩემს შემოქმედებაზე, — ეს ხომ ფანტასტიკური რომანია და ჩემს წინანდელ ნაწერებს არ ჰგავს?

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, რომ შეიძლება".

რომანის თემაა ადამიანის რაობის განსაზღვრა. ეიგერორ ავარძელეს ვოლტერის, დიდროსა და ანატოლ ფრანსის ტრადიციებს. რომანი ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხასიათისაა.

რომანში „ლაბერტრანელი ცხოველები" (რუსული თარგმანის სათაურია „ადამიანები თუ ცხოველები") მოქმედება იშლება დიდი ბრიტანეთის სამეფოში. რომანს ეპიგრაფად წამოდგარებული აქვს მთავარი გმირის — დუგლას ტემპლმორის სიტყვები: „ყველა ეზგზურება ქვეყანაზე იმიტომ ხდება, რომ დღემდე ადამიანებმა ვერ გაიკითხეს, თუ რა არის ადამიანი, ვერ შეთანხმებულნ �გორი უნდა იყოს იგი".

დუგლას ტემპლმორის სახლში მაწყინარა გვამი აღმოაჩინეს. გვამის შესაფასებლად მოდის ექიმი ფიგნი პოლიციის ინსპექტორთან ერთად. ექიმმა დაადასტურა, რომ სანამ გვამეს ადამიანის მსგავსი მიმეჩინა გვამთან. პოლიციის ინსპექტორი დაკითხავს დუგლასს, რომელიც ალიარებს, რომ ესაა ბაშვიანი გვამი და მკვლელობა ჩადენია მან. დუგლასმა ამის დასამტკიცებლად მაგიდის უჯრიდან ამოიღო დოკუმენტი და წარუდგინა პოლიციის ინსპექტორს. „მე, ქეიმორე ხელსმოწერი, — ნათქვამია დოკუმენტში, — ე. კ. ვილიამსი, მეფის კოლეჯის ქორურგიული საზოგადოების წევრი, ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, მეფიცინის დოქტორი, ედინბურგის, რომ დღეს, 4 საათსა და 30 წუთზე ადამიანის მსგავსმა დედა-მაიმუნმა შობა მამრობითი სქესის ფიზიკურად ნორმალური ბავშვი. დედა-მაიმუნს ლერის ეძახიან და ეკუთვნის „Paranthropus Erectus"-ის სახეობას. 19... წლის 19 დეკემბერს სიდნეიში მეცნიერული თვალსაზრისით ხელოვნურად გაგაყაყოფიერე დედალი მაიმენის. ახალდაბადებული ქვეყანაზე გაჩენას დუგლას ტემპლმორს უნდა უმადლოდეს".

ახალდაბადებული მონათლეს და რეგისტრაციაში „ჯეკილდ-რალფ ტემპლმორის" სახელწოდებით გაატარეს. დედა კი რეგისტრირებული იყო სახელით: „ახალი გვინეის მკვლელი დერი".

ინგლისის საზოგადოებრიობაში გაჩაღდა კამათი საკითხზე: ვინ არის დერი, ადამიანი თუ მაიმენი?

ინგლისიდან ახალ გვინეაში მიემგზავრება ექსპედიცია, რომელშიც შედიან: დუგლას ტემპლმორი, კრეპსი, ჯრიმი, სიბილი და სხვანი. ექსპედიცია სწავლობს კლდის ცხოველებს, მაიმენებს, თრობებს (თრობა — პირობითი სიტყვაა. იგი წარმოადგენს ორი ბერძნული სიტყვის შენაერთს. „Anthropus — კაცი, Pitckos — მაიმეული, ე. ი. ადამიანის მსგავსი მაიმენი. ამ სიტყვას პირობითად ხმაობენ კრეპსი, სიბილი და ჯრიმი). ექსპედიციამ იპოვა ამ ცხოველების თავის ქალის ფრაგნი, იპოვა გამოქვაბულებში ცოცხალი თრობები, ეცემლის ერა, ფოთლის საკვები, გთელილი ქვეში. მაგრამ გამოქვაბულის კედლებზე ვერ აღმოაჩინეს ნაბატი ან წარწერა. ექსპედიციამ ინგლისში საიდუმლოდ ჩამოიყვანა თრობები და მოათავსა ზოოპარკში. ერთ მშვენიერ დღეს საიდუმლოება გამოიტყვიანა. ინგლისტრმა გაზეთმა „ფიდელ პიტრერმა" გამოაქვეყნა ფოტოი და ფოტოები ფოტოსურათება თავიანთი შეიღებით. ენნდა დადგენილიყო, თრობები ადამიანები არიან თუ მაიმენები? დუგლასი, რომელიც თრობის მამრა იყისრა, დაბნეულია თუ გმირი?

სასამართლომ დუგლას ტემპლმორს ციხე მიუსაჯა, როგორც ადამიანური არსების მკვლელს. მაგრამ საქმე არც ამით დამთავრებულა. საკითხი დაისვა ინგლისის პარლამენტში. მთავრობამ გამოქცა საპეციალური კომისია, რომელსაც დაეკალა მეცნიერთა და იურისტთა დამსარებით დადგინა ადამიანის რაობის კანონიერი განსაზღვრება.

საბერის კომისიის დასკვნის საუკეთესულ ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი.

მუხლი პირველი: ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს ის, რომ მას აქვს რელიგიური სული.

მუხლი მეორე: რელიგიური სულის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს — ღვთის რწმენა, მეცნიერება, ხელოვნება.

მუხლი მესამე: ყოველ ადამიანს სულიერი არსება, რომელიც ფლობს მეორე მუხლში ჩამოთვლილ რომელმე ნიშანს, აღიარებული ადამიანური საზოგადოების წევრად და მისი ცხოვრება ეზგზურებული სამეფოს ტერიტორიიაზე გარანტირებულია კანონით.

ამრიგად, ინგლისის პარლამენტმა გამოსცა სპეციალური კანონი, რომლის ძალითაც თრობებს ადამიანის უფლება მიენიჭათ.

მაშინ დუგლასის დამცველმა ჯეკიმმა სასამართლო პროცესზე განაცხადა: ვინაიდან მკვლელობის ჩადენისას მსხვერპლი ჯერ კიდევ არ იყო გამოცხადებული ადამიანად, ბრალდე-

ბული დუგლასი გამარჯვებული უნდა იქნას. მოსამართლემ შეაჯამა კამათის შედეგები და გამოიტანა განაჩენი: „დუგლასი გამარჯვებულია“.

რომანი მთავრდება იმით, რომ მოსამართლე არტურ დრეიპერი დუგლას ტემპლმორს უწევნებს ლიტერატურულ ჟურნალს „გარგოილს“, რომელშიც ერთი ავტორი წერს: „დროა ბოლო მოეღოს ამ სულელურ ისტორიას, — მზადეულობაში მაქვს თოროპების ამბავი“.

